N51 (602) 22/XII-28/XII-2011 ფასი 1 ლარი

# გზა

## ჩემი რჩეული

გურამ რჩეულიშვილი

ექვსტომეული

ტომი I

შეგიძლიათ შეიძინოთ „გზის" ამ ნომერთან ერთად!

წიგნი და „გზა" ერთად 6 ლარი ღირს

წიგნის ფასი 5 ლარი

შემდეგი

გურამ რჩეულიშვილი

ტომი II



1168 2011

## ირაკლი ალასანიას პირადი ცხოვრება

მიზეზები, რის გამოც პრეზიდენტს დაუპირისპირდა

„ჩემი მეგობრების ნაწილი ომმა შეიწირა, ნაწილი — ნარკოტიკებმა"



## ზემო ფონიჭალაში მომხდარი ტრაგედიის დეტალები

„გოგონა შოკში იყო, დარბოდა და კიოდა..."

„ბავშვი გულში ჩავიკარი, რომ დამეცვა"



## რას მიიჩნევს თიკო სადუნიშვილი საკუთარ შეცდომად

...ამუკა ღლონტის კაბინეტის ...რი „წიხლით" შევარდე"



## რატომ ასნებოვნებდნენ რიაზანის ციხის პატიმრებს ჭლექის ბაცილებით

„წამლის გაკეთების შემდეგ, ბევრი ჭკუაზეც იშლებოდა"



## ბაჩო ქაჯაია თოვლის ბაბუას დიდ საჩუქარს სთხოვს

„ახალი წლის ღამე მართლა ჯადოსნური მგონია"

ISSN 1987-5029

# უცნაური საახალწლო ტრადიციები

ეროვნული ბიბლიოთეკა

პანცი ლიონი PANTSI LION VIP ახალი კოლექცია





შეიძინეთ ულამაზესი ავეჯი ახალი კოლექციიდან და მიიღეთ საჩუქარი

მისამართი: ერისთავის ქ.№2,
მე-2 სართული (მეტრო დიდუბის ზემოთა ამოსასვლელთან).
ტელ: 2 664-190
ოფისი: 2 245-105

სამზარეულოები-415 ლარიდან
საძინებლები -740 ლარიდან
რბილი ავეჯი -980 ლარიდან

BU-BA GEORGIA
YATAK COLECTION

BU-BA GEORGIA
ევროპული ხარისხის ლეიბები











ნებისმიერი ზომის და სიმაღლის, ლატექსის და ორთოპედიული ლეიბები.

საუკეთესო არჩევანი ყველაზე პრეტენზიული მყიდველისათვის.

მისამართი: თბილისი,
მექანიზაციის ქ.№1
ტელ: 2 66 16 51

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ავერსის კლინიკა გილოცავთ შობა-ახალ წელს!

ავერსის კლინიკა
AVERSI CLINIC




მიმდინარე წლის ნოემბერში ავერსის კლინიკას 3 წელი შეუსრულდა. 3 წლის განმავლობაში საკმაოდ ნაყოფიერი და წარმატებული იყო კლინიკის მუშაობა. ამ ხნის განმავლობაში კლინიკას 170 000-ზე მეტმა პაციენტმა მიმართა. ჩატარდა 1 000 000-მდე სამედიცინო მომსახურება და 8000-ზე მეტი ოპერაცია. ავერსის კლინიკის წარმატების საწინდარი მაღალტექნოლოგიური სამედიცინო აპარატურა, მაღალკვალიფიციური კადრები, მაღალი ხარისხის სამედიცინო მომსახურება და ხელმისაწვდომი ფასებია. ავერსის კლინიკა საქართველოს მოსახლეობას ულოცავს შობა-ახალ წელს.
უსურვებს ჯანმრთელობას და სულიერ სიმშვიდეს.

ავერსის კლინიკის გენერალური დირექტორი დიმიტრი ჯორბენაძე

27895

## შობა-ახალი წლის დღესასწაულთან დაკავშირებით ავერსის კლინიკა მოსახლეობას გრანდიოზულ ფასდაკლებას სთავაზობს:

თიაქრის ოპერაციები - 740 ლარი
ოპერაციები ნაღვლის ბუშტზე ლაპაროსკოპიული ე. წ. უსისხლო მეთოდით - 900 ლარი
საკვერცხის კისტექტომია ლაპაროსკოპიული მეთოდით - 990 ლარი
ლაპაროსკოპიული ოპერაციები უშვილობის გამო - 990 ლარი
შარდის ბუშტის ტური - 960 ლარი
პროსტატის ტური - 1440 ლარი
კატარაქტის უნაკერო ოპერაციები (ფაკოემულსიფიკაცია) - 780 ლარი
ცხვირის ძგიდის ოპერაციები - 600 ლარი
ცხვირის პლასტიკური ოპერაცია - 1500 ლარი
ფარისებრ ჯირკვალზე ოპერაციები - 1250 ლარი
მენისკის ოპერაციები ართროსკოპიული მეთოდით - 800 ლარი
ხერხემლის დისკის თიაქრის ოპერაციები - 1500 ლარი
თავის ტვინის სიმსივნეების ოპერაციები   3200 ლარი
ბუასილის ოპერაციები: კლასიკური  950 ლარი, ლონგოს მეთოდით - 1700 ლარი
20%-მდე ფასდაკლება სხვა სახის ოპერაციებზე.

## ავერსის კლინიკა - მაღალი ხარისხი დაბალი ფასები!

www.aversi.ge
2-399-888

ეროვნული ბიბლიოთეკა




მოწევა კლავს
მოწევა იწვევს კანის
ნაადრევ დაბერებას

ეროვნული ბიბლიოთეკა

კვირის პალიტრა
მზე

№51 (602)
22 - 28 დეკემბერი, 2011 წ.
ფასი 1 ლარი

## ქვეყანა



### ირაკლი ალასანიას პირადი ცხოვრება და პოლიტიკური გეგმები

„შემტევი მტრის მიმართ ვიყავი, ქართულ პოლიტიკაში კი მტრებს ვერ ვხედავ. ვფიქრობ, ხელისუფლებაში გზააბნეული ადამიანები არიან. ძალიან მწარედ მახსოვს სამოქალაქო ომი და მინდა, ქვეყანაში ახალი პოლიტიკური კულტურის დამკვიდრებას შევუწყო ხელი“.

10

## სახე





### რატომ აღარ ეპატიჟებიან ქეთი ორჯონიკიძეს მეკვლედ

„ერთ-ერთ ახალ წელს ქალაქგარეთ შევხვდი, რადგან კონცერტი მქონდა. ჰოდა, ვინაიდან ამ დღესასწაულს ოჯახის წევრების გარეშე პირველად შევეგებე, ძალზე მოვიწყინე...“

22

■ მინიატიურები 5
პრეზიდენტობა „სოლვეის ხერხით“

■ ჭრელი მსოფლიო 6

■ მასმედია 8

■ პერსონა 10
ირაკლი ალასანიას პირადი ცხოვრება და პოლიტიკური გეგმები

■ ტრაგედია 14

■ ლიდერები 16
მსოფლიო ურთიერთსაწინააღმდეგო „პოლუსების“ ლიდერებს ემშვიდობება

■ ოჯახი 18
მხიარული წყვილის სიურპრიზებით სავსე ცხოვრება

■ მეტამორფოზები 20
ვინ აშინებდა „ღილებთვალება“ გოგონას

■ სამზადისი 22
რატომ აღარ ეპატიჟებიან ქეთი ორჯონიკიძეს მეკვლედ

■ სამზადისი 24
რაზე უნდა იფიქრო გოზინაყის მომზადებისას

■ სცენის მიღმა 25
რა სიურპრიზებს ჰპირდება ოთო ნემსაძე მსმენელს

■ კარიერა 26
რას მიიჩნევს თიკო სადუნიშვილი საკუთარ შეცდომად

## ცხოვრება

### იღბლიანი ბერიკაცი...



— აქ, ბიძაჩემო, 3.000 დოლარია... რომ წაგელო, ალალად შეგერგებოდა — კი არ მოგიპარავს, იპოვე...
— რას ამბობ, შვილო, რა შემარგებდა, რომ იდარდებდი და გულს აიტკივებდი?!

33

## მზე ვნილები

### რაც მოგივა დავითაო, ყველა შენი თავითაო



„უშიშრად გააჩერა და ის იყო, ძმაკაცურად უნდა მისალმებოდა, რომ 2 უცხო ჯეელი დადგა თავზე და გადმოსვეს მანქანიდან ეს ჩვენი გოგიტა. — რას სჩადიხარ, სრულ ჭკუაზე ხარო?“

64

■ **ქვალი** 28
„მან თავის ასაკსაც გაუსწრო და დროსაც“

■ **ემიგრანტი** 31
„ნეაპოლელთა ყოველდღიური საფიქრალი
საკუთარი ყოველდღიური ცხოვრებაა...“

■ **ნამდვილი ამბავი** 33
იღბლიანი ბერიკაცი...

■ **ღვაწლი** 34
ტელევიზიის პირველი დიქტორი
და იოსებ ნონეშვილის მუზა

■ **სალაღობო** 36
საახალწლო „ნონსტოპი“

■ **თინეიჯერული პონტები** 37
ვის მეკვლეობაზე ოცნებობენ მოზარდები

■ **ისტორიის ლაბირინთები** 40
„კონტრაბანდისტი მემიშოღლი“ და
ციხის მედდის თავდადება

■ **ავტო** 43

■ **ტაძარი** 44
წინასწარმეტყველი, რომელიც
იუდეველებმა ქვებით ჩაქოლეს

■ **ანტიდეპრესანტი** 46

■ **საკითხავი ქალებისათვის** 46

■ **ერუდიტი** 48
ბაჩო ქაჯაიას საახალწლო სურვილი

■ **დიზაინერი** 50
რუსთაველზე ჩატარებული კარნავალი
და დროშებით შეკერილი კაბები

■ **ჯანმრთელობა** 52

■ **წვეთი პოეზია** 54

■ **რჩეული** 55
გურამ რჩეულიშვილი.
ზანაობა მზის ჩასვლისას

■ **ქართული დეტექტივი** 56
რუსუდან ბერიძე.
აბრეშუმის ვალეტი (გაგრძელება)

■ **რომანი** 60
სვეტა კვარაცხელია. წაგებული თამაში
(გაგრძელება)

■ **გზავნილები** 64

■ **ყველა ერთისათვის** 68

■ **მობილი-ზაცია** 70

■ **ეს სამყაროა** 76

■ **გასართობი** 78

■ **ასტროლოგია** 80

■ **სკანვორდი** 81

■ **მოზაიკა** 82

## სამყარო



### ბაჩო ქაჯაიას საახალწლო სურვილი

„კარგი წელი იყო. საერთოდ, ჩემი ცხოვრებით კმაყოფილი ვარ. ეს დღესასწაული ძალიან მიყვარს, პატარა ბავშვივით ვარ, მართლა ჯადოსნური ღამე მგონია. თოვლის ბაბუის არსებობის მჯერა“.

48

## ბიბლუსი



### ზანაობა მზის ჩასვლისას

მამამ დედას ხელი მოჰკიდა: — ისევ ჩემთან მოდი, ჩემო მოხუცო, — და ღიმილით გააცურა წყალზე. მერე პირიქით, დედამ აცურავა.
— ავიდეთ ნაპირზე, პირველი დღეა, მეყოფა, — უთხრა ქმარმა.
ორივენი უხმოდ ამოვიდნენ. ჯერ კიდევ თბილ ქვებზე წამოწოლილნი გასცქეროდნენ მოცურავე ქალ-ვაჟს.

55

## ტაიმ-აუტი



### მსოფლიო საახალწლო ტრადიციები

უელსელებს სტუმრად ნახშირი, ჭიქა ღვინო და ღვეზელი მიაქვთ. ამით საკუთარი ერთგულების დამტკიცება სურთ, თანაც მიაჩნიათ, რომ მომავალ წელს მასპინძლის ოჯახი უზრუნველი იქნება საკვებით, სასმლითა და სითბოთი. 12 საათამდე კი კარს აღებენ, რომ ძველი წელი გაისტუმრონ და ახალს შეეგებონ.

82

საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი „გზა“
გამოდის კვირაში ერთხელ, ხუთშაბათობით
გაზეთ „კვირის პალიტრის“ დამატება
ჟურნალი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
რედაქციის აზრი შესაძლოა არ ემთხვეოდეს მასალის ავტორის აზრს.

მთავარი რედაქტორი: **ზურაბ აბაშიძე**
მთ. რედაქტორის მოადგილეები: **ლალი ფაცია, ლიკა ქაჯაია**
პასუხისმგებელი რედაქტორი: **მარი ჯაფარიძე**
მენეჯერი: **მათე კბილაძე**

დიზაინი: **ანა უთურგაიძე**
კომპიუტერული უზრუნველყოფა: **ირმა ლიპარტელიანი, რეზო თხილიშვილი**

მისამართი: თბილისი, იოსებიძის ქ. #49
ტელ: 238-84-44, ფაქსი: 238-08-63. email: gza@palitra.ge
რეკლამა „გზაშ“: 237-78-07; 238-78-70.

ეროვნული ბიბლიოთეკა



# პრეზიდენტობა „სოლვეის ხერხით"



**შესავლის ნაცვლად** როგორც იქნა! ვულოცავ საკუთარ თავს და ყველა გურულს, საუკუნოვანი ოცნების ასრულება! ქობულეთი გურიას შეუერთდა!

ადრე ხომ ასე იყო — ქობულეთი გურიის სამთავროს ნაწილი გახლდათ და გურიელების საზაფხულო რეზიდენციაც ქობულეთთან მდებარე ულამაზეს სოფელ ალამბარში იყო განლაგებული. ჰოდა, ეს ჩვენი პრეზიდენტი მხოლოდ ახალ „ლაზიკებს" კი არ აშენებს, ალბათ „ისტორიული სამართლიანობის" აღდგენაზეც ზრუნავს — აბა, ქობულეთში ჩასულმა რომ გამოაცხადა, 2012 წელი ქობულეთის წელი იქნებაო, იმას ხომ არ ვიფიქრებ, დაავიწყდა წინადღეს გურიის წლად რომ გამოაცხადა-მეთქი?! ეწყინათ თურმე გურულებს, — ერთ დღეში დაავიწყდა დაპირებაო და ახლა მე რომ არ მივმხვდარიყავი, მტრისას მაგათი გაბრაზება!

ეს ისე, ვითომ ვიხუმრე, თორემ სულ ფეხებზე არ ჰკიდია, გაბრაზდებიან თუ არა გურულები, კახელები, იმერლები თუ ვინმე სხვა?!

მთავარია, რომ მალე არჩევნები მოდის და ბოლო ორი-სამი წლის მანძილზე პირველად, თბილისიდან აჭარაში მიმავალი პრეზიდენტი გურიას კი არ „გადააფრინდა", არამედ „ჩამოქვეითდა", საავადმყოფო გახსნა, ქუჩაში „გეიარა", ხალხს დაელაპარაკა; ყველაზე ნიჭიერები საქართველოში მეგრელები კი არა, თქვენ ხართო, — უთხრა („მეგრელები კი არა" — მე დავამატე, მაგრამ ერთი თვის წინ ზუგდიდში თქვა იგივე და „ყველაზე ნიჭიერი" ორივე ხომ ვერ იქნება?). იმათაც გაუხარდათ და ტაში... სდექ! — ტაში არა ფლავი, „ჩიტმა ამბავი მომიტანა", რომ სტატისტიკის მიხედვით, გურიაში საჯარო დაწესებულებებში მხოლოდ რამდენიმე ასეული კაცი მუშაობს და მოსავალდაბინავებულ და ბუხართან მიმჯდარ გლეხს „მიშაიეზა" ტაშის საკვრელად ვერავინ რომ ვერ გამოიტყუებდა, ეს იცოდნენ; ამიტომ ფოთიდან „გადმოსხეს დესანტიო"!



იმ გურულებს კი, ვისაც ერთი-ორი „ტკბილი სიტყვის" თქმა „ნანდომა", ვერ მიუღწევია ხელმაკრატლიან (ლენტის გაჭრის ამბავში) პრეზიდენტამდე.

ამ ერთ შეხვედრაზე განა მხოლოდ იმიტომ ვილაპარაკე ამდენი, რომ გურიაზე სხვა რეგიონებზე მეტად შემტკივა გული (ისე, კი მრცხვენია, მაგრამ უნდა ვაღიარო, რომ ასეა), არამედ იმიტომ, რომ საბოლოოდ დავადგინე საპრეზიდენტო წინასაარჩევნო პოლიტტექნოლოგიის უტყუარი ანაბანა — ასე ვთქვათ, „სააკაშვილის ხერხი" (რადგან გურულებზე ვლაპარაკობთ, ხომ გახსოვთ, ზურიკელას „სოლვეის ხერხით სოდის მიღება")!

ახლა უკვე ვიცი უნივერსალური წესი — შემიძლია ნებისმიერი ქვეყნის პრეზიდენტობის კანდიდატს ჩავუტარო ტრენინგი („ჯოტია, ტრენერი ხომ იცი, რაც არის? — კი, რომ იგინება!") და ასპროცენტიანი გარანტიით გაიმარჯვებს. მაშ ასე: ჩადიხარ, რომელიმე ქალაქში, შევარდები წინასწარ შეთანხმებულ რომელიმე ოჯახში, მოითხოვ ბავშვს, ჩაისვამ კალთაში, აკოცებ, ჰკითხავ ასაკს, პასუხს არ მოუსმენ; მერე იკითხავ, — გაზი თუ შემოგიყვანესო (თუმცა უკვე იცი, რომ შემოიყვანეს; ისე რას მოხვიდოდი?!)? დაჰპირდები, რომ კიდევ უფრო ბევრი გაზი ექნებათ; ბავშვს კიდევ ერთხელ აკოცებ, ინგლისში ერთთვიანი ენის კურსების საგზურს გადასცემ; მერე გაგახსენდება, რომ ჯერ პატარაა და ქართულიც არ იცის წესიერად, მაგრამ მერე „უფრო გაგახსენდება", რომ ქართულს ბებიამისიც ასწავლის და მთავარი ინგლისურია, და მაინც აჩუქებ იმ საგზურს; მერე გარეთ გამოვარდები, ბარიერებს იქით მდგომი ხალხიდან ვინც უფრო კარგად იყვირებს (უფრო სწორად, იბლავლებს): „გრიშა! გრიშა! გრიშა!" ან „ურა! ურა! ურა!" (ერთი სიტყვით, რაზეც „ტრენინგი" ექნებათ გავლილი), იმათ ხელს ჩამოართმევ; მერე მოითხოვ იმ უკვე ლეგენდად ქცეულ მაკრატელს, გაჭრი ლენტს და იტყვი: „ასეთი ჰოლანდიაშიც არ მინახავს, აქ ყველას შეგიძლიათ მოხვიდეთ, იაფად, დაზღვევით (ბატონო პრეზიდენტო, ეს პოლიციის შენობაა), უჰ... დასათვალიერებლად, ნაცნობ პოლიციელებთან სასაუბროდ..." პრინციპში, სულ ეს იყო... ჰო, სუფრაა რესტორანში გაშლილი, ეწყინებათ, რომ არ წახვიდე...

ა, ძმაო! ეს არის სულ! გეთანხმებით, საკმაოდ ძნელი და მომქანცველია მუდმივად ასეთი დატვირთული პროგრამა — არ გინდა ყოველდღე ვილაცის ცინგლიანი ბავშვების კოცნა?! მაგრამ ზოგადად, ქართველობაც ძნელია! და პრეზიდენტობაც ძნელია! შესაბამისად, საქართველოს პრეზიდენტობა ორჯერ ძნელია!

არადა, ამბობენ, „სოდის მიღების ახალი ხერხი" გამოუგონიათო: გაავრცელებ ხმებს, რომ თუკი მოქალაქეობას დაგიბრუნებენ, მხოლოდ გაპრეზიდენტების შემდეგ (რადგან საარჩევნოდ კანონი კრძალავს), ქვეყნის ყველა მცხოვრებს 1.000-1.000 დოლარს აჩუქებ! მეტი არაფერი — ირბინონ სხვებმა მაკრატლით და ატრიალონ ველოსიპედის პედლები, შანსი აღარა აქვს არავის!..

**P.S.** ახლა ერთი ძველი ანეკდოტი გამახსენდა და ვისაც როგორ უნდა, ისე დააკავშიროს ბოლოდროინდელ მოვლენებთან.

— ჭიჭიკია, არ მეიყვანო მაგი ქალი ცოლად, მთელი ტამბოვი მაგას ხმარობდა!

ცოტა ხნის შემდეგ:

— მაინც მეიყვანე, ხო?!

— ვიყავი მე ტამბოვში და არაა დიდი ქალაქი!..

*პროვოკატორი*

ავტორს შეგიძლიათ, დაუკავშირდეთ ელფოსტით:
provokatori67@gmail.com

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ქვეყანა

## მინისტრის ხუმრობა და რუსეთის „მთავარი ძაღლი“



ჩეხეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა კარელ შვარცენბერგმა, პიჯაკზე დაიმაგრა სამკერდე ნიშანი, რომელზეც წერია: Путин, ко мне. Место! (პუტინ, ჩემთან. ადგილზე!). ამ სამკერდე ნიშნით მინისტრი გასულ ხუთშაბათს პარლამენტში ერთ-ერთი სააგენტოს ფოტოკორესპონდენტმა გადაიღო. „ეს ერთმა გოგონამ მაჩუქა. იმედია, პუტინს არ ეწყინება. მე ეს ხუმრობად მიმაჩნია“, — განაცხადა შვარცენბერგმა. ცოტა ხნის წინ, რუსეთში აშშ-ის ელჩმა ჯონ ბაიერლიმ პუტინს რუსეთის „მთავარი ძაღლი“ უწოდა.

## NASA-ს ასტრონომებმა კოსმოსში ანგელოზი იპოვეს

ასტრონომებმა მსოფლიოს საშობაო საჩუქარი გაუკეთეს. ტელესკოპ Hubble-ის წყალობით მათ კოსმოსში ნისლი იპოვეს, რომელიც ანგელოზს წააგავს. ნისლს ჩვენგან 2 ათასი სინათლის წელიწადი აშორებს. საკმაოდ ვრცელია და სიგრძეში რამდენიმე სინათლის წელიწადს აღწევს. ის „რძის გზის“ ნაკლებად შესწავლილ კუთხეშია განთავსებული. ნისლის პოვნა ახალგაზრდა ვარსკვლავის — IRS 4-ის წყალობით გახდა შესაძლებელი. იგი გავარვარებული გაზის ნაკადებს ანთხევს, რომელიც შორიდან, სინათლის სხივების გარდატეხის შედეგად, ანგელოზის ფრთებს ჰგავს. შარშან ასტრონომებმა მსოფლიოს საშობაოდ უზარმაზარი ნაძვის ხის სათამაშო აჩუქეს, რომელიც ასევე კოსმოსში აღმოაჩინეს.

## ნაყიდ ჯინსში აღმოჩენილი გზავნილი

უკრაინელმა ქალმა მეორადი ტანსაცმლის მაღაზიაში ნაყიდ ჯინსის შარვალში 100 ევრო და წერილი იპოვა. ქალაქ ლუბოლის მკვიდრმა ჯინსი შვილისთვის შეიძინა. უცნაური საჩუქარი მან გარეცხვის წინ, ჯიბეების შემოწმებისას აღმოაჩინა. აი, რა ეწერა წერილში: „უცნობო უკრაინელო მეგობარო! მე გერმანელი სტუდენტი, ვალტერი ვარ და ისევე, როგორც შენ, ვკიცხავ ომს. მან ჩემი ბაბუის, იოჰანის სიცოცხლე შეიწირა. ის თქვენს მიწაზე დაიღუპა. გჩუქნი ამ ჯინსს. ვიცი, რომ თქვენთან არც ისე კარგი ცხოვრებაა...“





## პრესის ურიკები — ჯიხურების ნაცვლად

თბილისის ქუჩებში მალე მოძრავი სტელაჟები გამოჩნდება. პრესის გავრცელებასთან დაკავშირებით შექმნილი პრობლემების გამოსასწორებლად სულ მალე ახალი პროექტი — „საქართველოს პრესის ასოციაციისა“ და ფონდი „ქართუს“ ერთობლივი დაფინანსებით დაიწყება. მერიის მიერ აღებული ჯიხურების ნაცვლად, მკითხველი სასურველ პრესას მოძრავი ურიკებიდან შეიძენს.

„ეს იქნება მოძრავი სტელაჟიურიკა, ძალიან ლამაზი დიზაინით. გარდა ამისა, იქნება შესაბამისი დიზაინის სპეციალური სტელაჟიველოსიპედები. ეს ძალზე საინტერესო ნოუ-ჰაუ იქნება თბილისის სინამდვილისთვის“, — ამბობს „რეზონანსთან“ საუბრისას პრესის გავრცელების ხელშეწყობის ორგანიზაციის უფროსი ლექსო ჯიქია. მისი თქმით, სტელაჟებზე ყველანაირი პრესა გაიყიდება. „მგონია, პროექტი წარმატებული იქნება. ეს არის პროექტი, რომელიც აუცილებლად გაამართლებს. ჩვენი ძირითადი მიზანი — მომხმარებელია, ის ადამიანები, რომლებსაც გაზეთის წაკითხვის სურვილი აქვთ. ისინი, რომლებიც შეჩვეულ ადგილას მიდიოდნენ და პრესას ყიდულობდნენ, ერთ მშვენიერ დღეს მივლენ და გაზეთის ნაცვლად, ახალ ჯიხურებში კვერცხი და ქათამი დახვდებათ. ამიტომ მათ ალტერნატივას ამ ახალი, მოძრავი სტელაჟებით ვთავაზობთ“, — აღნიშნავს ჯიქია.

# რუსი ინტელიგენტები ხალხს უხმობენ



რუსული ინტელიგენციის წარმომადგენლებმა ხალხს 24 დეკემბრის საპროტესტო აქციაზე მისვლისკენ მოუწოდეს. გაზეთის — Большой Город ინტერნეტ-საიტზე გამოქვეყნდა რუსეთის კულტურის მოღვაწეთა და მასმედიის წარმომადგენელთა ღია წერილი, რომელსაც 400-ზე მეტი ცნობილი მსახიობი, რეჟისორი, ოპერატორი, ჟურნალისტი და ფოტოგრაფი აწერს ხელს. „არ მოგიწოდებთ ამა თუ იმ პოლიტიკური პარტიისა თუ ლიდერის მხარდაჭერისკენ და არც რაიმე პოლიტიკურ ლოზუნგს გახვევთ თავს. გახსოვდეთ, რომ ხელისუფლება ჩვენი ასარჩევია, თავისუფალი არჩევანი კი — ჩვენი უფლებაა. ისინი ვალდებულნი არიან, დაიცვან კანონი. მომავალი ჩვენს ხელთაა და ჩვენზეა დამოკიდებული. აუცილებელია განვამტკიცოთ ჩვენი მოქალაქეობრივი და ადამიანური ღირსება — ის, რაც 10 დეკემბერს მოვიპოვეთ. ბევრნი უნდა ვიყოთ, რომ რაიმე შევცვალოთ", — ნათქვამია წერილში. 10 დეკემბერს მოსკოვსა და რუსეთის დიდ ქალაქებში ოპოზიციის სანქცირებულ მიტინგზე 50 ათასი ადამიანი მივიდა. ეს ბოლო წლებში რუსეთის ისტორიაში ყველაზე ფართომასშტაბიანი მიტინგი იყო.

# ბრიტანეთში ვაშლების წვიმა მოვიდა



ინგლისის ქალაქ კოვენტრის მოსახლეობა უჩვეულო მოვლენის მომსწრე გახდა — ქალაქში ვაშლების წვიმა მოვიდა. კოვენტრის ერთ-ერთი რაიონი ღამით ასეულობით ვაშლმა დაფარა, რამაც ადგილობრივი მოსახლეობა ძალიან შეაშინა. არავინ დაშავებულა, თუმცა რამდენიმე ავტომობილი დაზიანდა. „ყველაფერი ისეთი მოულოდნელი და გაუგებარი იყო, ადამიანები უბრალოდ, ადგილზე შეშდებოდნენ", — ჰყვება ერთ-ერთი თვითმხილველი დეივ მიკინსი. მეტეოროლოგთა ვარაუდით, ამ მოვლენის მიზეზი ქარიშხალია, რომელმაც დიდი ბრიტანეთის ჩრდილოეთ ნაწილს გადაუარა. ვაშლები ჰაერის ნაკადმა აიტაცა და რამდენიმე ათეული კილომეტრის დაშორებით, კოვენტრიში გადაისროლა. თვითმხილველები ჰყვებიან, რომ ვაშლების გარდა, ციდან სტაფილო და კომბოსტოც ცვიოდა. უჩვეულო „ნალექი" დროდადრო სხვა ქვეყნებშიც მოდის. 2002 წელს საბერძნეთის ჩრდილოეთით, კორონის დასახლებაში ცოცხალი თევზის წვიმა მოვიდა; 2004 წელს ხორვატიაში ციდან ბაყაყები ჩამოცვივდა, ერთი წლის შემდეგ კი იგივე მოვლენა სერბეთში გამეორდა. ზოგჯერ უჩვეულო წვიმას თავად ადამიანები იწვევენ. ინდოეთის ქალაქ მუმბაიში, სადაც ივლისში ერთდროულად სამი ტერაქტი მოხდა, ციდან ბრილიანტების „წვიმა" მოვიდა: ერთ-ერთი ბომბი საიუველირო ბაზრობაზე აფეთქდა, რის შედეგადაც 5,6 მლნ დოლარის ღირებულების ძვირფასეულობა ქალაქის მთელ რაიონში მიმოიფანტა. 2011 წლის დასაწყისში არკანზასის შტატის ქალაქ ბიბში მკვდარი შაშვების „წვიმა" წამოვიდა, ამის მიზეზი, სავარაუდოდ, საახალწლო ფეიერვერკი გახდა.

KUZANOV DENT
კუზანოვ-დენტი
CEREC
One-vizit dentistry
დრო და ხარისხი
თქვენს ხელშია
ჯანმრთელი კბილები
ერთი მისვლით
3 D ტექნოლოგია
ყაზბეგის გამზირი 13
ტელ: 237 12 61
კონსულტაცია უფასოა

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სოფო შევარდნაძე რუს არისტოკრატთა შორის აღმოჩნდა

რუსებს ამიერიდან არისტოკრატებისთვის შესაფერის ქცევის წესებს შეასწავლიან ინტერნაციონალურ სკოლაში, რომლის პრეზენტაციაც ახლახან მოსკოვში, რესტორან „კასტა დივაში“ შედგა. ვახშამს ეტიკეტის მსოფლიოში ცნობილი სპეციალისტი, გრაფინია დე ტილი მასპინძლობდა. სტუმრებს შორის კი, რომლებიც ორგანიზატორებმა ღირსეული თავდაჭერისა და დახვეწილი იმიჯის ნიშნით შეარჩიეს, ქართველი ჟურნალისტი სოფო შევარდნაძეც იყო. ჯერჯერობით უცნობია, ჩაეწერება თუ არა სოფო შევარდნაძე ეტიკეტის შემსწავლელ სკოლაში, სადაც მაღალი საზოგადოების ქალბატონისა თუ მამაკაცისთვის შესაფერისი ყველა წვრილმანია გათვალისწინებული. ყოველ შემთხვევაში, რუსეთის ელიტურ წრეებში მიღებული შევარდნაძე არისტოკრატიული ცხოვრების წესის დამკვიდრებას მხარს უჭერს. სკოლასთან ითანამშრომლებს გრაფინია დე ტილი, რომელიც მსგავს სასწავლებელს საფრანგეთში ხელმძღვანელობს. გრაფინიას ძირითადი მსმენელები დიპლომატები და მათი მეუღლეები არიან, რომლებიც ოფიციალური მიღებებისთვის საჭირო მანერებს სწავლობენ. ■



# „პადხალიმი-2011“-ის გამარჯვებული ისევ კადიროვია



ჟურნალმა „ვლასტ“ წლის ბოლოს პრეზიდენტ დმიტრი მედვედევისა და პრემიერ-მინისტრ ვლადიმირ პუტინის მიმართ მაამებლური გამონათქვამების ტრადიციული რეიტინგი შეადგინა. ამ რეიტინგში ჩეჩნეთის რესპუბლიკის პრეზიდენტი რამზან კადიროვი პირველობას არავის უთმობს. „პადხალიმი-2011“-ის ტოპათეული ასე გამოიყურება:

1. რამზან კადიროვი, ჩეჩნეთის ლიდერი: „პუტინი რომ არ ყოფილიყო, მეც არ ვიქნებოდი“.

2. ოლეგ კოროლევი, ლიპეცკის ოლქის გუბერნატორი: „პრემიერისთვის ნებადართულია ყველაფერი, რაც ქვეყანას სჭირდება“.

3. ტალგატ ტაჯუდინი, რუსეთის უმაღლესი მუფტი: „ამბობენ, თუ სიზმარში საკუთარი ქვეყნის მმართველ სულთანს ნახავ, ღმერთი შენით კმაყოფილი ყოფილა. მე კი პირადად თქვენ გხედავთ!“

4. ვლადისლავ სურკოვი, რუსეთის პრეზიდენტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ყოფილი მოადგილე: „გულწრფელად რომ ვთქვა, პუტინს მივიჩნევ ადამიანად, რომელიც რუსეთსა და მთელ რუს ერს ქვეყნისთვის მძიმე პერიოდში ღმერთმა მოუვლინა“.

5. ალექსეი ფილატოვი, ვეტერანთა საერთაშორისო ასოციაციის ვიცე-პრეზიდენტი: „კრიტიკულ მომენტებში რუს ხალხს ღმერთი ყოველთვის სწყალობდა, მათ შორის, მმართველების თვალსაზრისით. პუტინი ამ წყალობის განსახიერებაა. ღმერთმა უწყის, მის გარეშე, სად ვიქნებოდით“.

6. ნიკას საფრონოვი, მხატვარი: „პუტინმა ჩვენი დაჩოქილი ერი ფეხზე წამოაყენა“.

7. იგორ ლეონოვი, კომის სახელმწიფო საბჭოში ფრაქცია „ედინაია როსიას“ ხელმძღვანელი: „პუტინი ნამდვილი ეროვნული ლიდერია, ის ჩვენი პარტიის საყრდენი და სტაბილურობისა და განვითარების გარანტია“.

8. პაველ ასტახოვი, ბავშვთა უფლებების საკითხებში პრეზიდენტის ნდობით აღჭურვილი პირი: „პროფესიონალთან — ბრწყინვალე იურისტთან, პოლიტიკოსთან და უბრალოდ კარგ ადამიანთან მუშაობა სასიამოვნოა! გისურვებთ, მუდამ ასეთი საუკეთესო ყოფილიყავით!“

9. სტანისლავ გოვორუხინი, რეჟისორი: „რუსეთს მამაცი, ძლიერი, ჭკვიანი და ისეთი მმართველი სჭირდება, რომელსაც მოქალაქეთა უფლებებისა და თავისუფლებების დაცვა შეუძლია და ამასთან, ყველას საკუთარ მოვალეობებს ახსენებს. ჩვენ ასეთი ადამიანი გვყავს და ეს ვლადიმირ ვლადიმირის ძე პუტინია!“

10. დმიტრი მედვედევი, რუსეთის პრეზიდენტი: „პუტინი თანამედროვე რუსეთის ყველაზე პოპულარული, ყველაზე გამოცდილი და წარმატებული პოლიტიკოსია!“

*საიტი გამოკითხვას ტრადიციულად, ყოველი წლის ბოლოს ატარებს და რამზან კადიროვი უკვე მესამე წელია, „რუსეთის ყველაზე დიდი მლიქვნელის სტატუსს“ არავის უთმობს.* ■

*რუბრიკა მოამზადა ხათუნა ბახტურიძემ*
*გამოყენებულია ინტერნეტპორტალ ambebi.ge-ს მასალები*

ეროვნული ბიბლიოთეკა



# საახალწლო საჩუქრები „ლურჯი მონეტებით“

**წინასაახალწლოდ, მაშინ, როდესაც ყველა ფიქრობს, რა აჩუქოს ნაცნობ-მეგობრებს, პროექტი „ჯადოსნური ქისა“ თავისი „ლურჯი მონეტებით“ დიდ არჩევანს გვთავაზობს. „პალიტრამედიას“ ეს ჯადოსნური პროექტი საუკუნის „ჯადოსნურ დღეს“, 2011 წლის მე-11 თვის 11 რიცხვში დაიწყო. წარმატებაც ძალიან სწრაფად მოვიდა და მომხმარებლის მიერ განაღდებული „ლურჯი მონეტების“ რაოდენობა უკვე რამდენიმე ათასს აღწევს.**

**იმის გამო, რომ „პალიტრამედიას“ ეს პროექტი სულ უფრო პოპულარული ხდება, მას უკვე ჟურნალი „რეიტინგიც“ შეუერთდა. ახლა უკვე „კვირის პალიტრისა“ და „ყველა სიახლის“ მკითხველებთან ერთად, „რეიტინგის“ მკითხველსაც შეუძლია ამოჭრას ჟურნალიდან ფასდაკლების კუპონები („ლურჯი მონეტები“), დააგროვოს და სხვადასხვა პროდუქცია ღირებულებაზე დაბალ ფასად შეიძინოს. არჩევანი კი დიდია. დაგროვილი „ლურჯი მონეტებით“ შესაძლებელია წიგნების, სამოსის, სათვალის, ციფრული სასწორების, ავტონათურებისა და სხვა პროდუქციის ფასდაკლებით შეძენა.**

საახალწლოდ „ჯადოსნური ქისა“ მომხმარებელს კიდევ მეტ სიახლეს ჰპირდება. „პალიტრამედიას“ ამ ახალ პროექტს ფუტკრის სახლი „ტენტორიუმიც“ შეუერთდა. „ლურჯი მონეტების“ — ფასდაკლების კუპონების განაღდება შესაძლებელია „ბიბლუსის“ წიგნების მაღაზიათა ქსელში, აფთიაქების ქსელ „მირკოში“, სათვალის მაღაზიათა ქსელშიSAFILO, ასევე მამაკაცის ტანსაცმლის მაღაზიაCELIO-ში. „პალიტრამედიას“ პროექტში ასევე მონაწილეობს განათების სისტემების კომპანიაOSRAM-ის წარმომადგენლობა, რომელიც მომხმარებელს „ლურჯი მონეტების“ წარდგენისას ფასდაკლებით სთავაზობს საკუთარ პროდუქციას.

პროდუქციის ჩამონათვალი, რომელზეც „ლურჯი მონეტების“ განაღდებისას ფასდაკლება ვრცელდება, პერიოდულად იზრდება, იცვლება და მისი განახლება ხდება. *(ჩამონათვალი იხ. გვ. 77)*

სალომე მეცხვარიშვილი („პალიტრამედიას“ პიარმენეჯერი): „ძალიან კარგი შედეგი გვაქვს წიგნების მაღაზიათა ქსელ „ბიბლუსში“, სადაც მომხმარებლებმა უკვე 2000-ზე მეტი მონეტა გაანაღდეს. სულ უფრო იზრდება იმ მოქალაქეთა რიცხვი, ვინც მიდის სხვადასხვა მაღაზიაში და „ლურჯი მონეტების“ წარდგენის შემდეგ ფასდაკლებით სარგებლობს. დიდია მოთხოვნა სამოსზე, სათვალესა და ციფრულ სასწორებზე, რომელსაც „ლურჯი მონეტების“ მფლობელებს აფთიაქი „მირკო“ 50%-იანი ფასდაკლებით სთავაზობს.

საახალწლოდ „ბიბლუსში“ უპრეცედენტო ფასდაკლების აქციაა, უფრო სწორად, ფასდაკლების ფასდაკლებაა. სადღესასწაულოდ წიგნების მაღაზიათა ამ ქსელში 20-დან 50%-მდე ფასდაკლება ვრცელდება. იმ წიგნებზე, რომლებიც „ჯადოსნური ქისის“ პროექტშია ჩართული და მომხმარებელს „ლურჯი მონეტებით“ შეუძლია ფასდაკლებით შეიძინოს, დამატებით საახალწლო ფასდაკლებაც გავრცელდება. გამოდის, ამ სერიის წიგნებზე ერთდროულად ფასდაკლების ორი აქცია გავრცელდება, რაც უპრეცედენტო შემთხვევაა. თუ მომხმარებელი „ბიბლუსში“ წარადგენს მონეტებს და შესაბამისად 50%-იანი ფასდაკლებით ისარგებლებს, ამას საახალწლო 20%-იანი ფასდაკლებაც დაემატება და ჯამში 70%-იანი ფასდაკლებით ისარგებლებს წიგნებზე სერიიდან — „დიდი მხატვრები“, „ეს სამყაროა“, „ქართული პროზის საგანძური“ და „მსოფლიოს გამოჩენილი ადამიანების ბიოგრაფიები“.

რაც შეეხება „ჯადოსნურ ქისაში“ მონაწილე სხვა მაღაზიებს, სადაც ახლა საახალწლო ფასდაკლებებია, ამ ეტაპზე იქ „ლურჯი მონეტები“ არ მოქმედებს, მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ იქ ჩვენი პროექტის ფარგლებში, ფასდაკლების აქცია დასრულებულია.

ახალი წლის დღესასწაულების შემდეგ, „ლურჯი მონეტებით“ მომხმარებელი კვლავ შეძლებს მომგებიანი შენაძენი გააკეთოს ჩვენს პარტნიორ სავაჭრო ობიექტებში. ამიტომ ახლა სწორედ ის დროა, როცა უნდა დააგროვო მონეტები, რომ შემდეგ ახალ კოლექციებზე სასურველი პროდუქციის შესაძენად გამოიყენო.

საახალწლო შეთავაზება გვაქვს ფუტკრის სახლ „ტენტორიუმიდან“. მომხმარებელს, რომელიც წარადგენს „ტენტორიუმში“ სამ „ლურჯ მონეტას“, გადაეცემა მოსაწყევი საახალწლო ნაძვის ხეზე. ეს პროგრამა დაიწყება 26 დეკემბერს, გაიმართება 28, 29 დეკემბერს და 3, 5, 7, 9, 11 და 14 იანვარს. შესაბამისად, ჩვენს მკითხველებს დიდი დრო აქვთ იმისათვის, რომ დააგროვონ მონეტები და მიიღონ საახალწლო საჩუქარი.

**— ხშირად მეკითხებიან მკითხველები, რამდენ ხანს მოქმედებს №1 სერიის მონეტა — ერთი კვირის, ერთი თვის განმავლობაში?..**

— №1 სერიის მონეტები ძალაშია 1-ელ თებერვლამდე. პირველი სერიის მონეტები 11 ნოემბერს გამოვიდა და 1-ელ თებერვლამდე იქნება ძალაში. შესაბამისად, ამ ხნის განმავლობაში დაგროვილი ნებისმიერი მონეტით მომხმარებელს შეუძლია 1-ელ თებერვლამდე მიიღოს ფასდაკლება.

**— სად უფრო ხშირად ანაღდებს მომხმარებელი „ლურჯ მონეტებს“?**

— 11 ნოემბრიდან დღემდე განაღდებულია რამდენიმე ათასი მონეტა. ყველაზე ხშირად მონეტებს ანაღდებენ წიგნების მაღაზია „ბიბლუსში“. მომხმარებელი ფასდაკლების კუპონებით უფრო მეტად ყიდულობს წიგნებს სერიიდან — „დიდი მხატვრები“ და „ეს სამყაროა“, რომელთა საბაზრო ფასი 20 ლარია, ფასდაკლებით კი ბევრად ნაკლები ღირს. ამ სერიის წიგნები, ფაქტობრივად, პროექტის ლიდერები არიან, ყველაზე მეტი ეს წიგნები გაიყიდა.

წიგნების შემდეგ, კუპონების განაღდების რაოდენობის მიხედვით მოდის სამოსის მაღაზიები, შემდეგ აფთიაქი, სადაც საკმაოდ ბევრი ციფრული სასწორი გაიყიდა, რადგან იქაც 50%-იანი ფასდაკლებაა. „ლურჯი მონეტები“ გაანაღდეს მომხმარებლებმა სათვალისა და ავტონათურების შესაძენადაც.

*ემა ტუხაშვილი*




მომხმარებელი ფასდაკლების კუპონებით ყველაზე მეტად ყიდულობს წიგნებს სერიიდან – „დიდი მხატვრები“ და „ეს სამყაროა“, რომელთა საბაზრო ფასი 20 ლარია, ფასდაკლებით კი ბევრად ნაკლები ღირს

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ირაკლი ალასანიას პირადი ცხოვრება და პოლიტიკური გეგმები

## „ადამიანებს დიდი ტკივილი ამუნჯებს და ასე დაემართა ირაკლისაც“



**ის საოცრად დახვეწილი, თავაზიანი და უშუალო, მაგრამ საშინლად ჯიუტია — ამაში პირადად დავრწმუნდი, როდესაც ირაკლი ალასანიას ოფისში ვესტუმრე... „თავისუფალი დემოკრატების“ ლიდერი კარგად მოსაუბრე, საინტერესო რესპონდენტია, მაგრამ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ საკითხი მის პოლიტიკურ საქმიანობას ეხება; როგორც კი საუბრის თემა პოლიტიკას სცდება, მაშინვე შეუვალი ხდება. სხვა პოლიტიკოსებისგან განსხვავებით, გულახდილ საუბარში მისი „ჩათრევა“ — რთული, მაგრამ არც მთლად შეუძლებელი აღმოჩნდა...**

*ხათუნა ბახტურიძე*

**— ბატონო ირაკლი, ადამიანის ღირსეულ მოქალაქედ, პერსონად ჩამოყალიბებისთვის უმთავრესი ფაქტორი რა არის? როგორი იყო გარემო, რომელშიც თქვენ ჩამოყალიბდით?**

— ოჯახის შემდეგ, ადამიანის ჩამოყალიბებაში უმთავრესი როლი ბაღსა და სკოლას ეკისრება. ბავშვს ადრეულ ასაკშივე უნდა ჩამოუყალიბდეს საკუთარი ქვეყნისა და მშობლიური ენის სიყვარული. გამუდმებით ვსაყვედურობ მეგობრებს, რომლებმაც შვილებს პატარაობიდანვე დააწყებინეს უცხო ენის შესწავლა. ეროვნული იდენტურობის მთავარი განმსაზღვრელი სწორედ ენაა, ამიტომ ბავშვმა ჯერ საკუთარი ენა უნდა შეისწავლოს, კარგად გაითავისოს. ამ ყველაფრის გათვალისწინებით, დიდი ყურადღება უნდა მივაქციოთ განათლების სისტემას და სწორად განვსაზღვროთ პრიორიტეტები... მე და ჩემს თაობას ძალიან რთულ პერიოდში მოგვიხდა ცხოვრება. ჩემი მეგობრების ნაწილი აფხაზეთისა და თბილისის ომმა შეიწირა, ნაწილი — ნარკომანიამ. ყველაფერს გავაკეთებ იმისთვის, რომ ჩემი შვილების თაობა მსგავსი პრობლემების წინაშე არ აღმოჩნდეს.

**— თქვენს ცხოვრებაში თუ მოხდა რაიმე ისეთი, რამაც თქვენი დღევანდელი ყოფა განაპირობა?**

— დიახ, ეს აფხაზეთის ომი იყო. მამაჩემი სამხედრო გახლდათ და საკუთარი თავისთვის, ოჯახისთვის დრო არასდროს რჩებოდა. მისმა შემხედვარემ, გადავწყვიტე, მის გზას არ გავყოლოდი. სკოლის დამთავრების შემდეგ იურიდიულ ფაკულტეტზე ჩავაბარე და საერთაშორისო სამართლის შესწავლა დავიწყე, მაგრამ ომმა დაუგეგმავი ნაბიჯები გადამადგმევინა — აფხაზეთის დაცემის შემდეგ გადავწყვიტე, კარგი სამხედრო გავმხდარიყავი და საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის მებრძოლა. მოგვიანებით მივხვდი, რომ კონფლიქტების მოგვარების რეალური გასაღები სამხედრო ძლიერებასა და საომარ რიტორიკაში არ იყო და დიპლომატიაში გადავინაცვლე... დარწმუნებული ვარ, აფხაზებისა და ოსების ქართულ სახელმწიფოებრივ სივრცეში დასაბრუნებლად ურთიერთნდობის აღდგენა და ვაჭრობის ინფრასტრუქტურული პროექტების განხორცილება ერთადერთი გამოსავალია. ხელისუფლებაში მოსვლის შემთხვევაში, ჩემი ძირითადი ამოცანა ამ საკითხების მოგვარება იქნება.

**— როგორც ვიცი, ჯერ კიდევ 18 წლის იყავით, როდესაც აფხაზეთის ომში წახვედით. იქნებ გვიამბოთ, როგორ მიიღეთ ეს გადაწყვეტილება, ან სოხუმში ჩასვლისას რა სიტუაციაში აღმოჩნდით?**

— ვისაც იარაღის ხელში აღება შეეძლო, ომში მიდიოდა და ცხადია, მე და ჩემი მეგობრებიც ასე მოვიქეცით. სოხუმის დაცემის დღესაც იქ ვიყავი... შინ კოდორის გავლით დავბრუნდი. ომმა ღირებულებები ჩემთვის, თავდაყირა დააყენა. არაერთხელ გავხდი იმის შემსწრე, თუ როგორ დაამარცხეს ადამიანებმა სიკვდილი თავიანთი გმირობით, მაგრამ სულმოკლეობის, მაროდიორობისა და ძარცვის ფაქტებიც ვნახე. ომმა ადამიანის ყველაზე საუკეთესო და ყველაზე ცუდი თვისებები დამანახვა...

**— თუ ომში გმირობის არაერთი მაგალითი ნახეთ, მაშინ ბაღაფშმა რატომ თქვა, — ქართველებს ყველაფერი კარგად გამოსდით, ბრძოლის გარდაო? ან კოკოითიმ რატომ აღნიშნა, — აგვისტოს ომში ვნახეთ, ქართველებმა როგორი ომიც იციანო?**

— ეს განცხადებები რუსული პროპაგანდის შედეგია. ვინც ქართველების საბრძოლო შესაძლებლობებზე ასე ლაპარაკობს, შევახსენებ, რომ მეფის რუსეთისა და მეორე მსოფლიო ომის დროს, რუსულ არმიაში გამბედაობითა თუ სამხედრო სტრატეგიული ნიჭით ქართველები ყველასგან გამოირჩეოდნენ. ისტორიას თავი რომ დავანებოთ, ამ ადამიანებს ჟიული შარტავასა და მინისტრთა საბჭოს სხვა წევრების გმირობის ამბავი დაავიწყდათ? როდესაც უაიარაღო, დატყვევებულ ხალხს (მათ შორის, მამაჩემიც იყო) დახოქება უბრძანეს, სოხუმის მერმა — გურამ გაბისკირიამ მათ ასეთი პასუხი გასცა, — არასდროს, ცხოვრებაშიო! საინტერესოა, ჩვენსავით, წელიწადზე მეტხანს, აფხაზები ან ოსები რუსებისა და ჩრდილოკავკასიელი ხალხების ერთობლივ შემოტევას თუ გაუძლებდნენ? ქართველებს ბრძოლაც შეგვიძლია და გმირობაც გვჩვევია, უბრალოდ, ხანდახან მხედართმთავრები არ გვივარგა.

**— აფხაზეთის ომის დროს უკვე დაოჯახებული იყავით?**

— დიახ! აღარ მინდა, ქართველებს ის გადახდეთ, რაც აფხაზეთსა და ცხინვალში გამოვიარეთ. უკან ნუღარ მივიხედავთ; წარსული მხოლოდ იმიტომ დავიმახსოვროთ, რომ შეცდომები აღარ დავუშვათ. ჩვენ ჯერ კიდევ 1992 წელს დავუშვით შეცდომა, როდესაც აფხაზეთში სამხედრო შენაერთები



მამის არ ეშინიათ, უბრალოდ, ძალიან უყვართ, პატივს სცემენ და ცდილობენ, ისეთი არაფერი გააკეთონ, რაც მას გულს ატკენს

შევიყვანეთ — მაშინ მოლაპარაკების დიდი შანსი გავუშვით ხელიდან. ახლაც გვაქვს ყველაფრის თავიდან დაწყების შესაძლებლობა. უბრალოდ, ძალიან უნდა მოვინდომოთ, მიზანმიმართული სტრატეგია შევიმუშაოთ.

— **რას გულისხმობთ?**

— აფხაზ და ოს ხალხთან ღია, უპირობო მოლაპარაკებები უნდა დავიწყოთ, სავაჭრო თუ კულტურული ურთიერთობები აღვადგინოთ.

— **ასეთი მოლაპარაკებების დასაწყებად სეპარატისტული რეჟიმი დამოუკიდებლობის აღიარებას ითხოვს...**

— ეს ყველაფერი სააკაშვილის მოგ-

## ომის შემდეგ ის პირველი ოფიციალური პირი იყო, ვინც იქ ჩასვლა გაბედა

ონილია. მოლაპარაკებებში პირადად ვმონაწილეობდი და ზუსტად ვიცი, რომ სავაჭრო, ეკონომიკური და კულტურული პროექტების განსახორციელებლად დამოუკიდებლობის აღიარებას არავინ ითხოვს. გასათვალისწინებელია ისიც, რომ აფხაზებსა და ოსებს ილუზიები გაუქრათ. რუსეთმა აგვისტოს ომით ვერაფერი მოიგო. მოსკოვმა რაც უნდა ინვალოს, მსოფლიო აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონს არასდროს აღიარებს და კრემლს აუცილებლად მოუწევს ევროკავშირის შუამავლობით დადებული ხელშეკრულების შესრულება, ოკუპირებული ტერიტორიებიდან ჯარის გაყვანა. ახლა ჩვენი უმთავრესი ამოცანა ეკონომიკისა და დემოკრატიული ინსტიტუტების გაძლიერებაა; თუ ამას შევძლებთ, აფხაზებისა და ოსებისთვის უფრო მიმზიდველი გავხდებით და რუსეთზე ზეწოლისთვის ევროპასაც მეტ ბერკეტს მივცემთ.

— **ოპოზიციაში თქვენი გადასვლის მთავარი მიზეზი რა იყო?**

— ფუნდამენტური შეუთანხმებლობა აფხაზეთის კონფლიქტის მოგვარებასთან დაკავშირებით. მე და სააკაშვილი ერთმანეთს პირველად 2005 წლის დეკემბერში დავუპირისპირდით. მიზეზი ის იყო, რომ მან აფხაზებთან ურთიერთობების აღდგენის შესაძლებლობები არ გამოიყენა. „იმედში" სამხედრო ოპერაციის ჩატარება კი ბოლო წვეთი აღმოჩნდა. ჩემი გადაწყვეტილების შესახებ სააკაშვილს წინასწარ ვაცნობე. მთხოვა, გადაწყვეტილება შემეცვალა და სანაცვლოდ, საგარეო ან თავდაცვის მინისტრის პოსტი შემომთავაზა, მაგრამ უარი ვუთხარი, მასთან თანამშრომლობას ვეღარ შევძლებდი.

— **პრინციპული და რისკიანი იყავით, როდესაც უშიშროების მინისტრის მოადგილისა და შემდეგ, აფხაზეთის მთავრობის თავმჯდომარის პოსტი გეკავათ. შემტევი და კატეგორიული იყავით გაეროში ელჩად ყოფნის დროსაც. ძალიან შთამბეჭდავი იყო გაეროს უშიშროების საბჭოში თქვენი გამოსვლა, როდესაც კრემლი ქართველი ხალხის მოსპობის მცდელობაში დაადანაშაულეთ. ახლა რატომ ხართ ასეთი ლმობიერი და ლიბერალური ოპოზიციონერი?**

— შემტევი მტრის მიმართ ვიყავი, ქართულ პოლიტიკაში კი მტრებს ვერ ვხედავ. ვფიქრობ, ხელისუფლებაში გზააბნეული ადამიანები არიან. ძალიან მწარედ მახსოვს სამოქალაქო ომი და მინდა, ქვეყანაში ახალი პოლიტიკური კულტურის დამკვიდრებას შევუწყო ხელი. მიხარია, რომ ბოლო წლის განმავლობაში საზოგადოებამ ტრანსფორმაცია განიცადა და ქუჩის დაპირისპირებიდან არჩევნების რეჟიმში გადავედით. იმედი გამიჩნდა, რომ ბოლოს და ბოლოს, ქართველები ხელისუფლებას არჩევნების გზით შევცვლით, მით უფრო, რომ ჩემი პოლიტიკური პარტნიორი ახლა ბიძინა ივანიშვილია.

— **რა არგუმენტები შეგიძლიათ დაუპირისპიროთ ხელისუფლებას, რომელიც ივანიშვილს „რუსულ პროექტად" მიიჩნევს?**

— ხალხი საკმაოდ ბრძენია და სიმართლეს ტყუილისგან არჩევს. ხელისუფლებისა და მისი ტელევიზიების აღარავის სჯერა. ჩემთვის და ჩემი პარტნიორებისთვის საგარეო პოლიტიკური პრიორიტეტებიდან ყველაზე მნიშვნელოვანი ევროატლანტიკურ სივრცეში მოხვედრაა, თუმცა რუსეთთანაც ვაპირებთ პრაგმატული ურთიერთობის ჩამოყალიბებას. ქართველმა ბიზნესმენმა რატომ ვერ უნდა ისარგებლოს რუსეთში ისეთივე უფლებით, როგორითაც რუსი სარგებლობს ჩემს ქვეყანაში? შეგახსენებთ, საქართველოს ოქროს საბადო, თბილისის წყლის მომარაგება, ენგურჰესი და ელექტროკორპორაციები მთლიანად, რუსი ბიზნესმენების ხელშია, ქართველებისთვის კი რუსეთის ბაზარი ჩაკეტილია, რაც უსამართლობაა.



**— ვიდრე ივანიშვილთან თანამშრომლობას გადაწყვეტდით, მისი ბიზნესით თუ დაინტერესდით?**

— ამ კითხვაზე ორი პასუხი მაქვს: პირველი — ივანიშვილმა ქონების ნახევარზე მეტი ქართველ ხალხს და ჩვენს ქვეყანაში განხორციელებულ



მეგონა, ძალიან დიდები ვიყავით, არადა, ის 17 წლის იყო, მე – 19-ის

რეფორმებს მოახმარა, „რუსეთის პროექტი“ რომ ყოფილიყო, პუტინი ამის უფლებას არ მისცემდა; მეორე — ამ კაცმა, როგორც კი ქართულ პოლიტიკაში მოსვლა გადაწყვიტა, მინისტრ ვაშაძისგან განსხვავებით, რუსეთის მოქალაქეობაზე მაშინვე უარი თქვა. დარწმუნებული ვარ, ივანიშვილი პატრიოტია და ქვეყნის გადარჩენა შეუძლია. თუმცა მან ამაში მხოლოდ მე კი არა, დანარჩენი საზოგადოებაც უნდა დაარწმუნოს. ის ძალიან ნიჭიერი, პროგრესული ადამიანია და ალბათ, თქვენც ხედავთ, რომ როგორც პოლიტიკოსი, დღითი დღე იზრდება...

*რადგან ბატონმა ირაკლიმ ოჯახსა და მისთვის მნიშვნელოვან სხვა საკითხებზე ლაპარაკს თავი აარიდა, მის მეუღლეს დავუკავშირდი. ნათია ფანჯიკიძემ საოცრად უშუალო, თავაზიანი და გულღია ადამიანის შთაბეჭდილება დატოვა ჩემზე.*

**— ნათია, მეუღლეს როგორ დაახასიათებთ?**

— საოცრად მშვიდი, წყნარია და სწორედ მისმა ამ თვისებებმა მომხიბლა.

**— ცოლობა როგორ გთხოვათ?**

— შინ მესტუმრა და მამას უთხრა, — ოჯახი უნდა შევქმნათო. მაშინ მეგონა, ძალიან დიდები ვიყავით, არადა, ის 17 წლის იყო, მე — 19-ის. ახლა რომ მახსენდება, ირაკლი მაშინ რა ბავშვურად გამოიყურებოდა, მეცინება და ვფიქრობ, — ნეტავ, მამას როგორ არ გაეცინა, როდესაც პატარა, ძალიან საყვარელი ბიჭი მასთან მივიდა და ქალიშვილის ხელი სთხოვა-მეთქი?!

**— ქორწილი გქონდათ?**

— არა, რადგან სწორედ იმ დროს დაიწყო თბილისის ომი. მამამ და მამამთილმა გადაწყვიტეს, რომ ასეთ სიტუაციაში ქორწილის გადახდა სირცხვილი იქნებოდა. ვიფიქრეთ, ერთი წლის შემდეგ გადავიხდიდით, მაგრამ აფხაზეთის ომი დაიწყო და ირაკლიც იქ წავიდა; მერე მამამთილი გარდაიცვალა, 4 წლის შემდეგ მამაჩემიც მიჰყვა... 15 წლისთავის აღნიშვნა გვინდოდა, მაგრამ ესეც ვერ მოვახერხეთ და ამასობაში დავბერდით კიდეც. ახლა გვინდა, მეგობრების ვიწრო წრეში 20 წლისთავი მაინც აღვნიშნოთ. ისე, ძალიან მინდოდა ქორწილი, თეთრი კაბის ჩაცმა, მაგრამ... ჩაფიქრებული მაქვს, რომ 50 წლის შემდეგ, როდესაც მე და ირაკლი ძალიან მოხუცები ვიქნებით, თეთრი კაბა ჩავიცვა და ქორწილი გადავიხადო.

**— ირაკლი როგორი მეუღლეა?**

— ძალიან რომანტიკულია, ჩემზე მეტადაც კი...

**ვფიქრობ, – ნეტავ, მამას როგორ არ გაეცინა, როდესაც პატარა, ძალიან საყვარელი ბიჭი მასთან მივიდა და ქალიშვილის ხელი სთხოვა-მეთქი?!**

**— ომმა არ შეცვალა?**

— ჩემი მამამთილის სიკვდილი ოჯახისთვის დიდი ტრაგედია იყო. ირაკლიმ მამა უხმოდ იგლოვა, მერე კი მისი სახელის ხსენებაც შეწყვიტა. ეს ჩუმი გლოვა, რომელიც 4 წელიწადს გაგრძელდა, ძნელი საყურებელი იყო. ადამიანებს დიდი ტკივილი ამუნჯებს და ასე დაემართა ირაკლისაც... აფხაზეთში მამასთან ერთად იყო. როდესაც გაირკვა, რომ ომის ბედი გადაწყვეტილი გახლდათ და სოხუმს ყველა ტოვებდა, მამამ უთხრა, — შენ წადი, მე აქ ვრჩებიო; ეს მათი ბოლო შეხვედრა იყო. ჟიულისთან ერთად, მაშინ აფხაზეთში 47 საუკეთესო ქართველი ვაჟკაცი დარჩა და ისინი ერთ დღეს დახვრიტეს, საერთო საფლავში ჩაყარეს; მხოლოდ ჟიული შარტავას გვამი გამოუგზავნეს ოჯახს. ირაკლი თავად წავიდა აფხაზეთში, მამის გვამის ჩამოსატანად. ოთხი წელი აწვალეს ანუ რამდენჯერაც ჩავიდა, იმდენჯერ სხვისი გვამი გამოატანეს. ის ჩამოდიოდა და სხვის ოჯახებს ახარებდა... დიახ, ამ ამბის მთელი ტრაგედია ის იყო, რომ ადამიანებს ოჯახის წევრის გვამის ნახვა უხაროდათ. ხომ წარმოგიდგენიათ, ირაკლის რა აქვს გადატანილი? მიუხედავად ამისა, ერთხელაც არ უთქვამს, რომ ცუდად იყო, თანაგრძნობა არ უთხოვია. იმდენად თავშეკავებულია, იმდენად არ ამჟღავნებს ემოციებს, რომ გამიკვირდა, როდესაც პოლიტიკაში წასვლა გადაწყვიტა. ვფიქრობდი, — ნეტავ, ირაკლი თავისი სიტყვაძუნწობით ფონს როგორ უნდა გავიდეს იმ ქვეყანაში, სადაც პოლიტიკოსისთვის მოსახლეობასთან ურთიერთობის ძირითადი საშუალება ემოციების ფრქვევაა-მეთქი?!

**— ე.ი. ირაკლი თქვენთან ურთიერთობაშიც ჯიუტია?**

— კი, მისი ხასიათის ეს შტრიხი სწორად დაგიჭერიათ. იმდენად მშვიდია და არასდროს გეწინააღმდეგება, სიტყვიერად არაფერს გიმტკიცებს, რომ თუ კარგად არ იცნობ, გგონია, გავლენის ქვეშ ადვილად მოაქცევ. მაგრამ მერწმუნეთ, ეს შეუძლებელია!

ყოველდღე, 2 საათის განმავლობაში ვარჯიშობს



ეროვნული ბიბლიოთეკა



საჯაროდ პირველად ვამბობ: ირაკლის კატისებრთა ცხოველის თვისებები აქვს. სახლში ძაღლი თუ გყავთ, გეცოდინებათ, რომ ის შენამდე სიყვარულის დასამტკიცებლადაც ქშენით მოდის, კატა კი ისე დადის, ჩამიჩუმსაც ვერ იგებ, თანაც — ძალიან დაუმორჩილებელია. ჰოდა, ირაკლიც ასეა. მისთვის ბევრჯერ მითქვამს, — შენი სიჩუმე და სიწყნარე ნერვებს მიშლის-მეთქი. ხანდახან ძალიან მინდა, შემედაოს, შემეკამათოს, მაგრამ...

**— შვილებთან დამოკიდებულებაში როგორია?**

— მათთანაც ძალიან მშვიდი და კონკრეტულია. ჩვენი ვაჟი 19 წლისაა, გოგონა — 15-ის. მამის არ ეშინიათ, უბრალოდ, ძალიან უყვართ, პატივს სცემენ და ცდილობენ, ისეთი არაფერი გააკეთონ, რაც მას გულს ატკენს. ირაკლი არ ჰგავს იმ მშობლებს, რომლებიც შვილებს ჯერ ეჩხუბებიან და მერე ამას ნანობენ. მათთან ურთიერთობას ზედმეტი ენერგიის ხარჯვისა და ნერვების მოშლის გარეშე აგვარებს.

**— წონასწორობას არასდროს კარგავს?**

— მიუხედავად იმისა, რომ ძალიან რთული ცხოვრება გამოიარა, წონასწორობიდან გამოსული მხოლოდ ერთხელ, აგვისტოს ომის შემდეგ ვნახე. სხვათა შორის, არ გამკვირვებია და იცით, რატომ? — აფხაზეთის პრობლემა მისი ცხოვრების თემა იყო და არის. ომის შემდეგ ირაკლი სამხედრო საქმის შესასწავლად ამერიკაში წავიდა. მაშინ დარწმუნებული იყო, რომ აფხაზეთის დასაბრუნებლად ბრძოლა დასჭირდებოდა. ის მართლა კარგი მებრძოლია. ალბათ თქვენც გახსოვთ მის მიერ პანკისში ჩატარებული სპეცოპერაცია, მაგრამ დროთა განამავლობაში მიხვდა, რომ აფხაზეთს ომით ვერ დაიბრუნებდა და ბრძოლის სხვა მეთოდი აირჩია. გურამ ოდიშარიამ „ქართული ოცნების“ პრეზენტაციაზე ლინკონის სიტყვები გაიხსენა „მე მტერს ვანადგურებ, მათ მეგობრებად ვაქცევ“. მართლაც მტრობის დამარცხება მხოლოდ მტრობის გაქრობითაა შესაძლებელი. ეს სულაც არ არის უტოპია. სიყვარული მტრობაზე ბევრად ძლიერი ფრაზაა. როდესაც ირაკლი აფხაზეთის მთავრობის თავმჯდომარედ დანიშნეს, ადგა და პირდაპირ სოხუმში ჩავიდა. ომის შემდეგ ის პირველი ოფიციალური პირი იყო, ვინც იქ ჩასვლა გაბედა. ამას მოჰყვა აფხაზებსა და ქართველებს შორის ურთიერთობის გამოსწორება, შამბას თბილისში ჩამოსვლა და შარდენზე სეირნობა. მოკლედ, ირაკლის კონფლიქტების მშვიდობიანად მოგვარების იმედი გაუჩნდა, მაგრამ აგვისტოს ომმა ყველაფერი თავდაყირა დააყენა. ის მთელი 17 წლის განმავლობაში ხან ომის მოლოდინით, ხან მშვიდობიანი მოლაპარაკებით ცდილობდა ქვეყნის ტერიტორიული ერთიანობის აღდგენას, 2008 წლის აგვისტოში კი მიხვდა, რომ ყველაფერი წყალში ჩაეყარა და ამ რეალობამ გაამწარა. გაეროში სიტყვით გამოსვლისას რუსეთს ამიტომაც „დაესხა თავს“.

**— პოლიტიკურ საკითხებს თქვენთან განიხილავს ხოლმე?**

— არა. ისედაც სულ პოლიტიკაზე უწევს ლაპარაკი და ვცდილობ, ამ ყველაფერზე სახლში მაინც არ იფიქროს.

**— განტვირთვის რა საშუალებებს მიმართავს?**

— ყოველდღე, 2 საათის განმავლობაში ვარჯიშობს და თუ დრო აქვს, სამხედრო ლიტერატურას კითხულობს. ეს სფერო დღემდე აინტერესებს.

**— პროფესიით ფსიქოლოგი ხართ. როგორ გგონიათ, ირაკლის ლიდერის თვისებები აქვს?**

— ამის თქმა მიჭირს, რადგან ჩემი ქმარია. ისე კი, გარწმუნებთ, ლიდერისთვის სულაც არ არის აუცილებელი, საქმის გაკეთებას მბრძანებლური ტონით ითხოვდეს. მე თუ მკითხავთ, ეს მიუღებელიც კია, რადგან ასეთი დამოკიდებულების გამო ზოგიერთი ხელქვეითი ითრგუნება. არიან ლიდერები, რომლებიც საქმეს ყვირილისა და პიარის გარეშე აკეთებენ.

**— თქვენი მეუღლე წარმატებული და სიმპათიური მამაკაცია. არ ეჭვიანობთ?**

— არა. სულ შიშით ხომ ვერ ვიცხოვრებ? უკვე 20 წელია, ერთად ვართ, ძალიან ბევრი რამ გადავიტანეთ და თუ ეს ყველაფერი მყიფე, დასანგრევია, მე მაინც ვერაფერს შევცვლი. ვერ გეტყვით, რომ არასდროს მიეჭვიანია; გავბრაზებულვარ და მიჩხუბია კიდეც, მაგრამ სერიოზული არაფერი ყოფილა. მჯერა, ირაკლი ისეთს არაფერს გააკეთებს, რომ მე და შვილებს ცხოვრება დაგვინგრიოს. ეს ის ადამიანია, რომელიც სხვების კეთილდღეობისთვის ცხოვრობს. ■


გავბრაზებულვარ და მიჩხუბია კიდეც, მაგრამ სერიოზული არაფერი ყოფილა




ეროვნული ბიბლიოთეკა

# ავტოსაგზაო შემთხვევა 5 ადამიანის მსხვერპლით დასრულდა

## „ბავშვი გულში ძლიერ ჩავიკარი, რომ დამეცვა“

**18 დეკემბერს, საღამოს 9 საათზე, რუსთავი-მარნეულის გზის გასაყარზე მომხდარი ავტოსაგზაო შემთხვევა მსხვერპლით დასრულდა. „ფორდის“ მარკის სამგზავრო მიკროავტობუსს შეშით დატვირთული სატვირთო მანქანა შეეჯახა. მიკროავტობუსის 2 მგზავრი — 13 წლის ბიჭი და 65 წლის ქალბატონი — ადგილზე დაიღუპნენ, სამი დაშავებული კი, სამწუხაროდ, საავადმყოფოში მიყვანამდე გარდაიცვალა.**

**შემთხვევის ადგილზე ოპერატიულად მივიდნენ სასწრაფო და სამაშველო სამსახურები. მიკროავტობუსი იმდენად დაზიანებული იყო, რომ იქ ჩარჩენილი რამდენიმე ადამიანი მაშველებმა სპეციალური ხელსაწყოების გამოყენებით გამოიყვანეს. „სასწრაფოს“ ექიმებმა დაზარალებულები სხვადასხვა სახის დაზიანებით, თბილისის საავადმყოფოებში გადაანაწილეს.**

თეა ხურცილავა

*როგორც ამბობენ, მძღოლებს სერიოზული დაზიანებები არ მიუღიათ. ისინი ძალოვნებმა პოლიციის განყოფილებაში გადაიყვანეს. მომხდარზე სისხლის სამართლის საქმე აღიძრა, მაგრამ ჯერჯერობით უცნობია ავტოსაგზაო შემთხვევის მიზეზი.*

*სამარშრუტო მიკროავტობუსის მეპატრონე, ნიკო, რომელიც მძღოლის გვერდზე იჯდა, უმძიმესი დაზიანებებით „სასწრაფოს“ მანქანაში მოათავსეს, მაგრამ გავრცელებული ინფორმაციით, იგი მალევე გარდაიცვალა. ბატონი ნიკო ცხინვალიდან დევნილი გახლდათ, სოფელ ზნაურის მკვიდრი იყო. 2008 წლის ომის დროს იძულებული გახდა, სახლ-კარი დაეტოვებინა და ოჯახთან ერთად, რუსთავში ცხოვრობდა.*

*მგზავრებით დატვირთული მიკროავტობუსი ქარელის რაიონის სოფელ ატოციდან რუსთავში მიდიოდა. მგზავრების უმრავლესობა თანასოფლელები იყვნენ და ერთმანეთს იცნობდნენ. უფრო მეტიც, მანქანაში მყოფი 12 მგზავრი ერთმანეთის ნათესავია. 60 წლის მამის დაკრძალვიდან რუსთავში ბრუნდებოდნენ გარდაცვლილის ქალიშვილები, სიძეები, მათი მცირეწლოვანი შვილიშვილები და ნათესავები. სამწუხაროდ, ამ ოჯახის ერთი წევრი, 13 წლის ბიჭი დაიღუპა.*

*გივი ჟვანიას სახელობის პედიატრიის აკადემიურ კლინიკაში 4 არასრულწლოვანი მოათავსეს. კლინიკის დირექტორის, ქალბატონ ლია ძიძიგურის თქმით, საბედნიეროდ, მათ სიცოცხლეს საფრთხე აღარ ემუქრება.*

**ლია ძიძიგური:**

— 22 საათი სრულდებოდა, როცა ოთხი პაციენტი ავტოავარიის შედეგად შემოიყვანეს. 11 წლის ნანა გოგავა კრიტიკული მედიცინის სამსახურის პალატაში მოთავსდა, რადგან ყველაზე მძიმედ იყო. გოგონა ტრავმული შოკით შემოვიდა. ქალატვინის ტრავმა აღენიშნებოდა, თავზე სკალპირებული, საკმაოდ ღრმა ჭრილობა ჰქონდა და სახეზეც — მრავალი ღრმა ჭრილობა. რადგან ტრავმული შოკი იყო და მისი წინასაოპერაციოდ მომზადება გადაწყდა, აღნიშნული ჭრილობების დამუშავება და გაკერვა ზოგადი ანესთეზიით უნდა მომხდარიყო. გოგონას საკმაოდ რთული ჭრილობები აქვს, მაგრამ იმ ღამით ჭრილობების გაკერვა ვერ მოხერხდა. პარაკლინიკური გამოკვლევები ჩატარდა, რადგან ქალატვინის ტრავმა იყო. ასევე ჰქონდა ჰემატომები მარჯვენა ქუთუთოს მიდამოში, ცხვირი და ზედა ტუჩი — შეშუპებული და ქვედა ყბის მოტეხილობასაც ვვარაუდობდით. კომპიუტერული ტომოგრაფია და ექოსკოპია ჩაუტარდა. დიდი შანსი იყო მუცლის ღრუს ორგანოებიც დაზიანებული ყოფილიყო. ამ ეჭვს შარდში სისხლის არსებობა იწვევდა; ეჭვი გვქონდა, რომ თირკმლის დაზიანება ჰქონდა. მარჯვენა თირკმლის პარენქიმაში სისხლჩაქცევა მართლაც აღმოჩნდა, მაგრამ არცთუ ისე დიდი ზომის. ბევრი სისხლის დაკარგვის გამო მერე ანემია განვითარდა და ამიტომ ღამით ოპერაციისგან თავი შევიკავეთ; ბავშვს სისხლის გადასხმაც დასჭირდა. სიტუაცია დასტაბილურდა. ნეიროქირურგმა გადაჭრით თქვა, რომ ბავშვი ქირურგიულ ჩარევას არ საჭიროებს, მიუხედავად იმისა, რომ 8 მმ-ის ზომის სისხლჩაქცევა თავში აღენიშნება. იგი კონსერვატორული მკურნალობით გაიწოვება. გოგონა თავიდანვე კონტაქტური იყო, ცნობიერება შენარჩუნებული ჰქონდა. თირკმელზე არსებული ჰემატომაც გაიწოვება და საბედნიეროდ, მის სიცოცხლეს საფრთხე აღარ ემუქრება.

**— სხვა ბავშვების მდგომარეობა როგორია?**

— დანარჩენების დაზიანებები შედარებით მსუბუქი იყო. ერთ გოგონას მსუბუქი დაზიანება თავის არეში ჰქონდა, უბნები დაუმუშავდა, მდგომარეობა დასტაბილურდა და სახლში თავისი ფეხით წაიყვანეს. 2 წლის პატარა ბიჭუნა ისევ რჩება საავადმყოფოში, მასაც თავზე ჰქონდა ჭრილობა, დაუმუშავდა, მაგრამ რადგან პატარა იყო, ნევროპათოლოგის კონსულტაცია და დაკვირვება სჭირდებოდა, ამიტომ დარჩა საავადმყოფოში. რაც შეეხება 15 წლის ვალინა იანტბელიძეს, მას ფსიქოლოგიური შოკი უფრო ჰქონდა, ვიდრე ორგანული დაზიანება. ეს გოგონაც ჩვენთან დაკვირვების მიზნით რჩება და მალე გავწერთ.

*კლინიკის დირექტორთან გასაუბრების შემდეგ პაციენტების მოსანახულებლად პალატებისკენ წავედი. 413-ე პალატაში 15 წლის ვალინა იანტბელიძე დამხვდა. გოგონა წელის არეს იტკივებს. მას თავზე ადგას დეიდა, ნანული ბირთველიშვილი. ისიც ავარიის დროს მიკროავტობუსში ოჯახის წევრებთან ერთად იმყოფებოდა. ქალბატონი ნანული წელში ძლივს იმართება და ტკივილე-*



„ფორდის“ მარკის სამგზავრო მიკროავტობუსს შეშით დატვირთული სატვირთო მანქანა შეეჯახა

ეროვნული ბიბლიოთეკა



მიკროავტობუსი სავსე იყო მგზავრებით. მათ შორის 12 ადამიანი, ჩემი სახლიდან მოვდიოდით. 60 წლის მამა დავკრძალეთ

*ბი ძალიან აწუხებს, მაგრამ მითხრა, — საავადმყოფოში რა გამაჩერებდა, ხელწერილი დამაწერინეს და ბავშვებთან წამოვედით. მძიმე პაციენტი — ნანა გოგავა, მისი ქალიშვილია; ჩვენი იქ ყოფნის პერიოდში ნანა საოპერაციოდან გამოიყვანეს.*

**ნანული ბირთველიშვილი** *მძღოლის უკან იჯდა და იგი შეჯახების თვითმხილველია.*

**დაზარალებულის** *მონათხრობი:*

— მძღოლის უკან, პირველ რიგში ვიჯექი და დავინახე, გზის გასაყარზე ზევიდან მომავალი „კამაზი“ სამარშრუტო მანქანას როგორ ეჯახებოდა. ყველაფერი წამებში მოხდა; ერთადერთი, რაც მოვახერხე, — ჩემი 6 წლის გოგონა, ანა გოგავა, რომელიც კალთაში მეჯდა, გულში ძლიერ ჩავიკარი, რომ დამეცვა და დაზიანება არ მიეღო. მართლაც უვნებელი გადარჩა. ძლიერი შეჯახების შემდეგ რომ გავიხედე, მძღოლი უკვე აღარ იჯდა სკამზე. მანქანის მეპატრონე, მძღოლის გვერდზე იჯდა, ის დავინახე, როგორ მძიმედ იყო დაშავებული. უკანა სკამიდან წინაზე გადავვარდი... მერე ჩემი პატარა გოგონა გარეთ ძლივს გამოვიყვანე. ამის შემდეგ მე და ჩემი ქმარი უფროს შვილს, ნანას ვეძებდით, მაგრამ ვერ ვიპოვეთ. არადა, ბავშვი შეჯახების დროს ჩემს მეუღლეს გვერდით ეჯდა. სამადგილიან რიგში ვისხედით. ნანა ჩვენ შორის იჯდა, მაგრამ გზაზე ცუდად გახდა, ამიტომ მეუღლემ კუთხეში, ფანჯარასთან გადასვა. სასოწარკვეთილი ვეძებდით, ბოლოს დასახიჩრებული ვიპოვეთ. სახიდან სისხლი სდიოდა, ხელში აყვანილი მყავდა, სანამ „სასწრაფო“ მოვიდა. ბავშვმა წამიერად გონება დაკარგა, მაგრამ მალე მოვასულიერეთ და საავადმყოფომდე მეც გამოვყევი. ამის შემდეგ მეც გადამიყვანეს საავადმყოფოში. მუცლის ღრუს ექოსკოპია გამიკეთეს, თავის გამოკვლევა არ ჩამტარებია, რადგან არ გავჩერდი, ასეთ დღეში ბავშვებს ვერ მივატოვებდი; ხელწერილით გამომიშვეს. საავადმყოფოში ჩემი მეორე გოგონაც მოვიყვანეთ, მაგრამ სერიოზული დაზიანება არ ჰქონდა და იმავე ღამით ნათესავებმა სახლში წაიყვანეს.

— **ქალბატონო ნანული, ტრანსპორტში რამდენი ადამიანი იყავით?**

— მიკროავტობუსი სავსე იყო მგზავრებით. მათ შორის 12 ადამიანი, ჩემი სახლიდან მოვდიოდით. 60 წლის მამა დავკრძალეთ. მთელი კვირა პირველ კლინიკურ საავადმყოფოში გვეწვინა, მაგრამ ვერ გადაარჩინეს. სოფელში დავკრძალეთ. მე და ჩემი და, მეუღლეებთან და შვილებთან ერთად ვიყავით, სულ 8-ნი; ჩვენთან ერთად იყო ჩვენი ბიძაშვილი, 33 წლის კახა ბირთველიშვილი და ნათესავი ქალი, თავის ორ მცირეწლოვან შვილთან ერთად. ყველანი რუსთავში მივდიოდით. ჩვენს „მარშრუტკაში“ იყო ასევე მეზობელი სოფლიდან ქალბატონი, გულნარა მეყანწიშვილი; ისიც რუსთავში, შვილთან მოდიოდა; კიდევ — ცოლ-ქმარი სოფელ საღოლაშენში ამოვიდა... ვალინას გონება არ დაუკარგავს, მაგრამ ბავშვი იმდენად ძლიერ შოკში იყო, რომ დარბოდა და ისტერიკულად კიოდა. მანქანა საშინლად დაზიანებული იყო. ჩემი და, შორენა და დისშვილი, ალიკა იანტბელიძე, „არამიანცის“ საავადმყოფოში წვანან. ამბობენ, რომ ალიკა ძალზე მძიმედაა.

*როგორც საავადმყოფოში მითხრეს, სამწუხაროდ, 13 წლის ალიკა ადგილზევე გარდაიცვალა, მაგრამ ამ ტრაგედიის შესახებ იმ დროს დეიდამ და გარდაცვლილის დამ, ვალინამ არაფერი იცოდნენ.*

**ვალინა იანტბელიძე:**

— მთელი სხეული საშინლად მტკივა. ვერ ვმოძრაობ. რა მოხდა, არ ვიცი, — ყველაფერი უცებ დატრიალდა და არაფერი მახსოვს...

*გოგონას სანახავად თვალცრემლიანი მამიდა და ნათესავები მოვიდნენ. მათ საავადმყოფო მალე დატოვეს.*

*ალიკას მშობლები — გურამ იანტბელიძე და შორენა ბირთველიშვილი პირველ კლინიკურ საავადმყოფოში მოათავსეს. გურამს გულმკერდის დახურული ტრავმა და ნეკნების მრავალი მოტეხილობა აღენიშნება. ასევე პირველი კლინიკური საავადმყოფოს ნეიროქირურგიულ განყოფილებაში წევს ნანულის მეუღლე, ზურაბ გოგავა. იანტბელიძეები სოფელ ზნაურიდან არიან. ეს ოჯახი ორჯერ გახდა დევნილი: პირველად სახლ-კარი 1991 წელს, ცხინვალის ომის დროს დატოვეს; სამწუხაროდ, 2008 წელს ისევ დევნილები გახდნენ. საკუთარი ჭერიც არა აქვთ და ისინი რუსთავში ნაქირავებ ბინაში ცხოვრობდნენ. ახალგაზრდა ცოლ-ქმარი ორ შვილს ზრდის და ოჯახის შემოსავალი გურამ იანტბელიძის 300-ლარიანი ხელფასია. როგორც გვითხრეს, მატერიალურად ძალიან უჭირთ. იმედია, მათ სამკურნალოდ საჭირო თანხებს ჯანდაცვის სამინისტრო გაიღებს.*

*რაც შეეხება 2 წლის საბა იანტბელიძეს, მისი მშობლებიც სოფელ ზნაურიდან დევნილები არიან. უმუშევრად დარჩენილი ეს ოჯახიც ამჟამად რუსთავში დაქირავებულ ბინაში ცხოვრობს. საბა იანვარში ორი წლის გახდება. დედამისი, 28 წლის ცირა ბოლოთაშვილი მოსკოვის პროსპექტზე, მეხუთე საავადმყოფოში მკურნალობს, ამიტომ პატარა ბიჭუნა დეიდას ჰყავდა ხელში აყვანილი და ის უვლიდა. ქალბატონი ცირაც შვილებთან ერთად, ბირთველიშვილების ოჯახში დაკრძალვაზე იყო ჩასული.*



დედამისი, 28 წლის ცირა ბოლოთაშვილი მოსკოვის პროსპექტზე, მეხუთე საავადმყოფოში მკურნალობს, ამიტომ პატარა ბიჭუნა დეიდას ჰყავდა ხელში აყვანილი

„ჩემი და, ორი შვილით იყო წასული ჩემი სიძის ბიძაშვილის ოჯახში. 5 წლის თამუნა იანტბელიძე გვერდით ეჯდა და ბავშვი უვნებელი გადარჩა. საბას ტვინის შერყევა და თავზე დაზიანება აქვს. ჩემს დას სხეული დაბეჟილი აქვს, სახე — დასივებული, მხარი საშინლად სტკივა და სილურჯეებიც აღენიშნება; ჯერჯერობით ისევ საავადმყოფოში წევს“, — მითხრა საბას დეიდამ.

შედარებით მსუბუქად დაშავდა კახა ბირთველიშვილი და კიდევ რამდენიმე მგზავრი, რომლებიც საავადმყოფოებიდან უკვე გაწერეს. ■

# მსოფლიო ურთიერთსაწინააღმდეგო „პოლუსების“ ლიდერებს ემშვიდობება

**ჩეხი და კორეელი ხალხები თავიანთ ლიდერებს ემშვიდობებიან. ერთ დღეს ორი, ერთმანეთისგან აბსოლუტურად განსხვავებული სახელმწიფო მოღვაწე წავიდა იმ ქვეყნად: ჩეხოსლოვაკიის უკანასკნელი და ჩეხეთის პირველი პრეზიდენტი ვაცლავ ჰაველი და კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის კომუნისტი ლიდერი.**

„გმირი“, „გამონაკლისი“, „შეურყვნელი“ — ასე ახასიათებენ ჰაველს მოქმედი და ყოფილი პოლიტიკოსები, ანალიტიკოსები თუ მწერლები. პრეზიდენტ ბარაკ ობამას თქმით, ჰაველის „მშვიდობიანმა წინააღმდეგობამ იმპერიის საფუძველი შეარყია, რეპრესიული იდეოლოგიის სიცარიელე გამოამზეურა და დაამტკიცა, რომ მორალის პრინციპები ნებისმიერ იარაღზე უფრო ძლიერი რამაა“. გერმანიის კანცლერი ანგელა მერკელი აცხადებს, რომ გერმანია „დიდი ევროპელის“ დაკარგვას გლოვობს. ევროპარლამენტის პრეზიდენტმა იეჟი ბუზეკმა კი უბრალოდ თქვა, — ჰაველი გმირი იყო და ასეთად დარჩებაო. ჩეხი პრეზიდენტი, მისი მეგობრებისა და პარტნიორების დახასიათებით, ბოლომდე თავმდაბალ და ზრდილობიან კაცად დარჩა, რომელიც საკუთარ დიდებასაც მსუბუქად და იუმორით აღიქვამდა.



არა მგონია, ამ პოსტზე იმის გამო აგერჩიეთ, რომ მეც ასეთი ტყუილები გითხრათო...

ჰაველი შეძლებულ ოჯახში დაიბადა. ბურჟუაზიული წარმომავლობის გამო კომუნისტურმა რეჟიმმა უმაღლესი განათლების მიღების საშუალება არ მისცა. მუშაობა ჯერ ლაბორატორიაში დაიწყო, შემდეგ — ლუდსახარშში. პარალელურად წერასაც განაგრძობდა.

კომუნისტურ რეჟიმთან დაპირისპირება ჰაველს თავიდან მისი პიესების გამო მოუხდა, რომლებშიც რეჟიმის აბსურდული მხარეები ჰქონდა გადმოცემული. 1968 წელს, ჩეხოსლოვაკიაში საბჭოთა ტანკების შესვლისა და იქ რეფორმატორული მოძრაობის ჩახშობის შემდეგ, ჰაველის პიესები აკრძალეს, თავად დრამატურგი კი უშიშროების მუდმივი მეთვალყურეობის ქვეშ მოაქციეს. 1976 წელს ჰაველი ისტორიული დოკუმენტის — „ქარტია 77“-ის თანაავტორი გახდა. ქარტია კომუნისტური მთავრობისგან ადამიანის უფლებების დაცვას მოითხოვდა. მაშინდელმა რეჟიმმა მისი ავტორების წინააღმდეგ რეპრესიები დაიწყო და ჰაველი ციხეში მოხვდა.

**ერთ დღეს განაცხადა, რომ პრაღის ციხესიმაგრეში განთავსებული პრეზიდენტის რეზიდენცია ფეხით მოსავლელად მეტისმეტად დიდი იყო და გადაადგილებისთვის მოტოროლერი შეიძინა**

საპატიმროში მას მნიშვნელოვნად გაუუარესდა ჯანმრთელობის მდგომარეობა — გადაბმულად, სიგარეტს სიგარეტზე ეწეოდა და ფილტვის ქრონიკული დაავადება დაეწყო (სწორედ ფილტვებისა და სასუნთქი გზების პრობლემებმა დააჩქარა ვაცლავ ჰაველის სიკვდილი)...

პოლიტპატიმრობის შემდეგ ჰაველი „ხავერდოვანი რევოლუციის“ ლიდერად იქცა. „ჩვენ გვსურს, თავისუფალ, დემოკრატიულ და მდიდარ ჩეხოსლოვაკიაში ვიცხოვროთ. ჩვენ გვსურს, დავბრუნდეთ ევროპაში და არასოდეს დავთმობთ ჩვენს იდეალებს“, — ამ სიტყვებით მიმართა 1989 წლის 23 ნოემბერს პრაღაში, ცენტრალურ მოედანზე შეკრებილ 300 ათას ადამიანს და კომუნისტური რეჟიმი მშვიდობიანად დასრულა.

იმავე წლის ბოლოს ჰაველი თავისი ქვეყნის ფილოსოფოსი-პრეზიდენტი გახდა. აქტიური პოლიტიკიდან წასვლის შემდეგ კი ლიტერატურას დაუბრუნდა, თუმცა პოლიტიკურ ცხოვრებასა და ადამიანის უფლებების დაცვის სფეროში ბოლომდე იყო ჩაბმული. პოლიტიკური ფიგურის რანგში ერთობ არაორდინარული გახლდათ. ერთ დღეს განაცხადა, რომ პრაღის ციხესიმაგრეში განთავსებული პრეზიდენტის რეზიდენცია ფეხით მოსავლელად მეტისმეტად დიდი იყო და გადაადგილებისთვის მოტოროლერი შეიძინა. 1990 წელს ამერიკელი ავანგარდისტი როკმენი, ფრენკ ზაპა, თავისი მთავრობის კულტურულ ელჩად დანიშნა. ჰაველი მეგობრობდა ნიუ-იორკის ავანგარდული როკის ინტელექტუალურ ვეტერანთან ლუ რიდთან. პრაღაში „როლინგ სტოუნსის“ ჩაყვანა მოინდომა, მაგრამ ქვეყნის ბიუჯეტში ჰონორარის გადასახდელად საკმარისი თანხა ვერ გამონახა. სამაგიეროდ, მის პატივსაცემად, მიკ ჯაგერმა და მისმა ჯგუფმა პრაღის ერთ-ერთ



ვაცლავ ჰაველი

ეროვნული ბიბლიოთეკა


კომუნისტური „მონარქიის“ ორი წარმომადგენელი

პარკში უფასო კონცერტი გამართეს. დღეს ბევრი ჩეხი გეტყვით, რომ კომუნისტურ სისტემას მისთვის საბოლოოდ, სწორედ იმ დღეს, იმ კონცერტზე დაესვა წერტილი.

ჩეხეთის მოქალაქეებს ახლაც ახსოვთ საახალწლო მიმართვა, რომლითაც ჰაველი მათ წინაშე 1990 წელს წარდგა და რადიკალურად განსხვავდებოდა იმ ფსევდოოპტიმისტური პროპაგანდისგან, რომელიც ქვეყანაში კომუნისტური მმართველობის ოთხი ათწლეულის მანძილზე გაისმოდა. ორმოცი წლის განმავლობაში ჩემი წინამორბედები ამ დღეს სხვადასხვა ფორმით ერთსა და იმავეს გეუბნებოდნენ, — როგორ ყვავის ჩვენი ქვეყანა, რარიგ ბედნიერები ვართო, — თქვა ჰაველმა და დასძინა: — არა მგონია, ამ პოსტზე იმის გამო აგერჩიეთ, რომ მეც ასეთი ტყუილები გითხრათო... დღეს, ჰაველის გარდაცვალების შემდეგ, პოლიტოლოგები ამბობენ, რომ ეს გამოსვლა კონცენტრირებულად გამოხატავს ჰაველის ფიგურის არსს, იმ უბრალო, გრანდიოზულობას მოკლებულ და გულწრფელ სტილს, რომელიც მან სიცოცხლის უკანასკნელ წუთამდე შეინარჩუნა.

ვაცლავ ჰაველისგან სრულიად საწინააღმდეგო „პოლუსზე“ დგას კიმ ჩენ ირის ფიგურა, რომელიც ფაქტობრივად, კომუნისტური „მონარქიის“ წარმომადგენელია. პოლიტოლოგები და ჟურნალისტები ერთ-ერთ ყველაზე დესპოტ ლიდერად მიიჩნევენ. მისი გარდაცვალების გამოცხადებისას სახელმწიფო ტელევიზიის დიქტორს შავი ტანსაცმელი ეცვა და ცრემლმომდგარი საუბრობდა. მისი თქმით, — „დიადი ირის გარდაცვალების მიზეზი ფიზიკური და სულიერი გადაღლა გახდა“. სინამდვილეში ის მატარებლით მგზავრობისას, გულის შეტევით გარდაიცვალა, რაც ცხედრის ექსპერტიზამაც დაადასტურა. კიმ ჩენ ირი ერთადერთი კომუნისტი ლიდერი იყო, რომელმაც ქვეყნის ხელმძღვანელობა მამისგან მემკვიდრეობით მიიღო. ახლა კი ისიც შვილმა — უმცროსმა ვაჟმა შეცვალა.

კიმ ჩენ ირი ქვეყნის სათავეში 1994 წელს 52 წლის ასაკში მოვიდა. ის ცნობილი იყო, როგორც ჭამა-სმისა და სუსტი სქესის წარმომადგენელთა დიდი მოტრფიალე. მისი მმართველობის პერიოდში კიდევ უფრო დამძიმდა ჩრდილოეთ კორეის ეკონომიკური მდგომარეობა. მისი დესპოტური რეჟიმის ძალისხმევა უპირველესად, მიმართული იყო ბირთვული იარაღის შექმნისაკენ, რაც ქვეყანას საერთაშორისო იზოლაციისა და ცხოვრების უმძიმესი პირობების ფასად უჯდება. ახლა კიმ ჩენ ირის უმცროსი ვაჟიშვილის, კიმ ჩენ ინის ხელშია ჩრდილოეთ კორეის მკვიდრი 23-მილიონიანი მოსახლეობის ბედი.

ახალი ლიდერი 30 წლისაც არ არის. ოფიციალური მედია მას უკვე „დიად მემკვიდრედ“ და „პარტიის, არმიისა და ხალხის გამოჩენილ ლიდერად“ მოიხსენიებს. პოლიტოლოგებს უჭირთ იმის თქმა, თუ რა ბედი ელის ჩრდილოეთ კორეასა და მის მკვიდრთ. სამხრეთ კორეამ უკვე საბრძოლო მზადყოფნაში მოიყვანა შეიარაღებული ძალები და გააძლიერა დაცვა 250-კილომეტრიან საზღვარზე, რომელიც 60 წელიწადზე მეტია, რაც კონფლიქტის მქონე ორ კორეას ერთიმეორისგან ყოფს. ბარაკ ობამა ტელეფონით ესაუბრა სამხრეთ კორეის პრეზიდენტს და დაუდასტურა შეერთებული შტატების მტკიცე მხარდაჭერა. რაც შეეხება ჩრდილოეთ კორეასთან ვაშინგტონის ურთიერთობას, — ცნობილია, რომ მათ შორის დამოკიდებულება ჩრდილოეთ კორეის ბირთვული პროგრამის გამო უკიდურესად დაძაბულია.

საერთაშორისო თანამეგობრობის არაერთი მოთხოვნისა და საგარეო პოლიტიკური იზოლაციის მიუხედავად, კიმ ჩენ ირის რეჟიმმა 2006 წელს შექმნა და გამოცადა კიდეც ბირთვული იარალი, რომელიც ამ ქვეყანაში არსებულ „კონვენციური“ იარაღის დიდ არსენალს დაემატა. ჩრდილოეთ კორეის მოკავშირედ მიიჩნევა მისი მეზობელი ჩინეთი, რომელიც შეერთებულ შტატებთან, რუსეთთან, იაპონიასთან და ორ კორეასთან ერთად მონაწილეობდა ე.წ. ექვსმხრივ მოლაპარაკებაში. ეს მოლაპარაკება ჩრდილოეთ კორეის ბირთვულ პროგრამას ეხებოდა და 2009 წელს შეწყდა. განახლდება თუ არა, ახლა კიმ ჩენ ინზეა დამოკიდებული. ის უკვე რამდენიმე მაღალ თანამდებობაზე მუშაობდა, მაგრამ არასოდეს შეხვედრია მსოფლიოს ლიდერებს. უცხოეთში მის შესახებ თითქმის არაფერი იციან. ■


საერთო სახალხო გლოვა(?!)...

მოამზადა ხათუნა ბახტურიძემ




საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა







# მხიარული წყვილის სიურპრიზებით სავსე ცხოვრება

## „იშვიათად მოწყენილებიც ვართ – განტვირთვისთვის...“

**დიტო ქისიშვილი ახალი წლის დღესასწაულს მეუღლის ამპლუაში პირველად ხვდება. მან და „ვა-ბანკის“ ლამაზმანმა — რუსკა შველიძემ ოჯახი ზაფხულში შექმნეს. რუსკა იღბლიანი გოგონაა: შარშან, ერთ-ერთი მობილური კომპანიის გათამაშებაში ავტომობილი მოიგო.... ამჟამად წყვილი ოჯახური იდილიით ტკბება და პირველი შვილის მოლოდინშია.**

*ეთო ყორღანაშვილი*

**დიტო:**

— გვინდა, ახალ წელს განსხვავებულად შევხვდეთ. გეგმები უკვე გვაქვს, მაგრამ რომ გავამხილოთ, ჩვენი ოჯახის წევრებისთვის სიურპრიზი აღარ იქნება.

— **2011 წლის შემობრძანება როგორ აღნიშნეთ? როგორც ვიცი, იმ პერიოდში შეყვარებულები იყავით...**

**რუსკა:**

— 12 საათი რომ გახდა, რამდენიმე წუთში დიტოც მესტუმრა. იცოდა, რომ სამაჯურზე ჩამოსაკიდებელი სვაროვსკის ვარსკვლავი მინდოდა და მაჩუქა.

**დიტო:**

— რუსკას ისეთი საჩუქრების გაკეთება შეუძლია, შეიძლება, გადაგრიოს! მაგალითად, ერთი ჯემპრი ძალიან მომწონდა, მაგრამ არავისთვის გამიმხელია. რუსკამ ზუსტად იმ ჯემპრს მიაგნო და კაშნესთან ერთად მაჩუქა. სიურპრიზების მოწყობა უყვარს: დედაჩემის დაბადების დღეს შინიდან გამიყვანა და მისი ინიციატივით, ფერადი ბუშტების შეკვრა ვიყიდეთ. რუსკამ მანქანაში ორმოცდახუთი ბუშტი გაბერა და ძაფით შეკრა. მამაჩემსაც დაურეკა, — ტკბილეულის წამოღება დაავალა. მერე ყველანი სადარბაზოსთან შევიკრიბეთ და დედას დაბადების დღე მივულოცეთ.

— **ამბობენ, — რძალ-დედამთილის თანაცხოვრება „ფეთქებადსაშიშიაო“...**

— მედიკოსთან (დიტოს დედასთან) პრობლემები არ მაქვს, პირიქით — ყველაფერში მეხმარება, ხელს მიწყობს. ჩვენ ძალიან კარგი ურთიერთობა გვაქვს.

— **შენ და დიტომ ერთმანეთი სად გაიცანით?**

— მეგობრის დაბადების დღეზე ვიყავი; წვეულების ბოლოს დიტოც შემოგვიერთდა. იმ საღამოს ერთმანეთს არ დავკონტაქტებივართ.

**დიტო:**

— ხომ გაგიგონიათ, — სადაც არის ბედი შენი, იქ მიგიყვანს ფეხი შენიო?! დაბადების დღეზე მისვლას ვერ ვახერხებდი, მაგრამ მეგობარმა ძალიან მთხოვა და... სიმღერისას რუსკას არაჩვეულებრივი ღიმილი შევნიშნე, მის თვალებში ბევრი რამ ამოვიკითხე და დავინტერესდი; შემდეგ მისი ტელეფონის ნომერიც გავიგე... რამდენიმე მესიჯზე პასუხი რომ არ გამცა, ცოტათი გავბრაზდი, მერე კი 3 ლარი გადავურიცხე და მივწერე: არა უშავს, თუკი ანგარიშზე თანხა არა გაქვს. იმედია, ამ 3 ლარიდან ჩემთვის 6 თეთრს გამოიმეტებ და პასუხს მომწერ-მეთქი. ანკესზე წამოეგო.

**რუსკა:**

— ნამუსზე ამაგდო!..

**დიტო:**

— პასუხმა არ დააყოვნა და ჩვენი ურთიერთობა „გაიხსნა“. ჰოდა, აი, დღეს უკვე ორსულადაა (*იცინის*).

— **გაცნობიდან რამდენ ხანში დაოჯახდით?**

— წელიწად-ნახევარში.

**რუსკა:**

— თავიდანვე შეყვარებულები ვიყავით.

**დიტო:**

— სცენაზე რომ დამინახა, ბუნებრივია, მოვეწონე.

**რუსკა:**

— იმ დღეს არც შემიმჩნევია!

**დიტო:**

— რას ლაპარაკობ?! იმ დღეს ისე იღიმოდი, უკვე ბედნიერი იყავი და თითქოს მზერით მეუბნებოდი, — აქ ვარო!.. სატელეფონო ურთიერთობის მერე, როცა ერთმანეთს შევხვდით, რუსკას ვუთხარი, რომ მასთან დაკავშირებით სერიოზული გეგმები მქონდა. მაშინ 16 წლის იყო და მას მერე ვზრდი. ძალიან საყვარელი „მოსწავლეა“!.. სხვათა შორის, თავადაც „მზრდის“ — დიტო ქისიშვილი რადიკალურად შეიცვალა, ოღონდ — კარგი გაგებით.

ეროვნული ბიბლიოთეკა



მართალია, ცუდი, ბოროტი და შურიანი არასოდეს ვყოფილვარ, მაგრამ ყველას გვაქვს ისეთი თვისება, რომელსაც გამოსწორება სჭირდება. რუსკამ ჩემში ყველაფერი ცუდი ამოფხვრა. ის საოცრად სპეტაკი, კეთილშობილი ადამიანია.

**რუსკა:**

— ხასიათით ერთმანეთს ძალიან ვგავართ, ორივენი მხიარულები ვართ.

**დიტო:**

— იშვიათად მოწყენილებიც ვართ, განტვირთვისთვის (*იცინის*). ჩვენი სალაპარაკო ენაც გვაქვს: „მიტათა" („მიყვარხარ"), „სიტვა" („სიყვარული") და ა.შ.

**რუსკა:**

— ვცდილობ, საჩუქრებით გავანებივრო.

**დიტო:**

— პირადად მე, სავალდებულო საჩუქრები არ მიყვარს: შეიძლება ადამიანს დაბადების დღეზე არაფერი ვაჩუქო, მაგრამ ერთი კვირის მერე სიურპრიზი მოვუწყო. მოკლედ, მირჩევნია, საჩუქარი მაშინ მივუტანო, როცა ამას არ ელის...

**რუსკა:**

— ერთხელ დიტომ სწორედ ის სუნამო მაჩუქა, რომელიც ძალიან მომწონდა, მაგრამ ამის შესახებ მან ცხადია, არაფერი იცოდა. მეც ვხვდები, დიტოს რა სჭირდება, რა უნდა...




**დიტო:**

— ერთ-ერთი ფირმის სათვალე ძალიან მინდოდა, მაგრამ ვერ ვიშოვე და გული დამწყდა. ქალბატონ რუსუდანს ეს ამბავი დაუმახსოვრებია და...

**რუსკა:**

— (*აწყვეტინებს*) დაბადების დღეს მეუღლის ამპლუაში პირველად ხვდებოდა და მსურდა, ჩემი საჩუქარი ყველაზე მეტად გახარებოდა. ჰოდა, მიზანს მივაღწიე, სათვალე მაინც ვიშოვე.

**დიტო:**

— მიუგნებელს მიაგნო! ისეთი სიხარული მომანიჭა, რომელიც არც ერთ დაბადების დღეზე არ მიგრძნია!..

**რუსკა:**

— შეყვარებულობის პერიოდში რაღაცის გამო ვიჩხუბეთ და მთელი კვირის განმავლობაში არ დამკონტაქტებია.

**დიტო:**

— მაინტერესებდა — რა დონეზე მიყვარდა და მთელი კვირა რუსკაზე ფიქრს მივუძღვენი. ერთ კვირაში დაბადების დღე ჰქონდა. მინდოდა, რაღაც ორიგინალური მომეფიქრებინა. ღამის 3 საათზე, რუსკას ბინის მოპირდაპირე კორპუსზე დიდი ბილბორდი გამოვფინე, წარწერით: „რუსკა, მიყვარხარ! გილოცავ დაბადების დღეს!" დილით დავურეკე. ცდილობდა, უემური „ფეისი" შეენარჩუნებინა, რადგან ნაჩხუბრები ვიყავით, მაგრამ მისი აივანზე გაყვანა მაინც მოვახერხე.

— **სიურპრიზმა გაჭრა?**

**რუსკა:**

— თავდაპირველად, გაოცება არ შევიმჩნიე — მე ხომ გაბრაზებული ვიყავი!..

**დიტო:**

— ბილბორდი მთელი კვირა იყო „გამოფენილი".

**რუსკა:**

— ჩამოსახსნელად რომ გავედით, ხალხი მეჩხუბებოდა, — იყოს, მოგვწონსო!

**დიტო:**

— ამ სიურპრიზის მერე რუსკას მეზობლების სიმპათიაც დავიმსახურე.

— **რუსკა, პატარა გათხოვდი. გადაწყვეტილების მიღება არ გაგიჭირდა?**

**რუსკა:**

— გამიჭირდა, რადგან არც გათხოვება მინდოდა და არც საოჯახო საქმეების კეთება ვიცოდი...

**დიტო:**

— დაქორწინება ივნისის დასაწყისში გადავწყვიტე. რუსკა ამას აპროტესტებდა, რადგან უნდოდა, ჯერ უნივერსიტეტში ჩაებარებინა და ოჯახი მერე შეგვექმნა. ჰოდა, ამის გამო კონფლიქტი გვქონდა, მაშინ ჩვენი ურთიერთობა სასწორზე იდო. საბედნიეროდ, ყველაფერი კარგად დასრულდა.

**რუსკა:**

— ცოლობაზე დავთანხმდი და მალე ქორწილიც დავგეგმეთ. მინდოდა, ქორწილამდე ერთმანეთის სამოსი არ გვენახა, მაგრამ ჩემი ხასიათის გამო, დიტოს ტანსაცმელი თავად შევურჩიე.

**დიტო:**

— ვარცხნილობაც კი მისი გემოვნებით გავიკეთე... როცა საქორწილო კაბაში გამოწყობილი რუსკა დავინახე, თვალებს არ დავუჯერე — საოცრება იყო! მუხლები მომეკვეთა...

**რუსკა:**

— ძალიან კარგი, ახალგაზრდული, სიურპრიზებით სავსე ქორწილი გვქონდა...

**დიტო:**

— სტუდიამ, რომელთანაც ვთანამშრომლობდი, ყველაფერი გააკეთა, რომ ჩემი მუსიკალური ალბომი ქორწილისთვის მზად ყოფილიყო, უფროსმა მეგობრებმა კი მე და რუსკა საქორწილო მოგზაურობაში გაგვიშვეს.

— **რუსკა, კერძების მომზადება უკვე ისწავლე?**

— სადილს ძირითადად, დიტოს დედა ამზადებს, მე მშვენივრად ვწვავ კარტოფილს, ვამზადებ სალათებს....

**დიტო:**

— რუსკა ყოველთვის სიახლის ძიებაშია. შეყვარებულობის პერიოდში შინ მიმიპატიჟა და საკუთარი ხელით მომზადებული პიცა გამასინჯა; უგემრიელესი იყო! „დაკვირვებული თვალი" აქვს: უყურებს, მედიკო კერძს როგორ ამზადებს და მერე თავადაც ცდილობს, მიჰბაძოს. მიუხედავად იმისა, რომ ორსულადაა, სულ ფუსფუსებს.

**რუსკა:**

— ორსულობის პერიოდს არ ვუჩივი. ერთადერთი, ზედმეტი 15 კილოგრამი მაწუხებს.

— **ბავშვის სქესი იცით?**

**დიტო:**

— ექიმმა გვითხრა: ლამაზი გოგოაო. ჩვენს პატარას ნიცას დავარქმევ. ნიცა ჩემი ოცნების ქალაქია... ■

# ვინ აშინებდა „ღილებთვალება“ გოგონას

## „სიმაღლეზე ასვლა ბავშვობიდან მიზიდავდა“



**მსახიობი და რეჟისორი მაია დოზორჯგინიძე საკუთარ გარეგნობაზე ზრუნვას ძალზე ცოტა დროს უთმობს. უპირატესობას ბუნებრიობას ანიჭებს და მაკიაჟს ძირითადად, სპექტაკლისთვის ან გადაღებისთვის იკეთებს. ამბობს, რომ გამონაკლისი ახალი წლის დღესასწაულია — ამ დღეს ცდილობს, ფორმაში იყოს.**

მარებ ჭონიშვილი

— **როგორი ბავშვი იყავი?**

— ცელქი და ჯიუტი გახლდით. მამა „კრუჭიკას“ მეძახდა, — სულ დაკრუჭინებ, ერთი წუთითაც არ ისვენებო. არ მიყვარდა, როცა ვინმე მკოცნიდა და ამიტომ, კოცნის შემდეგ ლოყას დიდი მონდომებით ვიწმენდდი, თან — ვტიროდი; ჩემი ტირილი შეიძლება, მთელ საათს გაგრძელებულიყო... მაგრამ მაინც საყვარელი ბავშვი ვიყავი. დიდი, შავი თვალების გამო ახლობლები „ღილებთვალებას“ მეძახდნენ. კონტაქტურიც ვიყავი, სულ ვლაპარაკობდი, რაღაცას ვყვებოდი, ვმსახიობობდი, რის გამოც უფროსები ბევრს ხალისობდნენ.

— **ეი. მსახიობური ნიჭი ბავშვობიდანვე გქონდა, არა?**

— ასეა! მახსოვს, დედას მაღალქუსლიან ფეხსაცმელსა და კაბას ვიცვამდი, მინისპექტაკლებს ვაწყობდი. „ქუსლიანით“ რომ დავბაკუნებდი, დედა მიბრაზდებოდა, — მეზობლებს აწუხებო, მაგრამ მაინც არ ვიშლიდი.

— **ჰრანჭია იყავი?**

— არა, გაპრანჭვა არასდროს მიყვარდა... აი, ეს ფოტო ძალიან მიყვარს. „შავი“ თოჯინა მყავდა და ძალიან მომწონდა, დიდხანს მხოლოდ ამ სათამაშოთი ვერთობოდი. სკოლის პერიოდში ჩემთვის და ჩემი თანატოლებისთვის სწავლა ყველაზე მნიშვნელოვანი იყო. ახლანდელი მოსწავლეებისგან განსხვავებით, გაპრანჭვას ნაკლებ დროს ვუთმობდით. მახსოვს, ძალიან კარგ თემებს ვწერდი და თანატოლებისგან ამით გამოვირჩეოდი.

— **დასვენების პერიოდში კი ხეებზე დაძვრებოდი, არა?**

— თითქმის მთელი ბავშვობა წყნეთში მაქვს გატარებული. ეს ხე ჩვენი სახლის წინ იყო და მასზე ასვლა ძალიან მიყვარდა. ვინმეს ჩემი ნახვა თუ უნდოდა, სწორედ ამ ხეზე მეძებდა. ეს სურათი ცნობილი ფოტოგრაფის, იური კირშენბლატის გადაღებულია. სხვათა შორის, აქ დედის შეკერილი სარაფანი მაცვია. მახსოვს, ეს კაბა ძალიან მიყვარდა და სურათის გადაღების დროს სპეციალურად ჩავიცვი.

— **ეს მშობლებთან ერთად გადაღებული ფოტოსურათია...**

— ესეც წყნეთშია გადაღებული. მოკლედ, თუკი რაღაც კარგი მაქვს მოსაგონარი, ყველაფერი წყნეთს უკავშირდება. რაც შეეხება მშობლებთან მსგავსებას, დედას უფრო ვგავარ, მაგრამ არა გარეგნობით, არამედ ხმის ტემბრით, მანერებით.

— **ეს ფოტოსურათი კი პირველ კლასში ყოფნის დროსაა გადაღებული...**

— პერანგი, რომელიც აქ მაცვია, ბებიამ მიყიდა. მახსოვს, ძალიან მომწონდა და ერთი სული მქონდა, სკოლაში როდის წავიდოდი, რომ ჩამეცვა.

— **ბებიასთან ერთად გადაღებული ბევრი ფოტო გაქვს...**

— ბებია ძალიან მიყვარდა, ჩვენ განსაკუთრებული ურთიერთობა გვქონდა. მას ყველა საიდუმლოს ვანდობდი და მისგან ყოველთვის კარგ რჩევა-დარიგებას ვიღებდი. საერთოდ, ჭამა არ მიყვარს და მახსოვს, ბებო ათას რამეს იგონებდა, ოღონდაც რამე მეჭამა; სტუდენტობისას ბატონი შალვა გაწერელიათი, ჩემი პედაგოგით მაშინებდა და მეუბნებოდა, — თუ არ შეჭამ, მას დავურეკავო (*იღიმის*).

— **მითხარი, — ჰრანჭია არ ვიყავიო. არც სკოლის დამთავრების შემდეგ გიზრუნია საკუთარ გარეგნობაზე, იმიჯის შეცვლაზე?**



„შავი“ თოჯინა მყავდა და ძალიან მომწონდა, დიდხანს მხოლოდ ამ სათამაშოთი ვერთობოდი



პერანგი, რომელიც აქ მაცვია, ბებიამ მიყიდა. მახსოვს, ძალიან მომწონდა



მახსოვს, ეს კაბა ძალიან მიყვარდა და სურათის გადაღების დროს სპეციალურად ჩავიცვი



ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა



თუკი რაღაც კარგი მაქვს მოსაგონარი, ყველაფერი წყნეთს უკავშირდება

— ვერ ვიტყვი, რომ სკოლის დამთავრების შემდეგ იმიჯი რადიკალურად შევიცვალე. მერწმუნე, გარეგნობა დიდად არ მადარდებდა და ისიც არ მახსოვს, რა მეცვა სკოლის ბანკეტზე ან როგორ გამოვიყურებოდი. სხვათა შორის, დიდად დღესაც არ ვიპრანჭები. მაკიაჟს მხოლოდ სპექტაკლის ან გადაღებების დროს ვიკეთებ. ხანდახან, როცა განსაკუთრებით ხალისიან განწყობილებაზე ვარ, შეიძლება, წითელი პომადა წავისვა. მეგობრები და ახლობლები ხშირად მეუბნებიან, — მაღალქუსლიანი ფეხსაცმელი ჩაიცვი, მაკიაჟი გაიკეთეო, მაგრამ დამერწმუნეთ, იმდენად დატვირთული დღის რეჟიმი მაქვს, ასე ჩაცმულ-გაპრანჭულმა რომ ვიარო, ვერაფერს მოვასწრებ.

— **წარბების კორექცია რამდენი წლისამ გაიკეთე?**

— სკოლის დამთავრების შემდეგ. პირველად რომ გავიკეთე, სასაცილო წარბები მქონდა. ახლა მეუბნებიან, — კიდევ თუ დაიწვრილებ, უფრო მოგიხდებაო, მაგრამ მე ასე მომწონს, რადგან ბუნებრივს ჰგავს; დიდად არც მეტყობა, გაკეთებული თუ მაქვს.

— **ყურები როდის გაიხვრიტე?**

— სკოლის პერიოდში გავიხვრიტე. მაკიაჟისგან განსხვავებით, აქსესუარები მიყვარს და ვატარებ კიდეც.



ამ სურათში ქერა ვარ. ეს სტუდენტობის დროს გადაღებული ფოტოა

— **თმას იღებავ?**

— თმა არასდროს შემიღებავს. ახლა ჭაღარა გამიჩნდა, მაგრამ მისი შეღებვისგან მაინც ვიკავებ თავს... თუ თმის ფერის შეცვლა სპექტაკლისთვის მჭირდება, პარიკს ვიყენებ. მაგალითად, ამ სურათში ქერა ვარ. ეს სტუდენტობის დროს გადაღებული ფოტოა. ჩემს მეგობართან, ზურა პირველთან ერთად გორკის პიესის — „ფსკერი“ — მიხედვით დადგმულ სპექტაკლში ვთამაშობდი, სადაც აუცილებლად, ქერათმიანი უნდა ვყოფილიყავი.

— **თმას არასდროს ისწორებ?**

— ბოლოს თმა მეორე კურსზე ყოფნისას გავისწორე — ასეთი ვარცხნილობა ჩემთვის არაკომფორტულია...

— **ამ ფოტოსურათზე მეუღლესთან ერთად ხარ...**

— სპექტაკლში — „მსხვერპლი“— მე და გოგამ ერთად ვითამაშეთ. ეს ის პერიოდია, როცა ჩვენ შორის გრძნობა გაჩნდა.

— **ალბათ, გოგა შენს ყველა სპექტაკლს ესწრებოდა...**

— კი, ჩემს სპექტაკლებზე ხშირად მოდიოდა. ლევან წულაძის სპექტაკლში — „საქორწილო ღამე“ დაახლოებით, 15-ჯერ ვითამაშე და მინდა გითხრათ, რომ გოგა თხუთმეტივეს დაესწრო. მერე, როცა შეყვარებულები ვიყავით, აღიარა, — იმიტომ მოვდიოდი, რომ მომწონდიო. სხვათა შორის, მაშინ ძალიან გამხდარი ვიყავი და ეს ამ ფოტოზეც კარგად ჩანს.

— **ამ ფოტოსურათზე ნიკო გომელაურთან ერთად ხარ...**

— თეატრალური უნივერსიტეტი ახალი დამთავრებული მქონდა, როცა ავთო ვარსიმაშვილის „კომედიანტებში“, ნიკოსთან ერთად ვითამაშე: ამ სპექტაკლში მისი შვილი ვიყავი. სხვათა შორის, ის გოგას მეჯვარე იყო, მისი მეუღლე კი ჩემი შვილის ნათლია გახლავთ. ნიკო ჩემთვის და ჩემი ოჯახისთვის ძალიან ახლობელი, საყვარელი ადამიანი იყო და მისმა სიკვდილმა საოცრად დაგვწყვიტა გული. მასზე ლაპარაკი მიჭირს...



მისმა სიკვდილმა საოცრად დაგვწყვიტა გული. მასზე ლაპარაკი მიჭირს...



მაშინ ძალიან გამხდარი ვიყავი და ეს ამ ფოტოზეც კარგად ჩანს



ბებო ათას რამეს იგონებდა, ოღონდაც რამე მეჭამა



სპექტაკლში – „მსხვერპლი“ – მე და გოგამ ერთად ვითამაშეთ

ეროვნული ბიბლიოთეკა



— **შენს პატარაზე რას მეტყვი?**

— გაბრიელი სამი წლისაა. ძალიან საყვარელი ბავშვია. ბევრ შეკითხვას სვამს და სულ გაიძახის, — როგორ? გვიხარია, როცა ამა თუ იმ საკითხზე საკუთარ აზრს გამოთქვამს. ყველა დედას თავისი შვილი ყველაზე კარგი ჰგონია და მეც ვფიქრობ, რომ გაბრიელი ყველასგან გამორჩეული ბავშვია. სხვათა შორის, მსახიობური ნიჭი აქვს — უკვე მამასაც სჯობია და დედასაც (*იცინის*). მოკლედ, გაბრიელი კაცური კაცია!

— **ახალი წელი მოდის. ამ დღესასწაულისთვის როგორ ემზადები?**

— სხვა დღესასწაულებისგან განსხვავებით, ამ დღეს ვცდილობ, ლამაზად გამოვიყურებოდე, მაკიაჟსაც ვიკეთებ და მაღალქუსლიან ფეხსაცმელსაც ვიცვამ — ანუ ძალიან ვიპრანჭები...

— **როგორც ვატყობ, თავისუფალი სტილის სამოსს ანიჭებ უპირატესობას. ასეა?**

— ჩემი ცხოვრების სტილიდან გამომდინარე, მართლაც, სპორტულ სამოსს ვანიჭებ უპირატესობას. შეიძლება კაბა და კოსტიუმი ჩავიცვა, მაგრამ ისიც თავისუფალი სტილის უნდა იყოს, მასში თავი კომფორტულად უნდა ვიგრძნო.

— **ალბათ, უკვე იცი, ახალი წლის ღამეს რას ჩაიცვამ...**

— წესით, ასე უნდა იყოს, მაგრამ ამაზე ჯერჯერობით არ მიზრუნია... ახლა ჩემთვის მთავარი გაბრიელია. ის იმ ასაკშია, როცა თოვლის ბაბუის ნახვა აინტერესებს. როცა ვკითხე, — რა გინდა, რომ თოვლის ბაბუამ



გაბრიელი სამი წლისაა. ძალიან საყვარელი ბავშვია

მოგიტანოს-მეთქი? მიპასუხა: ერთი პატარა მანქანაო.

— **დაბოლოს, შენს შემოქმედებით ცხოვრებაში რა სიახლეა?**

— ორი წელი სარეჟისოროზე ვისწავლე, დავამთავრე მაგისტრატურა (ავთო ვარსიმაშვილის ჯგუფი) და ახლა რეჟისორი გახლავართ. ჩემი სპექტაკლი თავისუფალ თეატრში უკვე დაიდგა. ახლა მაგისტრანტ კურსელებთან ერთად, ნახევარსაათიანი სპექტაკლების დადგმას ვაპირებ. ვნახოთ, რა გამოგვივა... ■



# რატომ აღარ ეპატიჟებიან ქეთი ორჯონიკიძეს მეკვლედ

## „დრაკონები“ მთელ დედამიწაზე, სიყვარულისა და სიმშვიდის ცეცხლს დავატრიალებთ“

**მომღერალ ქეთი ორჯონიკიძეს ახალი წლის დღესასწაული ძალიან უყვარს, 2012-ის დადგომას კი ორმაგი სიხარულით ეგებება, რადგან თავადაც დრაკონის წელიწადშია დაბადებული. მიუხედავად იმისა, რომ ერთ-ერთ ახალი წლის ღამეს ჩაფიქრებული ყველა სურვილი აუსრულდა, ქეთის არც თოვლის ბაბუის არსებობის სჯერა და არც ამ დღესასწაულის ჯადოსნურობის...**




ყოველთვის ვცდილობ, ახალ წელს ოჯახურ გარემოში შევეგებო

*მარეხ ჭონიშვილი*

**ქეთი:**

— აღდგომა, შობა, ახალი წელი და ჩემი დაბადების დღე — ეს ოთხი დღესასწაული გამორჩეულად მიყვარს. ახალ წელს ახალი სიხარული და იმედები მოაქვს. ამ დღეს ყველა ზეიმობს და შენც შეგიძლია, ქუჩაში გახვიდე, სრულიად უცნობ ადამიანს დაელაპარაკო, ახალი წლის დადგომა მიულოცო. ამ დღესასწაულისთვის ყველა ოჯახში რამდენიმე დღით ადრე ემზადებიან; ფუსფუსებენ, რომ ერთი დღე ლამაზად და მხიარულად გაატარონ.

— **საახალწლო დღესასწაულისთვის თავად როგორ ემზადები?**

— წელს ჩემი წელია — დრაკონი ვარ და ამიტომაც, 2012-ის დადგომას ორმაგი სიხარულით ვეგებები. იმედი მაქვს, მომავალი წელი კარგი იქნება არა მარტო ჩემთვის, არამედ ყველა ქართველისთვის. ჩვენ, „დრაკონები“ მთელ დედამიწაზე, სიყვარულისა და სიმშვიდის ცეცხლს დავატრიალებთ...

— **ნაძვის ხის მორთვაში არ მონაწილეობ?**

— ეს პროცესი ბავშვობიდან მიყვარს. საახალწლოდ არა მარტო ნაძვის ხეს, არამედ მთელ სახლს ვრთავ. ტრადიცია მაქვს, ნაძვის ხეს მეგობრებთან ერთად ვალამაზებ. სხვათა შორის, მათ ჩემთვის სათამაშოები მოაქვთ და მეც ვცდილობ, ჩემს ნაძვის ხეს ყოველ წელს, ერთი ლამაზი აქსესუარი მაინც შევმატო... ბავშვობის დროინდელი ნაძვის ხის მოსართავები ძალიან მიყვარს. სამწუხაროდ, ერთ წელს ძაღლი შემოიპარა იმ ოთახში, სადაც ნაძვის ხე მედგა, გადმოაყირავა და ძალიან ბევრი ძველი სათამაშო გამიტეხა, მაგრამ რამდენიმე მაინც შემომრჩა...

— **ახალ წელს სად ხვდები ხოლმე?**

— ყოველთვის ვცდილობ, ახალ წელს ოჯახურ გარემოში შევეგებო და მხოლოდ ამის შემდეგ გავიდე ქუჩაში; ამ დროს თავს ვარიდებ კონცერტზე გამოსვლას, მუშაობას...

— **რატომ?**

— ერთ-ერთ ახალ წელს ქალაქგარეთ შევხვდი, რადგან კონცერტი მქონდა. ჰოდა, ვინაიდან ამ დღესასწაულს ოჯახის წევრების გარეშე პირველად შევეგებე, ძალზე მოვიწყინე და იმის ნაცვლად, რომ კარგი განწყობილება მქონოდა,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბევრი ვიტირე... ჰოდა, მას მერე ახალი წლის ღამეს სხვაგან ყოფნას ვერიდები... თუმცა, წელს ტრადიციის დარღვევა კიდევ ერთხელ მომიწევს: მე და ქეთი ფარესაშვილს რაჭაში გვაქვს კონცერტი, ცოცხალ ბენდთან ერთად ვიმუშავებთ. მოკლედ, ახალი წლის ღამეს რაჭველებს სამბას და როკს მოვასმენინებთ.

**— იმედია, არ იტირებ...**

— მეც ამის იმედი მაქვს (*იღიმის*). იცი, რატომ „ვრისკავ"? — ჩემი წელია და ყველაფერს კარგს ველოდები. თან, რაჭაში ნამყოფი არ ვარ და მიხარია, ამ კუთხის ნახვის შესაძლებლობა რომ მეძლევა...

**— საახალწლო არდადეგებს არ იწყობ ხოლმე?**

— არა, ზამთარში ძირითადად, ვმუშაობ. დასვენებით შეიძლება, ერთი კვირა, ზაფხულში დავისვენო ან იმ დროს, როცა დეპრესია მაქვს, მაგრამ ამას დასვენებასაც ვერ დავარქმევ, ასეთ დროს სულ მძინავს.

**— ყველაზე კარგად რომელი ახალი წელი გახსენდება?**

— ყველა ახალი წელი გამორჩეულია, მაგრამ ჩემი ბავშვობის დროინდელი ახალი წელი იმითაც იყო გამორჩეული, რომ ამ დღეს შუქი მოდიოდა და ესეც მიხაროდა (*იცინის*)... მახსოვს, ერთ-ერთ წელს ახლობლები ჩემთან შეიკრიბეთ, ყველას — დიდსაც და პატარასაც თოვლის ბაბუის ფორმა გვეცვა და ბევრი ვიმხიარულეთ, შემდეგ კი ქუჩაში გავედით, კანფეტებს, ტკბილეულს ვარიგებდით.

**— 2011-ს როგორ შეეგებე?**

— როგორც ყოველთვის, 12 საათზე სახლში ვიყავი, შემდეგ თოვლის ბაბუის ფორმა გადავიცვი და მეგობართან წავედი, მერე სხვა მეგობარს მივაკითხეთ და ა.შ. მოკლედ, მთელი ღამე ვიარეთ და ვიმხიარულეთ. სხვათა შორის, ხურჯინიც მქონდა და ტკბილეულს ვარიგებდი.

**— ე.ი. მეგობრების მეკვლე იყავი?**

— არა, მეკვლედ აღარ მეძახიან!

**— რატომ?**

— ერთხელ მეგობართან მეკვლედ მივედი და ზუსტად იმ წელს, ორი ბაბუა გარდაეცვალა.

**— ანუ „ცუდი ფეხი" გაქვს?**

— პირადად მე, ჩემი ფეხები მომწონს და არ ვიცი, სხვები რას უწუნებენ (*იცინის*). სხვათა შორის, იმ წელს ჩემს მეგობარს ბაბუები კი გარდაეცვალა, მაგრამ მანქანა უნდოდა და შეიძინა. ასე რომ, არც ისე „ცუდი ფეხი" მაქვს... სიმართლე გითხრა, ასეთი რაღაცების არ მჯერა. მთავარია, ადამიანი ოჯახში ცუდი განწყობილებითა და ემოციით არ შევიდეს, თორემ ფეხს რა მნიშვნელობა აქვს?!


ერთხელ მეგობართან მეკვლედ მივედი და ზუსტად იმ წელს, ორი ბაბუა გარდაეცვალა

**— თოვლის ბაბუსთვის წერილი არასდროს მიგიწერია?**

— ბავშვობაშიც კი არ მჯეროდა თოვლის ბაბუის არსებობის; ყოველთვის ვიცოდი, რომ ჩემთვის საჩუქრებს დედა ყიდულობდა... ერთ-ერთ ახალ წელს მეგობრებმა საახალწლო სურვილები დავწერეთ. ეს წერილები მომდევნო ახალ წელს უნდა გაგვეხსნა და გვენახა, ვის რა შეგვისრულდა. იმ პერიოდში, როცა წერილების გახსნა და წაკითხვა მოვახერხეთ, აღმოჩნდა, რომ მე ყველაფერი ამისრულდა.

**— საინტერესოა, მაინც რა გქონდა ჩაფიქრებული?**

— ჩემი და ოჯახის წევრების ჯანმრთელობა, ფული, მანქანა და რაც ყველაზე ძალიან მინდოდა — ჩემი შემოქმედების ხალხამდე მიტანა. მოკლედ, მსურდა, ცნობილი ადამიანი გავმხდარიყავი და კიდევ, შეყვარებული მყოლოდა. იმ წელს „ვარსკვლავების აკადემიაში" მივედი, გავხდი პოპულარული, ფულიც გამიჩნდა, მანქანაც მაჩუქეს და შეყვარებულიც მყავდა...

**— და ამის შემდეგ მაინც არ გჯერა, რომ ახალი წლის ღამეს სურვილები სრულდება?**

— არ მჯერა და რა ვქნა?! იმ წელს ყველაფერს დიდი შრომისა და მონდომების შედეგად მივაღწიე!

**— ახალ წელს საზღვარგარეთ თუ შეხვედრიხარ?**

— არა, მაგრამ იმედია, ოდესმე ოცნება ამიხდება და ახალ წელს ლონდონში შევეგებები. ■

## ტომ კრუზი დევიდ ბექჰემს კინოკარიერის დაწყებაში დაეხმარება

ტომ კრუზს სურს, ფეხბურთელი დევიდ ბექჰემი გადასაღებ მოედანზე იხილოს. მსახიობის თქმით, მძაფრსიუჟეტიან ბოევიკებში დევიდი მას საუკეთესო პარტნიორობას გაუწევს. 49 წლის მსახიობმა ისიც აღნიშნა, რომ თუ ფეხბურთელს სამსახიობო კარიერის აწყობაში დაეხმარება, მას აუცილებლად მოსთხოვს კომპენსაციას. „დასაწყისისთვის, ფეხბურთის თამაშს მასწავლის", — განაცხადა კრუზმა, რომელიც დიდი ხანია, ბექჰემების ოჯახთან მეგობრობს.



ცნობილი სპორტსმენის სახელი ერთხელ უკვე გამოიყენეს 2002 წელს გადაღებულ ფილმში — „ითამაშე, როგორც ბექჰემმა", თუმცა თავად ფეხბურთელი მასში არ მონაწილეობს. ■

ეროვნული ბიბლიოთეკა

# რაზე უნდა იფიქრო გოზინაყის მომზადებისას

## „იმდენი ვქენით, მამაც გავაბრიყვეთ...“

**მსახიობი სალიტა ჩუბინიძე ახალი წლის დღესასწაულს განსხვავებულ გარემოში შეხვდება. დატვირთული დღის რეჟიმის გამო, საახალწლო სამზადისი ჯერ არ დაუწყია: მართალია, ფილარმონიაში „კომედი ჯგუფის“ კონცერტები დასრულდა, მაგრამ „თქვენი შოუს“ ჩაწერა ჯერ კიდევ გრძელდება...**

*ეთო ყორღანაშვილი*

— **საახალწლო სამზადისს როდის იწყებ ხოლმე?**

— ეს დღესასწაული ძალიან მიყვარს და რა გასაკვირია, რომ საახალწლო სამზადისს ყოველთვის დეკემბრის დადგომისთანავე ვიწყებდი, მაგრამ წელს საამისოდ ჯერჯერობით ვერ მოვიცალე.

— **შენს საახალწლო სამზადისში რა იგულისხმება?**

— საახალწლო სამოსს, სახლისა და ნაძვის ხისთვის აქსესუარებს ვარჩევ. ჩემი და დიზაინერია და ნაძვის ხეს ერთად ვრთავთ ხოლმე. საახალწლო სუფრისთვის კერძებს დედასა და დასთან ერთად ვამზადებ...

— **ყველაზე კარგად რომელ კერძს ამზადებ?**

— ძირითადად — სალათებს და პიცას. ოჯახში პიცა ძალიან გვიყვარს და ხშირად ვამზადებთ.

— **გოზინაყის მომზადება თუ იცი?**

— როგორ არა! ამბობენ, — გოზინაყის მომზადებისას მხოლოდ საკუთარ სურვილზე უნდა იფიქრო და იმ წელს აუცილებლად აგიხდებაო. ჰოდა, დედა მეუბნება, — გოზინაყი შენ მოამზადეო. მართალია, სურვილის ახდენის ეს მეთოდი არ ამართლებს, მაგრამ დადებითი ემოციით, იმედით მავსებს.

— **სურვილების ახდენის სხვა, უფრო ეფექტიანი მეთოდი არ იცი?**

— ოჯახში ასეთი ტრადიცია გვაქვს: 12 საათის შესრულებამდე სუფრასთან ვიკრიბებით, პატარა ფურცლებზე სურვილებს ვწერთ და ვყლაპავთ, შემდეგ სადღეგრძელოს ვამბობთ, შამპანურს ვსვამთ.... სურვილების ახდენის ამ მეთოდზე დედამ სადღაც წაიკითხა და გვითხრა: აუცილებლად განვახორციელოთო. იმდენი ვქენით, მამაც გავაბრიყვეთ, არადა, სერიოზული კაცია — ყოფილი პროკურორი გახლავთ...

— **დიდი ხანია, რაც შენს ოჯახში ასეთი ტრადიციაა?**

— 8 წელია.

— **ამართლებს?**

— აბა, რა! სურვილები რომ გვიხდება, ასე იმიტომ ვიქცევით, თორემ ფურცლის ყლაპვა სასიამოვნო ნამდვილად არაა (*იცინის*).

— **ახალი წლის დღესასწაულს სად ხვდები?**

— ყოველთვის საჩხერეში, ჩემს ოჯახში ვხვდებოდი, მაგრამ წელს ამას ვერ მოვახერხებ, რის გამოც, ცოტა არ იყოს, გული მწყდება...

— **როგორ ხვდებიან ახალ წელს საჩხერეში?**

— მგონი, ამ დღისთვის იქ უფრო მეტად ემზადებიან, ვიდრე — თბილისში. თან, საჩხერეში პატარა სამეზობლო წრეა, უფრო „შეკრულები“ ვართ, ახალი წლის დადგომას ერთად ვზეიმობთ... მოკლედ, იქ უფრო კარგია!



ბავშვობიდან მთელი სამეზობლოს მეკვლე ვიყავი, რადგან „კარგი ფეხი“ მაქვს

— **წინასაახალწლო განწყობილება საჩხერის ქუჩებში თუ იგრძნობა?**

— რასაკვირველია, იქ ქუჩებსაც ალამაზებენ!

— **ოდესმე ვინმეს მეკვლე თუ ყოფილხარ?**

— ბავშვობიდან მთელი სამეზობლოს მეკვლე ვიყავი, რადგან „კარგი ფეხი“ მაქვს. წელს არ ვიცი, ვისი მეკვლე ვიქნები — როგორც აღვნიშნე, საცხოვრებელი გარემო შემეცვალა.

— **ყოფილა შემთხვევა, როცა ახალი წლის დღესასწაულს შინ არ შეხვედრიხარ?**

— კი, ერთხელ მეგობრებმა კარნავალი მოვაწყვეთ და ახალ წელს ერთად შევხვდით.

— **აღნიშნე, — ახალი წლის დღესასწაულისთვის სამოსს ვარჩევ ხოლმეო. იცი, წელს რომელი ფერებია მოდური?**

— არა. ისიც არ ვიცოდი, დრაკონის წელი თუ მოდიოდა, მაგრამ მაღაზიებში პატარა სათამაშო დრაკონები რომ მომრავლდა, ამით მივხვდი. აუცილებლად გავიგებ, 2012 წელს რომელი ფერები იქნება აქტუალური და სამოსის შერჩევისას გავითვალისწინებ.

— **ძველით ახალ წელსაც ისეთივე სიხარულით აღნიშნავ, როგორც — პირველ იანვარს?**

— კი. ვიცი, დედაქალაქში ძველით ახალ წელს ნაკლებად დღესასწაულობენ, საჩხერეში კი პირიქით — 14 იანვარს განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევენ.

— **მშობლებს გული არ სწყდებათ, ახალ წელს მათთან ერთად რომ ვერ შეხვდები?**

— კი, მაგრამ საპატიო მიზეზი მაქვს. წელს ჩვენს ოჯახში ხალხმრავლობაა: იქ მშობლები, ჩემი და და მისი 2 შვილი არიან. ესპანეთიდან ჩემი ძმა და რძალიც ჩამოვიდნენ, შვილთან ერთად... ახალ წელს საკუთარ ოჯახში ყოფნა ძალიან მინდა, მაგრამ სამწუხაროდ, ამას ვერ მოვახერხებ... შემთხვევით ვისარგებლებ და მთელ საქართველოს მივულოცავ დამდეგ შობა-ახალ წელს! ყველას სიკეთეს, სიხარულს, სიყვარულს, სურვილების ახდენას ვუსურვებ!.. ■

# რა სიურპრიზებს ჰპირდება ოთო ნემსაძე მსმენელს

## „მთავარი ისაა, რომ ცოცხალი ვარ და გავაქტიურდი“

ეთო ყორღანაშვილი

ოთო ნემსაძეს პროექტში — „ჯეოსტარი 2010“ მონაწილეობა დიდი ფსიქოლოგიური სტრესის ფასად დაუჯდა, თუმცა ძალისხმევა დაუფასდა და 2011 წელს მუსიკალურ კონკურსში გამარჯვებულის სტატუსით შეეგება. პროექტის გრანდიოზული ფინალის შემდეგ ოთო ფართო საზოგადოების წინაშე იშვიათად ჩნდება. ცხადია, დავინტერესდით, სად დაიკარგა 2010 წლის ყველაზე წარმატებული „ჯეოსტარელი“...

**ოთო ნემსაძე:**

— ერთ წელიწადში ჩემი ცხოვრება რადიკალურად შეიცვალა. ამ ხნის განმავლობაში მუსიკალურ სფეროში ვტრიალებდი. თავდაპირველად, ამ ფაქტთან შეგუება ცოტათი გამიჭირდა, მაგრამ ახლა ყველაფერი რიგზეა — თავს მუსიკალური სფეროს სრულფასოვან წარმომადგენლად მივიჩნევ, სცენაზე დგომაც მსიამოვნებს და მიხარია. ამჟამად აქტიურად ვმუშაობ — ამის დასტური ჩემი მუსიკალური ალბომი, ბევრი ახალი სიმღერა და კონცერტი იქნება, რომელსაც მსმენელს სულ მალე შევთავაზებ.

— **ალბომის ჩაწერა, ცოტა არ იყოს, ხომ არ გაჭიანურდა?**

— ეს ისეთი ალბომი არაა, როგორიც ბაზრობაზე იყიდება. ეს ძალიან ბევრი პროფესიონალის ერთობლივი ნამუშევარია. ისეთი ალბომის გამოშვებას, როგორიც მაგალითად, ნოდიკო ტატიშვილს, გიორგი სუხიტაშვილს აქვთ და ალბათ, მეც მექნება, ბევრი შრომა სჭირდება.

— **შენს ალბომზე „ჯეოსტარის“ ბენდი მუშაობს?**

— იმუშავებს! ალბომზე მუშაობა ჯერ არ დაწყებულა, პროექტი დასამთავრებელია.

— **მაგრამ 2010 წლის პროექტი, რომელშიც მონაწილეობდი, შარშან დასრულდა.**

— ამ ხნის განმავლობაში ნოდიკო ტატიშვილის ალბომი იწერებოდა...

— **ამ ეტაპზე თავს „ვარსკვლავად“ მიიჩნევ?**

— არა! ბევრი რამის გაკეთება მჭირდება იმისათვის, რომ ვილაცამ „ვარსკვლავად“ მცნოს...

— **ოთო, საახალწლოდ რა გეგმები გაქვს?**

— სატელევიზიო გადაცემებში, კონცერტებში (მათ შორის ბევრი საქველმოქმედოა) ვმონაწილეობ. ამ პერიოდში მომღერლებს დატვირთული გრაფიკი გვაქვს და ვცდილობთ, ყველგან ვიყოთ, ყველაფერი მოვასწროთ... დიდი შანსია, რომ ახალი წლის დღესასწაულს ღია ცის ქვეშ შევხვდე.



ერთ წელიწადში ჩემი ცხოვრება რადიკალურად შეიცვალა

— **„ჯეოსტარში“ გამარჯვების მერე რას საქმიანობდი?**

— სახლში ვიყავი და ვისვენებდი. „ჯეოსტარში“ გამარჯვება მარტივი საქმე ნუ გგონიათ; ეს დიდი ფსიქოლოგიური სტრესია. არ ვამბობ, რომ პროექტში გამარჯვება საშინელებაა, მაგრამ მისი დასრულების მერე გადაღლილი ვიყავი. ერთი პერიოდი, საკუთარ თავშიც ჩავიკეტე, მაგრამ ამაზე ვერაფერს გეტყვით... მთავარი ისაა, რომ ოთო ნემსაძე ცოცხალია და სულ მალე ძალიან კარგ სიმღერებს შემოგთავაზებთ — ანუ უკვე გავაქტიურდი.

— **მახსოვს, ამბობდი, — შეყვარებული ვარო...**

— ადამიანებს მარტივად კარგავენ და მარტივადვე პოულობენ...

— **ახალი წლის დღესასწაული მომღერლებისთვის სარფიანია. ამ დღეს რესტორნებში სიმღერის სურვილი შენ თუ გაქვს?**

— სურვილიც მაქვს და შემოთავაზებებიც. არაჩვეულებრივი ბენდი მყავს, რომელთან ერთად ახალი წლის საღამოსაც დავგეგმავ და შემდგომი პერიოდის კონცერტებსაც.

— **უკვე მეორე წელია, რაც ახალი წლის დღესასწაულს განსხვავებულად ხვდები. ძველი დრო არ გენატრება?**

— როგორ არა! ახალ წელს ყოველთვის შინ ვხვდებოდი. შარშან, 31 დეკემბერს, საღამოს 10 საათზე „ჯეოსტარში“ გავიმარჯვე, 12-ის ნახევარზე გორში ვიმღერე და ახალი წლის დღესასწაულს მაინც სახლში შევხვდი. წელს ამას ვერ მოვახერხებ, მაგრამ კონცერტის შემდეგ აუცილებლად, პირდაპირ სახლში წავალ...

— **ოთო, გორს ხშირად სტუმრობ?**

— გორი ჩემი უსაყვარლესი ქალაქია, იქ დავიბადე და გავიზარდე, ამიტომაც ვცდილობ, მას ხშირად ვესტუმრო და მივეფერო. ■

# ბრიტნი სპირსი ოფიციალურად დაინიშნა

პოპ-პრინცესა დაინიშნა. მომღერალს საყვარელმა მამაკაცმა, ჯეისონ ტრავიკმა ლას-ვეგასში, საკუთარ დაბადების დღეზე სთხოვა ხელი. წყვილი ამ დღეს ერთ-ერთ კაზინოში აღნიშნავდა. ტრავიკმა ბრიტნის 3-კარატიანი ბრილიანტითა და ალმასებით გაფორმებული ბეჭედი აჩუქა. „გუშინ ღამით ჯეისონმა ის საჩუქარი გადმომცა, რასაც დიდი ხანია, ველოდი. ვერ ვითმენ, მინდა, რომ სწრაფად განახოთ! ძალიან აღელვებული ვარ!“ — დაწერა ვარსკვლავმა თავის „ტვიტერზე“.

ვეგასი ბრიტნისთვის საკმაოდ სიმბოლური ადგილია. სწორედ აქ დაიწყო და დამთავრდა მისი 55-საათიანი ქორწინება პირველ ქმართან, ჯეისონ ალექსანდრთან. მეორედ ბრინტიმ 2004 წელს, კევინ ფედერლაინთან იქორწინა. ამ ქორწინებიდან ბრიტნის 2 შვილი ჰყავს. ■



# რას მიიჩნევს თიკო სადუნიშვილი საკუთარ შეცდომად

## „ასდოლარიანი კუპიურები არ ვართ, რომ ყველას მოვწონდეთ“

**მასთან ინტერვიუს ჩაწერა არცთუ ისე იოლია: ხან გადაღებაზეა, ხან — გადაცემას გეგმავს და ა.შ., მაგრამ მისი „გამოჭერა“ მაინც შევძელით. ალბათ დიდი ხანია, თიკო სადუნიშვილის ასეთი გულახდილი ინტერვიუ არ წაგიკითხავთ; მან თავადვე აღიარა, რომ ჩემთან ლაპარაკისას ძალიან „გაიხსნა“ და თანამშრომლებიც ეხუმრებოდნენ, — რაიმე შენთვისაც შეინახე, რამდენს ლაპარაკობო?!. ამჯერად თიკომ კარიერასა და ცხოვრებისეულ გამოცდილებაზე ილაპარაკა.**



არ ვაპირებ, პირადი ცხოვრება კარიერას შევწირო, მამაკაცები ხანჯლით მოვიგერიო და კარიერული მწვერვალები დავიპყრო

ელენე ბასილიძე

— XXI საუკუნეში აქტუალურია კითხვა: კარიერა თუ პირადი ცხოვრება? ვფიქრობ, საქართველოში ძალიან ბევრი ქალის კარიერა ემსხვერპლა მისსავე პირად ცხოვრებას. ერთი ამბავი გამახსენდა: გოგონა უნივერსიტეტში ჩააბარებს, ნათელი მომავლისთვის ემზადება, ამ დროს კი ვიღაც ბიჭი სთხოვს ხელს. დაფიქრდება — არ იცის, რომელი აირჩიოს, ოჯახი თუ კარიერა? რჩევას დაქალს სთხოვს, ის კი ეტყვის: — კარიერა კარგია, მაგრამ როცა დაბერდები, წყლის მომწოდებელი ხომ უნდა გყავდესო? გოგონა გათხოვდება. გავა ძალიან ბევრი წელი, აქვს ბედნიერი ოჯახი... ბოლოს, როცა ლოგინად ჩავარდება და კვდება, ამბობს: — რა ბედნიერებაა ამხელა ოჯახი, შვილები, შვილიშვილები... ოღონდ, წყალი არ მწყურიაო.

**— შენც ფიქრობ, რომ არასდროს მოგწყურდება?**

— არა, ასე ნამდვილად არ ვფიქრობ; უფრო მეტიც, არ ვაპირებ, პირადი ცხოვრება კარიერას შევწირო, მამაკაცები ხანჯლით მოვიგერიო და კარიერული მწვერვალები დავიპყრო. მგონია, რომ ეს ორი საქმე ერთმანეთს უნდა შეუთავსო, მაგრამ ჯერჯერობით, ამას ვერ ვახერხებ: როცა კარიერაში წინსვლა მაქვს, სიყვარული და პირადი ცხოვრება მეც მიშლის ხელს, რადგან დროის თანაბრად განაწილება მიწევს და ვფიქრობ, რომ ამ დროს საკუთარ საქმეს ვღალატობ. შარშან არ მინდოდა, ჩემს ცხოვრებაში ვინმე გამოჩენილიყო, რადგან ძალიან დაკავებული ვიყავი. ახლა უკვე შემიძლია, პირადი ცხოვრებისთვისაც გამოვნახო დრო.

**— თიკო, როგორც ვიცი, ჟურნალისტიკის ფაკულტეტზე არ გისწავლია...**

— მართალი ხარ, სამხატვრო აკადემიის გრაფიკული დიზაინის ფაკულტეტი დავამთავრე და კიდევ, ქორეოგრაფიული სასწავლებელიც — ბალერინა ვარ. ბალეტს დედა ცეკვავდა და მეც მიმიყვანეს. ბავშვობიდან სცენაზე ვიდექი, დავდიოდი „ბასტი-ბუბუს“ სტუდიაში. მეგონა, მსახიობი ვიქნებოდი, მაგრამ ხომ იცი, ცხოვრება სიურპრიზებს გვთავაზობს: 17 წლის ვიყავი, როცა მამუკა ღლონტმა ტელევიზიაში მუშაობა შემომთავაზა. მახსოვს, 3-თვიანი გამოსაცდელი ვადა მომცეს. როცა ეს დრო ამოიწურა, ეკა აკობიამ დამიწუნა, — შენ წამყვანად ვერ გამოდგებიო და სახლში გამიშვა. 2 დღე ვფიქრობდი, რომ ტელევიზია ჩემი საქმე არ იყო, მესამე დღეს კი პროტესტის გრძნობა გამიჩნდა, მამუკა ღლონტის კაბინეტის კარი „წიხლით“ შევაღე და ვუთხარი, — წამყვანობა კიდევ ერთხელ თუ არ ვცადე, ვერ მოვისვენებ-მეთქი! — პირდაპირ ეთერში ახლავე გახვალო? — მკითხა. დავეთანხმე, — კი-მეთქი — და გავედი კიდეც... „მაესტროში“ 6 წელი გავატარე და მეგობრები მეხუმრებოდნენ, — მგონი, დედაშენმა „ტროლას“ სკამზე იმშობიარაო (მაშინ „მაესტროელებს“ შორის ყველაზე პატარა წამყვანი ვიყავი). მართალია, ჟურნალისტიკის კურსები არ გამივლია, მაგრამ დღეს შესაძლოა, ბევრ ჟურნალისტზე მეტი ვიცოდე, რადგან ამ სფეროში მუშაობის გამოცდილება დამიგროვდა. სხვათა შორის, „მაესტროზე“ ამბობდნენ, — წამყვანების სკოლააო, რადგან ამ ტელევიზიაში „დაფრთიანებულმა“ გოგო-ბიჭებმა რამდენიმე წელიწადში სხვა ტელევიზიები „დაიპყრეს“. არაჩვეულებრივი წამყვანები არიან: ნანიკო ხაზარაძე, ნიკა ლომიძე, სოსო თოლორაია. თავად მამუკაც კარგი მასწავლებელი იყო; მაშინ, როცა „მაესტროს“ წამყვანები პოპულარობის ზენიტში ვიყავით, ყოველ თათბირს ასე იწყებდა: — თქვენ თუ ვარსკვლავები ხართ, მე ცა ვარ და მკიდიხართ ან საქართველოა ცა და ყველა მასზე ვკიდივართო... ბევრს არასდროს გვაქებდა, ყოველთვის უფრო მეტ სტიმულს გვაძლევდა საქმის უკეთ გასაკეთებლად.

**— თითქოს ყველაფერი კარგად იყო, მაგრამ 6-წლიანი მუშაობის შემდეგ ტელევიზიიდან წამოხვედი...**

— ის ყველაფერი, რაც მაშინ ჩემს თავს ხდებოდა, ჩემი ასაკისთვის მეტისმეტად ბევრი იყო და ამან მიმსხვერპლა. ამასთანავე, გვერდით არ მყავდა ადამიანი, რომელიც კარგ რჩევას მომცემდა, დამარიგებდა. მე ხომ მხოლოდ წამყვანი არ ვყოფილვარ: ჩემს პირად ცხოვრებაში ჟურნალისტები იქექებოდნენ, ამას კი მილიონი ჭორი, შორტი და ლექს-სენი მოჰყვა; მერე — ჩემი ოჯახის დანგრევა, ჩემ გამო სხვა ბიჭის ოჯახის დანგრევა. ჰოდა, ამ ყველაფერს ველარ გავუძელი და წამოვედი... მერე სხვაგან დავიწყე მუშაობა. ბევრი დრო მქონდა, შვილთან ერთად რომ ვყოფილიყავი,



ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა




მასთან ერთად დასასვენებლად ხან სად დავდიოდი და ხან — სად...

**— ალბათ, მას მერე შენს ცხოვრებაში ბევრი რამ შეიცვალა...**

— მართალია, ასეა! ადრე ჩემზე ჭორს თუ გავიგებდი, მთელი ღამე არ მეძინებოდა, დღეს კი სოციალურ ქსელზე შეიძლება, ასეთ „ინტელექტუალურ" კითხვასაც წავაწყდე: „თიკო სადუნიშვილი ბოზია?" ქვემოთ კი 250 კომენტარი ჰქონდეს მიწერილი და ამაზე არანაირი რეაქცია არ მაქვს (*იღიმის*)... ტელევიზიის მიტოვებიდან 3 წლის შემდეგ, გიორგი არველაძესა და მის მეუღლესთან, ალინასთან ერთად წვეულებაზე მოვხვდი. მათ სწორედ იქ შემომთავაზეს გადაცემის წამყვანობა, რამაც ძალიან გამახარა, მაგრამ მეორე დღეს, როცა ტელევიზიაში წასასვლელად ვემზადებოდი, დავფიქრდი, — იქნებ არ მინდა-მეთქი?! მერე თავს ძალა დავატანე და მაინც წავედი...

**— შენი პირადი ცხოვრება დღემდე განხილვის თემაა. არ გიფიქრია, რატომ?**

— ალბათ, იმას, რასაც ვაკეთებ, ქართველი საზოგადოება არ არის მიჩვეული. შეიძლება ითქვას, რომ წამყვანობის გარდა, პოპულარული პირადმა ცხოვრებამაც გამხადა. შესაძლოა, ჩემი შეცდომა ისიც იყო, რომ პრესასთან ურთიერთობისას ძალიან გახსნილი ვიყავი. დღეს მივიჩნევ, რომ ჩემნაირ გულახდილ ადამიანსაც კი უნდა ჰქონდეს ისეთი საიდუმლო, რაც მხოლოდ მისი იქნება... უკვე მივხვდი: როცა შენს პირადს მთელი ქვეყანა განიხილავს, ეს კარგად არ დასრულდება!..

**— როგორც ვიცი, 10 წლის ვაჟი გყავს, მაგრამ ჟურნალისტებთან მასზე იშვიათად ლაპარაკობ...**

— არ მიყვარს, როცა დედები თავიანთი შვილების ქცევას აფიშირებას უკეთებენ; არც ის მომწონს, როცა ჩემს ვაჟს ბევრი უცხო თვალი უყურებს... უკვე 10 წლის კაცია და წელს ბათუმში, ჩემთან ერთად ისვენებდა, გადაღებებზეც დამყვებოდა. თამამად შემიძლია ვთქვა, რომ ის მშვენიერი კომპანიონია.

**— უკვე მეორე წელია, „თბილისი ლაივი" მიგყავს...**

— შოუბიზნესის წინა პლანზე წამოწევაში ტელეკომპანია „იმედისა" და „თბილისი ლაივს" დიდი წვლილი მიუძღვის. მსგავსი გადაცემის გაკეთება საკმაოდ რთული იყო მაშინ, როცა ქართულ შოუბიზნესში ყველაფერი ჩამკვდარი გახლდათ. ჩვენი გადაცემის საშუალებით ბევრი ადამიანი „გავაცოცხლეთ" და ეკრანს დავუბრუნეთ, ბევრი ახალი სახეც აღმოვაჩინეთ... შეიძლება ითქვას, რომ ბევრმა ივენთების გაკეთება ჩვენი ხათრით დაიწყო. ახლა იციან, რომ „თბილისი ლაივი" მათთან ერთადაა და მუშაობისთვის უფრო დიდი სტიმული აქვთ.

**— ბოლო დროს შენი გადაცემის ფორმატი შეიცვალა, მეწყვილეც გყავს...**

— სხვათა შორის, გადაცემის სახეცვლილებაც განხილვის თემად იქცა: ზოგს ბექა არ მოსწონს, ზოგს — მე, ზოგსაც — გადაცემის ფორმატი... ჩემი საყვარელი გამოთქმაა: ასდოლარიანი კუპიურები არ ვართ, რომ ყველას მოვეწონდეთ. მე მომწონს, რასაც ვაკეთებ, ხოლო ვისაც არ მოსწონს, ტელევიზორს ერთი „ჯადოსნური ნივთი" მოჰყვება — პულტი ჰქვია და სხვა არხზე გადართოს.

**— შენს მეწყვილეზე რას მეტყვი? ერთმანეთს როგორ შეეწყვეთ?**

— ბექა იდეალური მეწყვილეა, მაგრამ ინტელექტუალური ბიჭის როლის თამაში უწევს, ბლოკნოტითა და ბუმბულიანი კალმით დადის და აფორიზმებით ლაპარაკობს, არადა, ძალიან ანცი, საოცარი იუმორის პატრონია. ხშირად ვეუბნები: ეს ყველაფერი დაიბალანსე, შენი თვისებები „გამიქსე", ეკრანზე ნამდვილი ბექა რომ წარმოაჩინო-მეთქი... ამას წინათ, გადაცემაში სტუმრად ავთო ცქვიტინიძე გვყავდა, რომელმაც თქვა, რომ ფერწერას სწავლობდა და მისი კოლექცია მაკქუინის კოლექციასთან ერთად დაიბეჭდა... ბექა ეკითხება, — ფერწერას რატომ არ გაჰყევიო? მე კი მაინტერესებს: რა მაკქუინი, ავთოს კოლექცია როდის ან სად დაიბეჭდა?.. არადა, ზუსტად ვიცი, საზოგადოებას ის უფრო აინტერესებს, როგორი ურთიერთობა აქვს ავთოს ბიჭოლასთან, ვიდრე ის, თუ რატომ არ გახდა ფერმწერი (*იღიმის*).

**— უახლოეს მომავალში რაიმე სიახლეს ხომ არ შემოგვთავაზებთ?**

— ახლა საახალწლო გადაცემებს ჩავწერთ, მერე შვებულება გვაქვს და როცა ეთერში დავბრუნდებით, მაყურებელს აუცილებლად, კიდევ ბევრ სიახლეს შევთავაზებთ. ■

## სანდრა ბალოკი შვილს სიურპრიზს უმზადებს



მსახიობი 2 წლის ვაჟს ნამდვილ საშობაო ზღაპარს უმზადებს. თავდაპირველად, სანდრა ლუისისთვის საშობაო ფოტოსესიას შეუკვეთავს. „წვრილმანები დიდხანს არ ემახსოვრება, ხოლო ფოტოები მთელი ცხოვრების მანძილზე შეახსენებს თავს", — აღნიშნა მსახიობმა.

სანდრა ბალოკმა ოქტომბერში შვილისთვის მხატვარ ენდი უორჰოლის 14 ათას დოლარად შეფასებული სურათიც იყიდა. მისი თქმით, ბავშვი ადრეული ასაკიდანვე უნდა შეეჩვიოს ხელოვნებას... „ძალიან ბედნიერი ვარ, რომ დედა გავხდი. ამან ჩემი ცხოვრება რადიკალურად შეცვალა და ახლა ჩემთვის მთავარი შვილია", — აღნიშნა მან. ცნობისათვის, ბალოკმა ვაჟი 2010 წელს იშვილა და ჯესი ჯეიმსთან გაშორების შემდეგ მარტო ზრდის. ■

ეროვნული ბიბლიოთეკა



# ცხოვრება

# „მან თავის ასაკსაც გაუსწრო და დროსაც“

## „სიცოცხლესავით ლაღი“ გურამ რჩეულიშვილი

**ბევრჯერ დავფიქრებულვარ, მაგრამ ვერაფრით წარმომიდგენია, როგორი იქნებოდა ხანში შესული. რატომღაც მუდამ თანატოლად აღვიქვამდი — მაშინაც, მასზე უმცროსი რომ ვიყავი, მერეც, ასაკით რომ „დავეწიე“ და დღესაც, მასზე უფროსი რომ ვარ. მე არ დავბერდებიო, — აკი თქვა და... არც დაბერდა: ისევ ისეთი წარმოსადეგი, მხარბეჭიანი, ლამაზი და მოღიმარია, ხან სევდიანიც, კვლავ შეყვარებული და მეოცნებე, მამაცი და თავგანწირული, გასაოცარი კი ის არის, რომ არც მისი მოთხრობები და ლექსები დაბერდა, არც მისი დღიურები და ჩანაწერები და, აბა, მარადისობაც ხომ სხვა არაფერია!**

*ირმა ხარშილაძე*

*ამას წინათ, მის უახლოეს და უერთგულეს მეგობარს — მწერალსა და პუბლიცისტს, მისივე საზოგადოების პრეზიდენტს, ბატონ **ნუგზარ წერეთელს** სამსახურში ვეწვიე. კაბინეტში შესვლისთანავე კედლებზე მისი უზარმაზარი პორტრეტები დავინახე და იმწამს ვიგრძენი, თვითონაც სადღაც იქვე იყო... ბატონი ნუგზარი სიყრმის მეგობარზე ცრემლმორეული მელაპარაკებოდა და მოპირდაპირე კედელზე დაკიდებულ მის ფოტოსაც „ესაუბრებოდა“, თითქოს იმოწმებდა, — ხომ მართლა ეგრე იყოო...*

*და, აი, ახლა მართლაც „სიცოცხლესავით ლაღი“ 26 წლის გურამ რჩეულიშვილი დგას თქვენ წინ, თავისი შემოქმედებით და კაცობით, ბატონი ნუგზარ წერეთელი კი სწორედ მისი კაცობის ამბებს გვიყვება.*




— საოცარი წინათგრძნობა ჰქონდა, რომ ამ ქვეყნიდან ადრე წავიდოდა, რაც ხშირად უთქვამს ლაპარაკისას. ერთგან წერდა კიდეც: ვიცი, მოვკვდები და ასე რომ არ მოხდეს, ძალიან მეწყინება, რომ ჩემმა ინტუიციამ მომატყუაო. ხანდახან ისეთ რამეს აკეთებდა, თითქოს სიკვდილს ცდიდა. აბა, ეხუმრებით ალავერდზე ავარდნას და მის სახურავზე დადგომას? ამას ას კაცში ერთი თუ შეძლებს. იქიდან რომ ჩამოვარდნილიყო, სული არ დაჰყვებოდა მიწამდე. თითქოს სიკვდილს ეთამაშებოდა... მისი დაღუპვის შემდეგ, ბევრი ძიებით დავაზუსტე, რომ გურამი ტალღას კი არ გაუტაცია ზღვის ნაპირიდან, როგორც გაგრელმა ბიჭებმა მითხრეს (იქვე რომ იმყოფებოდნენ იმ საბედისწერო შემთხვევისას), თვითონ შესულა აღელვებულ ზღვაში 3 ადამიანის გამოსაყვანად და როცა ეს გაგრელები ეხვეწებოდნენ, გამოდიო, — როგორ გამოვიდე, ხალხი იხრჩობაო, — წყლიდან უპასუხია და უზარმაზარ ტალღას შეჰყოლია ორი რუსის და ერთი ქართველის გადასარჩენად... და გადაარჩინა კიდეც. თვითონაც შეეძლო, არ დაღუპულიყო, მაგრამ... ამ ამბავს ახლაც რომ ვიხსენებ, ძალიან ვღელავ... ერთ გაბედულ აფხაზ ბიჭს შეუცურავს იმ აღელვებულ ზღვაში და ჯერ გურამის დახმარება უცდია, მაგრამ გურამს უთქვამს, მე არაფერი მიჭირს, გამოვალ, იმ ბიჭებს მიხედეო (მერე ვნახეთ ის აფხაზი და ტირილით გვიყვებოდა ამ ამბავს)... გურამი გამოსულა კიდეც ჯებირამდე, გამოუცურავს. ძალიან დაღლილი ყოფილა და შეუსვენია. ხალხი კიოდა და წიოდა, — ჩქარა, ჩქარაო. „მინუტაო“, — გურამს დაუძახია (ამ სიტყვის თქმა უყვარდა), ჩანს, სულის მოთქმა უნდოდა. არადა, ხელები რომ აეწია, ჯებირის ზემოთ მყოფნი დასწვდებოდნენ და უეჭველად აიყვანდნენ, მაგრამ ძალიან ამაყი იყო და სხვისი დახმარება არ ისურვა. რამდენიმე წამში მობრუნებულა და ჯებირის კიბეზე ასვლა რომ დაუპირებია, მაშინ დაურტყამს უზარმაზარ ტალღას და გაუტაცია. კიდევ შეეძლო გამოსვლა, მაგრამ მერეც თითქოს სიკვდილს ეთამაშებოდა: იმედი ჰქონდა, კვლავაც გაიტანდა თავს, როგორც ერთხელ, ალავერდში... კვლავ ნაპირისკენ მიიწევდა, შვეულმფრენს რომ კიბე ჩამოუშვია. გურამს ჯერ სხვები მიუშვია კიბემდე, ეხმარებოდა კიდეც ასვლაში, ბოლოს თვითონ დაუწყია ასვლა, მაგრამ დამპალი კიბე გამწყდარა და გურამი ისევ ტალღებში ჩავარდნილა. კიდევ მიიწევდა თურმე ნაპირისკენ, მაგრამ სტიქიას ველარ აჯობა...

— **რატომ გავრცელდა ხმა, თითქოს რუსი გოგონას გადარჩენისას დაიღუპა?**

— ის 3 ბიჭი უფრო ღრმად ყოფილა ზღვაში შესული, გოგონა კი ნაპირთან ახლოს ცურავდა. იმასაც დახმარებია გამოსვლაში, მერე იმ ბიჭებისკენ წასულა და შეეწირა კიდეც მათ გადარჩენას. უამრავი ადამიანი შეესწრო ამ უბედურებას და ყველა საკუთარ ვერსიას გვიყვებოდა, ლამის ტვინი აგვირიეს მეორე დილითვე, უთენია, 6 საათზე გაგრაში ჩაფრენილ მე და ბორია ინასარიძეს...

— **ბატონო ნუგზარ, 23 აგვისტოს ზუსტად 51 წელიწადი გავი-**


სხედან: ნუგზარ წერეთელი და გურამ რჩეულიშვილი, სამხედრო შეკრება, დუშეთი, 1956 წ.

**და გურამ რჩეულიშვილის დალუპვიდან. ამდენი წლის შემდეგაც ისევე ღელავთ და ფორიაქობთ, თითქოს ნახევარი საუკუნე კი არა, ნახევარი წელიწადი გასულიყოს. ამდენი რამ დაწერეთ გურამზე, ნუთუ რაღაც დაგრჩათ ამოუთქმელი და ის გაწვალებთ?**

— ირმა, გურამს რომ ვიგონებ და ამ ფოტოსაც ვუყურებ, სულ მეტირება. ძალიან ერთგული, მოსიყვარულე და თბილი ადამიანი იყო, იმავდროულად, „გახურება“ და ჩხუბიც უყვარდა. საოცარი ადამიანი იყო... დღე არ გავა, რომ მეგობრებმა არ გავიხსენოთ. მის დას, მარინეს ვეუბნებოდი: 51 წელიწადი გავიდა და გურამმა ერთი დღე არ მოგვასვენა-მეთქი. სულ გვაფორიაქებს: ვკითხულობთ თუ ვწერთ, მივდივართ, მოვდივართ... ბიჭები რომ ვიკრიბებით, პირველ სადღეგრძელოს, სუფრასთან, ყოველთვის გურამისას ვამბობთ. სულ სხვა კაცი იყო... ჯერ კიდევ პატარა ბიჭები ვიყავით, გურამი რომ მოსკოვში წავიდა — 24 წლის იყო, მე — მასზე 6 თვით უმცროსი ვარ. ისეთებს ჰყვებოდნენ გურამზე, ეს ქნა და ის ქნაო, რომ ერთ-ერთ წერილში მივწერე: თბილისში უკვე ლეგენდად იქეცი-მეთქი. წარმოგიდგენია? — პატარა ბიჭს მივწერე! მჯეროდა, რომ ძალიან დიდი იქნებოდა. და ასეცაა: გურამ რჩეულიშვილი არის დიდი ლიტერატურული მოვლენა უზარმაზარი ადამიანური თვისებებით...

**— ოდესმე გულჩვილი თუ ყოფილა?**

— ბუნებით კი იყო გულჩვილი, მაგრამ მაგის თვალზე ცრემლს ვერ დაინახავდი. არავის უჩვენებდა. თუმცა მახსოვს, 1953 წელს გამზრდელი ბებია მოუკვდა — საშა, ივანე ჯავახიშვილის და. პატარა ბავშვივით ტიროდა... და მაინც, მის ხელში ჩვენი ყოველი დღე ბობოქარი იყო.

**— და 26 წლის ბობოქარმა კაცმა უზარმაზარი შემოქმედება დაგვიტოვა. წერას როდის ასწრებდა?**

— ახალგაზრდები ვიყავით, კარგი გარეგნობაც გვქონდა, ბევრ გოგონას ვიცნობდით და ყოველ საღამოს სადღაც გვეპატიჟებოდნენ. ვთქვათ, ერთ კვირას გადაგვებმებოდა ქეიფები, როგორც ჩანს, გურამი დაიმუხტებოდა ძალიან და მერე 2 კვირით შინ იკეტებოდა. არავის იღებდა, ხანდახან — არც მე და არც ერლომ ახვლედიანს, იჯდა და წერდა გაუთავებლად. წერისა და ვაჟკაცობის გასაოცარი ნაზავი იყო მასში. ყველგან წერდა. შეეძლო სუფრა მიეტოვებინა, სხვა ოთახში გასულიყო და დაეწერა. ერთხელ, „ლაღიძეში“ ნახევარი საათით დავტოვეთ და დაბრუნებულებს, თეთრ ხელსაწმენდებზე ნაწერი მთელი დასტა დაგვხვდა... უზღვავი ენერგია ჰქონდა. ბრწყინვალე ცხენოსანიც იყო, მოკრივეც, კალათბურთსაც თამაშობდა და შესანიშნავადაც ცურავდა... ერთხელ მუხრანიდან მოვდიოდით. მახსოვს, მეორეკურსელები ვიყავით და მტკვრის პირას საბანაოდ გავჩერდით.

კარგად ვერ ვცურავდი, ამიტომ, ცოტა ვიჭყუმპალავე და გამოვედი. მტკვარი ადიდებული იყო და გურამმაც ვერ შებედა, გული კი დასწყდა, კარგი ცურვა რატომ არ ვიციო. მას შემდეგ ხანდახან ვეხუმრებოდი, — ააა, ბიჭო, შეგეშინდა შესვლა-მეთქი? ჩანს, თავის შერცხვენა ვერ აიტანა და ცურვის კარგად შესწავლა განიზრახა. მას შემდეგ შიგადაშიგ იკარგებოდა ხოლმე და თურმე ცურვაში ვარჯიშობდა, — ერთ სიტყვას არ ვიტყუები, არც ვაჭარბებ, თუ არა და, ჩვენი მეგობრები, გურამ გეგეშიძე და ნოდარ ზედელაშვილი არ მაპატიებენ. ერთი წლის შემდეგ თბილისის ზღვაზე წავედით, მარინე და კიდევ ერთი გოგონა გვახლდნენ. ნავით შევცურეთ, ნიჩბებს გურამი უსვამდა. ძალიან მოხდენილი ტანი ჰქონდა — წვრილი წელი და განიერი ბეჭები. ცოტა ღრმად რომ შევედით, მაისური და შარვალი გაიძრო, წყალში ჩახტა, ერთი ხელი დაგვიქნია და მთელი ზღვა გადაცურა და გადმოცურა. ნავში რომ ამოვიდა, — ჰა, როგორია, ბიჭოო? — ღიმილით მკითხა. გავგიჟდი, ისეთი ცურვა უსწავლია... ძალიან უშიშარი ბიჭი იყო, შეეძლო, ას კაცს შეჰბმოდა. ეგ რომ გვახლდა, ჩხუბიც არ გვიწევდა ვინმესთან — ყველა ერიდებოდა, ეშინოდათ. ერთ ამბავს მოგიყვები, პირველად ვამბობ, არსად დამიწერია: გურამი მთის ხალხთან (ხევსურები, სვანები, მთიულები) მეგობრობდა. მათაც ძალიან უყვარდათ. ერთხელ, მთიულებთან სერიოზულად ვიჩხუბე. მერე კი საქეიფოდ წავედი. ვიცოდი, იქ გურამი, გურამ თიკანაძე და გურამ გეგეშიძე დამხვდებოდნენ. გურამმა ჩხუბის ამბავი რომ გაიგო, მიატოვა ქეიფი, ჩვენც წამოგვიყვანა და მიგვაყენა იმ ხალხს. ისინი ორმოცდაათნი იყვნენ, ჩვენ — 3-4 ბიჭი. ერთ-ერთს, ჩხუბის მოთავეს უსაყვედურა, — ხომ გთხოვე, ნუგზარს თავი დაანებე, ჩემი



ეროვნული
ბიბლიოთეკა





მყინვარწვერის ალპინიადა, წინა რიგში გურამ რჩეულიშვილი და ნუგზარ წერეთელი, 1953 წ.

ძმაკაცია-თქო. იმან კი დაირცხვინა, მაგრამ გურამმა, — ეგრე არ გამოვა, წამო ახლა და მე და შენ დანებით ვიჩხუბოთო — სუფრიდან 2 დანა წამოუღია. წახდა ის ტიპი. გურამს ძლიერი მოჩხუბრის სახელი ჰქონდა და ყველა ერიდებოდა. ამიტომ, იუარა მთიულმა, — არ მინდაო. მაშინ შეგაგინებო, — კარგად შეუკურთხა და წამოვედით. ამ გადასახედიდან რომ ვუყურებ, მზარავს: რამხელა იყო და მაშინ ვერ ვგრძნობდით.

**— რამდენი წელი გავიდა და გურამ რჩეულიშვილის ნაწარმოებებს დღესაც კითხულობენ, თანაც, ბავშვები, ახალგაზრდები. რატომ არ განელდა მისდამი ინტერესი: რადგან ახალგაზრდა დაიღუპა და ეს თაობაც წინამორბედებივით თანატოლად აღიქვამს თუ მისი შემოქმედებაა კვლავ თანამედროვე?**



ბატონი ნუგზარი სიყრმის მეგობარზე ცრემლმორეული მელაპარაკებოდა და მოპირდაპირე კედელზე დაკიდებულ მის ფოტოსაც „ესაუბრებოდა“

— კარგი შეკითხვაა. საქმე ისაა, რომ გურამმა თავის ასაკსაც გაუსწრო და დროსაც. მან, ფაქტობრივად, XXI-XXIII საუკუნეებში იცხოვრა. გურამი რომ სამწერლო ასპარეზზე გამოვიდა, ჩვენს ქვეყანაში სოციალისტური რეალიზმი მძვინვარებდა და მან საკუთარი სტილი დაამკვიდრა მწერლობაში — მაღალმხატვრულად წერდა უბრალო, ჩვეულებრივ ადამიანებზე, თავისი და მეგობრების ბობოქარ ცხოვრებაზე, პერსონაჟებიც თითოეული ჩვენგანი ვიყავით, ხშირად სახელებსაც არ ცვლიდა და ეს უშუალობა მკითხველებს მაშინაც ხიბლავდა და დღესაც. თამაზ ჭილაძემ ჯერ კიდევ 1969 წელს დაწერა, — გურამს აქვს მოთხრობები, მსოფლიოს ნებისმიერ ანთოლოგიას რომ დაამშვენებდაო.

წლების განმავლობაში გურამ რჩეულიშვილის მხოლოდ ერთტომეული არსებობდა, მხოლოდ წლების შემდეგ გახსნეს ოჯახის წევრებმა მისი არქივი და იქ 6 ტომის მასალა აღმოჩნდა. მარინემ ბევრი იშრომა და დაბეჭდა კიდეც აკადემიური გამოცემა. ახლა კი თქვენ გამოსცემთ ექვსტომეულს და ძალიან მიხარია! მარტო მეხუთე ტომში თავმოყრილი დღიურები რად ღირს!

**— გიფიქრიათ, დღეს რომ გვერდით გყავდეთ გურამ რჩეულიშვილი...**

— მამამისი — მიხეილი იყო — აკადემიკოსიც, მონადირეც, მომღერალიც, მოქეიფეც, მოკლედ, ყველაფერი ერთად. გურამიც მამამისივით უვაუკაცესი პიროვნება იყო და მისი გვერდით ყოფნა იცი, რა იქნებოდა?

**— ბატონო ნუგზარ, მაინც ვინ უყვარდა ამ ბობოქარ ადამიანს? — ნაწარმოებებში ირინასაც ახსენებს და მზიასაც.**

— ეს არც მითქვამს ხმამაღლა, მაგრამ უკვე ბებრები ვართ და რაღაა დასამალი. ირინად მოთხრობებში მოიხსენიებდა, თორემ სინამდვილეში გურამ თიკანაძის დას — რუსიკოს გულისხმობდა. არაჩვეულებრივი გოგო იყო, აუტანლად ლამაზი და გურამს შეუყვარდა. თუმცა... გურამი მესამე კურსზე იყო, მისი პირველი სიყვარული — მზია ჩაჩავა რომ გათხოვდა. მზია აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტზე სწავლობდა. ძალიან კარგი გოგო იყო და რა გასაკვირია, გურამი მისით აღფრთოვანებულიყო. ჩვენ კი ცელქი და აცვენილი ბიჭები ვიყავით და მზიამაც იფიქრა, — ამას როგორ გავყვე ცოლადო, და ცნობილი ექიმი-აკადემიკოსის, ანთელავას ასევე ექიმ შვილს მისთხოვდა. იცი, რა მოულოდნელად მოხდა ყველაფერი? ჩვენ თავს ვაწონებდით მზიას და ერთ საღამოსაც გურამი რაღაც იშვიათ წიგნს დაჰპირდა, დილით მოგიტანო. მზიამ კი იუარა, მაგრამ გურამმა მაინც წაუღო ის წიგნი და დილის 6 საათიდან მზიას მოლოდინში მისი სახლის შორიახლოს, ბაქრაძისა და არაგვის ქუჩების კუთხეში, ორსაფეხურიანი სახლის წინ ვისხედით. მზია არ გამოჩნდა და მხოლოდ 12 საათისთვის გავიგე მისი დაქალებისგან, რომ გათხოვილა. გურამს რომ ვუთხარი, ერთიანად გაფითრდა. მერე ძმაკაცებმა დასალევად წავიყვანეთ. გამწარებული გურამი ჭიქებს არ დასჯერდა და პირდაპირ ბოთლით მოიყუდა კონიაკი... კარგა ხანს დადიოდა გაგიჟებული, რაღაც საშველს ეძებდა... მერე შეუყვარდა რუსიკო. რუსიკოსაც შეუყვარდა. ისეთი სუფთა იყო საწყალი გურამი, ისეთი რაინდი, ძალიან ეუხერხულებოდა, მეგობრის და რომ უყვარდა, ამიტომ, მე და კიდევ ჩვენი 2 ძმაკაცი წავყევით გურამ თიკანაძესთან ამ ამბის სათქმელად. ძლივს უთხრა, რა ვქნა, გურამ, რუსიკო მიყვარსო. საწყალი თიკანაძე ჩაფიქრდა (ისიც ძალიან ლამაზი ბიჭი იყო, ცისფერთვალა, ქერა თმით და გოგოები მასზე გიჟდებოდნენ) და მერე მძიმედ ამოთქვა: დრო გვიჩვენებსო. წლები გავიდა და დრომ გვიჩვენა, რომ გურამს ერთადერთი ქალი უყვარდა — მზია და დანარჩენი სიყვარულები მხოლოდ იმ სიყვარულისგან თავის დაღწევის მცდელობა იყო... 2 წიგნი დავწერე გურამზე და კიდევ დამრჩა რაღაც საინტერესო ამბები მოსაყოლი. ჯერ თავს ვიკავებ, მაგრამ რაღაც ხნის შემდეგ აუცილებლად დავწერ ამ საოცარ კაცზე, რომლის ყოველი დღე იყო სიცოცხლით აღსავსე... ისეთი ძლიერი იყო, რომ სამუდამოდ დარჩა ჩვენში. ბოლოს მე, შალვა რჩეულიშვილმა და ბორია ინასარიძემ ვნახეთ, მაგრამ უკვე მკვდარი გურამ რჩეულიშვილი... საოცარი სანახავი იყო: წყლისგან გადიდებული ბეჭები, უკან გადაწეული ხუჭუჭი თმა, თავისი საყვარელი „ბათინკები“ და შარვალი ეცვა, რომელიც ზღვას ვერ გაეხადა. მხოლოდ ზოლიანი მაისური „წაერთმია“ ტალღებს... ის ფიზიკურად წავიდა, თორემ მაინც სულ ჩვენთან არის სულითაც და შემოქმედებითაც. და ამ 26 წლის კაცს, დღეს უკვე 4 ულამაზესი და უსაყვარლესი შვილიშვილი ჰყავს. ესეც ხომ გასაოცარია, რომ უკვალოდ არ წასულა და გურამ რჩეულიშვილის გენი მაინც გრძელდება. ■

ეროვნული ბიბლიოთეკა

# „ნეაპოლელთა ძირითადი საფიქრალი საკუთარი ყოველდღიური ცხოვრებაა...“

**„ჯოჯოხეთი იყო, რასაც აქამდე განვიცდიდი... გახსენებაც კი მიჭირს — შრომა, უძილობა, შიმშილი, სიმარტოვე და სულის ტკივილი, რომელიც ყველანაირ ტკივილზე მეტად შემაწუხებელია“, — ასე წერს თავის წერილში ემიგრაციაში სამუშაოდ წასული ქართველი ქალბატონი. ეს სიტყვები ალბათ მხოლოდ ამ ერთი ადამიანის გაჭირვებას არ ასახავს, საზღვარგარეთ წასული ჩვენი ბევრი თანამემამულე იმავეს განიცდის და ითმენს იმის გამო, რომ საქართველოში უმუშევრად დარჩენილი მისი ოჯახის წევრები ელემენტარული პირობებით უზრუნველყოს. ლიკა ჩხეიძე ნახევარ წელზე მეტია, ქალაქ ნეაპოლში იმყოფება და შეძლებისდაგვარად ცდილობს, იქაური ცხოვრების რიტმსა და თავისებურებებს შეეგუოს...**



*თამთა დადეშელი*

**— რატომ გადაწყვიტეთ საზღვარგარეთ გამგზავრება და რატომ აირჩიეთ კონკრეტულად ქალაქ ნეაპოლი?**

— ჩემმა შვილმა უნივერსიტეტში ჩააბარა, გარკვეული დაფინანსება მოიპოვა, მაგრამ დანარჩენი თანხის გადახდის საშუალება არ მქონდა. ბევრი ვიფიქრე და სამუშაოდ საზღვარგარეთ წასვლა გადავწყვიტე. 8 წელია, რაც მეუღლე აღარ მყავს, თორემ ახლა აქ არ ვიქნებოდი. ნეაპოლში ნათესავი მყავდა და მის იმედად, აქეთ გამოვეშურე... ახლა კი მინდა, სამუშაოდ რომში გადავიდე. საინტერესო ქალაქი-მუზეუმია, თავისი უამრავი სანახაობით...

**— რა პროფესიის ხართ და თბილისში სად მუშაობდით?**

— ვეტერინარული ფაკულტეტი და ტურიზმის განხრით მართვის ინსტიტუტი დავამთავრე. მერე, ჟორდანიას სახელობის ინსტიტუტსა და ზოოვეტში ვმუშაობდი, ასპირანტურის მინიმუმებიც ჩავაბარე, მაგრამ ქვეყანაში სიტუაცია რომ აირია, უმუშევარი დავრჩი.

**— როგორი პირობები დაგხვდათ ნეაპოლში? სამუშაოს შოვნა გაგიჭირდათ?**

— არა. პირველად ოჯახში ვმუშაობდი, ლოგინად ჩავარდნილ ბაბუას ვუვლიდი. 5 თვეში გარდაიცვალა, მაგრამ ათ დღეში სხვა ოჯახში დავიწყე მუშაობა, სადაც დღემდე ვარ და გაცილებით უკეთესი პირობები მაქვს — ისევ მოხუც ბაბუას ვუვლი.

**— როგორი ანაზღაურება გაქვთ?**

— ჩემი ხელფასი 700 ევროა, რომლის დიდ ნაწილს ჩემს შვილს ვუგზავნი, ცოტას კი აქაურ ხარჯებზე ვანაწილებ. კვირაში დღე-ნახევარი ვისვენებ.

**— ის მცირე თანხა გადასახადებზე როგორ გყოფნით?**

— კვების, ბინის ქირისა და ელემენტარული შენაძენისთვის 100-150 ევრო გვაქვს გადადებული. ოჯახებში, სადაც ვმუშაობთ, კვება და გარკვეული საცხოვრებელი ფართობიც გვაქვს, მაგრამ იმისათვის, რომ დასვენების დღეებში ერთმანეთი მოვინახულოთ და გული გადავაყოლოთ, 10-15 ადამიანი ბინას ერთობლივად ვქირაობთ, ამიტომ, შედარებით ნაკლების გადახდა გვიწევს.

**— როგორი ხალხია ნეაპოლში და როგორ ექცევიან ისინი ემიგრანტებს?**

— ნეაპოლში შესაძლოა მოგხიბლოს ოპერამ და ნებისმიერი იტალიელის სიყვარულმა მუსიკის მიმართ. პირადად მე, აქ სხვა ვერაფრით ვიხიბლები, აქაური ხელოვნება ქართულ კულტურასთან ვერც მივა... ჩვენსას არაფერი შეედრება! ადამიანების მიდგომა ერთმანეთის მიმართ — რა სითბოსა და სიყვარულის გამომჟღავნებაც ქართველებმა ვიცით, თუნდაც უცხოელი სტუმრის მიმართ, შეურაცხყოფას არავის ვაყენებ, მაგრამ აქ ნამდვილად არ იციან... ჩვენი ახალი თაობა იმდენად კარგები, აღზრდილები და განათლებულები არიან, რომ ამათთან შედარებაც არ შეიძლება. ვამაყობ იმით, რომ ქართველი ვარ!.. მოკლედ, ეს ცხოვრება ბრძოლაა გადარჩენისთვის და მეც ვიბრძვი, რომ ჩემი ადგილი აქაც დავიმკვიდრო.



ნეაპოლში შესაძლოა მოგხიბლოს ოპერამ და ნებისმიერი იტალიელის სიყვარულმა მუსიკის მიმართ

**— მათ ტრადიციებზე რას გვეტყვით? როგორ ემზადებიან ამა თუ იმ დღესასწაულისთვის?**

— ბევრნაირ დღესასწაულს აღნიშნავენ, მაგალითად, ისევე, როგორც რუსეთში — რკინიგზელის, მასწავლებლის და ნებისმიერი პროფესიის. აღდგომა და შობის დღესასწაული აქაც განსაკუთრებულია. აქ რუსული მართლმადიდებლური ეკლესიაა და წირვაზე იქ დავდივართ. შობის დღესასწაულს ჯერ არ დავსწრებივარ, მაგრამ როგორც მიყვებიან, ლამაზად აღნიშნავენ.

**— რაც შეეხება**

ეროვნული ბიბლიოთეკა

**სალაპარაკო ენას, ნეაპოლში როგორც ვიცი, იტალიურად კი არა, ნეაპოლურ დიალექტზე ლაპარაკობენ. თუ იცოდით ჩასვლისას რომელიმე მათგანი და როგორ ახერხებდით მათთან კონტაქტს?**

— ნეაპოლური დიალექტი განსხვავდება ლიტერატურული ენისგან, მაგრამ ჩვენ მაინც უფრო იტალიურის სწავლას ვცდილობთ და მათაც ამ ენაზე ვესაუბრებით. თავიდან მიჭირდა მათთან კონტაქტი, ჟესტების ენაზე ვლაპარაკობდი, მაგრამ როცა ძალიან მონდომებული ხარ, იოლად ახერხებ ადაპტაციას და რაიმე ფრაზას, რომელიც ყოველდღიურად გესმის, მარტივად იმახსოვრებ.

**— ცნობილია, რომ ნეაპოლი ძველმა ბერძნებმა დააარსეს და ახალი ქალაქ („ნეა პოლის“) უწოდეს. როგორია ქალაქის ამჟამინდელი იერი?**

— ისეთი თანამედროვე შენობები, როგორიც ბოლო დროს თბილისშიც მომრავლდა, აქ არაა. ნეაპოლში აპრილში ჩამოვედი, 3 კვირის მანძილზე თავისუფალი ვიყავი და ქალაქის დათვალიერებაც მოვასწარი. ცენტრში მთლიანად ძველი არქიტექტურაა, შენობები ძალიან ლამაზია. ეს ზღვისპირა ქალაქი იმითაა საინტერესო, რომ მის შუაგულში შეგიძლია, ბევრი კულტურული ძეგლიც დაათვალიერო და იქვე პლაჟზეც გაირუჯო. მის სანახავად მილიონობით ტურისტი ჩამოდის. აქ სიძველე უფრო გხიბლავს. ელიტურ ადგილად ოპერის შენობა მიიჩნევა. ცენტრში ზღვაში შეჭრილი ციხესიმაგრეა, საიდანაც მთელი ქალაქი ჩანს...

**— ვიცი, რომ ძვირი სიამოვნებაა, მაგრამ ხომ არ გქონიათ შესაძლებლობა, ნეაპოლში მდებარე ეროვნული არქეოლოგიური მუზეუმი დაგეთვალიერებინათ, რომელიც ანტიკური ხელოვნების ერთ-ერთი უდიდესი მუზეუმია იტალიაში.**

— სამწუხაროდ, არა, რადგან ბილეთი ძალიან ძვირია, ისევე, როგორც — ოპერა. სამაგიეროდ, თანამედროვე ხელოვნების გალერეა, სამხატვრო მუზეუმი დავათვალიერე და ძალიან მომეწონა. ამ უძველეს ქალაქში ბევრი საინტერესო ადგილია. ჩვენ ცენტრში, დაახლოებით ისეთ ადგილას ვცხოვრობთ, როგორიც თბილისის რკინიგზის ტერიტორიაა, სამსახურები კი რეგიონებში (თბილისურად — გარეუბნებში) გვაქვს, ამიტომ სამგზავროდ ბევრი დრო გვჭირდება — მატარებლით 30-40 კმ-ს გავლა გვიწევს. იმდენად ვიღლებით, ღირსშესანიშნაობების სანახავად დრო არ გვრჩება. აქ ვერ ნახავთ კულტურით დიდად დაინტერესებულ ადამიანებს, ნეაპოლელთა ძირითადი საფიქრალი საკუთარი ყოველდღიური ცხოვრება, ოჯახი და ჭამა-სმაა... კათოლიკურ ქადაგებაშიც სულ „მანჯარე“ ანუ „ჭამა“ გაისმის. იტალიელებისთვის პირველ ადგილზე მათი სამზარეულოა. უამრავი სახეობის კერძი აქვთ: პირველი და აუცილებელი კერძი — მაკარონია, რომელიც ასევე მრავალფეროვანია.

**— როგორც ვიცი, პიცის წარმოშობა სწორედ ნეაპოლს უკავშირდება. განსაკუთრებით პოპულარული კი „მარგარიტა“ და „მარინარაა“. რითაა ისინი გამორჩეული და რა ინგრედიენტებისგან ამზადებენ მას ადგილობრივები?**

— საუკეთესო ყველისგან — მოცარელასგან ამზადებენ, რომელიც უგემრიელესია, როგორც ჩვენთან — სულგუნი; ძალიან თხელი ცომი, პლუს პომიდვრის სოუსი, ბაზილიკო ანუ რეჰანი, ბეკონი და სოკო. უამრავი სახეობის პიცას ამზადებენ.

**— ქართულ ტრადიციებსა და კერძებს მათ თუ აცნობთ?**

— ყველანაირად ვცდილობ, მაგრამ არ აინტერესებთ. საქართველოშიც კი ვეპატიჟები, ვეუბნები, ბინასა და საკვებში ფული არ დაგეხარჯებათ-მეთქი, სურვილი კი აქვთ, მაგრამ უცხო ქვეყანაში წამოსვლას ვერ რისკავენ.

იმდენად ვიღლებით, ღირსშესანიშნაობების სანახავად დრო არ გვრჩება



**— თუ იციან, სად არის საქართველო?**

— ბევრს გაგებულიც არა აქვს... თუმცა ქართველებს აქ ძალიან კარგი სახელი აქვთ, „ჯორჯიანას“ რომ გაიგონებენ, უკვე იციან, რომ შესანიშნავი პერსონალი იპოვეს.

**— ქართველთა სათვისტომო თუ არის?**

— სამწუხაროდ, არა, ამიტომ უკრაინელებთან გავწევრდი. გადასახადი მინიმალურია, სამაგიეროდ, იურიდიული მომსახურება, ჩემი უფლებების დაცვა ან სხვა რამ თუ დამჭირდება, „ზურგი“ მაქვს და იმედიანად ვარ. ადრე ერთი წელი უკრაინაშიც ვცხოვრობდი და იქაურ მონასტერში ვმუშაობდი.

**— ნეაპოლში ხალხი ისევეა პოლიტიზებული, როგორც საქართველოში?**

— სხვათა შორის, არა. გაგეცინებათ და მე უფრო მეტი ინფორმაცია მაქვს იმის შესახებ, რომ პრემიერ-მინისტრი გადადგა, მინისტრთა კაბინეტი შეიცვალა, ვიდრე — ზოგიერთ აქაურს. არ აინტერესებთ. ქალები ძირითადად, ოჯახებზე არიან ორიენტირებულნი, მუშაობა არ უნდათ, აბსოლუტურად ყველა მოვალეობას ოჯახის წინაშე მამაკაცი იღებს საკუთარ თავზე.

**— თქვენი შვილი თბილისში ვისთან ერთად ცხოვრობს? ალბათ გაგიძნელდათ მისი დატოვება, არა?**

— ნატა ახლა ბებიებთან და ბაბუასთან ერთად ცხოვრობს, რომლებიც მზრუნველობასა და ყურადღებას არ აკლებენ. მათი მადლიერი ვარ. დედა საოცრად მენატრება და მაკლია... აქ შვილები დიდი პატივით ექცევიან მშობლებს, ერთ ზედმეტ სიტყვას ვერ შებედავენ, დავარდნილებსა და დაუძლურებულებს თან ჰყვებიან და რას არ უკეთებენ, რომ სიცოცხლე გაუხანგრძლივონ.

**— როგორ ფიქრობთ, რამდენ ხანს მოგიწევთ ემიგრაციაში ყოფნა?**

— ვფიქრობ, ჩემი პრობლემების მოსაგვარებლად, 3 წელი მაინც დამჭირდება...

■

ეროვნული ბიბლიოთეკა

# იღბლიანი ბილეთი...

ინგა ჯაყელი

ილოს ოთხი შვილი ჰყავს და თითოეული თავისებურად ცდილობს მოხუცი მშობლების დახმარებას, მაგრამ მათაც თავიანთი თავები გასჭირვებიათ. ადრე ბიჭებმა რომ საინჟინროზე ჩააბარეს და გოგოებმა — პედაგოგიურზე, ილოსა და მისი ცოლის — ნინუცას სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა:

— ცოტაც გავუჭირვოთ თავს, მივეხმაროთ შვილებს სწავლაში და მერე იქით გვიპატრონებენ და გვატარებენ ხელისგულზე! — ეჭვი არ ეპარებოდათ, რომ მომავალში მართლაც ასე იქნებოდა. აბა, იმას იფიქრებდნენ, რაც ახლა სჭირთ მათ შვილებს?! — ინჟინერი გიგილო ბაზრობაზე საწყობების დარაჯია, შოთა ლორებს დასდევდა ტყეში და ისინიც ჭირმა გაუწყვიტა. მზია და იამზე სკოლაში კი მუშაობენ, მაგრამ მათი ხელფასი მხოლოდ პურის ფულია. შვილები ეზრდებათ, ჩაცმა-დახურვა, ტელეფონი, კომპიუტერი სჭირდებათ...

ყელზე ადგება ილოს შვილების გამოგზავნილი პურიც და წამალიც. ამიტომ ავადმყოფიც არ ჩერდება და ნინუცაც სულ უკან დასდევს ქმარს, ცდილობს, მძიმე შრომა შეუმსუბუქოს. ყოველ პარასკევს კი ქალაქში უშვებს სავსე და პირმოკრული გოდრით, რომელშიც ხან ხილია, ხან თხილი და ნიგოზი, ხანაც სიმინდის ფქვილი თუ ჭაჭის ორნახადი არაყი. გულის ჯიბეში კი რვეულის ფურცელზე ჩამოწერილ სიას უდებს: 2 კილო შაქარი, 1 ლიტრი ზეთი, თითო კილო ბრინჯი და „გრეჩიხა"... თუ ფული დაგრჩა, ნახევარი კილო საწუწნი კანფეტი კიდევ ჩვენთვის — „მიატნი", გულის მოსაბრუნებლად. ნახევარი კილოც შოკოლადი — შვილიშვილებისთვის... იქნებ უბრალო ფეხსაცმელიც გვეყიდა მზიას გიორგუნასთვის, იმ დღეს დახეული კედიდან ცერა თითი უჩანდა...

ილოც ცდილობდა, რომ ფული ყველაფრისთვის ემყოფინებინა — შეიძლება ორის ნაცვლად, ერთი კილო შაქარი ეყიდა და ბრინჯზე სულაც უარი ეთქვა, მაგრამ გიორგუნას ფეხშიშველს არ დატოვებდა და მერე, როცა გახარებული პატარა ბიჭი ჩამომჭკნარ ლოყებს დაუკოცნიდა, იმ ღამეს ოცნებაში გაატარებდა: იმდენი ფული მომცა, რომ მარტო ჩემი კი არა, სხვისი შვილიშვილებიც საჩუქრებით გამახარებინაო...

ახალი წელი რომ მოახლოვდა, სწორედ გიორგუნამ უთხრა, რომ ტელევიზორში კინო ენახა:



— ბაბუ, დიდი ნაძვის ხე დავდგათ, როგორც იმ ფილმში. ღამით თოვლის პაპა მოვა და ყველას საჩუქრებს მოგვიტანს...

გიორგუნას ოცნება სამთვლიანი ველოსიპედი იყო, განა ბევრს ითხოვდა?!

ნაძვის ხე კი დიდი დადგეს, თვითონ მოიტანა ტყიდან. ძველი სათამაშოებითაც მორთეს და მოკაზმეს ბავშვებმა, მაგრამ... მის ძირში დასადები არაფერი ჰქონდა და ვერ მოისვენა, ისევ გადმოიღო გოდორი — სათავისოდ შენახული მოიკლო და სანახევროდ „მოპირა" უძიროდ ქცეული ჭურჭელი. ნინუცამ შავი დედალიც დაუჭირა: ძველდება, მაინც დასაკლავი იყოო...

ქალაქში ჩასულმა ხელიც უცებ დაიცალა, მაგრამ რა — სულ ტყუილად უტრიალა ველოსიპედების გამყიდველს, ყველაზე უბრალოსაც ვერ შესწვდა. გამოვიდა გარეთ გულდაწყვეტილი და იქვე, ტროტუარზე ჩამოჯდა. სწორედ მაშინ იყო, ვიღაც კაცმა რომ ჩაუარა. უამრავი ფუთა ეჭირა ხელში — ნავაჭრით დატვირთულიყო, ძლივს მოძრაობდა. უეცრად უკანა ჯიბიდან ტყავის საფულე ამოუვარდა და ფულით გაძეძგილი სწორედ ილოს ფეხებთან დავარდა გადაშლილი. იმ კაცს არც შეუმჩნევია. როგორც იქნა, მიაღწია იმ კაცმა ძვირფას ჯიპთან, ნავაჭრი უკანა სავარძელზე დაყარა და ის-ის იყო, საჭეს უნდა მისჯდომოდა, რომ ილო აყვირდა:

— ეი, კაცო, მოიცა, მოიცა! — საფულეს ხელი წამოავლო და მანქანისკენ უჩვეულო სიმკვირცხლით გაიქცა, საიდანაც გაოცებული უცქერდა მძღოლი და აშკარად მათხოვარი ეგონა. ჯიბეზე გაიკრა ხელი და იმ დროს ილომ საფულე დაანახვა:

— დაგივარდა, შვილო... ფრთხილად უნდა იყო, ათასი მამაძაღლი დადის ქუჩაში, განა ყველა დაგიბრუნებს...

— მართლაც, გასაოცარია! — მანქანიდან გადმოვიდა კაცი და ილოს საფულე გამოართვა. — აქ, ბიძაჩემო, 3.000 დოლარია... რომ წაგეღო, ალალად შეგერგებოდა — კი არ მოგიპარავს, იპოვე...

— რას ამბობ, შვილო, რა შემარგებდა, რომ იდარდებდი და გულს აიტკივებდი?!

კაცმა ქეჩო მოიქექა და თვალებში სითბო ჩაუდგა, აშკარად იგრძნო, რომ გული ჰქონია — საფულედან ასდოლარიანი ამოიღო და ხელში ჩაუდო:

— მამაშვილობამ, უარი არ მითხრა, საახალწლოდ, ჩემს სახელზე რამე იყიდე! — ჩაჯდა ჯიპში და წავიდა.

ილომ პირჯვარი გადაისახა და უფალს მადლობა შესწირა. მერე მაღაზიაში შებრუნდა და გამყიდველის დახმარებით, დოლარები ლარებად აქცია და გიორგუნას საოცნებო ველოსიპედიც უყიდა, თამუნიას — თოჯინა-ბარბი, ეკას კი — დათუნია. ცოლს შალის თავშალი და თბილი „ჩულქები" შეუძინა...

ვაჭრობას რომ მორჩა, იმ ასი დოლარიდან 2 რკინის ლარიანიღა დარჩა. ერთით ლატარიის ბილეთი იყიდა. გულის ჯიბეში რომ იდებდა, ორჯერ გაიმეორა: ჩემი იღბალი ჩემთანა, ჩემი იღბალი ჩემთანაო! ბაბუასგან ჰქონდა გაგონილი, — იღბალს უნდა მოეფერო და არ გაგექცევაო...

მეორე ლარიანი კი მათხოვრად დამდგარ დედაბერს ჩაუდო ხელში: ბედნიერ ახალ წელს მოესწარიო! — დალოცა გულით...

ნინუცამ მის ნავაჭრს რომ დახედა, გაიოცა:

— კაცო, იღბალმა ჩალა ოქროდ გიქცია?!

— იღბლიანი ვყოფილვარ, იღბლიანი, დიდება უფალს! — ზეცას ახედა ილომ.

სწორედ ისეთი ახალი წელი გაუთენა შვილიშვილებს, როგორსაც ნატრობდნენ... ილოს გულის ჯიბეში ჩაკეცილი ლატარიის ბილეთი სულ აღარ გახსენებია, შოთას რომ არ ეთქვა ძველ ახალ წელიწადს:

— ტელევიზორში თქვეს, თურმე ვიღაცას მანქანა მოუგია და პატრონი კი არ ჩანს...

ილოს ელდა ეცა და „საქალაქო კასტუმი" გადმოიღო, იქიდან ბილეთი ამოიღო და შვილს მიაწოდა...

მანქანა კი არა, მის ბილეთს მხოლოდ 100 ლარი რგებოდა, მაგრამ იმ დღიდან რომ გაუვარდა იღბლიანის სახელი, მესამე წელია, ასე ეძახიან, მიუხედავად იმისა, რომ ისევ ძველებურად დააბოტებს ქალაქსა და სოფელს შორის თავისი ძველი გოდრით... ■

ეროვნული ბიბლიოთეკა



# ტელევიზიის პირველი დიქტორი და იოსებ ნონეშვილის მუზა

**საქართველოში ტელევიზიის გახსნისას (1956 წელს), ერთ-ერთი პირველი, ვინც მაყურებლის წინაშე წარდგა, დიქტორი ალექსანდრა ლელუაშვილი-მაჭავარიანი გახლდათ. თურმე მშვენიერ და ენერგიულ დიქტორს დღეს უკვე ცნობილ ქართულ ფილმებში გადასაღებადაც ხშირად იწვევდნენ, მაგრამ მას მთავარი როლების შესრულებაზე უარი უთქვამს... ელგუჯა ამაშუკელი მარმარილოში მისი ბიუსტის გამოკვეთასაც აპირებდა, მაგრამ მოკრძალებული ქალბატონი არც ამ წინადადებას დათანხმდა... „შენ საქართველოს დედოფლობა დაგშვენდებოდა“ — ეს და კიდევ ბევრი სხვა კარგი ლექსი იოსებ ნონეშვილს სწორედ ალექსანდრა მაჭავარიანისათვის მიუძღვნია...**



*ეთო ყორღანაშვილი*

**— ქალბატონო ალექსანდრა, როცა საქართველოში პირველი ტელევიზია გაიხსნა და ეთერში გამოჩნდით, ალბათ პოპულარულიც ძალიან მალე გახდით. ხალხს, ქუჩაში, თქვენს დანახვაზე, როგორი რეაქცია ჰქონდა?**

— დაახლოებით ისეთი, როგორიც გაგარინის კოსმოსში გაფრენისას (*იცინის*). ქუჩაში ველარ გავდიოდი, ტაქსის მძღოლები მგზავრობის საფასურს არ მართმევდნენ... ერთხელ მაღაზიაში 2 ფლაკონი ფრანგული სუნამო მაჩუქეს. ყველგან დიდი სითბოთი და სიყვარულით მეპყრობოდნენ, ყვავილებს მიძღვნიდნენ, წერილებს მიგზავნიდნენ, რომლებშიც სიყვარულს მიხსნიდნენ. ერთმა კაცმა დამხატა კიდეც და ნამუშევარი გამომიგზავნა. თან, ლექსი და წერილი დაურთო. მწერდა: მხატვარი არა ვარ, მაგრამ თქვენმა სილამაზემ ხელში ფუნჯი ამაღებინაო (*იღიმის*)... ტელევიზიიდან სოჭშიც მგზავნიდნენ ხოლმე — შავი ზღვისპირეთის მცხოვრებთათვის გადაცემები მიმყავდა. მოგვიანებით, ავად გავხდი — ბოტკინი დამემართა... ამიტომ, მუშაობა უფროს რედაქტორად განვაგრძე, რადგან ტელეკამერების გამოსხივება ჯანმრთელობას გამიუარესებდა.

**— ტელევიზიაში რამდენი წელი იმსახურეთ?**

— 43. სამოქალაქო ომის პერიოდში, ტელევიზიაში საქმიანობა შეფერხდა. ხალხი უმუშევარი დარჩა და სამუშაოდ თავდაცვის სამინისტროში მიმიწვიეს. თან, 2 რედაქტორიც წავიყოლე...

**— თავდაცვის სამინისტროში რას საქმიანობდით?**

— პროვინციიდან ჩამოსულმა ჯარისკაცებმა რუსული არ იცოდნენ და სასწავლო კურსს ვერ გადიოდნენ. ამიტომ, 5 სამხედრო სახელმძღვანელო ქართულად გადავთარგმნეთ, რომლითაც სამხედრო აკადემიაში დღესაც სწავლობენ. იმ დროს ართრიტი დამემართა, რადგან შენობაში საშინლად ციოდა, „შუბებითა“ და პალტოებით ვისხედით. 3 წლის შემდეგ, ჯანმრთელობასთან დაკავშირებული პრობლემების გამო, სამსახური მივატოვე, თორემ ხელფასს არ ვუჩიოდი: ომის მერე, ტელევიზიის თანამშრომლების ხელფასი 12 მანეთი იყო, თავდაცვის სამინისტროში კი 70 მანეთს ვიღებდით და უფასოდ მგზავრობის წიგნაკიც გვქონდა.

**— ტელევიზიაში მუშაობა აღარ გაგიგრძელებიათ?**

— არა. უკვე პენსიის დროც მომივიდა, შვილიშვილი შემეძინა...

**— ახლანდელ ტელეგადაცემებს თვალყურს თუ ადევნებთ?**

— დილით „პირველ არხზე“ „სამოთხის ვაშლებს“ ვუყურებ ხოლმე. სამწუხაროდ, „პირველი არხი“ ისეთი კარგი აღარაა, როგორიც — წინათ. ადრე მაგ არხზე რამდენიმე რედაქცია გვქონდა: სამრეწველო, ახალგაზრდობის, საბავშვო, სახვითი ხელოვნების, „იავნანა“... ნებისმიერ რედაქციაში მუშაობა ძალიან საინტერესო და მრავალფეროვანი იყო! ხანდახან რაღაც კარგი ახლანდელ ქართულ ტელეარხებზეც გამოერევა ხოლმე, მაგრამ ძირითადად, უინტერესო გადაცემებია. ხშირად ვამბობ: ბრაზილიური, ვენესუელური თუ მექსიკური სერიალები რომ არ ყოფილიყო, ქართულ ტელევიზიებს რა ეშველებოდა-მეთქი? ფაქტობრივად, მათ ხარჯზე არიან.

**— მაგრამ, როცა საქართველოში პირველი ტელევიზია გაიხსნა, თავდაპირველად, არ იყო მრავალფეროვანი. მგონი, 1 კამერა გქონდათ... შეგიძლიათ, ის პერიოდი გაიხსენოთ?**

— ნამდვილად ასე იყო, მაგრამ ჩვენი გადაცემები მოსკოვში რომ ჩავიტანეთ, ძალიან მოეწონათ. მოსკოვის ტელევიზიის მთავარმა რედაქტორმა წერილიც კი გამოგვიგზავნა... ტელევიზიის გახსნის პირველ დღეს, ტელემაყურებლების წინაშე იოსებ გრიშაშვილი წარვადგინე. როცა გადაცემა დავამთავრეთ, პოეტმა მითხრა: — ცოტა თამამი უნდა იყოთო. ვუპასუხე: — თქვენს ლექსში არ ამბობთ, — „მორცხვობა ნიჭის ღვიძლი შვილია, ფუყე თავთავი თავს მაღლა სწევს, სავსე თავთავი თავდახრილია“-მეთქი? — მართალია, მაგრამ აქ სითამამე მაინც საჭიროაო... მეორე კურსის სტუდენტი ვიყავი, როცა გალაკტიონ ტაბიძეს 60 წლის იუბილე გადავუხადეთ. საღამოზე სიტყვით გამოვედი, მისი ლექსებიც წავიკითხე. გალაკტიონი მოვ-



აბიტურიენტი ვიყავი, როცა ერთ-ერთ შეხვედრაზე იოსებ ნონეშვილმა ლექსი წაიკითხა და თან, ჩემკენ გამოემართა

ეროვნული ბიბლიოთეკა



საკუთარი თავის ფასი მოგზაურობისას გავიგე

იდა და შუბლზე მაკოცა... აბიტურიენტი ვიყავი, როცა ერთ-ერთ შეხვედრაზე იოსებ ნონეშვილმა ლექსი წაიკითხა და თან, ჩემკენ გამოემართა. მთელი დარბაზი ინტერესით გვიყურებდა. პოეტმა ჩემს თანმხლებ გოგონას უსაყვედურა: — რატომ არ მითხარით, რომ ასეთი მეგობრები გყავთო? მერე წიგნიც მაჩუქა... ძალიან კეთილი კაცი იყო: ერთხელ მე და ნიკო ლეონიძე (*ტელეჟურნალისტი, შემდგომში — თსუ-ის ჟურნალისტიკის ფაკულტეტის ტელეჟურნალისტიკის კათედრის გამგე. — ავტ.*) ლატვიაში მივემგზავრებოდით — იქ „ყვავილების დღესასწაულზე" დაგვპატიჟეს. როცა ეს ამბავი იოსებ ნონეშვილმა შეიტყო, მითხრა: ჰონორარი ავიღე, რომელიც არ მჭირდება, თქვენ კი გზაში გამოგადგებათ, ძალიან გთხოვთ, მიიღეთო. რასაკვირველია, უარი ვუთხარი... მისი გარდაცვალების შემდეგ, მამია ხატელიშვილმა მკითხა: შურიკო, იოსებ ნონეშვილის იუბილეზე რატომ არ იყავიო? გამიკვირდა — იმდენ ხალხში ჩემი არყოფნა როგორ შენიშნე-მეთქი? მიპასუხა: — შენ იქ უნდა ყოფილიყავი, რადგან ყველა კარგი ლექსი შენთვის ჰქონდა მოძღვნილიო. მაგალითად: „შენ არა გაქვს მეფის გვარი, ფრთაფარფატა თოლია. მაშ, თვალები თამარ ქალის რატომ გამოგყოლია?" სხვათა შორის, იოსებ ნონეშვილი შეცდა: თურმე მეფე თეიმურაზ პირველს ქალიშვილი ლელა ჰყოლია. მისი შთამომავლები არიან — ლელაშვილები, ლელუაშვილები, ლელაძეები...

— **ტელევიზიაში თქვენი მუშაობის პერიოდზე საუბარს დავუბრუნდეთ...**

— ერთდროულად 3 „ფრონტზე ვიბრძოდი": სწავლა, სამსახური, ოჯახი. ფუნიკოლორთან ყველაზე ახლოს მე ვცხოვრობდი. ძირითადად, დილაობით ვმუშაობდი. ერთ დილას ქალაქში დენი გამოირთო. ტრამვაი გაჩერდა. არადა, სამსახურში მაგვიანდებოდა — 10 საათზე გადაცემა იწყებოდა. ფუნიკულორზე ფეხით ავედი. ტელევიზიაში მისულს, ლამის გული შემიწუხდა... ახლა რომ ამბობენ, — იმ დროს დენი ხშირად ირთვებოდაო, ტყუილია. იმ პერიოდში მსგავსი შემთხვევა აღარ ყოფილა.

— **დიქტორად მუშაობისას, მაღალი ჰონორარი გქონდათ?**

— საკმაოდ: პირველი კატეგორიის დიქტორი ვიყავი. ერთი სიტყვა რომ ჩამეწერა, 14 მანეთს მაძლევდნენ.

— **ჟურნალისტის პროფესია რატომ აირჩიეთ? როგორც მითხარით, მაშინ უნივერსიტეტში ჟურნალისტიკის განყოფილება არსებობდა და არა — ფაკულტეტი...**

— თავდაპირველად, სამხატვრო განათლების მიღება მინდოდა: ბავშვობაში უკეთესად ვხატავდი, ვიდრე — ახლა. ერთხელ სკოლაში თავისუფალი თემა — „სტალინის სახე მსოფლიო ლიტერატურაში" დავწერე. ჩემს პედაგოგ შალვა გიგაშვილს ისე მოეწონა, რომ თვალზე ცრემლიც კი მოადგა!..

— **სტალინის შესახებ ასეთი რა დაწერეთ?**

— თემის წერისას, მის შესახებ შეთხზული ყველა ლექსი გამოვიყენე. რადგან პედაგოგს ჩემი ნამუშევარი ძალიან მოეწონა, ჟურნალისტობა გადავწყვიტე. თან, ეს პროფესია მაშინ მოდური იყო. არჩევნით კმაყოფილი ვიყავი, მაგრამ მგონი, უკეთესი იქნებოდა, სამხატვრო აკადემია დამემთავრებინა: დიქტორთა წრეში შური და ბოლმა იყო... საკუთარი თავის ფასი მოგზაურობისას (ტელევიზიიდან სხვადასხვა ქვეყნის ქალაქებში მივლინებით მიშვებდნენ) გავიგე — იქაურ აუდიტორიას ძალიან მოვწონდი... სხვათა შორის, ტელევიზიაში მსახიობის მოვალეობასაც ვასრულებდი — ფილმები გამიხმოვანებია...

— **ამჟამად რას საქმიანობთ?**

— პენსიონერი ვარ. ვხატავ, ლექსებს ვწერ... ლექსები და მხატვრული კითხვა ბავშვობიდან მიყვარს. წინათ თამამი ვიყავი. რომ გავიზარდე, მორცხვი გავხდი. 10 წლისა ჩემს მეზობელ გოგონებთან ერთად, ოპერაში წავედი: საბალეტო სტუდიაში კონკურსი ტარდებოდა. მიმიღეს, მაგრამ შვედურ კედელთან დგომით და ვარჯიშით მალე დავიღალე — ცეკვა მინდოდა და ბალეტს თავი დავანებე... ქართული ხალხური ცეკვის წრეზე მე, ირმა ჩხეიძე (ჯანსულ ჩარკვიანის მეუღლე) და კიდევ რამდენიმე მეგობარი ერთად დავდიოდით (მიშა ბახტაძესთან). გიზო ბერაძე პარტნიორობას 4 ცეკვაში მიწევდა. კონცერტები მუშთაიდში გვქონდა. უბნის ბიჭები ყველას სცემდნენ, ვინც კი შინ გვიან მიმაცილებდა. ერთხელ სახლში გიზომაც მიმაცილა (*იცინის*). ჩემს სახლთან ბიჭების სხვადასხვა ჯგუფი მოდიოდა. ზოგი მათგანი გიტარის თანხლებით მიმღეროდა. ერთხელ დედაჩემი ბიჭებს ცოცხით გაუვარდა და ყველანი გარეკა. პიონერთა სასახლეში ხატვის, ლიტერატურის, სპორტული ტანვარჯიშის წრეზე დავდიოდი. სპორტულ ტანვარჯიშზე სიარულს დედა მიშლიდა, მაგრამ შინ მთელი „დელეგაცია" გვესტუმრა — ამ სფეროში დიდი მომავალი გაქვსო! ეგონათ, ამ საქმეს ბოლომდე გავყვებოდი, მაგრამ მერე მითხრეს, — ქალს ტანს უფუჭებსო. სკოლაში, დამამთავრებელ კლასში ვიყავი, როცა სპორტს თავი დავანებე — უნივერსიტეტში მისაღები

ლატვიაში „ყვავილების" დღესასწაულზე.
1959 წ. მარცხნივ – ალექსანდრა მაჭავარიანი



გამოცდებისათვის უნდა მოვმზადებულიყავი... როცა ტელევიზიაში დიქტორად მუშაობა დავიწყე, თანამშრომლებიდან ჟურნალისტური განათლება მხოლოდ მე მქონდა, სხვები პროფესიით მსახიობები იყვნენ...

— **ქალბატონო ალექსანდრა, დასასრულ, თქვენი შემოქმედებიდან რომელიმე ლექსს ხომ არ წაგვიკითხავთ?**

— სიამოვნებით:

*„თურმე სულ არ არის ჩემი გული/ ბრძოლებისათვის დაბადებული/ თურმე ის ვერ უძლებს განრისხებას/ ვერც სიბოროტეს, შურისგებას/ და თუ საჭიროა დიდებისათვის/ სულის მიყიდვა ეშმაკისათვის/ მაშ, სხვა შეამკეთ თქვენ გვირგვინებით/ მე სამუდამოდ გემშვიდობებით"...*

ეროვნული ბიბლიოთეკა



# საახალწლო „ნონსტოპი“

## თემურ ივანიძის კოლექციიდან

(შედგენილია რუბრიკა „ანტიდეპრესანტში“ გამოქვეყნებული მასალების მიხედვით)

* ერთხელ ქართლის მიმართულებით მიმავალმა ვახუშტი კოტეტიშვილმა გზად ერთი გლეხი ჩაისვა მანქანაში, რომელსაც თავ-პირი ჰქონდა დალილავებული. — რა დაგემართა?! — ჰკითხა ვახუშტიმ. — ქორწილში ვიყავი, თამადას ლექსი ვუთხარი და მცემეს, — უპასუხა გლეხმა. — მაინც რა ლექსი უთხარი ასეთი? — კარგი თამადა იყო, ერთთავად ფეხზე იდგა და სულ გრძელ-გრძელ სადღეგრძელოებს ამბობდა. ძალიან მომეწონა და ვუთხარი: „კარგი თამადა ყოფილხარ, ენით ბულბულსა ჰგავხარო, ნეტავი ჩემი ... იყო, ამდენ ხანს ფეხზე დგახარო!“

* „როცა სახეში ქარი მირტყამს, ცრემლდენა მეწყება, — ჰყვება გელა ჩარკვიანი, — 1994 წელს ელცინს ვაცილებდით აეროპორტში. ქარი ქროდა და ცრემლები ლაპალუპით მდიოდა. ელცინმა ყველას ჩამოართვა ხელი. ჩემამდე რომ მოვიდა, კარგად დამაკვირდა და მეუბნება: „ნიჩევო, ია ეშჩო პრიედუ!“

* როცა ვერაფრით გაარკვიეს თურქეთ-საბერძნეთის ომთან დაკავშირებით ჩეხოვის პოზიცია, პირდაპირ ჰკითხეს: ვინ უფრო გიყვართ, თურქები თუ ბერძნებიო? — მე მარმელადი მიყვარსო! — უპასუხა მწერალმა.

* ერთხელ პიკასომ პარიზის მერს მერიის შენობის ერთ-ერთი კედლის მოხატვა შესთავაზა. მერმა უარით გამოისტუმრა, უკაცრავად, ახლახან გავაკეთეთ რემონტიო.

* ბეთჰოვენმა უვერტიურაში „ლეონორა №3“ პირველად გამოიყენა საყვირი. ეს ინსტრუმენტი კულისებიდან ჟღერდა. თეატრში მომუშავე მეხანძრემ, რომელმაც ჩათვალა, რომ კულისებში შეპარულ ვიღაც ხულიგანს კონცერტის ჩაშლა სურდა, მუსიკოსს ხელიდან გამოჰგლიჯა ინსტრუმენტი და მართლაც კინაღამ ჩაშალა კონცერტი.



ბეთჰოვენმა უვერტიურაში „ლეონორა №3“ პირველად გამოიყენა საყვირი



ლონდრეს გადაღება მთლიანად კურიოზი იყო

* „ლონდრეს გადაღება მთლიანად კურიოზი იყო, — ჰყვება გივი ბერიკაშვილი, — დილა იწყებოდა რეჟისორის თანაშემწის ყვირილით: სადა ხართ?! დროა!.. ვიწყებთ!.. ჩაიცვით!.. ეროსი, ჩაიცვი! რამაზ, ჩაიცვი!... გივი, გაიხადე!..“

* გიორგი ჩართოლანს ერთ-ერთ თავის გადაცემაში მამა-შვილი, გელა და ირაკლი ჩარკვიანები ჰყავდა მიწვეული. გადაცემის დასასრულს გელა ჩარკვიანმა იხუმრა, ამ გადაცემის შემდეგ თბილისში ანეკდოტი გაჩნდება, „ქიმერიონში“ სამი სვანი იჯდა და შონბერგზე ლაპარაკობდაო.

* „ილიადის“ ხომალდთა „კატალოგი“ — ასეთი გახლდათ რისმაგ გორდეზიანის საკანდიდატო დისერტაციის თემა. დაცვის შემდეგ თამაზ კვაჭანტირაძემ ჰომეროსის სახელით ასეთი დეპეშა გაუგზავნა მას: „გამიკეთე ნომერი?! ჰომერი“.

* ანსამბლ „ვია-გრასთან“ ერთად ჩაწერილი კლიპის შემდეგ ვალერი მელაძეს მოსკოვში ასეთი ჩასტუშკა გამოუთქვეს: „ბილ მელაძე ხოტ კუდა, ნო სვაიო ბერუტ გადა, ი ტეპერ ონ, იზვინიტე, ბეზ ვიაგრი ნიკუდა!“

* „ვალმერთებ ფრანგულ შამპანურს სახელწოდებით „მუმ“, — ამბობდა ქეიფის მოყვარული ერთი ვაჭარი მწერალ გილიაროვსკისთან საუბარში. საქმე ისაა, რომ უგონოდ მთვრალი ვაჭარი ოფიციანტის კითხვაზე „კიდევ ხომ არ ინებებთ რამეს“, პასუხად ზმუილის გარდა ვერაფერს ახერხებდა, რის შემდეგაც ოფიციანტს ზემოთ ხსენებული შამპანურის მორიგი ბოთლი მოჰქონდა.

* ვახტანგოვის სახელობის თეატრში „ანა კარენინა“ დადგეს. სპექტაკლი ძალზე დიდხანს, 5 საათის განმავლობაში მიმდინარეობდა. პრემიერის ბოლოს ერთმა მოხუცმა ებრაელმა ჩასჩურჩულა გვერდით მჯდომ გრიგორი გორინს: „იცით, ცხოვრებაში ასე ძალიან არასდროს გამხარებია მატარებლის გამოჩენა“.



ანსამბლ „ვია-გრასთან“ ერთად ჩაწერილი კლიპის შემდეგ ვალერი მელაძეს მოსკოვში სასაცილო ჩასტუშკა გამოუთქვეს...

* კოსმოსში პირველი ძაღლის გაფრენას ხალხმა ასეთი „ჩასტუშკა“ მიუძღვნა: „და ჩევო დაშლა ნაუკა, ვ ნებესახ ლეტაეტ სუკა, პრასლავლიაია დო ნებეს, მატ ტვაიუ — კპსს“.

* როსინის თაყვანისმცემლებმა ხელმოწერა გამოაცხადეს, რათა კომპოზიტორისთვის ძეგლი დაედგათ. „მომეცით ეგ ფული და მე თვითონ დავდგები პიედესტალზე“, — იხვეწებოდა როსინი.

* ერთმა ოფიცერმა, გვარად კანდიბამ, პუშკინს სთხოვა, რითმა მოეფიქრებინა სიტყვებისთვის „რაკ ი რიბა“. „დურაკ კანდიბა“ — გარითმა პუშკინმა. „მაშინ „რიბა ი რაკ“, — არ ცხრებოდა ოფიცერი. — „კანდიბა დურაკ“, — არ დააყოვნა პასუხმა. ■

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ვის მეკვლეობაზე ოცნებობენ მოზარდები

## გასულ ახალ წელს ჩაფიქრებული, ახდენილი და აუხდენელი სურვილები

**სულ მალე ახალი, 2012 წლის შემობრძანებას აღვნიშნავთ და ალბათ, ბევრი ჩვენგანი სურვილებსაც ჩაიფიქრებს, მერე მთელ წელიწადს ამ სურვილების ასრულების იმედი გვექნება და თუკი „დრაკონი“ ოცნებას არ აგვიხდენს, მასზე გაბრაზებული, მომავალ წელს სხვა „ცხოველს“ ვთხოვთ მიზნის მიღწევაში დახმარებას... ხალხი იმედს მეკვლეებზეც ამყარებს და ამიტომაც, საგულდაგულოდ ეძებენ „კარგი ფეხის“ მქონე ადამიანს, რომელსაც ახალი წლის საღამოს შინ მიიპატიჟებენ, ჟრიამულით შეხვდებიან და კარგადაც უმასპინძლებენ...**

*ლიკა ქაჯაია*

**მარი,** *16 წლის:*

— სურვილი მაქვს, ჩემს ოჯახში მეკვლედ ნამდვილი თოვლის ბაბუა მოვიდეს. მისგან არაფერი მინდა, გარდა იმისა, რომ ჯადოსნურ სამყაროში წამიყვანოს და მანახვოს ის ქარხანა, სადაც სათამაშოებს ამზადებენ — ამაზე ბავშვობიდან ვოცნებობდი, მაგრამ სურვილი არა და არ ამიხდა. ყოველთვის მეგონა, თუ კარგად მოვიქცეოდი, თოვლის ბაბუ აუცილებლად მესტუმრებოდა, მაგრამ მიუხედავად იმისა, რომ მთელი წლის განმავლობაში არც დედას ვაბრაზებდი, არც — მამას და კარგადაც ვსწავლობდი, „თოვლის კაცმა“ წყალობის თვალით მაინც არ გადმომხედა...

**— გჯერა, რომ თოვლის ბაბუა არსებობს?**

— მინდა, მჯეროდეს! ჯერ კიდევ იმ ასაკში ვარ, როცა ზღაპრები უყვართ. მსურს, ბავშვობა დიდხანს გამყვეს...

**სალომე,** *18 წლის:*

— გამიხარდება, თუ ჩემი ოჯახის მეკვლე ბიძინა ივანიშვილი იქნება. მას აუცილებლად, „კარგი ფეხი“ ექნება.

**— მაინცდამაინც ბატონი ბიძინას მეკვლეობა რად გინდა?**

— რა ვიცი, იქნებ ამის შემდეგ ჩემმა ოჯახმაც იშოვოს ბევრი ფული...

**— ბევრი ფული რომ გქონდეს, რას იზამდი?**

— ოცნებებს ავიხდენდი: პირველ რიგში, მამას მანქანას ვუყიდდი, დედას — ლამაზ ავეჯს, ჩემთვის — ბევრ ტანსაცმელს; დებსაც ვაჩუქებდი გარკვეულ თანხას, დანარჩენ ფულს კი მშობლებს მივცემდი და ვთხოვდი, — ფულით ფული „გაეკეთებინათ“.

**ბექა,** *16 წლის:*

— პირადად მე, მეკვლედ ოთარ ტატიშვილს ვისურვებდი. ამ კაცს, რომელიც პროფესიით ექიმია, მსახიობობაც შეუძლია, დიჯეობაც, ერთდროულად რამდენიმე საქმის კარგად კეთებაც და როგორც გავიგე, ახლა პოლიტიკოსობასაც აპირებს. ჰოდა, თუკი ჩემი მეკვლე იქნება, ისევე, როგორც ოთარს, ჩემს ოჯახსაც აბსოლუტურად ყველაფერში გაუმართლებს.

**— შეიძლება, ვილაცას ყველაფერში უმართლებს, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ის აუცილებლად, ფეხბედნიერი იქნება...**

— საერთოდ, ასეთი რაღაცების არ მჯერა, მაგრამ ახალ წელს ძალაუნებურად, ცრუმორწმუნე ვხდები და მჯერა, რომ ყოველი დამდეგი წელი ჩემთვის და ჩემი ოჯახისთვის წარმატებული იქნება, მაგრამ როცა ის სურვილები არ მიხდება, რასაც ახალი წლის ვითომდა ჯადოსნურ ღამეს ჩავიფიქრებ, იმედები მიცრუვდება...

**— ასეთი რა სურვილი გაქვს?**

— ძალიან მინდა, მამაჩემმა კარიერაში წინსვლას მიაღწიოს და ისევ მშენებლობაზე კი არ იმუშაოს, არამედ თავისი პროფესიით დასაქმდეს; მსურს, დედამ ჩემთან მეგობრობა შეძლოს, მაგრამ ის, როგორც წესი, ისეთ რაღაცებზე მიბრაზდება, რაც ჩემი აზრით, გასაბრაზებელი სულაც არ არის; ვოცნებობ ფულით ან ოქროს ნივთებით სავსე ტომრის პოვნაზე, მაგრამ ასეთ განძს ვერსად მივაგენი...

**მარი მ:**

— მახსოვს, 2011 წლის შემობრძანებას სულმოუთქმელად ველოდი. რატომღაც, გული მიგრძნობდა, რომ ეს წელი სურვილებს ამისრულებდა და ასეც მოხდა!.. ვიდრე 12 საათი შესრულდებოდა, მაგიდის ქვეშ შევძვერი, შამპანურის ბოთლი მოვიმარჯვე და როცა საათის ისარი 12-ს მიუახლოვდა, ფუჟერში სასმელი ჩამოვასხი, შეყვარებულის ფოტოს „მივუჭახუნე“ და ვუსურვე, — მომავალ 2012-ს ჩემთან ერთად შეხვედროდე-მეთქი. მოხდა სასწაული: სულ რაღაც 2 თვეში მან ჩემს მშობლებს ქალიშვილის ანუ ჩემი ხელი სთხოვა და დავინიშნე, მერე დიდი ქორწილიც გადავიხადეთ. ახლა კი ფეხმძიმედ ვარ. გარდა საყვარელი ადამიანის გულის მონადირებისა, 2011-ს სხვა რაღაცებიც ვთხოვე და როგორც უნდა დაუჯერებლად მოგეჩვენოთ, ყველაფერი ამიხდა, გარდა ერთი სურვილისა: ჯერ ჩემი ოცნების ქალაქის, ნიცას დათვალიერება ვერ მოვახერხე, თუმცა ამის გამო ვერც ვუსაყვედურებ. იმედია, ჩემთვის 2012 წელიც იღბლიანი იქნება



**ვოცნებობ ფულით ან ოქროს ნივთებით სავსე ტომრის პოვნაზე, მაგრამ ასეთ განძს ვერსად მივაგენი...**

## თინეიჯერული პოვჭები

და თუ ნიცაში ვერ წავალ, ამაზე არ ვიდარდებ...

— **სურვილების ასრულების მეთოდი კი იპოვე, მაგრამ ვეჭვობ, ფეხმძიმემ მაგიდის ქვეშ შეძრომა შეძლო...**

— როგორი დიდი მუცელიც უნდა მქონდეს, ამას მაინც მოვახერხებ (*იცინის*)! ოღონდ ოცნებები ამიხდეს და მაგიდის ქვეშ შეძრომას რა უნდა?! მომაკვდავიც რომ ვიყო, ამას მაინც გავაკეთებ!..

— **ვინმეს მეკვლეობას ხომ არ ისურვებდი?**

— ახალი წლის ღამეს სიამოვნებით გავუღებდი კარს მსახიობ გოგა ბარბაქაძეს. ამ ადამიანზე ვაფანატებ და მჯერა, რომ ოჯახი, რომლის მეკვლეც ის იქნება, მთელ წელს სიცილსა და მხიარულებაში გაატარებს... მინდა, შემთხვევით ვისარგებლო და ყველას, განსაკუთრებით კი ჩემს ნათესავებსა და „სულით ნათესავებს“ — „გზის“ ფანებს ახალი წლის დადგომა მივულოცო. დაე, სიხარული არ მოგკლებოდეთ!

> თოვლის ბაბუმ მხოლოდ ერთხელ, 2001 წელს ამისრულა ნატვრა და შინ მესტუმრა, ბევრი შოკოლადი, ველოსიპედი მომიტანა.

**ნანა,** *18 წლის:*

— 2011 წელს ოცნება ამიხდა — მამამ, როგორც იქნა, მანქანა მიყიდა. მართალია, ჯერ მართვის მოწმობა არ მაქვს, მაგრამ იმედია, „პრავის“ აღებას 2012-ში შევძლებ.

— **რაიმე საახალწლო ტრადიცია ხომ არ გაქვს?**

— მე და ჩემი მეგობრები ყოველ ახალ წელს ვიკრიბებით, მთაწმინდაზე ფეხით ავდივართ და ერთმანეთს საახალწლო სურვილებს იქ ვუმხელთ. თუ იმ წელს ვინმეს სურვილი აუსრულდება, მომავალ ახალ წელს მას წლის პრინცესად ან პრინცად ვასახელებთ და მთელი წელი ვცდილობთ, პატივისცემაში გვყავდეს (*იცინის*).

— **ანუ 2012-ში მეგობრების პრინცესა შენ იქნები?**

— ასეა! ისე, 2011 წელი ბევრი ჩემი მეგობრისთვის იყო იღბლიანი. მაგალითად, ჩემს ერთ-ერთ დაქალს დედის ნახვა ელირსა — ის ქალი წლების წინ, საბერძნეთში სამუშაოდ წავიდა და ვერ ჩამოდიოდა, რადგან ოჯახს მატერიალურად ძალიან უჭირდა, ახლა კი „ზურგი გაიმაგრეს“ და დარეჯან დეიდა ოჯახს დაუბრუნდა, რამაც არა მარტო ჩემი მეგობარი, არამედ ჩვენც ძალიან გაგვახარა. მოკლედ, ვფიქრობ, რომ 2012 წლის პრინცესობას ჩემი დაქალი უფრო იმსახურებს; მას უფრო მაგარი ოცნება აუხდა — აბა, სად მანქანის ყიდვა და სად დედის დაბრუნება?..

— **ვინმეს მეკვლეობაზე ხომ არ ოცნებობ?**

— წლების წინ ანრი ჯოხაძის მეკვლეობაზე ვოცნებობდი, ახლა კი ძალიან გამიხარდება, თუ ჩემს ოჯახს ბერა „უფეხებს“; არა იმიტომ, რომ მამამისს ბევრი ფული აქვს, არამედ იმიტომ, რომ მას, როგორც რეპერს და პატრიოტს, დიდ პატივს ვცემ.

**გიო, 19 წლის:**

— ახალი წლის ჯადოსნურობის არ მჯერა — ამ დღეს ჩაფიქრებული სურვილები არასდროს მიხდება. თოვლის ბაბუმ მხოლოდ ერთხელ, 2001 წელს ამისრულა ნატვრა და შინ მესტუმრა, ბევრი შოკოლადი, ველოსიპედი მომიტანა.

— **ახლა რაზე ოცნებობ?**

— ძალიან მინდა, იმ გოგოს მშობლებს, რომელზეც ვგიჟდები, თავი მოვაწონო, მათ ოჯახში სიძედ შევიდე და კიდევ, კარგი სამსახური ვიშოვო. მგონი, ამ ცხოვრებისგან ბევრს არაფერს ვითხოვ.

— **ამ ცხოვრებისგან — არა, მაგრამ შეიძლება, შეყვარებულის მშობლები მიიჩნევენ, რომ მათგან ბევრს ითხოვ...**

— რატომ? გარეგნულად ვერ დამიწუნებენ და თუ მხოლოდ იმიტომ მკრავენ ხელს, რომ მათ შვილს ფუფუნებაში ვერ ვაცხოვრებ, არ ვიცი...

— **იქნებ, მომავალ სიდედრ-სიმამრს მოსწონხარ კიდეც...**

— (*მაწყვეტინებს*) შესაძლებელია, მაგრამ ვიცი, მაინც დამიწუნებენ, რადგან ისინი მატერიალურად ძლიერები არიან, ჩემი ოჯახი კი




> მიხარია, საახალწლოდ თბილისს ასე რომ ალამაზებენ, მაგრამ სამწუხაროდ, სოფლებისა თუ რაიონების ქუჩებში ასეთი საზეიმო განწყობილება არ იგრძნობა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამ მხრივ მოიკოჭლებს... როგორც ნინი მეუბნება, დედა აფრთხილებს: უნიფხვოს არავის გადაეკიდო, თორემ დაგკარგავთო. ჰოდა, სწორედ ეს სიტყვები მაშინებს... მეკვლედ იცი, ვის ვისურვებდი? — ნინის მამას.

— **რატომ მაინცდამაინც მას?**

— თუ ის ჩემი ოჯახის მეკვლეობას იკისრებდა, ე.ი. ჩემებთან დანათესავებაზეც არ იტყოდა უარს...

— **წარმატებებს და ოცნებების ასრულებას გისურვებ!**

— გმადლობ!

**ნანკა,** *16 წლის:*

— ახალი წლის მოახლოება ძალიან მახარებს, მაგრამ არ მომწონს, თოვლი რომ არ მოდის. აბა, ამ დღესასწაულს თოვლის გარეშე რა მუღამი აქვს? სხვების არ ვიცი, მაგრამ პირადად მე, ნაძვის ხე უკვე მოვრთე და ფუმფულა დრაკონიც ვიყიდე, რომელსაც ყულაბა მოჰყვება — მასში ფულს თუ ჩააგდებ, ცეცხლოვანი დრაკონი სიმღერას იწყებს (*იღიმის*).

— ***თოვლის ბაბუს არსებობის გჯერა?***

— მჯერა იმიტომ, რომ მინდა, მჯეროდეს. ვიცი, ჩემთვის საჩუქრებს ვიღაც ბაბუა კი არა, ყოველთვის მშობლები ყიდულობდნენ, მაგრამ ამას არასდროს ვიმჩნევდი. აბა, რა მნიშვნელობა აქვს, ოცნებას ვინ ამისრულებს?!

— **ახალ წელს რომ სურვილები უნდა ჩაუთქვა, ეს იცი?**

— რა თქმა უნდა, ვიცი, მაგრამ ეს ცრურწმენაა. ბევრჯერ ჩავუთქვი, მაგრამ არაფერი შემისრულდა... თუმცა, ბედს მაინც ვცდი და ამჯერად დრაკონს ვთხოვ, ოცნება ამიხდინოს.

— **საინტერესოა, მას რას სთხოვ?**

— ძალიან მინდა, მშობლებმა ბევრი ფული იშოვონ და კომპიუტერი მიყიდონ. იმედია, ეს ოცნება 2012-ში მაინც ამიხდება.

**ქეთო,** *17 წლის:*

— მიხარია, საახალწლოდ თბილისს ასე რომ ალამაზებენ, მაგრამ სამწუხაროდ, სოფლებისა თუ რაიონების ქუჩებში ასეთი საზეიმო განწყობილება არ იგრძნობა; იქაურობა თითქოს, გასულ საუკუნეში ჩარჩა, მხოლოდ თბილისმა გაუსწრო დროს და გაჩახჩახდა...

— **ახალ წელს რას ისურვებ?**

— ძალიან მინდა, უნივერსიტეტში მაღალი ქულებით ჩავაბარო, რათა მშობლებს ჩემს სწავლაში ფულის გადახდა არ დასჭირდეთ — ალბათ, პირველ რიგში, 12 საათზე სწორედ ამ სურვილს ჩავიფიქრებ.

— **ბევრი ნატრობს, ახალ წელს შეყვარებულთან ან საუკეთესო მეგობართან ერთად შეხვედრას...**

— მე ახალ წელს სწორედ ჩემთვის უძვირფასეს ადამიანებთან, დაქალებთან ერთად შევეგებები. სამწუხაროდ, შეყვარებული არ მყავს და ალბათ, 2012-ს იმასაც ვთხოვ, რომ ვინმე შემაყვაროს.

— **მეკვლედ ვის ისურვებდი?**

— კახი კალაძეს. კიდევ, მაია ასათიანი მომწონს და მასაც სიამოვნებით გავუმასპინძლდებოდი. სხვათა შორის, როცა პატარა ვიყავი, თოვლის ბაბუა სურვილებს მისრულებდა — ბალიშის ქვეშ ყოველთვის მხვდებოდა საყვარელი ტკბილეული, კართან კი საჩუქრებსაც მიტოვებდა. სამწუხაროდ, მას მერე, რაც გავიზარდე, აღარ მწყალობს. იმედია, „დრაკონი" შეძლებს, მას წვერში პირს ჩაავლებს, ჩემამდე მოიყვანს და ორივე ერთად, ჩემი ოცნებების ახდენაზე იზრუნებს... „დრაკონს" წინასწარ ვუხდი მადლობას, ქართველ ხალხს კი ყველა კეთილი ზღაპრის ასრულებას ვუსურვებ!

*P.S. თუ გსურთ გაგვიმხილოთ თქვენი საახალწლო სურვილები, ვინ სად და როგორ ატარებთ ახალი წლის დღესასწაულს, რას მისწერდით თოვლის ბაბუას და რას ელოდებით 2012 წლისგან, დაგვიმესიჯეთ ტელეფონის ნომერზე: 5(58). 25.60.81 ან მოგვწერეთ ელ.ფოსტაზე:* lika.qajaia@gmail.com

## „პატარა გოგონები მომწონს"

**ნიკა,** *20 წლის:*

„თქვენი რჩევა ძალიან მჭირდება. ალბათ, გაგეცინებათ, მაგრამ ასაკით პატარა გოგონები მომწონს. ამას წინათ 14 წლის მოზარდი შემიყვარდა, მაგრამ მან მითხრა, — ჩემზე ბევრად დიდი ხარო და მხოლოდ და მხოლოდ ასაკის გამო, ჩემთან ურთიერთობაზე უარი თქვა. მირჩიეთ, როგორ მოვიქცე?"

## „ის ქმრის მიტოვებას და საცხოვრებლად მასთან გადასვლა მთავაზობს"

**უცნობი:**

„რჩევას სხვას ვაძლევდი, მაგრამ ახლა დახმარება თავად მჭირდება. ისეთი აფორიაქებული ვარ, ვერ ვაზროვნებ. შევეცდები, სათქმელი მოკლედ ვთქვა: გუკა 8 მარტს, დაქალის სახლში გავიცანი (ის ჩემი მეგობრის შეყვარებულთან ერთად მოვიდა). ჩვენ ერთმანეთი დანახვისთანავე მოგვეწონა, მაგრამ ახლანდელი ბიჭების ამბავი ხომ იცით, გოგოს გამო თავს დიდად რომ არ იწუხებენ და გუკაც ისე იქცეოდა, თითქოს, არ ვაინტერესებდი... რამდენიმე თვე „ოდნოთი" ვკონტაქტობდით, მერე — ტელეფონითაც, შემდეგ კი დაიკარგა, დამივიწყა, რასაც ძალიან განვიცდიდი. ძალიან მიყვარდა, მაგრამ თავმოყვარეობამ არ მომცა უფლება, შევხმიანებოდი. ჰოდა, „ცხელ გულზე" გავთხოვდი. მეგონა, მის დავიწყებას შევძლებდი, მაგრამ... რამდენიმე დღის წინ გუკამ მესიჯი მომწერა და მითხრა: მიყვარხარო. მიძინებულმა გრძნობამ იმწამსვე, ახალი ძალით იფეთქა, თუმცა... ვუთხარი, — გავთხოვდი-მეთქი, მას კი ამის დაჯერება გაუჭირდა, ეს ამბავი ძალიან განიცადა, შემდეგ კი ქმრის მიტოვება და საცხოვრებლად მასთან გადასვლა შემომთავაზა. ვერაფერი ვუპასუხე... ვიცი, მისი წინადადება რომ მივიღო, ჩემი ოჯახი ამ საქციელს არ მაპატიებს (მით უმეტეს, რომ ახალი გათხოვილი ვარ), ვერ გამიგებენ. ძალიან გთხოვთ, მირჩიეთ რამე. ისე ვნერვიულობ, შეიძლება, ჭკუიდან შევიშალო. ლიკა, ჩემი ბედი მგზავნელების ხელშია და იმედია, ამ მესიჯს დამიბეჭდავ".

***P.S. მაშ ასე, თუ ნიკასა და უცნობის წერილების წაკითხვის შემდეგ მათთან დაკონტაქტების სურვილი გაგიჩნდებათ, დაგვიმესიჯეთ ტელეფონის ნომერზე: 5.58. 25.60.81. მათ თქვენი დახმარების იმედი აქვთ.***

ეროვნული ბიბლიოთეკა





# „კონტრაბანდისტი მემიშოლლი“ და ციხის მედდის თავდადება

**1938 წლის ნოემბერში, როდესაც თურქეთის რესპუბლიკის დამაარსებელი და პირველი პრეზიდენტი — მუსტაფა ქემალ ათათურქი გარდაიცვალა, მოსკოვსა და ანკარას შორის ურთიერთობები მკვეთრად გამწვავდა. არადა, ადრე თურქეთი და საბჭოთა კავშირი მოკავშირეებად მიიჩნეოდნენ და ვერავინ წარმოიდგენდა, თუ ოდესმე ერთიმეორეს დაუპირისპირდებოდნენ. მოსკოვთან ურთიერთობების გართულებით ოფიციალური ანკარა დაინტერესებული არ ყოფილა და თურქი დიპლომატები ამას საერთაშორისო ტრიბუნაზეც ღიად აცხადებდნენ. ამავდროულად, კრემლში სწორედ იმ დროს მოხდა ხელისუფლებიდან ე.წ. „ლენინისტების“ ჩამოცილება და „სტალინისტთა“ გაბატონება. როგორც ცნობილია, ამ პროცესმა 1937 წელს ძველი პარტიული ელიტის წარმომადგენელთა უდიდესი ნაწილი შეიწირა და სტალინმაც თამამად დაიწყო თავისი გეგმების განხორციელება.**

მიხეილ ლაბაძე

მას შემდეგ, რაც სტალინმა ძალაუფლება ხელთ იგდო და მოწინააღმდეგეთა განადგურებას შეუდგა, თურქეთში ქემალ ათათურქის ჯანმრთელობა მკვეთრად გაუარესდა. ექიმებმა ციროზის დიაგნოზი დაუსვეს და ანტითურქული ისტერიაც დაიწყო — ჯერ თურქეთთან საზღვარი ჩაიკეტა, მერე კი კრემლში ტერიტორიულ პრეტენზიებზეც ალაპარაკდნენ: მოსკოვმა ანკარისაგან ის მიწები მოითხოვა, რომლებიც 1917 წლამდე (ბრესტ-ლიტოვსკის ზავის დადებამდე) რუსეთის იმპერიას ეკუთვნოდა. ცხადია, ეს იყო ისტორიული ქართული და სომხური ტერიტორიები.



რიაზანის განსაკუთრებული ციხე

თურქეთთან საზღვრის ჩაკეტვა და კონტროლის გამკაცრება, როგორც წესი, ორ ქვეყანას შორის ომის დაწყების ერთგვარი წინა პირობა იყო. ანკარაში ეშინოდათ „რუსების შემოსევისა“ და ცდილობდნენ, სასწრაფოდ ეპოვათ ისეთი მოკავშირე, რომლის რიდით რუსები „ისტორიულ ტერიტორიებს“ დასჯერდებოდნენ და შავი ზღვის სრუტეების კონტროლს არ მოინდომებდნენ. თურქი დიპლომატები მიიჩნევდნენ, რომ ასეთი ეფექტური მოწინააღმდეგე შესაძლოა, ბრიტანეთის იმპერია ყოფილიყო და ლონდონისკენ ჰქონდათ მზერა მიპყრობილი. თავის მხრივ, ლონდონს სტალინიც უწევდა ანგარიშს და 1939 წლის სექტემბრამდე (მსოფლიო ომის დაწყებამდე) თურქეთის წინააღმდეგ აშკარა ქმედებას მაინც ერიდებოდა. 1939 წლის აგვისტოში მოლოტოვ-რიბენტროპის შეთანხმება სწორედ იმიტომ დაიდო, რომ სტალინს თურქეთთან დაკავშირებით გეგმები სისრულეში მოეყვანა.

ჯერ მსოფლიო ომის დაწყებამ, მერე კი გერმანული არმიის საბჭოთა კავშირში შეჭრამ კრემლის მესვეურებს ყველა გეგმა შეაცვლევინა, თანაც ერთი ხელის დაკვრით. თურქეთში შესაჭრელად მზადმყოფი ჯარები ბელორუსიასა და უკრაინაში გადაისროლეს, ხოლო საზღვარზე უშიშროების ძალები ჩააყენეს. ამ დროიდანვე დაიწყო იმ საზღვრისპირა მცხოვრებთა დაკავება (ან მათზე თვალთვალის დაწესება), ვისაც თურქეთში ნათესავები ჰყავდათ ან ამ ქვეყანასთან რაიმე კავშირი ჰქონდათ. მაგალითად, 1939 წლის შემოდგომაზე ბათუმში სოფ. სარფში მცხოვრები რამდენიმე პიროვნება დააკავეს და „ანტისაბჭოთა კომიტეტების ჩამოყალიბებისა და უცხოეთის დაზვერვასთან თანამშრომლობის“ ყალბი ბრალდებით გაასამართლეს. ამასთან, როგორც შემდგომში გამოირკვა, დაკავებულთა ერთადერთი „დანაშაული“ საზღვრისპირას ცხოვრება და თურქეთში ნათესავების ყოლა იყო. დაკავებულთა დიდი ნაწილი „ჩეკისტებმა“ სასამართლოს შემდეგ ბათუმის გარეუბანში, ჭოროხის ხიდთან დახვრიტეს და გვამები პირდაპირ ზღვაში გადაყარეს.

ამ ყველაფრის პარალელურად, მსოფლიო ომის დასაწყისიდანვე, თურქეთში საბჭოთა და გერმანული სპეცსამსახურები ყველაზე მკვეთრად დაუპირისპირდნენ ერთიმეორეს. გერმანულ სპეცსამსახურთა პოზიციები ამ ქვეყანაში ძლიერი იყო, მაგრამ არც საბჭოთა მზვერავები იყვნენ ჯაბანნი — XX საუკუნის 20-იანი წლებიდან 30-იან წლებამდე, მათ თურქეთში საკმაოდ გავლენიანი და ყოვლისმომცველი ჯაშუშური ქსელი შექმნეს. „ჩეკამ“ თავისი აგენტურა უმეტესად იქ ჩანერგა, სადაც თურქეთის სახელმწიფოს ყველაზე ნაკლები მხარდაჭერა ჰქონდა — ისტორიულ ქართულ მიწებზე.

ამის საპირწონედ, გერმანულმა დაზვერვამაც სწრაფად გადადგა შემხვედრი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნაბიჯები — მისმა მესვეურებმა ისტორიულ ქართულ მიწებზე და თურქეთის დიდ ქალაქებში მცხოვრები ის პირები გადაიბირეს, ვისაც ჯერ კიდევ მსოფლიო ომის დროს, ოსმალეთის არმიის შემადგენლობაში მებრძოლ „ქართულ ლეგიონსა“ და „საქართველოს დამოუკიდებლობის ლაზეთის კომიტეტთან“ ჰქონდა კავშირი. საქმეში ევროპის იმჟამინდელი ქართული ემიგრაციის წარმომადგენლებიც ჩართეს.

თურქეთში ადგილობრივ ქართველთა მძლავრი ანტისაბჭოთა დაჯგუფების არსებობითა და მოქმედებით გერმანია დიდად დაინტერესებული იყო — ბერლინელი ანალიტიკოსები მიიჩნევდნენ, რომ კავკასიის გარდა, საჭირო იყო, ქართული ანტისაბჭოთა, პროგერმანული დაჯგუფებები შექმნილიყო იმ ქართულ მიწებზეც, რომლებიც თურქეთის შემადგენლობაში შედიოდა. ჰიტლერელებმა თურქეთის ქართველები ვერ აიყოლიეს — ჯერ ერთი, ეს ხალხი პოლიტიკურ აქტიურობას თავს არიდებდა, რადგანაც საბჭოთა ჯარების შემოსვლას დღე-დღეზე ელოდა და ცხადია, არ სურდა, რეპრესიების მსხვერპლი გამხდარიყო და მეორეც — ქართული ემიგრაცია ჰიტლერს არ თანაუგრძნობდა და შესაბამისად, თურქეთის ქართველობაც ამ საკითხში მათ განწყობილებას იზიარებდა.

თურქეთის ქართულ მიწებზე მაინც აღმოჩნდნენ ისეთები, ვინც ჰიტლერელებთან თანამშრომლობა საქართველოს საკეთილდღეოდ დროებით მაინც, დასაშვებად მიიჩნია — გერმანიის იმჟამინდელი ქართული სათვისტომოს (ეს სათვისტომო ჰიტლერელებთან თანამშრომლობაზე უარს არ ამბობდა) წარდგინებით, გერმანული დაზვერვა დაუკავშირდა ერთ მეტად გავლენიან პირს — საკანონმდებლო კრების ყოფილ დეპუტატს, იმხანად სტამბოლში მცხოვრებ ლაზს, მეჰმედ ნეჯათ-ბეი მემიშოღლის.

მეჰმედ ნეჯათ-ბეის მამა, ნეჯათ-ბეი უფროსი წარმომავლობით სარფიდან იყო, მაგრამ 1908 წელს იძულებული გახდა, ოსმალეთში წასულიყო, რადგან 1905-1907 წლების რევოლუციის ჩახშობის შემდეგ, ჟანდარმერიამ „საშიში დამნაშავეების სიაში“ შეიყვანა და წითელი ცირკულარით დაუწყო ძებნა. სწორედ ამის შემდეგ აღმოჩნდა 8 წლის მეჰმედ ნეჯათ-ბეი ოსმალეთის სატახტო ქალაქში, სადაც მიიღო დაწყებითი განათლება, მერე კი სწავლა საფრანგეთში, სორბონის უნივერსიტეტში განაგრძო და ქართველ ემიგრანტებსაც იქ დაუახლოვდა. ამავე პერიოდში — XX ს-ის 20-იანი წლების ბოლოს, უფროსი ნეჯათ-ბეი მემიშოღლი ათათურქის მოწინააღმდეგეთა ბანაკში აღმოჩნდა და შეთქმულებაშიც მიიღო მონაწილეობა. ეს შეთქმულება თურქულმა უშიშროებამ 1929 წელს გახსნა და მისი ყველა მონაწილე დააკავა.



ჭლექისაგან გატანჯული მეჰმედ ნეჯათ-ბეი. სურათი დახატულია მის სიკვდილამდე რამდენიმე დღით ადრე, ერთ-ერთი გადასახლებულის მიერ

მეჰმედ ნეჯათ-ბეი მემიშოღლი საფრანგეთიდან თურქეთში 1938 წელს დაბრუნდა, როცა მამამისი ათათურქის მემკვიდრემ — ისმეთ ინენიუმ ციხიდან გაუშვა და ყველა უფლება აღუდგინა. მომდევნო წელს, საფრანგეთიდან ახლად დაბრუნებულმა მეჰმედ ნეჯათ-ბეიმ თურქეთის საკანონმდებლო კრებაშიც იყარა კენჭი და ლაზისტანის მხრიდან მაჟორიტარი დეპუტატი გახდა. თუმცა, 1941 წელს, დეპუტატის მანდატზე, პროტესტის ნიშნად, თავადვე უარი თქვა — იგი თურქეთის საპარლამენტო რესპუბლიკად ტრანსფორმირებას უჭერდა მხარს და პრეზიდენტის უფლებების შეკვეცას ითხოვდა.

ბუნებრივია, რომ ამგვარი მეამბოხური ბუნების ადამიანს გერმანელები არამც და არამც უყურადღებოდ არ დატოვებდნენ. მით უმეტეს, მეჰმედ ნეჯათ-ბეის მჭიდრო კავშირები ჰქონდა გერმანიის ქართული სათვისტომოს ხელმძღვანელ მიხეილ ალშიბაიასთან (იმხანად უფრო ცნობილი იყო, როგორც გრაფი ფონ ალშიბაია), ამიტომ დივერსიული ჯგუფის ხელმძღვანელად მის კანდიდატურას ალტერნატივა არ ჰქონდა.

თავის მხრივ, მეჰმედ ნეჯათ-ბეი პატრიოტი იყო და ფიქრობდა, რომ ჰიტლერთან თანამშრომლობის მეშვეობით საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენა და იქიდან რუსთა განდევნა ადვილად შესაძლებელი იყო. ასე ფიქრობდნენ ის ქართველებიც, რომლებიც გერმანიის სათვისტომოში იყვნენ გაერთიანებული. საბოლოოდ, 1941 წლის შუახანებში, როდესაც გერმანული არმია საბჭოთა კავშირში შეიჭრა, ხოლო ჩრდილო კავკასიაში — ჩეჩნეთ-ინგუშეთში, ჰასან ისრაილოვ-ტერლოევისა და იდი ალხასტოვის მეთაურობით ფართომასშტაბიანი აჯანყება დაიწყო, ბერლინში მიიღეს საგანგებო დადგენილება: მეჰმედ ნეჯათ-ბეი მემიშოღლი, თანამოაზრეთა ჯგუფთან ერთად საქართველოში უნდა გადასულიყო და კონტაქტი დაემყარებინა თბილისსა და რეგიონებში გაბნეულ ნაციონალისტურ დაჯგუფებებთან, მერე კი ჩეჩნებსა და ინგუშებს დაჰკავშირებოდა.

აღსანიშნავია ისიც, რომ საქართველოში გადასვლამდე კარგა ხნით ადრე, მეჰმედ ნეჯათ-ბეიმ სარფში ნათესავებ-



ელენა ვასილჩენკო და მეჰმედ ნეჯათ-ბეი მემიშოღლი მაგადანში

თან და მამამისის ძველ ახლობლებთან კავშირი აღადგინა და გავლენიან მფარველთა წყალობით, საზღვრის ორივე მხარეს მოქმედ კონტრაბანდისტებსაც, თანამედროვე გამოთქმა რომ გამოვიყენოთ, „წილში ჩაუჯდა“. კონტრაბანდისტებთან ის საკუთარი სახელითა და გვარით ურთიერთობდა და არა — ფსევდონიმით, რამდენადაც მემიშოღლები (ლაზური ფორმით — მემიშიშები) ძველთაგანვე ერთ-ერთი მრავალრიცხოვანი და გავლენიანი გვარი იყო ლაზეთში. სწორედ ამის გამო, მეჰმედ ნეჯათ-ბეის პერსონით საბჭოთა სპეცსამსახურები მალევე დაინტერესდნენ, რამაც დააჩქარა კიდეც მისი ჩავარდნა.

1941 წლის 25 დეკემბერს, დილის 5 საათზე, საბჭოთა კავშირ-თურქეთის საზღვარი სოფ. სარფის ტერიტორიაზე კონტრაბანდისტად გადაცმულმა სამმა პირმა გადმოკვეთა. სამეულს მეჰმედ ნეჯათ-ბეი მეთაურობდა. „კონტრაბანდისტებმა“ უცებ გადაირბინეს ნეიტრალური ზონა და მავთულხლართების ქვეშ ისე გაძვრნენ, რომ საგანგაშო სიგნალი არ ჩართულა. მეჰმედ ნეჯათ-ბეი ვერც წარმოიდგენდა, რომ საბჭოთა უშიშროებამ მათი გადმოსვლის შესახებ ყველაფერი წინასწარვე იცოდა და სათანადოდაც იყო მომზადებული. ომიანობის გამო, სარფის საგუშაგოს მესაზღვრეთა რაზმი ადგილობრივ

ეროვნული ბიბლიოთეკა

მცხოვრებთაგან შედგებოდა. ისინი კი ადრევე გაფრთხილებულნი იყვნენ, „კონტრაბანდისტებისთვის“ ხელი არ შეეშალათ და საბჭოთა ტერიტორიის სიღრმეში შეეტყუებინათ ყველანი. შესაბამისად, სამეულმა — მეჰმედ ნეჯათ-ბეი მემიშოღლიმ, შეფიკ-ალა კოინჯოღლიმ



ელენა ვასილჩენკო მაგადანში ყოფნისას. სურათი დახატულია ერთ-ერთი გადასახლებულის მიერ

და იბრაჰიმ კოსტოღლიმ შეუფერხებლად იარა კვარიათამდე. იმხანად სარფი-ბათუმის დამაკავშირებელი გზა ზღვისპირას კი არა, მთებზე გადადიოდა; უშიშროების მუშაკთა რაზმი თურქეთიდან გადმოსულებს კვარიათში, იმ ადგილას ელოდა, რომელსაც „დალი სირთი“ ეწოდება. იქ გზა ორად იყოფა: ერთი ბათუმისკენ მიდის, მეორე კი კირნათ-მარადიდისკენ. უშიშროებას ორივე გზა გადაკეტილი ჰქონდა, მაგრამ „კონტრაბანდისტებმა“ ცხადია, ეს არ იცოდნენ.

უშიშროების რაზმელთა ჩასაფრების ადგილი მემიშოღლიმ და მისმა მომხრეებმა ძლიერი ნისლის გამო ვერ შენიშნეს და ჯვარედინ ცეცხლში მოექცნენ — პირველივე ტყვიამ შეიწირა იბრაჰიმ კოსტოღლი; შეფიკ-ალა კოინჯოღლი ყელში მძიმედ დაიჭრა, ხოლო თავად მეჰმედ ნეჯათ-ბეის ტყვიამ წვივში გაუარა. მიუხედავად ამისა, გაქცევა მაინც შეძლო და ამხანაგიც გადაარჩინა: მემიშოღლიმ დაჭრილი კოინჯოღლი ზურგზე მოიკიდა და კირნათ-მარადიდისკენ სროლით გაიკაფა გზა.

იმავე საღამოს, თურქეთიდან გადმოსულებმა სოფ. მახოში ერთ-ერთ ადგილობრივ მცხოვრებს — ბესიმ გენჯალოღლის (ჭანიძეს) მიაკითხეს. ეს უკანასკნელი ძველი აბრაგი იყო და ორივეს კარგად იცნობდა. „თავშესაფარზე უარს არ გეტყვით, მაგრამ იცოდეთ, რომ ახლა სხვა დროა და „ჩეკა“ ძველ „ოხრანკაზე“ უკეთესად მუშაობს!“ — უთხრა ბესიმ გენჯალოღლიმ მეჰმედ ნეჯათ-ბეი მემიშოღლის. მართლაც, მეორე დილითვე, გენჯალოღლის სახლს უშიშროების რაზმმა ალყა შემოარტყა.

რამდენადაც მასპინძელს ოჯახში ბავშვები ჰყავდა, მეჰმედ ნეჯათ-ბეის იარაღის გამოყენება არც უფიქრია და პირველივე მოთხოვნაზე დანებდა. იმედი ჰქონდა, რომ როგორც კონტრაბანდისტს, მცირე სასჯელს აკმარებდნენ, მაგრამ შეცდა — „ჩეკამ“ მასზე ყველაფერი იცოდა. „კონტრაბანდისტთა მეთაური“ რიაზანში მდებარე, „ჩეკას“ განსაკუთრებულ ციხეში გადაიყვანეს, მათი აყვანის ფაქტი კი მკაცრად გაასაიდუმლოეს.

რიაზანის ციხე იმხანად მთელ საბჭოთა კავშირში ცნობილი იყო იმით, რომ იქ პატიმრებს აუტანელ პირობებში ამყოფებდნენ, ხოლო დაკითხვების დროს „ჰიპნოზის მეთოდს“ იყენებდნენ — მსჯავრდადებულებს უკეთებდნენ სპეციალურ წამალს, რომლის მეშვეობითაც ადამიანი ერთგვარ ტრანსში ვარდებოდა და ყველაფერს ამბობდა. ამ მეთოდს მსჯავრდადებულები ვერაფერს უპირისპირებდნენ და მათი დიდი ნაწილი წამლის გაკეთების შემდეგ ჭკუაზეც კი იშლებოდა.

ციხეში მოხვედრილი მეჰმედ ნეჯათ-ბეი მემიშოღლის გამომძიებელი, ვინმე სკვერცოვი სამი თვის განმავლობაში ხან ტკბილი სიტყვით, ხანაც მუქარით აიძულებდა ეთქვა, თუ ვინ გამოგზავნა ის საბჭოთა კავშირში, ვინ იყო „გერმანიის ქართული სათვისტომოს“ კოორდინატორი თურქეთში და ა.შ. „კონტრაბანდისტი“ არ ტყდებოდა. ბოლოს, „ჩეკამ“ გადაწყვიტა, „ჰიპნოზის მეთოდი“ გამოეყენებინა და მემიშოღლი მისი მეშვეობით მაინც გამოეტეხა. ამის გამო, ის სპეციალურად დაასნებოვნეს ჭლექის ბაცილებით და როდესაც დაავადების პირველი ნიშნები აშკარად გამოაჩნდა, კარანტინში გადაიყვანეს.

რიაზანის ციხის კარანტინში იმხანად უკრაინელი მედდა, ელენა ვასილჩენკო მუშაობდა. მან კარგად იცოდა, რისთვისაც ამზადებდნენ კარანტინში გადაყვანილ ყველა პატიმარს; ბედად, როცა კარანტინში მეჰმედ ნეჯათ-ბეი მიიყვანეს, მორიგე სწორედ ელენა იყო. ქალს მაშინვე მოეწონა ახოვანი ლაზი ვაჟკაცი და გადაწყვიტა, როგორმე დახმარებოდა. ელენა ვასილჩენკო პატიმრებს პირადად უკეთებდა იმ „ავბედით ნემსს“ და წამალსაც თვითონვე აზავებდა. აქედან გამომდინარე, იმედი ჰქონდა, რომ „კონტრაბანდისტს“ (ასე ეძახდნენ მემიშოღლის ციხეში) გადაარჩენდა.

სანამ ნემსს გაუკეთებდნენ, მეჰმედ ნეჯათ-ბეი ელენამ საგანგებოდ მოინახულა და შეუმჩნევლად გადასცა ე.წ. „ქსივა“, სადაც ეწერა, თუ რას უპირებდნენ პატიმარს და როგორ უნდა მოქცეულიყო ის შემდგომ დაკითხვაზე, რომ „ჩეკას“ ტრანსში ჩავარდნილი ჰგონებოდა. მემიშოღლიმ ყველაფერი კარგად დაიმახსოვრა და „ქსივა“ გადაყლაპა. რამდენიმე დღის მერე, ნემსის გასაკეთებლად დაუძახეს. ოთახში შესვლისას, მემიშოღლიმ ელენას მოჰკრა თვალი და გულზე მოეშვა...

აღსანიშნავია, რომ წამლის შეზავების პროცესში ციხის მთავარ ლაბორანტს მედდა ეხმარებოდა. მაშინ რიაზანი უკვე ფრონტისპირა ქალაქი იყო, საალყო წესები მოქმედებდა და შესაბამისად, ციხის პასუხისმგებელი მუშაკები 24 საათის განმავლობაში მუშაობდნენ. ამის გამო, ლაბორანტს ეძინებოდა და მორჩილად დაჰყვა ელენას შეთავაზებას — წამალს მე შევაზავებ, თქვენ კი თვალს მოატყუებთო. რაღა თქმა უნდა, ქალმა დრო იხელთა და წამალში საჭირო ნივთიერება (რაც ტრანსსა და ადამიანის ალაპარაკებას იწვევდა) უმნიშვნელო დოზით გააზავა, მონარჩენი კი გაანადგურა.

ყოველივე ამის შემდეგ, მეჰმედ ნეჯათ-ბეი დაკითხვაზე მართლაც ალაპარაკდა, მაგრამ „ჩეკამ“ მისგან ღირებული ინფორმაციის შეტყობა ვერ მოახერხა. ცხადია, ჩეკისტები არც დაეჭვებულან, რომ პატიმარი თვალთმაქცობდა — მათ ხელთ ჰქონდათ ლაბორანტის დასკვნა, რომლითაც მტკიცდებოდა, რომ წამალი წესების დაცვით იყო შეზავებული. აქედან გამომდინარე, მემიშოღლი სიკვდილს მართლაც გადაურჩა — ის მაგადანში, ერთ-ერთ სპეცდასახლებაში გაუშვეს, დაბრუნების უფლების გარეშე.

ცოტა ხნის შემდეგ, ელენა ვასილჩენკომ „ჩეკას“ ხელმძღვანელობას საგანგებო განცხადებით მიმართა და იმავე სპეცდასახლებაში გამწესება ითხოვა, სადაც მის მიერ გადარჩენილი „კონტრაბანდისტი“ იმყოფებოდა. მისი თხოვნა დააკმაყოფილეს, რადგან მაგადანში სამუშაოდ არავინ მიდიოდა, კადრები კი სჭირდებოდათ.

ელენა ვასილჩენკო და მეჰმედ ნეჯათ-ბეი მემიშოღლი ერთმანეთს მაგადანში, 1943 წელს შეხვდნენ, ხოლო ერთი წლის შემდეგ, ლაზი „კონტრაბანდისტი“ ჭლექმა შეიწირა. ომის დასრულებისას — 1945 წლის ივლისში, ელენა ვასილჩენკო მშობლიურ ქალაქში, ოდესაში ჩავიდა. მას თან ჰყავდა ვაჟიც — ალექსანდრ მემიშიში.

***P.S.*** *მეჰმედ ნეჯათ-ბეის ვაჟიშვილი ალექსანდრ მემიშიში (ის ორი თვისა იყო, როდესაც მამამისი გარდაიცვალა) დღესაც ოდესაში ცხოვრობს. მადლობას ვუხდი მას ფოტოების მოწოდებისთვის.*

■

# „ფორდის“ ორი ახალი ჰიბრიდი

კომპანია „ფორდმა“ ორი ახალი ჰიბრიდის შესახებ გაავრცელა ინფორმაცია. ეს მანქანები კომპაქტვენ C-Max-ის ბაზაზეა აწყობილი — C-Max Hybrid და Energi. ამ ავტომობილთაგან პირველი ტრადიციული ჰიბრიდია, ხოლო მეორე ე.წ. ჩასართველი ჰიბრიდი, რომლის აკუმულატორების დატენა სახლის დენის წყაროდანაა შესაძლებელი. მანქანები ამერიკის ბაზარზე მომავალი წლის მეორე ნახევრიდან გამოჩნდებიან და კონკურენციას გაუწევენ Toyota-ს ანალოგიურ ავტომობილს, რომელსაც Prius V ჰქვია. ამერიკული მწარმოებლის წარმომადგენელთა თქმით, ჰიბრიდულ Ford C-Max-ს ელექტროგაწევით „პრიუსზე“ მეტი მანძილის გავლა შეუძლია, ხოლო მისი სვლის ჯამური თადარიგი (დაახლოებით 800 კმ) აჭარბებს Chevrolet Volt-ის ანალოგიურ მაჩვენებელს. ადრე გავრცელებული ცნობით, C-Max Hybrid 100 კმ მანძილის დასაფარავად დაახლოებით 6 ლ საწვავს მოიხმარს, Energi-ს მოდიფიკაციის აკუმულატორების დატენა კი 120 და 240-ვოლტიანი დენის წყაროდან შეიძლება. ყველაზე სწრაფ რეჟიმში ბატარეები ერთი ღამის განმავლობაში იტენება. ორივე ჰიბრიდს ექნება ატკინსონის ციკლში მომუშავე 2-ლიტრიანი, 4-ცილინდრიანი ბენზინის ძრავა, ელექტრომოტორი და ლითიუმ-იონური აკუმულატორების კომპლექტი. აგრეგატის ჯამური სიმძლავრე 185 ცხძ-ა. 5-ადგილიან კომპაქტვენ Ford C-Max-ს დასაკეცი უკანა სავარძლები აქვს. ამასთან, Hybrid-ის მგზავრთათვის განკუთვნილი თავისუფალი სივრცე წინა სავარძლების უკან 1,5 კუბურ მეტრს აღწევს (Energi-სთვის ეს მაჩვენებელი 1,2 კუბური მეტრის ტოლია), ხოლო საბარგულის მოცულობა 705 ლიტრს უდრის (Energi-ს შემთხვევაში — 540 ლ). გარდა ამისა, ავტომობილებს ექნებათ სისტემა, რომლის საშუალებითაც საბარგულის კარის გაღება-დახურვა უკანა ბამპერის ქვეშ ფეხის შეყოფით იქნება შესაძლებელი. ასევე მას დაუმონტაჟეს უახლოესი დასატენი სადგურის მაჩვენებელი Sync-ის მულტიმედიური სისტემა და Brake Coach-ის ფუნქცია. ეს უკანასკნელი სპეციალური გრაფიკების მეშვეობით მანქანას დამუხრუჭებისას ენერგიის რეკუპერაციის სისტემის უფრო ეფექტურად გამოყენების, ბატარეების მაქსიმალურად დატენისა და სვლის თადარიგის გაზრდის უნარს აძლევს. ჰიბრიდული Ford C-Max-ის გამოშვება მომავალი წლის მეორე ნახევარში, მიჩიგანში მდებარე ქარხანაში დაიწყება. ■




# Audi A6-ს დეფექტი აღმოაჩნდა

კომპანია „აუდიმ“ განაცხადა, რომ ავტომობილ A6-ს უსაფრთხოების სისტემის შესაძლო დეფექტის გამო უკან გაიწვევს. ამის შესახებ ინფორმაცია აშშ-ის საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების ეროვნული ადმინისტრაციის (NHTSA) საიტზე გამოქვეყნდა. სერვისკამპანია 317 ავტომობილზე გავრცელდება, რომლებიც 2011 წლის 8 აპრილიდან 26 მაისამდე გამოვიდა და ამერიკაში გაიყიდა. ამ მანქანებისთვის უსაფრთხოების ბალიშების წარმოებისას ერთ-ერთი დეტალი არასწორად იყო შესრულებული, რის შედეგადაც ავარიისას იგი შეიძლება არ გაიხსნას, რაც მგზავრთა საფრთხეს გაზრდის. დიაგნოსტიკასა და უსაფრთხოების სისტემის გამოცვლას „აუდი“ 2012 წლის იანვარში გეგმავს. მანქანების მფლობელებისთვის ყველა სამუშაო უფასო იქნება. ■





# ჰიპერავტო Veyron Super Sport მუდმივი კლიენტისთვის

კომპანია „ბუგატიმ“ თავისი მუდმივი ჩინელი კლიენტისთვის ჰიპერავტო Veyron Super Sport-ის სპეცვერსია — Edition Merveilleux შეიმუშავა, რომელიც ერთადერთ ეგზემპლარად აიგება. მყიდველმა, რომლის კოლექციაშიც უკვე არის



ერთი „ვეირონი“, ეს ავტო საკუთარი დაბადების დღისთვის შეუკვეთა. მწარმოებელმა კი გამოაქვეყნა ვიდეო, რომელშიც „ბუგატის“ ტოპმენეჯმენტმა თავის კლიენტს (მისი მხოლოდ სახელია ცნობილი — საიმონი) 40 წლის იუბილე მიულოცა. ამ ეტაპზე Bugatti Veyron Super Sport-ის შესახებ დეტალური ინფორმაცია არ არსებობს. მისალოცი ვიდეორგოლიდან მხოლოდ იმის გაგება შეიძლება, რომ ავტომობილს შეუღებავი კარბონის ძარა, შავ-ვერცხლისფერი ბორბლების დისკები და ლურჯი ინტერიერი აქვს. ჰიპერავტო 8-ცილინდრიანი, 1200 ცხძ-იანი 4-ტურბინიანი W16 ძრავათი და წინასელექტიური სიჩქარის გადაცემათა კოლოფითაა აღჭურვილი. 100 კმ/სთ სიჩქარეს ასეთი მანქანა 2,5 წამში ავითარებს, 200 კმ/სთ-ს — 6,7 წამში, ხოლო 300 კმ/სთ-ს — 14,6 წამში. ავტოს მაქსიმალური სიჩქარე სპიდომეტრზე 415 კმ/სთ-ითაა შეზღუდული, რომლის გარეშეც იგი 430 კმ/სთ-ზე მეტ სიჩქარეს განავითარებდა. გასული წლის ზაფხულში Veyron Super Sport-მა სერიული მანქანებისთვის სიჩქარის ახალი მსოფლიო რეკორდი დაამყარა — 431 კმ/სთ. ■



ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა



# წინასწარმეტყველი, რომელიც იუდეველებმა ქვებით ჩაქოლეს

**ისრაელის სახელმწიფოს ორ სამეფოდ გაყოფა ძველი წელთაღრიცხვის X საუკუნეში მოხდა. ისრაელის სამეფომ სამი საუკუნის მანძილზე იარსება, იუდეველთა სამეფომ კი ოთხ საუკუნეზე მეტხანს გაძლო. შემდეგ იუდეველთა სამეფოც დაეცა და ერთიანად განადგურდა ბაბილონელთა ხელით, რასაც ებრაელთა ბაბილონის ტყვეობაში ყოფნის 70-წლიანი პერიოდი მოჰყვა.**

*შორენა მერკვილაძე*

ისრაელის სამეფო საფუძველშივე ჩამოსცილდა ღვთის გზას, მათი მეფეების უმეტესობა კერპთმსახურებისკენ იხრებოდა, წარმართულ ღმერთებს სწირავდნენ მსხვერპლს და ერსაც ამისკენ მოუწოდებდნენ: ისრაელის სამეფოში ძალიან ხშირად იცვლებოდა სამეფო დინასტიები. მათ სხვადასხვა ტომიდან ჰყავდათ მეფეები. ოთხ თაობაზე მეტი არც ერთ სამეფო დინასტიას არ უარსებია. იყო ისეთი შემთხვევებიც, როდესაც რომელიმე ტომს მხოლოდ ერთი მეფე ჰყავდა დინასტიაში. განუწყვეტლივ მიმდინარეობდა ბრძოლა სამეფო ხელისუფლებისთვის და თითქმის ყველა დინასტია მომდევნო სამეფო დინასტიის დამფუძნებლის მიერ იქნა განადგურებული. საერთო ჯამში ერიც ისეთი იყო, როგორიც ხელისუფლება. თავიდანვე თითქმის მთელი ერი განუდგა ჭეშმარიტ სარწმუნოებას. მხოლოდ ერთეულ ისრაელიანს შემორჩა ხსოვნა ჭეშმარიტი ღვთისა; დადიოდნენ იერუსალიმში და აღასრულებდნენ მოსეს სჯულს. სამი საუკუნის მანძილზე, რაც ისრაელის სამეფო არსებობდა, უფალი ხშირად მიავლენდა მათ მიმართ წინასწარმეტყველებს, მაგრამ მათმა მხილებამ, მოწოდებამ და გაფრთხილებამ ვერ მოაბრუნა ერი ჭეშმარიტი ღვთისაკენ. ამიტომ უფალმა ინება, რომ ისრაელის სამეფო დაცემულიყო და განადგურებულიყო ასურელების ხელით. ძველი წელთაღრიცხვის 772 წელს ისრაელი ასურელებმა დაიპყრეს და გაანადგურეს. ისრაელიანთა ნაწილი ასურელების ტყვეობაში აღმოჩნდა, ნაწილი — მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში მიმოიფანტა.

ისრაელის სამეფოს გაუქმება იყო ღვთისგან მოვლენილი სასჯელი, საზღაური მათი უსჯულოებისა და ჭეშმარიტი ღვთისგან განდგომილების სანაცვლოდ.

გაცილებით უკეთესი მდგომარეობა იყო იუდეის სამეფოში. მათ შეინარჩუნეს ერთი სამეფო დინასტია. მათ დავით მეფის შტოდან ჰყავდათ ყველა მეფე. ზოგიერთი მეფე ვერ იდგა სათანადო სიმაღლეზე, მაგრამ მათი უმეტესობა აღასრულებდა სჯულს და ერსაც ჭეშმარიტი ღვთის თაყვანისცემით ცხოვრებისკენ მოუწოდებდა. ამიტომაც მოახერხეს იუდეველებმა უფრო დიდხანს თავიანთი სამეფოს შენარჩუნება, თუმცა საბოლოოდ იუდეველთა შორისაც იწყო დაკნინება სარწმუნოებამ; იუდეველთა უმეტესობაც განუდგა ჭეშმარიტ ღმერთს, რასაც იუდეის სამფოს დაცემა მოჰყვა — ბაბილონის მეფე ნაბუქოდონოსორმა ერთიანად ააოხრა და გაანადგურა იერუსალიმი, დაინგრა სოლომონის ტაძარიც. იუდეველები კი ბაბილონის სამოცდაათწლიან ტყვეობაში აღმოჩნდნენ. იუდეის სამეფოს დაცემა და გაუქმება ძველი წელთაღრიცხვის 586 წელს მოხდა.



იუდეის სამეფოს დაცემამდე და გაუქმებამდე უფალმა იუდეველებს დანიელ და იერემია წინასწარმეტყველები მოუვლინა, რომლებიც ბაბილონელთა მიერ იერუსალიმის აოხრებას, სოლომონის ტაძრის დანგრევას, იუდეველთა ბაბილონის ტყვეობაში ჩავარდნასა და სამოცდაათწლიანი ტყვეობის შემდეგ სამშობლოში დაბრუნებას წინასწარმეტყველებდნენ... დანიელი და იერემია ბაბილონის ტყვეობის შემდგომ პერიოდშიც აგრძელებდნენ მოღვაწეობას, ერის მხილებასა და მოწოდებას, მობრუნებულიყვნენ ჭეშმარიტი ღვთისკენ... დანიელ წინასწარმეტყველზე უკვე ვისაუბრეთ. ამჯერად იერემიას შესახებ მოგითხრობთ...

## იერემია წინასწარმეტყველი

იერემია ერთ-ერთია ოთხ დიდ წინასწარმეტყველს შორის. იგი ანათოელი მღვდლის — ექელკისიას შვილი იყო. მას იუდეველთა სამეფოს არსებობის ყველაზე მძიმე პერიოდში მოუხდა მოღვაწეობა — მეფე იოშიასა და მისი ოთხი მემკვიდრის დროს. ამ პერიოდში იუდეველთა გულები ყველაზე მეტად იყო დაშორებული უფალს...

იერემიას 15 წლის ასაკში ეუწყა, რომ შობამდე იყო მოწოდებული წინასწარმეტყველად. მას შეეშინდა ასეთი დიდი და მძიმე მსახურებისა, რადგან ჯერ კიდევ ყრმა და გამოუცდელი იყო, მაგრამ უფალმა აღუთქვა, რომ არ მოაკლდებოდა მისი მფარველობა და თანადგომა.

ღმერთმა იერემია წარგზავნა მე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქოთნესთან, რათა მისი შრომა ეხილა. მომავალი წინასწარმეტყველი ძალზე მოიხიბლა მექოთნის მონდომებითა და საქმის სიყვარულით. მაშინ ღვთის ხმა ესმა: „იმაზე მეტად ვზრუნავ ჩემს ქმნილებაზე — ადამიანზე, ვიდრე მექოთნე თავის ქმნილებაზე. ახლა აიღე თიხის ჭურჭელი, წადი და უქადაგე ჩემს ხალხს“.

იერემია ღვთის ნებას დაემორჩილა — მექოთნის მიერ დამზადებული ვაზა თან წაიღო, იუდეველთა წინაშე წარდგა და წარმოთქვა: — ღმერთმა სიყვარულით შექმნა მთელი სამყარო და უსასრულოდ ზრუნავს ადამიანებზე; უფრო მეტად, ვიდრე მექოთნე, რომელმაც დაამზადა ეს მშვენიერი ვაზა. უფალი ბრძანებს: „აჰა, როგორც თიხაა მეთუნის (მექოთნის) ხელში, ისე ხართ თქვენ ჩემს ხელში“... შემდეგ თიხის ქოთანი ძირს დაანარცხა, ნამსხვრევებად აქცია და განაგრძო: „ასე შეიძლება დაემართოს ღმერთის უმშვენიერეს ქმნილებასაც — ადამიანს, რადგან გაიმრუდა გზა, რომ ევლო გაუთელავი ბილიკებით“. წინასწარმეტყველმა მოუწოდა ებრაელებს, რომ მოქცეულიყვნენ ჭეშმარიტი ღვთისკენ, თორემ ბაბილონელთა ტყვეობაში ჩავარდნით დაისჯებოდნენ...

იერემიამ წინასწარმეტყველური მსახურება კეთილმსახური მეფის, იოშიას მეფობის მეცამეტე წელს დაიწყო. თავად იოშია უდიდესი მოშურნეობით აღასრულებდა სჯულს. მისი მეფობის პერიოდში იუდეველთა დიდი ნაწილი კერპთმსახურებისკენ მიიდრიკა. მეფე იოშია მთელი სიცოცხლის მანძილზე შეუპოვრად ებრძოდა სამეფოში გავრცელებულ კერპთმსახურებას. სიკვდილამდე არ დაუტოვებია ჭეშმარიტი სარწმუნოება, სიცოცხლის ბოლომდე ცდილობდა იუდეველთა შეგონებას, თუმცა მათი წარმართობისკენ მიდრეკილი გულის ღვთისკენ მიბრუნება ვერც მეფემ და ვერც იერემია წინასწარმეტყველმა ვერ შეძლეს.

გარდაცვალების შემდეგ იერემია წინასწარმეტყველმა მწარედ დაიტირა მეფე იოშია და სამგლოვიარო გოდება მიუძღვნა, რომელსაც ჩვენამდე არ მოუღწევია.

მეფე იოშიას გარდაცვალების შემდეგ იერემიას მისი ოთხი მემკვიდრის მეფობის პერიოდში მოუხდა მოღვაწეობა, რომლებიც მისგან განსხვავებით კერპთმსახურებას მფარველობდნენ და ხელს უწყობდნენ ერში უსჯულოების გავრცელებას. წინასწარმეტყველი ბაბილონის მიერ იერუსალიმის დაპყრობამდე და განადგურებამდე 23 წლის მანძილზე დაუცხრომლად უქადაგებდა იუდეველებს, მოუწოდებდა მათ ჭეშმარიტებისკენ და აუწყებდა მოსალოდნელი სასჯელის შესახებ. ქადაგებდა სოლომონის ტაძარში, მეფის სასახლეში, ქალაქის კარიბჭესთან თუ ხალხმრავალ ადგილებში. მის ქადაგებასა და მხილებას თან აურაცხელი სასწაული ახლდა, თუმცა იუდეველები წინასწარმეტყველის სიტყვას არ უსმენდნენ და მის მიმართ უფრო და უფრო ბოროტდებოდნენ.

იუდეველთა მხილების გამო იერემია წინასწარმეტყველს არაერთი განსაცდელის გადატანა მოუხდა. მან ღვთის ბრძანებით კისერზე უღელიც კი დაიდგა და ისე დადიოდა, რითაც იუდეველთა ნაბუქოდონოსორის მიერ დაპყრობასა და დამონებას წინასწარმეტყველებდა. მისი ამგვარი წინასწარმეტყველებით შეძრწუნებულმა იუდეველთა უხუცესებმა იერემია დაბინძურებულ ჭაში ჩააგდეს, სადაც შიმშილით სიკვდილი ელოდა, ერთ ღვთისმოსავ ადამიანს — აბიმელექს რომ არ ეხსნა. ერთხანს პატიმრობაშიც მოუხდა ყოფნა. იუდეველთა მეფე იოაკიმემ მას ხალხის თანდასწრებით სიტყვის წარმოთქმაც კი აუკრძალა. მაშინ უფალმა აუწყა, ქადაგება წერილობით ჩამოეყალიბებინა. იერემიას სიტყვებს მისი ერთგული მოწაფე, ბარუქი იწერდა და შემდეგ იერუსალიმის ტაძარში შეკრებილ ხალხს უკითხავდა. ერთხელაც, როდესაც ბარუქი იერემიას წინასწარმეტყველებას კითხულობდა, მას წიგნი ჩამოართვეს და მეფეს მიუტანეს. იოაკიმემ ბრძანა, რომ წინასწარმეტყველი და მისი მოწაფე შეეპყროთ. მათ გაქცევა მოახერხეს.

ახდა იერემიას წინასწარმეტყველება, ნაბუქოდონოსორმა იერუსალიმი დაიპყრო, ერთიანად გაძარცვა და ააოხრა. ბაბილონელებმა მიწასთან გაასწორეს იერუსალიმის ტაძარიც (იუდეური გადმოცემით, იერემია წინასწარმეტყველმა მოასწრო იერუსალიმის ტაძრიდან სჯულის კიდობანის, მოსეს მოძრავი ტაძრისა და საკმევლის სამსხვერპლოს გატანა და გამოქვაბულში გადამალვა). იუდეველთა ელიტა ბაბილონში ტყვედ წასაყვანად გაამზადეს, დაბალი ფენის იუდეველებს კი სამშობლოში დარჩენის ნება მისცეს. მეფე ნაბუქოდონოსორმა, რომელსაც სმენოდა წინასწარმეტყველის შესახებ, იერემიასთან თავისი მხედართმთავარი წარგზავნა და ნება მისცა, თავად გაეკეთებინა არჩევანი — წასულიყო ბაბილონში ან იუდეაში დარჩენილიყო. იერემიამ სამშობლოში დარჩენა აირჩია, რადგან იმედოვნებდა, რომ ქალდეველთა მიერ იუდეის მმართველად დატოვებული გოთოლია დაეხმარებოდა და მის გარშემო შემოკრებდა იუდეის მიწაზე დარჩენილ იუდეველებს. გოთოლია მუხანათურად მოკლა იუდეველმა მხედართმთავარმა — იზმაილმა და იუდეა დატოვა. ისრაელში დარჩენილ იუდეველებს ბაბილონელთა რისხვის შეეშინდათ და ეგვიპტეში გაქცევა გადაწყვიტეს. იძულებით წაიყვანეს იერემია წინასწარმეტყველიც. იუდეველები ქვედა ეგვიპტეში, ქალაქ ტაფნისში დასახლდნენ. იერემია ეგვიპტეშიც განაგრძობდა იუდეველთა მხილებასა და მოწოდებას. მან იწინასწარმეტყველა ბაბილონელთა შემოჭრა ეგვიპტეში და მათ მიერ ებრაელების ამოხოცვა. გარდამოცემა გვაუწყებს, რომ მკაცრი მხილებისა და ამ წინასწარმეტყველების გამო იუდეველებმა იერემია წინასწარმეტყველი ქვებით ჩაქოლეს. მისი წინასწარმეტყველება ერთი წლის შემდეგ ახდა.

## მან იწინასწარმეტყველა ბაბილონელთა შემოჭრა ეგვიპტეში და მათ მიერ ებრაელების ამოხოცვა

იერემია წინასწარმეტყველს ეკუთვნის ძველი აღთქმის წიგნი — „გოდება“ იერუსალიმის დაქცევის გამო და ეპისტოლე. მან ასევე იწინასწარმეტყველა მაცხოვრის გაცემა იუდას მიერ და სხვა მოვლენები, რომლებიც მაცხოვრის მოსვლის შემდგომ აღესრულებოდა. ■

ეროვნული ბიბლიოთეკა

ანტიდეპრესანტი

## გზაში საკითხავი კოლაჟი

ქუმლებდენილი თემურ ივანიძე

1. ოტოფობია თვალებში ჩახედვის შიშია.

2. სუმოში წონითი კატეგორიები არ არსებობს.

3. ჯორჯ კლუნის დედა სილამაზის დედოფალი იყო.

4. „ლუჩშე იესტ ჩემ ნიუხატ", — ამბობენ გუდის ყველაზე რუსები.

5. კრიკეტში იდაყვში მოხრილი ხელით ბურთის სროლა აკრძალულია.

6. ეთნიკური სიჭრელე სახელმწიფოთა დაშლის ერთ-ერთი მთავარი ფაქტორია.

7. მსოფლიოში მოპოვებული ზღვის პროდუქტების ერთ მეექვსედს იაპონია მოიხმარს.

8. მეორე მსოფლიო ომის პერიოდში საბჭოთა კავშირმა 32 მილიონი „კატიუშა" გამოუშვა.

9. ბუშმენებს არ გააჩნიათ კერძო საკუთრება. ამგვარი ცნება მათში საერთოდ არ არსებობს.

10. ლინგვისტების მტკიცებით, ყველა ენაში არსებობს მლიქვნელი ადამიანის აღმნიშვნელი სიტყვა.

11. 19-წლიანი დამოუკიდებლობის მანძილზე უკრაინის მოსახლეობა 6 მილიონით შემცირდა. მათგან 2 მილიონი ახალგაზრდა ქალიშვილი გახლავთ.



12. ნიკიტა ხრუშჩოვის გადადგომის შემდეგ იური გაგარინმა ძლევამოსილი მეგობარი და ქომაგი დაკარგა. ერთხელ სახელგანთქმულმა კოსმონავტმა პარტიულ მაღალჩინოსნებს სთხოვა, ერთ ჩემს მეგობარს მკურნალობა სჭირდება და დაეხმარეთო. მოკლედ უპასუხეს: „ვი გეროი ი დუმაიტე ო გეროიჩესკიხ ვეშჩახ, ასტალნოე პრედასტავტე ნამ".

13. გადმოცემით ცნობილია თემურ-ლენგის დანაბარები — ჩემს საფლავს ხელს ნუ ახლებთ, თორემ უბედურება დატრიალდებაო. მისი საფლავი სამამულო ომის დაწყების დღეს, 1941 წლის 22 ივნისს გახსნეს, სადაც იპოვეს ჩონჩხი, რომელსაც ცალი ფეხი ჰქონდა დაზიანებული.

14. ვიკინგები უსასტიკესი მეომრები იყვნენ. ერთი ვიკინგი ბავშვთმოყვარის სახელით იყო ცნობილი. მისი ბავშვთმოყვარეობა იმაში გამოიხატე-

# დღესასწაულამდე ათი დღით ადრე...

**რაღა დარჩა ახალ წლამდე?! ათიოდე დღეც და, ყველა ოჯახში სასიამოვნო ფუსფუსი დაიწყება: ნაძვის ხის მორთვა, თოვლის ბაბუისთვის საპატიო ადგილის მიჩენა... და რაღა თქმა უნდა, საახალწლო სუფრისთვის მზადება: აქეთ — გოზინაყი და ფელამუში, იქით — „ოლივიე" და საცივი. ერთი სიტყვით, საცდური უხვადაა. ცოტა ვინმე თუ გაუძლებს ასეთ ცდუნებას. მაშ რა ვიღონოთ?**

**ალბათ თავადაც ხვდებით, რომ საახალწლო დღეები არა მარტო სასიამოვნო მოგონებას, არამედ რამდენიმე ზედმეტ კილოგრამსაც დაგვიტოვებს. იმისთვის, რომ ინდაურის საცივსაც გავკრათ კბილი და გოზინაყიც მშვიდად შევახრამუნოთ, ორგანიზმი წინასწარ უნდა მოვამზადოთ დიდი სადღესასწაულო ტრაპეზისთვის. თუ როგორ — ახლავე მოგახსენებთ.**



ეცადეთ, დღესასწაულამდე ერთი კვირით ადრე მსუბუქად იკვებოთ. საუზმედ მიირთვით ხილი, რძიანი ბურბუშელა, იოგურტი ან წვენი. ყოველი ჭამის წინ თითო-ოროლა ხილი ან ბოსტნეული, მაგალითად, სტაფილო ჩაახრამუნეთ. ასე ორ კურდღელს დაიჭერთ — შიმშილსაც მოიკლავთ და თან, ვიტამინებით მდიდარ და კალორიებით ღარიბ საკვებსაც მიიღებთ. გარდა ამისა, ეცადეთ, ხშირად და მცირე ულუფებით იკვებოთ.

არამც და არამც არ გირჩევთ მკაცრ დიეტაზე გადასვლას. დიეტით განწყობილებას გაიფუჭებთ და ახალ წელს ხალისიანად ვეღარ შეეგებებით. წონა რომ შეინარჩუნოთ, ამისათვის საკმარისია, კვების ჩვეულება (სწორედაც რომ ჩვეულება და არა რეჟიმი) ოდნავ შეიცვალოთ:

მიირთვით ნელა, 15 წუთი მაინც არის საჭირო, რომ თავის ტვინმა კუჭიდან დანაყრების სიგნალი მიიღოს. ასე რომ, ნუ აჩქარდებით, ლუკმა ნელ-ნელა დაღეჭეთ. პირველი კერძის (სავარაუდოდ — წვნიანის) მირთმევის შემდეგ, 15-იოდე წუთი შეისვენეთ და მეორეზე ისე გადადით.

კერძი სწრაფად მოამზადეთ, მით უფრო, თუ დაუძლეველი შიმშილის გრძნობა დაგეუფლათ. ასე ნერვულ სისტემასაც დაზოგავთ და დროსაც. თუმცა, ეს სრულებით არ ნიშნავს იმას, რომ გზადაგზა, ნაუცბადევად ისადილოთ ან ივახშმოთ.

მომზადებისას კერძს რაც შეიძლება იშვიათად გაუსინჯეთ გემო.

კბილები ყოველი ჭამის შემდეგ გამოიხეხეთ, ასე უფრო იოლად დაამარცხებთ შიმშილის გრძნობას, რომელიც მსუბუქი წახემსების შემდეგ გაგყვებათ ხოლმე.

ხშირად სვით წყალი. ეცადეთ, საკვების მიღებამდე და ყოველ ორ საათში ერთხელ თითო ჭიქა მაინც დალიოთ. უკეთესია, თუ მინერალურ წყალს მიირთმევთ. ამ გზით კუჭს უფრო იოლად მოატყუებთ.

კუჭის მოტყუებაში შემდეგი ხრიკებიც დაგეხმარებათ:

კერძს რაც შეიძლება მეტი საკაზმი უყავით. შეკაზმული წვნიანი თუ სალათა გაცილებით იოლად მოგიკლავთ შიმშილის გრძნობას.

შაქრის მაგივრად გამოიყენეთ შემცვლელები. შაქარი დესერტსაც დააკელით, სამაგიეროდ, მეტი ვანილი და მიხაკ-დარიჩინი უყავით.

მომზადებისას კერძს ცხიმი მთლიანად მოხადეთ. ზოგადად კი უპირატესობა ვეგეტარიანულ კერძებს მიანიჭეთ — სწრაფადაც დანაყრდებით და არც ჭარბ კალორიებს შეიძენთ. ■

ეროვნული ბიბლიოთეკა





# დესერტი შოკოლადის მოყვარულთათვის



**აიღეთ 4 კვერცხი, 110 გ შავი შოკოლადი და 1 ფორთოხლის წვენი (ცოტაოდენი გახეხილი კანიც). ათქვეფილ ცილას შეურიეთ ფორთოხლის წვენი და გახეხილი კანი. მეორე ჯამში ცალკე ათქვიფეთ კვერცხის გულები და შეურიეთ ორთქლზე გამდნარი შოკოლადი. ეს ორი, ცალ-ცალკე მომზადებული მასა ერთმანეთში აურიეთ და ჭიქებში გადაანაწილეთ. დესერტი მაცივარში რამდენიმე საათით მაინც (უმჯობესია, მთელი ღამე) გააჩერეთ. ბოლოს ჭიქებშივე დაუმატეთ თქვენთვის სასურველი ხილი (კენკრა) ან ციტრუსი.**

თუმცა გემოვნებაზე არ დაობენ და შესაძლებელია, სახლში მომზადებულ ნუგბარს, საკონდიტრო სექციებში მზა, მრავალფეროვანი შოკოლადის ფილების შეძენა გერჩივნოთ. მაგრამ იცით კი, რომელი სახეობის შოკოლადი რა და რა პროდუქტებს შეიცავს?

- შავ (მუქ) შოკოლადში მინიმუმ 45%-ს კაკაოს პროდუქტები შეადგენს (კაკოს ფხვნილი და კაკაოს ცხიმი);
- „მწარე" შოკოლადში კაკაოს პროდუქტების შემცველობა 45-დან 87%-მდეა;
- ნაღების შოკოლადის შემადგენლობაში 60%-ზე მეტი მშრალი რძე (რძის ფხვნილი) შედის, ხოლო კაკაოს ხვედრითი წილი მასში 35%-ია.
- „დესერტის" შოკოლადი ძალზე ნაზია, ვინაიდან მასში კაკოს მარცვლები ყველაზე წმინდადაა დაფქული. შესაბამისად, შოკოლადის ეს სახეობა უმაღლესი ხარისხისაა და მის დასამზადებლად, ყველაზე მეტი დრო იხარჯება.
- ფორებიანი შოკოლადი შემადგენლობის მიხედვით, აბსოლუტურად იგივეა, რაც მისი შესაბამისი ნაღების (მუქი თუ თეთრი) უფორო სახეობა. მათ შორის მხოლოდ ერთი განსხვავებაა: დამზადების ბოლო ეტაპზე, ფორებიან შოკოლადს დიდი წნევის ქვეშ „ბერავენ";
- თეთრი შოკოლადი კაკაოს ფხვნილს არ შეიცავს. სამაგიეროდ, მასში ბევრია კაკაოს ცხიმი, შაქრის პუდრა, რძე და ვანილი;
- არსებობს აგრეთვე ქიშმიშიანი, ალკოჰოლის შემცველი, ნაღების, თხილის და ვინ მოთვლის, კიდევ რამდენი სახეობის შოკოლადი. თითოეულ მათგანზე ლაპარაკი შორს წაგვიყვანს. ამიტომ მოგახსენებთ სპეციალისტების ზოგად აზრს შოკოლადის ხარისხთან დაკავშირებით: რაც უფრო წვრილადდაა დაფქული კაკაოს მარცვლები, მით უფრო მაღალხარისხიანი და გემრიელი შოკოლადი მზადდება მისგან. მაგრამ ნურც იმას დაივიწყებთ, რომ შოკოლადი საკმაოდ მაღალკალორიულია და მისი ჭარბად მიღების შემთხვევაში, შესაძლებელია, წონასთან დაკავშირებული პრობლემები შეგექმნათ. თუმცა ამ ვერსიას მოწინააღმდეგეებიც ჰყავს: ისინი ამბობენ, რომ 100 გ შოკოლადი დაახლოებით 550 კალ-ს შეიცავს — ანუ იმდენივეს, რამდენსაც ხორცი ან ყველი და ზედმეტი წონის პრობლემა მხოლოდ უმოძრაობითა და არასწორი კვებით აიხსნება. ■

## ხორცი ტომატის გარნირით



**მასალად საჭიროა:**

1 კგ ხბოს ხორცი;
2 ს/კ ტომატის პასტა;
4 თავი ხახვი;
2 ს/კ ფქვილი;
ცხიმი — რამდენიც დასჭირდება;
მარილი — გემოვნების მიხედვით.

ბრტყლად გაჭრილი ხბოს ხორცი ჩავდოთ ცხიმიან ღრმა ტაფაში ისე, რომ სანახევროდ ფარავდეს და შევწვათ. გავაკეთოთ ტომატის სოუსი: ცალკე მოვშუშოთ ხახვი ტომატის პასტაში და დავუმატოთ მოშუშული ფქვილი, წვრილად დაჭრილი ოხრახუში და მარილი. დავჭრათ ხორცი სასურველი ფორმის ნაჭრებად, დავაწყოთ თეფშზე და გარნირად დავასხათ მომზადებული ტომატის სოუსი. ■

რუბრიკა მოამზადა ეკა ბუნთაიშვილმა

ანტიდეპრესანტი

# გზაში საკითხავი კოლაჟი

შემდგენელი თემურ ივანიძე

ბოდა, რომ ქალაქების დარბევისას ბავშვებს ჰაერში არ ისროდა და ხმლით შუაზე არ კვეთდა.

15. მიხეილ ხერგიანს სუ-ალტოს მწვერვალამდე 200 მეტრი ჰქონდა დარჩენილი, ქვათაცვენაში რომ მოჰყვა, თოკი გადაეჭრა. და კლდიდან მოწყდა. ხერგიანის დაღუპვის შემდეგ მისი მეწყვილე სლავა ონიშენკო 18 საათი ეკიდა კლდეზე და მხოლოდ დამხმარე ჯგუფის დახმარებით შეძლეს მისი ჩამოყვანა. იტალიელებმა ქართველი ალპინისტის კუბოზე ვეფხვის კლანჭები ამოტვიფრეს და მთის ძირში მონუმენტი აღმართეს, რომელზეც გატეხილი წერაყინია გამოსახული.



16. ერთ ახალბედა ლიტერატორს აკაკი წერეთლისათვის შეუჩივლია, ნაწარმოებებს არ მიბეჭდავენო. აკაკის უთქვამს, შენი ერის ხასიათი არა გცოდნია, ჩვენში ჯერ გატირებენ, მერე გიტირებენო.

17. მიხეილ მესხი ბავშვობაში ჭიდაობით იყო გატაცებული. 11 წლისამ ხელი იტკინა და ექიმმა ჭიდაობა აუკრძალა. იმ დღიდან ეზოში ფეხბურთის თამაში დაიწყო და მას შემდეგ ეს სპორტი მისი ცხოვრების განუყოფელ ნაწილად იქცა.

18. „მაინც რა ხიბლი აქვს პრეზიდენტობას?" — ჰკითხეს ერთხელ რონალდ რეიგანს. მას გაეცინა: „თუნდაც ის, რომ მე შემიძლია ფედერალურ ბიუროს ვუბრძანო, მკაცრად გაასაიდუმლონ ჩემი სასკოლო ნიშნები".

19. ბუბა კიკაბიძემ ახალგაზრდამ შეირთო ცოლი. ქორწილის გადახდა რესტორანში სურდა, მაგრამ ფული არ ჰქონდა. პატარა ბინა კი მის მეგობრებს ვერ დაიტევდა. მეზობლებმა ბუბას ხათრით მათი ბინების გამყოფი კედელი დაარღვიეს და ქორწილის გადასახდელად მომღერალს 6-ოთახიანი ბინა გამოუვიდა. ქორწილის შემდეგ მთელი ერთი თვე გავიდა, სანამ მეზობლებმა ფული იშოვეს და კვლავ აღადგინეს კედელი.

ეროვნული ბიბლიოთეკა



# ბაჩო ქაჯაიას საახალწლო სურვილი

**მსახიობი ბაჩო ქაჯაია ბოლო დროს ინტერვიუებზე უარს ამბობს, მიზეზს კი მარტივად ხსნის, — ერთი და იმავეს ლაპარაკი მოჰბეზრდაო. ამჯერადაც უარის თქმას აპირებდა, — არა მგონია, შენთან ასეთი ინტერვიუ ვინმეს ჩაეწეროს-მეთქი. მცირე პაუზის შემდეგ მკითხა, — რა თემაზე ვისაუბრებთო? დაინტერესდა... მოკლედ, ჩვენი შეხვედრა შედგა. ბაჩოს ბევრი საყვარელი ავტორი ჰყავს. წასაკითხ წიგნებს ხასიათის მიხედვით ირჩევს. ყველაზე მეტად კი მინიატიურული წიგნები მოსწონს.**

*თამუნა ქვინიკაძე*



## პრეამბულის მაგიერ

— **ამ რუბრიკაში სტუმრობას ჩემი რესპონდენტები გამოცდაზე გასვლას ადარებენ. გამოცდებთან დაკავშირებული სახალისო ამბავი გაიხსენე.**

— სკოლაში „შპარგალკებით“ დავდიოდი. თეატრალურ უნივერსიტეტში რომ ვაბარებდი, მაშინ ყველაზე მეტად ვიყავი დატვირთული. გამოცდაზე რომ გავედი, ერთმა პედაგოგმა მითხრა, — შეიძლება კარგი ბიჭი ხარ, მაგრამ სულ ლუარსაბ თათქარიძეს ვერ ითამაშებო (*იცინის*). მაშინ 98 კილო ვიყავი. ეს რომ მითხრეს, ერთ თვეში 11 კილო დავიკელი.

— **აი, პროფესიის სიყვარული რას ნიშნავს. მეხსიერება როგორი გაქვს?**

— ნორმალური, როლსაც ადვილად ვიმახსოვრებ, ზოგჯერ ერთი წაკითხვაც კი საკმარისია. გადაღების დროს მახსოვს, რამდენიმე დღის შემდეგ კი მავიწყდება. რომ მკითხო, რა მოხდა წინა სერიებში, ვერ გიამბობ.

— **მალე ახალი წელი მოვა. როგორი იყო შენთვის 2011 წელი?**

— კარგი წელი იყო. საერთოდ, ჩემი ცხოვრებით კმაყოფილი ვარ. ეს დღესასწაული ძალიან მიყვარს, პატარა ბავშვივით ვარ, მართლა ჯადოსნური ღამე მგონია. თოვლის ბაბუის არსებობის მჯერა.

— **რას მისწერდი მას?**

— დიდი სახლი მინდა (*იცინის*)...

— **ახალ წელს ოჯახში ხვდები?**

— რა თქმა უნდა, შვილებთან და მეუღლესთან ერთად ვხვდები, მერე მეგობრებთან მივდივარ. წელს რაჭაში ვაპირებ წასვლას.

— **ბედნიერ ახალ წელს გისურვებ! ახლა კი დროა, კითხვარზე გადავიდეთ.**

— შენ და „გზის“ ყველა თანამშრომელს მეც წინასწარ გილოცავთ! დავიწყოთ.

— **საქართველოს რომელ კუთხეს ერქვა ძველად თაკვერი?**

— რაჭა-ლეჩხუმს.

— **რა ჰქვია მეცნიერებას სამყაროს შესახებ?**

— ასტრონომია.

— **თამადობა კარგად გამოგდის?**

— ამბობენ, რომ კარგი თამადა ვარ, მაგრამ დიდი სუფრების გაძღოლა არ მიყვარს, 4-5 კაცში თამადობა მირჩევნია.

— **რომელი სასმელი გიყვარს?**

— ღვინო. კეთილი სითხე მგონია.

— **იზაბელა, საფერავი, ალექსანდროული, ცოლიკაური — ამ ჯიშებიდან რომელს არ აქვს შავი ნაყოფი?**

— ცოლიკაურს.

— **ფსიქიატრებისთვის ცნობილია ზოოფობია — შიში ცხოველების მიმართ, იხტიოფობია — შიში თევზების მიმართ, პანოფობია — შიში ყველაფრის მიმართ. რა არის გინეფობია?**

— გინების შიში?

— **არა.**

— აბა, მწერების?

— **არა.**

— ქალების?

— **გამოიცანი. მწერების მერე ქალებს თუ იტყოდი, არ მეგონა.**

— ჰო! ცოტა უცნაური გადასვლა გამომივიდა (*იცინის*).

— **კლასში 35 მოსწავლეა. შეიძლება თუ არა, რომ თითოეული მათგანის გვარი განსხვავებული ქართული ასოებით დაიწყოს?**

— კითხვა ვერ გავიგე (*გამეორების შემდეგ*), ქართულ ენაში 35 ასო არ არის და როგორ დაიწყება? არა.

— **ის საშუალოდ 200 ათასი ღერი თმისგან შედგება და შეუძლია, 20 ტონა სიმძიმეს გაუძლოს. რაზეა ლაპარაკი?**

— 200 ათასი ღერი თმისგან რა შედგება?

— **მეც ამას გეკითხები.**

— არ ვიცი, რა გიპასუხო.

— **ნაწნავი.**

— უი! ეს როგორ ვერ გამოვიცანი.

— **ძველად, სამხედრო საქმეში ქალის თმას საოცარი გამძლეობის გამო იყენებდნენ.**

— ეგ ვიცოდი, მაგრამ ვერ გავიხსენე.

— **„ხელებს ნუ ჩამოუშვებთ, ყველაფერი ხომ ჩვენს ხელთაა!“ ვინ არის ამ გამონათქვამის ავტორი?**

— არ ვიცი. გამოცნობაში ვერ დამეხმარები?

— **მინიშნებას გეტყვი. ის ცნობილი ფრანგი დიზაინერია, ბავშვობაში უსახსრობის გამო უდედმამო ბავშვთა სახლში იზრდებოდა, 88 წლის ასაკში გარდაიცვალა.**

— ქალია?

— **დიახ. მისი შემოსავალი წელიწადში 160 მილიონ დოლარს შეადგენდა, შავი ფერი გახადა აქტუ-**

ეროვნული ბიბლიოთეკა

**ალური, მოდას დაუტოვა ჯაჭვისსახელურიანი ხელჩანთა, მოკლე ვარცხნილობა, გარუჯული კანით სარული... კიდევ რაღა გითხრა? ვერ მიპასუხებ?**

— კოკო შანელზე ვფიქრობ, მაგრამ დარწმუნებული არ ვარ.

— **სწორი პასუხია.**

— ეს გამონათქვამი ძალიან მომეწონა.

— **პოეზია გიყვარს?**

— ზომიერად, ლექსის მხატვრული კითხვა არ მეხერხება, ეს საკმაოდ რთულია.

— **„ბოლოს და ბოლოს დამთავრდა, გაქრა,/ უაზრო ღელვაც შიშიც, ეჭვებიც.../ ბევრი დავკარგე, ბევრს ვკარგავ, მაგრამ/ ბნელ უფსკრულებში ცქერას ვეჩვევი./ მე მირჩევნია ვზიდო ხუნდები,/ ვიდრე ვიცხოვრო ვილაცის ნებით,/ მე ჩემთვის ის მსურს, რაც შეშურდებათ,/ ანდა ტკივილით დათმობენ სხვები“. ვინ არის ამ ლექსის ავტორი?**

— ვერ ვიხსენებ.

— **ოთარ ჭილაძე.**

— მინიშნება რომ გეთქვა, გამოვიცნობდი.

— **როგორი ქვა არ შეიძლება იყოს მდინარეში?**

— (*ფიქრობს*) რა უცნაური კითხვაა.

— **პასუხი ძალიან მარტივი აქვს.**

— არ ვიცი, აბა, შენ მითხარი.

— **მშრალი.**

— (*იცინის*) ვაა!!! მართლა რა მარტივია?!

— **„სილამაზეს დიდებულს სჩვევია შიშის მომგვრელი ზეგავლენის მოხდენა, მხოლოდ თავხედი არ ვკრძალება მას ასეთ წუთებში“. რომელი ქართველი კლასიკოსია ამ სიტყვების ავტორი?**

— კონსტანტინე გამსახურდია.

— **ცნობილია, რომ მომთაბარე მონღოლები დაბეგვილ, უმ ხორცს მიირთმევდნენ. რა მეთოდით ბეგავდნენ ხორცს?**

— ცხენის ფლოქვებით?

— **ცდები, ხორცს უნაგირის ქვეშ დებდნენ და მგზავრობის დროს იბეგვებოდა. რომელი უღელტეხილი აერთებს ერთმანეთთან ამიერკავკასიასა და ჩრდილოეთ კავკასიას?**

— ჯვრის უღელტეხილი.

— **ხორეშანი, ხანუმა, ქაბატო — რომელი იყო ლუარსაბისა და დარეჯანის მაჭანკალი, რომელსაც მეტსახელად სუტ-კნეინასაც უწოდებდნენ?**

— ხორეშანი.

— **ტემპერამენტი ეს არის ადამიანის თვისება, რომელიც პიროვნების ემოციური ცხოვრების საფუძველს წარმოადგენს. ფსიქოლოგიაში, ფსიქიატრიასა და ფიზიოლოგიაში მიღებულია ტემპერამენტის 4 ტიპი. რომელმა მეცნიერმა აღწერა იგი პირველად?**

— არ ვიცი.

— **ჰიპოკრატემ. ეს ტიპებია: სანგვინიკი, ქოლერიკი, ფლეგმატიკი და მელანქოლიკი. შენ რომელ ტიპს მიეკუთვნები?**

— ქოლერიკი ნამდვილად არ ვარ, არც — მელანქოლიკი. სანგვინიკი როგორია?

— **ამ ტიპის ადამიანებში გრძნობები ადვილად აღმოცენდება, მაგრამ ადვილად და მალე გადაივლის. მისი გრძნობები არაა ღრმა და მტკიცე. ოპტიმისტია, უფრო კარგს მოელის, ვიდრე — ცუდს. მისთვის უცხოა გულჩათხრობილობა.**

— აი, ამ ტიპს განვეკუთვნები.

— **რა ჰქვია მკითხაობას ხელზე ხაზების მიხედვით?**

— არ ვიცი. ჩემთვის არავის უმკითხავია.

— **ქირომანტია. რომელმა ქართველმა მწერალმა დალია სული დღევანდელი სახელმწიფო უნივერსიტეტის შენობაში, რომელშიც მაშინ წმინდა ნინოს სახელობის ლაზარეთი იყო განთავსებული?**

— ვაჟა-ფშაველამ.

— **უძველესი ცივილიზაციისა და მაღალი კულტურის გამო რომელი ხალხი უწოდებს თავიანთ ქვეყანას „სამყაროს ყვავილს“?**

— ჩინელები.

— **რომელ მთაზე არ არის ნებადართული ქალის ფეხის დადგმა?**

— ათონის მთაზე, სადაც მხოლოდ წმინდა მამები ცხოვრობენ.

— **დაალაგე სიტყვები ისე, რომ ანდაზა გამოვიდეს: კარს, ტკბილი, გააღებს, ენა, რკინის.**

— „ტკბილი ენა რკინის კარს გააღებს“.

— **მას ეს ფსევდონიმი ძლიერი ხასიათის გამო შეარქვეს, რადგან მიიჩნევდნენ, რომ მართლაც ფოლადივით მტკიცე ხასიათი ჰქონდა. დაასახელე, ვისზეა ლაპარაკი?**

— სტალინზე.

— **ორმა კაცმა 900 ლარი გაიყო. მათგან ერთერთს 500 ლარით მეტი შეხვდა. რამდენი ლარი შეხვედრია მეორეს?**

— რაო, რაო, როგორ თქვი (*გამეორების შემდეგ*)? 100 ლარი შეხვდებოდა.

— **როგორ დაიანგარიშე?**

— ტყუილია? აბა, რამდენი შეხვდებოდა, მაბნევ?

— **არ გაბნევ. დაფიქრდი და გამოიცნობ.**

— ერთს მეორეზე 500 ლარით მეტი შეხვდა, 900 ლარი შუაზე გაიყვეს, რამდენი შეხვდებოდა მეორეს? მითხარი სწორი პასუხი, დავიტანჯე.

— **200 ლარი.**

— ეგ როგორ დაიანგარიშე? ტყუილია.

— **ნამდვილად ასეა, შემდეგ კითხვაზე გადავიდეთ. ნაყინი გიყვარს?**

— მიყვარს.

— **რომელ ქვეყანაში გამოიგონეს ეს ნუგბარი?**

— არ ვიცი.

— **ჩინეთში.**

— ყველაფერი ჩინეთში როგორ გამოიგონეს? მე მაინც იმ 900 ლარზე ვფიქრობ.

— **რას ესვრიან მოწინააღმდეგეს, დუელში გამოსაწვევად?**

— ხელთათმანს.

— **წუთში ერთხელ არის, წამშიც ერთხელ, თვეში არ არის და წელიწადში ორჯერაა. რა არის?**

— (*დასმულ კითხვას იმეორებს*) ვაა!!! რა უნდა იყოს?

— **ერთხელ კიდევ გაიმეორე და იქნებ გამოიცნო.**

— ის, რაც წამში ერთხელ არის, წუთში სამოცჯერ არ იქნება?

— **ამ შემთხვევაში არ არის.**

— მაწვალებ და ჩემს დაბნეულობაზე იცინი.

— **სწორ პასუხს რომ გეტყვი, შენც გაიცინებ. პასუხი სულ ერთი ასოა — „წ“.**

— (*იცინის*) ეს რა კარგი რამ მასწავლე, სხვებს ვკითხავ აბა, თუ გამოიცნობენ. ამ რუბრიკისთვის შეხვედრა მართლა ღირდა.

— **დაბოლოს, დაასრულე მარკ ტვენის ცნობილი გამონათქვამი: „სჯობს ჩუმად იყო და ვინმეს სულელი ეგონო, ვიდრე რამე თქვა და“...**

— და დაამტკიცო.

— **„...და ყოველგვარი ეჭვი გაფანტო“.**

■

ეროვნული ბიბლიოთეკა



# რუსთაველზე ჩატარებული კარნავალი და დროშებით შეკერილი კაბები

**ქართველი დიზაინერი, თინათინ მაღალაშვილი, რომელიც საზღვარგარეთის ბევრ ქვეყანაში პოპულარობით სარგებლობს და იქ პერსონალურ ჩვენებებსაც აწყობს, ახალ კოლექციაზე მუშაობს, რომელშიც 26 ქვეყნის დროშის მიხედვით შექმნილი, ამდენივე კაბა იქნება წარმოდგენილი. გარდა ამისა, დიზაინერი თავის კლიენტებს არც საახალწლოდ ტოვებს უყურადღებოდ და მათთვის საკარნავალო კოსტიუმებსაც ქმნის. გასულ წელს მან კარნავალი რუსთაველის ქუჩაზეც მოაწყო... საკუთარი საქმიანობის შესახებ თინათინი თავად გვესაუბრება.**

*ნათია ჭიჭიძე*



**— დიდი გამოხმაურება გამოიწვია სხვადასხვა ქვეყნის დროშების კაბების კოლექციამ. ამ პროექტზე მუშაობა უკვე დაასრულეთ?**

— არა, ამ პროექტზე მუშაობა ჯერ არ დასრულებულა. მიუხედავად იმისა, რომ ისრაელმა და ჩეხეთმა შემომთავაზა, ეს კოლექცია ჯერ მათ ქვეყანაში მეჩვენებინა, უარი ვთქვი, რადგან ეს ქართული პროექტია და მსურს, პირველ რიგში ჩემს სამშობლოში წარვადგინო. იმდენად ორიგინალური იდეაა, ყველა ქვეყანას ეამაყება, რომ მისი ქვეყნის დროშა პოდიუმზე გამოდის. ისრაელში მათი დროშის კაბა უკვე გამოვიტანე პოდიუმზე და იქაურები აღფრთოვანებულები დარჩნენ. ცოტა ხნის წინ, ბელორუსიის „ფეშენ ვიკზე" ვიყავი და იქაც მკითხეს, ბელორუსიის დროშის კაბაც ხომ არ შეგიქმნიათო. რატომღაც ეგონათ, რომ იქაურ ჩვენებასაც მათი დროშით დავხურავდი. მოკლედ, ეს „დროშების კოლექცია" ჩემი სავიზიტო ბარათი გახდა. იტალიაშიც მაქვს მიწვევა. შესაბამისად, მათაც გავუგზავნე მათი დროშისგან შექმნილი კაბის ფოტო, რომელმაც ფურორი მოახდინა. 10 იანვარს უნდა გავემგზავრო იტალიაში და ჩვენების საორგანიზაციო საკითხები მოვაგვარო. თებერვლის ბოლოს ან მარტის დასაწყისში კი უკვე კატანიის ოპერაში ჩატარდება ჩემი ჩვენება, რომელსაც ალბათ იტალიის დროშით დავხურავ. დროშების კოლექცია ჯერ არ დასრულებულა. ეს ისეთი კოლექცია არ არის, რომ გააკეთო, პოდიუმზე გამოიტანო და მერე გაყიდვაში გაუშვა. ამ საკითხს გაცილებით სერიოზულად ვუდგები. ყოველი კაბა ოტკუტიურის ნიმუშია. აბსოლუტურად ყველა მათგანი ხელითაა დაქარგული.

**— სულ რამდენ კაბას შეკერავთ?**

— კოლექციაში 26 კაბა იქნება. 2008 წლის ომის დროს რომელი ქვეყნებიც დაეხმარნენ საქართველოს, კოლექციაში სწორედ ამ ქვეყნების დროშები იქნება წარმოდგენილი. პროექტი კი უშუალოდ ლეხ კაჩინსკის მივუძღვენით, რადგან სწორედ მისი დამსახურება იყო, რომ აგვისტოს ომის დროს საქართველოში რამდენიმე ქვეყნის პრეზიდენტი ერთად ჩამოვიდა. მისი სიკვდილის შემდეგ გადავწყვიტეთ, რომ ჩვენება მთლიანად ამ ადამიანის ხსოვნისადმი მიგვეძღვნა. აქედან გამომდინარე, ჩვენებას პოლონეთის კაბა გახსნის, ხოლო საქართველოს კაბა დახურავს. მებრძოლი არ ვარ, რომ ომის დროს იარაღი ამეღო და ომში წავსულიყავი. ჩემი ქვეყნისთვის რაღაცის გაკეთება მხოლოდ ჩემი შემოქმედებით შემეძლო და მაშინ გამიჩნდა ამ პროექტის იდეა. ისრაელში ყოფნის დროს, იქაურმა წამყვანმა მოდელმა, გლადა ტურილავამ სურვილი გამოთქვა, რომ ამ კოლექციის ჩვენებისას საქართველოში ჩამოვიდეს და ისრაელის დროშის კაბა თვითონ წარადგინოს. იქვე იყო ჩეხეთის წამყვანი მოდელი — დომენიკა სინკოვა, რომელმაც იგივე წინადადებით მომმართა. ბელორუსმა მოდელმაც გამოთქვა სურვილი... სიმართლე რომ გითხრათ, ამ ქვეყნის კაბის შექმნას არც ვაპირებდი, მაგრამ ამ შემოთავაზების მერე გადავწყვიტე, რომ კოლექციას ეს კაბაც უნდა დავამატო.

**— საქართველოს კაბას ვინ გამოიტანს პოდიუმზე?**

— საქართველოს კაბა დროშა არ იქნება. ამ ჩვენებაზე საქართველოს სიმბოლო ანუ ქართვლის დედა უნდა წარვადგინოთ, ხმლითა და თასით ხელში. ეს კაბა ჯერ არ შემიკერავს, თუმცა ესკიზი უკვე არსებობს და ზუსტად ვიცი, როგორიც იქნება. ჯერ არ მიფიქრია, ვინ გამოიტანს კაბას პოდიუმზე. კარგი შეკითხვა დამისვით; ამაზე აუცილებლად ვიფიქრებ. პროექტზე მხოლოდ მე არ ვმუშაობ. მენეჯერი გახლავთ მაია ჯანყარაშვილი, რომლის სამოდელო სააგენტოსთანაც ვთანამშრომლობ. ამ სააგენტოს „F FACE" ჰქვია. რეჟისორი კი ალეკო გოგინაშვილია.

**— ბელორუსიის „ფეშენ ვიკზე" უფრო დაწვრილებით გვიამბეთ. ვინ მიგიწვიათ და რა წარადგინეთ?**

— ივლისში ვიყავი ისრაელში, სადაც ოტკუტიურიეს „ფეშენ შოუ" ჩატარდა. მასში ოთხი ქვეყნის — საქართველოს, იტალიის, ავსტრალიისა და ისრაელის დიზაინერები ვმონაწილეობდით. სპეციალურად ამ ჩვენებისთვის ქვებით (თუ თვლებით) ნაქარგი სალამოს კაბების კოლექცია შევქმენი. იქ გავიცანი ხალხი, რომლებმაც შემომთავაზეს, რომ გამეკეთებინა პრეტ-ა-პორტეს კოლექცია და ბელორუსიასა და ჩეხეთში წარმედგინა. პრალიდან მოწვევა ძალიან მალე მომივიდა, მაგ-

ეროვნული ბიბლიოთეკა



რამ იმის გამო, რომ ცოტა დრო მქონდა და კოლექციის შექმნას ვერ მოვასწრებდი, ეს ვიზიტი სამომავლოდ გადავდე. ბელორუსიაში კი 19 ნოემბერს გავემგზავრე. საქართველოდან მე და მადონა ხარატიშვილი გახლდით. მოგეხსენებათ, ის ფეხსაცმელზე მუშაობს და ერთობლივი კოლექცია გვქონდა. წინასწარ გვითხრეს, რომ ყველაზე მეტი ბილეთი ჩვენს ჩვენებაზე გაიყიდა. ნამდვილად ვერ მივხვდი, რატომ დაინტერესდნენ ჩვენით ასე. მანამდე თელ-ავივში ჩატარებული ჩვენება „ეფ ჩენელზე“, ხოლო ბელორუსიის ჩვენება „ვორდ ფეშენზე“ გავიდა. „ეფ ჩენელის“ არხზე მხოლოდ ავთანდილის, ბაკურ ბაკურაძისა და ჩემი ჩვენება გავიდა. ამ ტელევიზიის ისტორიაში, თუ არ ვცდები, სხვა ქართველი დიზაინერის კოლექცია არ ყოფილა. საქართველოს მხარე კი ამ ყველაფრით საერთოდ არ ინტერესდება.

**— როგორც ვიცი, საზღვარგარეთ თქვენი კოლექციის ნახევარი გაიყიდა კიდეც. უცხოელი კლიენტები ხომ არ გიკავშირდებიან სოციალური ქსელის მეშვეობით?**

— რა თქმა უნდა. მართლა ძალიან ბევრი უცხოელი კლიენტი მყავს. მაგალითად, ამერიკის საელჩოში რაღაც საღამო მოეწყო, რომლისთვისაც ოთხი უცხოელი კლიენტი შემომოსე. მყავს ინდოელი ქალბატონი, რომლის სამოსზეც ამჟამად ვმუშაობთ. აფხაზი ქალბატონი აფხაზეთიდან სპეციალურად იმისთვის ჩამოვიდა, რომ კაბა შეეკერა. ამას წინათ კი, ინგლისიდან ზომები მესიჯით გამომიგზავნეს. კაბის ფერი და სტილი კლიენტის დამ ინტერნეტით შემითანხმა. კი შევკერეთ, მაგრამ გული მისკდებოდა, ნეტავ ზომები სწორად თუ აიღეს-მეთქი. ის გოგონა ჩამოვიდა და კაბა იდეალურად მოერგო. შოტლანდიიდან და გერმანიიდანაც არაერთხელ შემხმიანებიან.

**— როგორც ვიცი, ქართველ პოპულარულ ადამიანებთანაც თანამშრომლობ.**

— რასაკვირველია, ჩემი მოდის სახლი ნებისმიერი ზომა-წონისა თუ ასაკის ქალისთვის ღიაა. ჩემ მიერ შექმნილი კოსტიუმი შესაძლოა, როგორც კირა ანდრონიკაშვილმა, ასევე მაკა შალიკაშვილმაც მოირგოს. ორი რადიკალურად განსხვავებული სტილის ადამიანია. მაკასთან ხშირად ვჩხუბობ ხოლმე. ვუმტკიცებ, რომ კლასიკური სტილის სამოსი ძალიან უხდება.

**— სხვა კლიენტებთანაც თუ ჩხუბობთ? როგორც ვიცი, პოპულარული ქართველები საკმაოდ პრეტენზიულები არიან.**

— არა, ისინი მომზადებულები არიან, რომ მოდიან დიზაინერთან და ერთად ვხატავთ ესკიზს, ერთად ვმსჯელობთ, თუ რას რა მოუხდება. სანამ საბოლოო ჯამში ორივე მხარეს არ მოგვეწონება ესკიზი, მანამდე ფანქარს არ ვდებ. ნებისმიერი ადამიანის გემოვნებას შეიძლება რომ მოვერგო, მათთვის რჩევებსაც არ ვიშურებ და აბსოლუტურად ყველა მეთანხმება.

**— შევიტყვე, რომ შარშან საახალწლო კარნავალი ჩაგიტარებიათ. წელსაც ხომ არ აპირებთ, რომ იგივე გაიმეოროთ?**

— შარშან კარნავალის ჩატარება ექსპრომტად მოგვაფიქრდა და ასევე ექსპრომტად ჩავატარეთ, ამიტომ ამ პროექტს „დიდი ავანტიურა“ დავარქვი. ქართველ მოდელ გოგონებს ჩავაცვით საკარნავალო კოსტიუმები და 27 დეკემბერს რუსთაველის ქუჩაზე მსვლელობა მოვაწყვეთ. ვერ წარმოიდგენ, იმდენი ადამიანი მოვიდა და ყველაფერმა კარგად ჩაიარა. მთელი რუსთაველი გადავკეტეთ. მინდოდა, რომ ეს პროექტი მასშტაბური გამეხადა, მაგრამ ყველაფერს ხომ დრო სჭირდება. ძალიან დიდი სურვილი მაქვს, ეს იდეა წელსაც განვახორციელო, მაგრამ არ ვიცი, რამდენად გამოგვივა.

**— როგორც ვიცი, საკარნავალო კოსტიუმებზეც მუშაობთ...**

— მართალია, ყოველ წელს ახალახალ კოსტიუმებს ვქმნით, რომლებსაც საახალწლოდ ნებისმიერ მსურველზე ვაქირავებთ. საკარნავალო კოსტიუმებზე დიდი მოთხოვნაა...

**— 2012 წლის მოდის ტენდენციებზეც ვისაუბროთ...**

— რადიკალური ცვლილება არ გველოდება, რადგან სტილი გათავისუფლებულია ყოველგვარი ზედმეტობისგან. სილუეტი ძალიან ქალური იქნება. თავისუფალი სტილი პოზიციებს ისევ შეინარჩუნებს. ორი წლის წინ ვთქვი, რომ „პლატფორმა ფეხსაცმელი“ მოდიდან კარგა ხანს არ გადავა-მეთქი და ეს ნათქვამი ახდა. პლატფორმა ისევ მოდაშია, რადგან ლამაზიც არის და პრაქტიკულიც. რაც შეეხება ფერებს, წელს წყლის დრაკონის წელიწადია და შესაბამისად, პასტელის ტონები გაცილებით მოდური იქნება. ყველა მოდის სახლს თავისი სტილი აქვს. თუ ვთქვათ, მუზა მომივიდა და წარმოსახვაში წითელი კაბა დავხატე, იმას აუცილებლად შევკერავ და მოდაშია თუ არა ის ფერი, არ გავითვალისწინებ. შესაძლოა, ყვითელი ფერი ძალიან მოდური იყოს, მაგრამ არ გიხდებოდეს და ვიღაცამ თქვას, რა უგემოვნოდ აცვიაო. მთავარი ის არის, რა უხდება ადამიანს.

**— 90-60-90 პარამეტრების რომ არ ვარ, კარგად ხედავ. ამ ზომებში ჟურნალისტების უმრავლესობა ვერ ჯდება. იქნებ გვირჩიო, რა უნდა ჩაიცვას ჟურნალისტმა ყოველდღიურად?**

— შავი ფერი ძალიან პრაქტიკულია. როგორც ხედავ, მეც ამ ფერებში ვარ შემოსილი. ვფიქრობ, რომ ჟურნალისტების ჩაცმულობა არც ძალიან კლასიკური უნდა იყოს და არც ძალიან სპორტული. თქვენთვის ყველაზე კომფორტული ჯინსის შარვალია, რომელზეც პერანგს ჩაიცვამთ და ზემოდან ჟაკეტს ან პიჯაკს მოიცვამთ, ოღონდ ეს პერანგი თეთრი ფერის არ უნდა იყოს, რომ უნიფორმასთან არ ასოცირდებოდეს. როგორი ცუდი აღნაგობაც უნდა ჰქონდეს ადამიანს, მას რაღაც კარგი აუცილებლად ექნება — კისერი, მკერდი ან სხეულის სხვა ნაწილი, ჰოდა, მათ გამოჩენა სჭირდება. შესაძლოა, შავებში შეიმოსოთ, მაგრამ სამკაულით ისე გაახალისოთ ეს შავი, რომ პირქუში არ იყოს. ჟურნალისტებს გირჩევთ,



რომ ნეიტრალური სტილი აირჩიოთ და სპორტულ-კლასიკურად ჩაიცვათ... ■

ეროვნული ბიბლიოთეკა



რუბრიკას უძღვება ექიმი ნინო ჩარგეიშვილი

# რჩევები მათთვის, ვისაც პატარა ჰყავს



**ვაგრძელებთ რედაქციაში შემოსულ შეკითხვებზე პასუხს. შეგახსენებთ, რომ ვხელმძღვანელობთ თამარ მამაცაშვილის წიგნით — „შეკითხვა ექიმს", სადაც თავმოყრილია საკმაოდ მნიშვნელოვანი ინფორმაცია საზოგადოებისთვის აქტუალურ, სამედიცინო საკითხებზე. ამ წიგნის ყიდვა შესაძლებელია წიგნის მაღაზიებში.**

**— სამი წლისა და ორი თვის ბავშვს მოულოდნელად დაეწყო ენებლუობა, რომელიც ხან აშკარად გამოხატული ფორმით მიმდინარეობს, ხან — ნაკლებად. ენაბლუობა არ ატარებს მემკვიდრეობით ხასიათს. როგორ მოვიქცეთ?**

— ნერვიულ ბავშვებს ენაბორძიკობა ზოგჯერ ემოციური სტრესის შემდეგ ეწყებათ. ასეთი სტრესის მიზეზი ბავშვისთვის შეიძლება იყოს დედასთან განშორება, ახალშობილის შემატება ოჯახში, საცხოვრებელი ადგილის გამოცვლა, ზედმეტი სიმკაცრის გამოჩენა. ამ სიმპტომის გაჩენა უფრო 2-3 წლის ბავშვებს ახასიათებთ, რადგან სწორედ ამ ასაკში პატარა იწყებს რთულ მეტყველებას, გრძელი წინადადებების წარმოთქმას. შემთხვევათა 90%-ში ასეთი ენაბორძიკობა რამდენიმე თვეში გაივლის. ეცადეთ, არ მიაყენოთ ბავშვს ახალი ტრავმა, ნუ მიატოვებთ დიდი ხნით, თუ გამოუვალი მდგომარეობა არ გაქვთ... გამოიჩინეთ მის მიმართ სითბო, ყურადღება; როცა ბავშვი გელაპარაკებათ, როგორი დაკავებულიც უნდა იყოთ, ყურადღებით მოუსმინეთ, ნაკლები ელაპარაკეთ, მეტი ეთამაშეთ; ნუ ელოდებით, რომ ენაბორძიკობა სწრაფად გაივლის — ამას დრო სჭირდება, მაგრამ თუ შეძლებთ, ბავშვის სულიერ მდგომარეობას ჩასწვდეთ და პატარა სტრესიდან გამოიყვანოთ, ეს აუცილებლად მოხდება. ■

**— გთხოვთ, ამიხსნათ, რით შეიძლება ვუშველოთ შარდშეუკავებლობას მოზრდილ ბავშვებში. რომელ ექიმს ან რა წამლებს შეუძლია თითქმის დასაქორწინებელი ახალგაზრდების შველა?**

— შარდის შეუკავებლობა საკმაოდ სერიოზული პრობლემაა, რომელიც მრავალ ბავშვსა და მშობელს ტანჯავს. უნდა ითქვას, რომ ბოლო დროს ასეთი ბავშვების რიცხვი საკმაოდ გაიზარდა, რაც საზოგადოებაში ნევროზული ფონისა და დაძაბული ცხოვრების რიტმის ზრდასთანაა დაკავშირებული. შარდის შეუკავებლობის ყველაზე ხშირი მიზეზი მოზარდის ნერვული სისტემის გადაძაბვა, მისი ჭარბი ფსიქიკური აღგზნება გახლავთ. პრობლემის გადასაჭრელად უნდა მიმართოთ ექიმ-ფსიქონევროლოგს, მაგრამ მანამდე უნდა გამოირიცხოს საშარდე სისტემის ორგანული პათოლოგია, რისთვისაც საჭიროა შარდის გამოკვლევა და უროლოგის კონსულტაცია. როცა შარდის შეუკავებლობა ორგანული დაზიანებითაა გამოწვეული, ადამიანი შარდს დღის განმავლობაშიც ვერ იკავებს ხოლმე, ხოლო თუ შეუკავებლობა მხოლოდ ღამით აქვს, ასეთ დროს უფრო აღნიშნული პათოლოგიის ფსიქოგენურ ხასიათზე გვებადება ეჭვი. ეცადეთ, მოუხსნათ ბავშვებს სტრესის გამომწვევი ფაქტორები, დამშვიდდით და დაამშვიდეთ ისინი შეძლებისდაგვარად, დატვირთეთ სპორტით, მოაგვარეთ ოჯახური ურთიერთობები. უფრო კონკრეტულ რჩევებს კი ექიმთან კონსულტაციის შემდეგ მიიიღებთ. ■



**— მყავს 4 თვის გოგონა. უბნის პედიატრმა გვირჩია, რომ დედის რძესთან ერთად ბავშვს ხილის წვენები მივცეთ. ერთ-ერთ სამედიცინო ჟურნალში წავიკითხე, რომ ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის რეკომენდაციით ბავშვი 6 თვემდე მხოლოდ ძუძუთი უნდა იკვებებოდეს. რომელი რეკომენდაციაა სწორი?**

— ბუნებრივი (დედის რძით) კვების უპირატესობა ხელოვნურთან შედარებით დღეს არავისთვის სადავო არ არის. თუ დედას საკმარისი რძე აქვს, ქალს შეუძლია კვებოს პატარა წლამდე (ზოგჯერ უფრო ხანგრძლივადაც), მაგრამ ასეთ შემთხვევაშიც კი ბავშვმა 4-6 თვიდან აუცილებლად უნდა მიიღოს დამატებითი საკვები, თავდაპირველად წვენების, ხოლო შემდგომ სხვა, მისი ასაკისთვის შესაფერისი პროდუქტების სახით, რადგან მიუხედავად იმისა, რომ დედის რძე რაოდენობრივად საკმარისია ბავშვისთვის, მას აკლდება ვიტამინები, მიკროელემენტები: კალციუმი, კალიუმი, იოდი, ფოსფორი, სელენიუმი. ეს ნივთიერებები კი აუცილებელია ბავშვის ძვლოვანი ქსოვილის, ყველა ორგანოსა და სისტემის ფორმირებისთვის. ამას ემატება ისიც, რომ ჩვენში დედები ხშირად არასრულფასოვნად იკვებებიან, შეცვლილია გარემო, ეკოლოგიური პირობები და შედეგად — ბავშვი ჩამორჩება წონაში, უვითარდება ანემია. ამრიგად, გირჩევთ, რომ 4-6 თვის ასაკის ბავშვის რაციონში შეიტანოთ წვენები, ხილისა და ბოსტნეულის პიურეები, რათა დროულად შეივსოს ვიტამინებისა და მიკროელემენტების დანაკლისი. ■

ეროვნული ბიბლიოთეკა



**— მყავს 4 თვის გოგონა. დაბადებიდან სახეზე აქვს მუქი წითელი ლაქა. პედიატრმა მითხრა, რომ ეს ჰემანგიომაა. ბავშვს ლაქა საკმაოდ აუშნოებს. მინდა გავიგო, რომელია ყველაზე უმტკივნეულო მეთოდი ასეთი კოსმეტიკური დეფექტის მოსაშორებლად?**

— ჰემანგიომა სისხლძარღვოვანი ქსოვილის თანდაყოლილი დეფექტია. იგი ორსულობის მე-3-4 თვეზე ვითარდება. როგორც ჩანს, ამ პერიოდში დედის ორგანიზმში რაღაც დარღვევებს ჰქონდა ადგილი, რაც გოგონას კანზე აისახა. ჰემანგიომა დაბადების შემდგომ



გამოვლინდება ხოლმე. ნუ იჩქარებთ მის მოშორებას, რადგან სისხლძარღვოვანი სისტემა ამ ასაკში ჯერ ისევ ვითარდება (ასე გრძელდება 14-15 წლამდე) და შესაძლოა ამ პერიოდისათვის ჰემანგიომა თავისთავად გაქრეს. როდესაც მკურნალობის საკითხი დგება, ცალკე განხილვის საგანია ისეთი ჰემანგიომები, რომლებიც ამ ასაკშიც საშიშია. თუ ლაქა კავერნოზულია (ღრუს მაგვარი), ანთებითი ხასიათისაა ან ისეთ ადგილას მდებარეობს, სადაც ხშირია ტრავმის საშიშროება და ზოგჯერ სისხლდენაც კი ხდება, მაშინ მისი მოშორება აუცილებელია. ჰემანგიომის მოცილების შემდეგაც მოსალოდნელია გართულებები. ზოგჯერ ვითარდება ნაწიბური, რომელიც თვით ჰემანგიომაზე არანაკლებ უსიამოვნო შესახედავია. რაც შეეხება მეთოდებს, ისინი საკმაოდ ბევრია (ლაზერო, კრიო, ქიმიოდესტრუქცია, ხოლო თუ ჰემანგიომა ძალიან დიდია — ქირურგიული ჩარევა).

**— ჩემი ერთი წლის პატარა ძილში გამუდმებით ხვრინავს. დაკავშირებულია თუ არა ეს გაცივებასთან და საჭიროა თუ არა, რომ ცხვირში რაიმე ჩავაწვეთო?**

— ბავშვის ხვრინვის ერთ-ერთი ყველაზე ხშირი მიზეზი ადენოიდებია, მეორე — ცხვირ-ხახაში მშრალი ლორწო. უმრავლეს შემთხვევაში ბავშვის ხვრინვა საძინებლის ჰაერზე მისი ორგანიზმის რეაგირების შედეგია. თუ ჰაერი მშრალი და ცხელია, ოთახში მრავლადაა მტვრის ბუდე (ხალიჩები, რბილი ავეჯი), რაც უნდა აწვეთოთ ცხვირში, ხვრინვა არ გაუვლის. გაცივებასთან მისი კავშირიც შესაძლებელია, თუ მანამდე ბავშვი არ ხვრინავდა და მხოლოდ გაცივების შემდეგ დაიწყო ხმაურიანი სუნთქვა.

**— გთხოვთ, ამიხსნათ, რატომ სვამენ ჩვენში საკმაოდ ხშირად პერინატალური ენცეფალოპათიის დიაგნოზს? დასავლეთში თურმე ასეთი დიაგნოზი საერთოდ არ არსებობს. აქ კი ამ მიზეზით ხელაღებით ჭყეპენ ახალშობილებს სხვადასხვა წამლით.**

— თქვენ არ გაქვთ სწორი ინფორმაცია. დასავლეთში არსებობს დიაგნოზი — პერინატალური ანუ პოსტჰიპოქსიური (ჟანგბადის ნაკლებობის შედეგად განვითარებული) ენცეფალოპათია (ტვინის განვითარების მანკი). თვით ტერმინი ამერიკელმა მეცნიერმა, სორმატმა შემოიღო. მანვე შეადგინა ბავშვის მდგომარეობის შესაფასებელი სკალა, რომლის მიხედვითაც აღნიშნული დაავადება ხარისხებად შეიძლება დავყოთ. სულ სხვა საქმეა, რომ ჩვენში ამ დიაგნოზს მართლაც ძალიან იოლად სვამენ და შესაბამისად, იოლად ნიშნავენ სათანადო წამლებს. ხშირად ხელისა და ნიკაპის უბრალო კანკალი, რასაც ჩვეულებრივ ადგილი აქვს ხოლმე ახალშობილებში, მიიჩნევა როგორც პერინატალური ენცეფალოპათია. არადა, არსებობს დაავადების განსაზღვრული კლინიკური ნიშნები — კუნთების ტონუსის შეცვლა, მოტორული ფუნქციის დარღვევა, კრუნჩხვები. ექიმმა სწორად უნდა შეაფასოს ბავშვის განვითარების ფაზები. არადა, ზოგჯერ იგი შეცდომით აჩქარებს დროს და მიიჩნევს, რომ ბავშვი ცუდად ვითარდება. თუმცა, აუცილებლად უნდა დავძინოთ, რომ თუ პატარას აქვს აღნიშნული პათოლოგია, უყურადღებობის შემთხვევაში, შესაძლოა, მძიმე შედეგებამდე მივიდეთ. ამიტომ თუ ეჭვი გეპარებათ ექიმის მიერ დასმულ დიაგნოზში, შეგიძლიათ, კონსულტაცია სხვა ნევროპათოლოგთან მიიღოთ.

**— ჩემს ახლობელს შეეძინა შვილი, რომელსაც უკვე აქვს ერთი კბილი. რატომ მოხდა ასე და როგორ უნდა მოიქცნენ მშობლები?**

— მუცლადყოფნის პერიოდში კბილის ამოჭრა ბევრ პრობლემას უქმნის ბავშვსაც და მშობლებსაც. ასეთ კბილს არასრულფასოვანი სტრუქტურა აქვს — არასაკმარისადაა გამაგრებული და არამდგრადია, აკლია ფორმირება და მინერალიზება. ადრიანად ამოსული კბილი წოვისა და მყარი საგნების ზემოქმედებით მალე იშლება. გარდა ამისა, კბილით პატარა ტრავმას მიაყენებს დედას ძუძუს წოვის დროს, რამაც შესაძლოა მასტიტი (სარძევე ჯირკვლის ანთება) გამოიწვიოს. ამიტომ, სტომატოლოგები ურჩევენ მშობლებს ასეთი კბილის ამოღებას. თუმცა, მათ უნდა იცოდნენ, რომ 6-7 წლამდე მის სანაცვლოდ ახალი კბილი პატარას აღარ ამოუვა.

P.S. პატივცემულო მკითხველებო, მოგვწერეთ, თუ რომელი დაავადების შესახებ გსურთ ინფორმაციის მიღება. რასაკვირველია, ჩვენი ჟურნალის ფურცლებიდან სრული განკურნების მიღწევა შეუძლებელია, მაგრამ იმის გაგებას, თუ რა შეიძლება იყოს თქვენი ჩივილების მიზეზი და ვის უნდა მიმართოთ, ნამდვილად შეძლებთ. რუბრიკის ავტორს შეგიძლიათ დაუკავშირდეთ ტელეფონის ნომერზე: 5(99) 30.35.97 ან ელფოსტაზე: nino.char@yahoo.com.



# ბიბლუსი

ბიბლუსი — იგივეა, რაც პაპირუსი, გრაგნილი, წიგნი

## წვეთი პოეზია

* * *



ჩემს გოგოს მაღალი წელი,
ლამაზი ტუჩები, სავსე მკერდი აქვს;
აქვს სილამაზე და ის ჩემია,
აქვს სიყვარული და ის ჩემია,
აქვს ერთგულება და ის ჩემია,
ვარ კმაყოფილი, ვარ უდარდელი.
აქვს ყველაფერი და ის ჩემია.
და არ ვიცოდი მე – სიყვარული.

და ერთხელ ვნახე ის სხვასთან ერთად,
საუბრობდნენ,
ბევრჯერ მინახავს ის სხვასთან ერთად
მოსაუბრე
და მაშინ ვნახე, არ ვიცი რატო,
და მაშინ ვნახე მე სიყვარული
და ჩემში გაჩნდა ორივე ერთად:
ეჭვი და სიყვარული.

*გურამ რჩეულიშვილი*

## სახსოვარი



### აკაკი წერეთელი

* და სადაც სიყვარულია, იქ სიწმინდეა, ღმერთია!

* ვისაც მწარე უჭამია, იცის სიტკბოს გემოვნება.

* იქ ვარდს ან იას ვინ მოჰკრეფს, სადაც ეკალი სთესია?

* პატარა ნაპერწკალი სჯობს დიდს, მაგრამ ცივსა ნახშირსა.

* ახალი ძველსა შელახავს, შეუცვლის ხორცსა და ფერსაო.

* გული თუ გატყდა, შესაძლებელიც აღარ სჯერა!

## ქართულ სიტყვათა კონა

შედგენილია
არნოლდ ჩიქობავას რედაქტორობით
1982 წელს გამოცემული
ქართული ენის
განმარტებითი ლექსიკონის
ერთტომეულის მიხედვით

შემდგენელი თემურ ივანიძე

### — მ —

დასაწყისი იხ. „გზა“,
№2-52, 2010 — №1-50, 2011

**მტილი** (ძვ.) — ბაღი, ბაღ-ბოსტანი.

**მტკაველი** — მანძილი გაშლილი ხელის ცერის წვერიდან ნეკის წვერამდე. იხმარებოდა სიგრძის საზომად.

**მტკბარი** (ძვ.) — ტკბილი, საამო.

**მტკნარი** — 1. არამლაშე; 2. გადატ. პირწმინდა, აშკარა; 3. გადატ. უფერული, ფერმიხდილი.

**მტლაშამტლუში** (ძვ. და საუბ.) — უგვანი კოცნა (საბა).

**მტლე** — იგივეა, რაც ტლე (სიცხიანის სადები წამალი).

**მტრედიო** — საჭმელი სოკო ერთგვარი.

**მუდო, მუდუ** (კუთხ.) — თხუნელა.

**მუდრეგი** — ოხერი, ტიალი, უპატრონო.

**მუზმუზელა** — ქვეშქვეშა, ეშმაკი, გაქნილი ადამიანი.

**მუნი** — კანის დაავადება, იცის წვრილი გამონაყარი და ძლიერი ქავილი — მღერი.

**მუჟუჟი** — ძმარში ჩადებული მოხარშული ღორის ფეხები.

**მური** ბერძნ. (ძვ.) — სურნელოვანი ფისი.

**მური** — ახლად გამოსული აბრეშუმის ჭია.

**მურა** — 1. რუხ-წითელი, შავ-წითელი; 2. შავ-წითელი ძაღლი (საბა).

**მურაზი** (ძვ. და საუბ.) — ნდომა, სურვილი, წადილი.

**მურაკი** — დუღილით შესქელებული ხილეულის ან ბოსტნეულის წვენი, მეტწილად მჟავე; ინახავენ საზამთროდ.

გაგრძელება შემდეგ ნომერში

ეროვნული ბიბლიოთეკა



გურამ რჩეულიშვილი

# ბანაობა მზის ჩასვლისას

— ჩამოდი, კაცო, მშვენიერი წყალია, — სიცილით თქვა დედამ და მეუღლეს ხელი მოჰკიდა.

— უცებ, მამა, უცებ, — ქალ-ვაჟი გარს შემოეხვია და ხმაურით ჩაიყვანეს წყალში.

მზე ჩადიოდა. მთელი ზღვა ათასნაირი ფერებით მოიფინა. დედა კის-



მზე ჩადიოდა. მთელი ზღვა ათასნაირი ფერებით მოიფინა

კისებდა, მერე ვაჟს ხელი მოჰკიდა, ეშინოდა წყლის და სთხოვა, ნაპირნაპირ ეტარებინა. ხან შეჰკივლებდა ხოლმე კისკისით, თუ ნიადაგს ვერა გრძნობდა, თან წყლიდან ხტებოდა. სიამოვნებასა ჰგვრიდა ალბათ შვილის ჯანსაღი სხეულის ყურებაც. შვილი კი ასწავლიდა. ჯერ თვითონ ჩაწვა წყალში და ბრასით გაცურა, მერე ბაყაყური აჩვენა, შეეცადა, ზურგზეც დაეწვინა. დედაც ხალისით აკეთებდა ყველაფერს, მაგრამ მაშინვე მიდიოდა ფსკერისკენ, რასაც მოკლე შეყვირება მოსდევდა.

გვერდზე ქალი ასწავლიდა მამას. იგი უფრო ნიჭიერი გამოდგა, პირველივე ცდაზე მთელი სამი წამით გაჩერდა წყალზე; ცოტა ხნის მერე ათ დათვლამდე ავიდა. წყალში მთელი ძალით იქნევდა თავის ზორბა მკლავებს და ათითორმეტი მეტრის მანძილზე ისროდა შხეფებს. გოგონა ცდილობდა, სინაზე შეეტანა მის მოძრაობებში, ეხვეწებოდა, ესუნთქა. იგი უჯერებდა შვილს. რამდენიმეჯერ ენერგიულადაც დააღო პირი, მაგრამ ჰაერი ვერ შეისუნთქა. ახლა ბრასის სწავლაზე გადავიდა. მთელი სამი ნაბიჯი გაცურა.

— ოჰო-ჰო! — დაუძახა ძმამ დას, — წამო, შევცუროთ ცოტა.

ორივენი ადგილიდან დაიძრნენ სუფთა, დამუშავებული მკლაურით. მამა ახლო მივიდა დედასთან და ხელი მოჰკიდა. ორივე უსაზღვროდ ამაყი იყო გულში. შვილები საკმაოდ შორს შევიდნენ. დედის სახეზე უკვე შიში გამოისახა. ნაპირიდან სამასიოდე ნაბიჯის მოშორებით გაჩერდნენ ორივენი და გასწვრივ დაიწყეს ცურვა, თან ერთმანეთს უსწორებდნენ სხვისთვის შეუმჩნეველ შეცდომებს.

მამამ დედას ხელი მოჰკიდა:
— ისევ ჩემთან მოდი, ჩემო მოხუცო, — და ღიმილით გააცურა წყალზე. მერე პირიქით, დედამ აცურავა.

— ავიდეთ ნაპირზე, პირველი დღეა, მეყოფა, — უთხრა ქმარმა.

ორივენი უხმოდ ამოვიდნენ. ჯერ კიდევ თბილ ქვებზე წამოწოლილნი გასცქეროდნენ მოცურავე ქალ-ვაჟს.

ორივემ მოიწყინა.

„მგონი დაგვივიწყეს," — გაიფიქრა მამამ ოდნავი წყენით და ხმამაღლა თქვა:



— რა კარგა ცურავენ.

— ჰო, მე მაგათი არ მეშინია, — დაუმოწმა დედამ. გულში კი ფიქრობდა, „ვინ იცის, ასე შორს მაინც არ ვარგა. რამე რომ იყოს, არც ერთმა ცურვა არ ვიცით, ნეტა მცოდნოდა".

მამა ჩაცმას შეუდგა, მერე ნაპირისკენ ბრასით მოცურავე შვილებს გახედა, თან ფიქრობდა: „მაგათ ვენაცვალე, მართალია, ვიტანჯე მთელი ზაფხული გეგმების წერით, მაგრამ მაგათთვის ღირს. არც გარსად გავალ ზაფხულში, ვიმუშავებ, დაე, იცურაონ." მან მეუღლეს გაუცინა და ხმამაღლა თქვა:

— იცურაონ, მომავალი მაგათია.

ოჰ, როგორ უნდოდა, ყოფილიყო ახალგაზრდა. მისი ქალ-ვაჟი იდგა წყალში და ცურვაზე საუბრობდა.

წელი 1956. 19 აგვისტო.






ყვავის

# ვალეტი

დასაწყისი იხ. „გზა" №39-50

რუსუდან ბერიძე

ნაწარმოებზე თქვენი შთაბეჭდილება შეგიძლიათ გაგვიზიაროთ ელფოსტით gza.fantazia@gmail.com

ჩავლეიშვილი მიხვდა, რომ მიხეილ ვარშალომიძესთან შეთანხმება მიღწეული იყო და მაშინვე შეკითხვების დასმაზე გადავიდა:

— მაშ ასე, რა პრობლემა განიხილებოდა იმ თათბირზე?

— საკითხი რამდენიმე იყო, მათ შორის ისიც, თუ რა ოსტატურად გაგვაცურეს.

— ვინ?

— ძნელი სათქმელია, ვინ უფრო.

— მაინც?

— თავად განსაჯეთ. ცენტრალური ბიუჯეტიდან ჯერ ფული გადმოგვირიცხეს; მერე კი, სანამ ჩვენ მის განაწილებაზე ვდაობდით, ცხვირწინ ისე ოსტატურად აგვაცალეს, რომ გონს მოსვლაც კი ვერ მოვასწარით.

— დიდ ფულზე იყო ლაპარაკი?

— ორ მილიონ ლარზე.

— მაინც რა მოხდა?

— ვერ გეტყვით, რადგან ბოლომდე დღემდეც კი არ არის ყველაფერი გარკვეული.

— ეგ როგორ?

— კარგად მოგეხსენებათ, ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში ქვეყანაში რა მასშტაბური რეფორმებიც განხორციელდა. თითქმის მთელი მართვის სისტემა შეიცვალა. გამოგიტყდებით და, ეს, ცვლილებაზე მეტად, უნარკოზოდ ჩატარებულ ოპერაციას ჰგავდა, უფრო სწორად კი — ჰგავს, რადგან ბევრ სფეროში და მათ შორის, ჩვენშიც რეფორმები ჯერაც არ დასრულებულა. ამდენად, შედეგების შეფასებაზე ლაპარაკიც ნაადრევია.

— მესმის. ამიტომ, მოდი, ისევ იმ კონკრეტულ ორ მილიონ ლარს დავუბრუნდეთ.

— კი, ბატონო... მოგეხსენებათ, რომ ნებისმიერი რეფორმის ერთ-ერთი მთავარი მიზანი ეფექტურობის გაზრდაა...

— ისევ ზოგად მსჯელობაზე გადასვლა დააპირა ვარშალომიძემ.

— ბატონო მიხეილ, — ხელის აწევით შეაჩერა ვარშალომიძე ჩავლეიშვილმა, — ფული სად გაქრა?

— ხომ გითხარით, ზუსტად არ ვიცი-მეთქი, — გაღიზიანდა ვარშალომიძე, — ის კი არა და, ანგარიშიდან ფულის გაქრობის ამბავიც კი ერთი კვირის შემდეგ გამომჟღავნდა.

— რა ზომები მიიღეთ?

— ყველა ის ზომა, რაც ასეთ შემთხვევებშია მისაღები. მაგრამ სამწუხაროდ, ხელთ არანაირი კონკრეტული მტკიცებულებები არ გვქონდა და, ამიტომაც, პროკურატურამ საქმე მალევე დახურა. ჩვენც გადავწყვიტეთ, რომ ზედმეტი ხმაური აღარ აგვეტეხა.

— გადაწყვეტილებას ყველა დაეთანხმა?

— ერთის გარდა ყველა.

— ის ერთი ლექსო ბორაშვილი იყო, ხომ?

ვარშალომიძემ გამომძიებელს თავი დამნაშავესავით დაუქნია:

— ლექსო წონასწორობიდან იყო გამოსული. ჩვენგან ითხოვდა, პროკურატურას მივწოლოდით და გამოძიება გაგვეგრძელებინა; ირწმუნებოდა, — ფული მერიასა და ერთ-ერთ შპს-ს შორის გაქრა და ამას სასამართლოზე დავამტკიცებო.

— შპს-ს რა ერქვა?

— „ტივი". ახლა სხვა სახელი ჰქვია. ის ქალაქის კეთილმოწყობით იყო დაკავებული. ლექსომ „ტივის" საქმიანობა დაწვრილებით შეისწავლა და უამრავი დარღვევაც აღმოუჩინა.

— დანარჩენებმა კი მხარი მაინც არ აუბით...

— ასე გამოდის... — ამოიოხრა ვარშალომიძემ. — ამიტომაც ბოლო კრებაზე სულ ლაჩრები გვიძახა...

— მერე კი ადგა და ამის გამო თავიც მოიკლა, ხომ?

— ვერ ვიტყვი, რომ ამის გამო, მაგრამ... — სათქმელი აღარ დაასრულა ვარშალომიძემ...

„ასეა თუ ისე, ერთი ნაბიჯი მაინც წავდგი წინ, — გაიფიქრა ირაკლიმ, — თუმცა ზოგი რამ ბურუსითაა მოცული. მაგალითად, რა კავშირში იყო მთელ ამ ამბავთან თბილისში მოქმედი მამა-შვილი ალადაშვილების საადვოკატო ფირმა? რაღა მაინცდამაინც მათ გაუგზავნა ლექსო ბორაშვილმა მუქარის წერილები?"

— კიდევ რამე გაინტერესებთ? — გამოაფხიზლა ირაკლი მასპინძელმა, რომელსაც უკვე სახეზე ეწერა, რომ გამომძიებლის სტუმრობა აწუხებდა.

— არა, მეტი არაფერი. უკვე ისედაც დამეხმარეთ.

— თუ ასეა, იმედი მაქვს, ჩვენი შეთანხმება არ დაგავიწყდებათ.

— არასდროს არაფერი მავიწყდება, — ფეხზე წამოდგა ჩავლეიშვილი, — არ გიფიქრიათ, რომ ლექსო ბორაშვილი შეიძლება, ვიღაცას მოეკლა?

— მოეკლა? — ხმა შეეცვალა ვარშალომიძეს. — არა.

— მაშინ ამჯერად მეტს აღარ შეგაწუხებთ.

— ამჯერად?..

— დიახ. რადგან შეიძლება, მოვლენები ისე განვითარდეს, რომ კიდევ ერთხელ შეგახსენოთ თავი...

თბილისში დაბრუნებული ჩავლეიშვილი სამსახურში საღამოს 5 საათისთვის გამოცხადდა.

— საშინლად გამოიყურები, — უთხრა მას ეკა ხადურმა.

— ჰო, — ამოიოხრა ირაკლიმ, — დავიღალე. იქნებ დღეს მაინც წავიდე შინ ცოტა ადრე და გამოძინება მოვახერხო.

— შეგიძლია, ახლავე წახვიდე, რადგან საღამოს ოპერატიული თათბირი აღარ ჩატარდება.

— რატომ?

— სათქმელი არავის არაფერი ჰქონდა და ხვალ დილით გადაწყვიტეს შეხვედრა.

— კარგი უქნიათ. ფოსტას გადავხედავ და მეც შინ წავალ.

კაბინეტში შესულმა ჩავლეიშვილმა კარი მჭიდროდ მიხურა. სამუშაო მაგიდაზე დოკუმენტების მთელი გროვა დახვდა, მაგრამ საჩქარო არც ერთი არ აღმოჩნდა და გამომძიებელმაც მათი საფუძვლი-

ეროვნული ბიბლიოთეკა



ანად გაცნობა დილისთვის გადადო. შემდეგ ბათუმში ყოფნის მოკლე ანგარიში დაწერა და სკამის საზურგეზე კმაყოფილი გადაწვა, რადგან დარწმუნდა, რომ ამჯერად საქმე მკვდარი წერტილიდან აუცილებლად დაიძვრებოდა.

წასასვლელად გამზადებული ჩავლეიშვილი უკვე ქურთუკის ღილებს იკრავდა, როცა კარში ლევან ხარაიშვილი გამოჩნდა.

— შინ მიდიხარ? — ჰკითხა მან ირაკლის.

— ჰო, რა იყო?

— ჯერ მცხეთაში მოგიწევს გავლა.

— მცხეთაში რა ხდება?

— საგანგაშო არაფერი.

— მაინც?

— მამაშენი დაუკავებიათ.

— მამაჩემი?.. — შეცბა ჩავლეიშვილი. — ვის?.. რატომ?..

— იქაური პოლიციის განყოფილებიდან დამირეკეს და მითხრეს, ღვინის მაღაზიის გამყიდველს სცემა და ზედ კიდევ ერთი კლიენტიც მიაყოლაო.

— ვინ? — უნდოდ შეხედა კოლეგას ჩავლეიშვილმა. — მამაჩემმა?

— ჰო. ისეთი გაცოფებული ყოფილა, რომ ძლივს გაუგდებინებიათ ხელიდან.

— გადამრევს ეს კაცი! — თავი უკმაყოფილოდ გადააქნია ჩავლეიშვილმა და ისევ ხარაიშვილს მიუბრუნდა: — აბა, უფრო დაწვრილებით მომიყევი, რა მოხდა?

— მეტი არაფერი ვიცი. როგორც კი დაადგინეს, რომ მამაშენი იყო, მაშინვე ჩვენთან დარეკეს.

— კარგი, — დაფაცურდა ირაკლი, — ახლავე წავალ და ადგილზე გავარკვევ ყველაფერს.

— თუ გინდა, წამოგყვები, — შესთავაზა ხარაიშვილმა.

— არ არის საჭირო.

გაოგნებული ჩავლეიშვილი მთელი გზა მამის საქციელზე ფიქრობდა.

უკანასკნელად სამართალდამცავებმა ის მაშინ დააკავეს, როცა ირაკლი 9 წლის იყო, თუმცა ყველაფერი გუშინდელი დღესავით ახსოვდა. ჩხუბი ერთ-ერთ სამწვადეში მოხდა, სადაც მამა-შვილი უფროსი ჩავლეიშვილის ახალმა კლიენტებმა დაპატიჟეს. მანამდე ცოტნესგან ნახატებს 2 სხვა მამაკაცი ყიდულობდა, რომლებიც ყოველთვის ძვირფასი მანქანით მოდიოდნენ და ძვირფასი აბრეშუმის კოსტიუმები ეცვათ. სწორედ ამიტომ შეარქვა მათ პატარა ირაკლიმ „აბრეშუმის ვალეტები“.

„ვალეტები“ მოსვლისთანავე პირდაპირ ზეთის საღებავებისა და სკიპიდრის სუნით გაჟღენთილ მამის პატარა სახელოსნოში შედიოდნენ, ნამუშევრებს მუშტრის თვალით ათვალიერებდნენ და ხშირად ყიდულობდნენ კიდეც. თუმცა მანამდე უფროს ჩავლეიშვილს ძალიან დიდხანს ევაჭრებოდნენ. შორიახლოს მდგარი ირაკლი კი იმ სანუკვარ მომენტს ელოდა, როცა ვაჭრობა დამთავრდებოდა, ერთ-ერთი „ვალეტი“ უზარმაზარ ოქროსბეჭდიან ხელს ჯიბისკენ წაიღებდა და ტკიცინა ათმანეთიანების დასტას ამოაძვრენდა. იყო შემთხვევები, როცა ირაკლი სახელოსნოში შესვლას ვერ ბედავდა და ვაჭრობას კარის ღრიჭოდან ადევნებდა თვალყურს.

„3 პეიზაჟი ხოხბით... 7 უხოხბოდ“, — ნაწყვეტ-ნაწყვეტად აღწევდა ბიჭუნამდე ერთ-ერთი „ვალეტის“ ნათქვამი. მამამისი კი ამ დროს ტილოებში იქექებოდა და ხოხბიანსა და უხოხბოებს მაგიდაზე ცალ-ცალკე აწყობდა. ტილოების დახარისხებას ფულის ჩათვლა მოსდევდა, რის შემდეგაც, ირაკლის ჯერიც დგებოდა და მამა ნამუშევრების გარეთ გასატანად და მანქანის საბარგულში ჩასაწყობად უხმობდა. ეს ბიჭუნასთვის განსაკუთრებულად მნიშვნელოვანი მომენტი იყო, რადგან ზოგჯერ რომელიმე „ვალეტი“ მასაც ამჩნევდა და ჯიბეში დაჭმუჭნილ მანეთიანს უჩურთავდა.

„ვალეტების“ წასვლის შემდეგ, მამა ბურდღუნს იწყებდა, — კიდევ ერთხელ გამაცურეს, თორემ უხოხბოში კიდევ ჰო, და ხოხბიანში ასე ცოტას გადახდაზე როგორ დავთანხმდებოდიო! აი, ეს კი უკვე ირაკლის ბავშვობის ერთ-ერთი დიდი გამოცანა იყო, რადგან ვერაფრით აეხსნა, რატომ მიიჩნევდა მამამისი თავს მოტყუებულად, როცა ტყუპისცალივით ერთნაირ და ერთნაირადვე მოსაწყენ ტილოებში, რომლებზეც ხან ხოხბის ფონზე და ხანაც მის გარეშე ჩამავალი მზე იყო გამოსახული, ამდენ ფულს შოულობდა. მამისგან განსხვავებით, ბიჭუნა განგებას მადლობას სწირავდა, რომ ამქვეყნად „აბრეშუმის ვალეტები“ არსებობდნენ, რადგან ფული, რომელსაც ისინი მამამისს ნამუშევრებში უხდიდნენ, წლების მანძილზე, მათი ოჯახის ერთადერთი შემოსავალი იყო.

მაგრამ ერთხელაც, მოვლენები სხვა სცენარით განვითარდა და „აბრეშუმის ვალეტების“ ნაცვლად, მათთან 2 უცნობი მამაკაცი გამოცხადდა. უცნობები „ვალეტებზე“ კიდევ უფრო მდიდრული მანქანით იყვნენ და უფრო ძვირფასი ტანსაცმელიც ეცვათ, მაგრამ ბიჭუნას ისინი რატომღაც მაინც არ მოეწონა. ხოლო როცა მამამისისა და უცნობების ლაპარაკი მოისმინა და დარწმუნდა, რომ ისინიც ტილოების საყიდლად იყვნენ მისულნი, შიშით გული გადაუქანდა: ხომ შეიძლებოდა, ახალ „ვალეტებს“ მამამისის ნაცოდვილარი არ მოსწონებოდათ. მაგრამ ბიჭუნას შიში არ გამართლდა. „ვალეტებმა“ მარტო ტილოები კი არ მოიწონეს და იყიდეს, არამედ ირაკლიც მაშინვე შეამჩნიეს და ჯიბეში მანეთიანის მაგივრად სამმანეთიანი ჩაუჩურთეს. ბიჭუნა მიხვდა, რომ მას და მამამისს კიდევ ერთხელ გაუმართლათ და შერჩეული ნამუშევრები მაშინვე მანქანაში ჩასაწყობად გაარბენინა. ახალი „აბრეშუმის ვალეტების“ სტუმრობა ამით არ დამთავრებულა. მათ კმაყოფილი მამა-შვილი ქალაქის ერთ-ერთ ყველაზე კარგ სამწვადეში დაპატიჟეს. სამწვადემდე მანქანით მივიდნენ. მამაკაცებიდან ერთ-ერთს, ვასო ერქვა, მეორის სახელი კი ირაკ-



ლიმ ვერაფრით გაიხსენა. ძველებისგან განსხვავებით, ახალ „ვალეტებს“ მანქანაში მაგნიტოფონიც ჰქონდათ და მთელი გზა გულის გამაწვრილებელ ბაიათებს უსმენდნენ.

ირაკლის სამწვადეში ყოფნა არ

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოეწონა და როგორც კი უფროსები სმას შეუდგნენ, მამას სთხოვა, გარეთ გავალ და იქ დაგელოდებიო, რაზეც ცივი უარი მიიღო.

— გაუშვი ბავშვი, გაერთოს! — შეუძახა ცოტნეს ვასომ და, თან, ბიჭუნას მუჭში ხურდა ფული ჩაუყარა: — წადი, შვილო, აქვე ახლოს პარკია, კარუსელზე „იკატავე“ და „მაროჟნიც“ იყიდე.

გაზაფხულის თბილი დღე იდგა. ირაკლიმ ფული გულმოდგინედ გადათვალა და შენახვა გადაწყვიტა, მაგრამ მერე მაინც გადაიფიქრა. „რატომ უნდა შევინახო? — ჰკითხა მან საკუთარ თავს. — „ვალეტებმა“ ხომ ის დასახარჯავად მომცეს? ჰოდა, სანამ ისინი და მამაჩემი სამწვადიდან გამოვლენ, კარგად გავერთობი“.

საკუთარი გადაწყვეტილებით შეგულიანებულმა ბიჭუნამ ჯერ ნაყინი იყიდა, შემდეგ კარუსელსა და „ეშმაკის ბორბალზე“ ტრიალით იჯერა გული.

ამასობაში მოსაღამოვდა და ცა ისე მოიქუფრა, რომ ცოტაც და წვიმა დასცხებდა. „კიდევ ერთხელ უნდა მოვასწრო „ეშმაკის ბორბალზე“ დაჯდომა“, — გაიფიქრა ბიჭუნამ და ისევ ატრაქციონებისკენ გასწია, მაგრამ უეცრად მამის ყვირილი და გინება შემოესმა, რასაც მაშინვე ვიღაცის კიდევ უფრო ხმამაღალი ყვირილი და გინება მოჰყვა. „მამა!.. მამას ეჩხუბებიან!“ — დაფეთდა ირაკლი და სამწვადისკენ გაიქცა, სადაც უკვე სეირის მაყურებლები იყრიდნენ თავს. ამ აურზაურში ბიჭუნამ ძლივს მოახერხა დაენახა, რომ მამამისი „ვალეტ“ ვასოს განწირული ებრძოდა.

შეხლა-შემოხლაში ოფიციანტი და ვიღაც უცხო ადამიანებიც მონაწილეობდნენ. მაგიდა გადაბრუნებული იყო, ბოთლები და ჭიქები — დამტვრეული; ცოტნეს სახელოზე მწვადის ქონიანი ნაჭერი აჰკვროდა, ცხვირი გატეხილი ჰქონდა, თვალი — ჩალურჯებული, მაგრამ მუშტებს მაინც გამეტებით იქნევდა. ირაკლი მამამისამდე მიღწევას ცდილობდა და, თან, — მამაო! — მთელი ხმით გაყვიროდა. ამასობაში მილიციელებიც გამოჩნდნენ და მოჩხუბრები სამწვადიდან სულ თრევა-თრევით გაიყვანეს. ჩხუბის ადგილზე ერთ-ერთი „ვალეტის“ მტვერში ამოგანგლული ძვირფასი პიჯაკი დარჩა. ირაკლიმ მათი გამოდევნება სცადა და მამას სახელოშიც კი ჩააფრინდა, მაგრამ მილიციელებმა ხელი ძალით გააშვებინეს და პარკის შესასვლელთან მარტო დატოვეს. ბიჭუნა უნუგეშოდ ატირდა, როცა დაინახა, მამა მილიციის მანქანაში როგორ შეათრიეს. შემდეგ სახლისკენ წალასლასდა. გზაში წვიმამ მოუსწრო. ისიც წვიმაში მიიკვლევდა გზას და, თან, ეჩვენებოდა, რომ მამას ველარასოდეს ნახავდა.

შინ მისულმა მთელი ღამე მამის სახელოსნოში, ცივ იატაკზე მწოლიარემ გაატარა და ყოველ გაფაჩუნებასა თუ მოახლოებული მანქანის ხმაზე ფეხზე გიჟივით წამოხტებოდა ხოლმე, მაგრამ მამა არა და არ ჩანდა. ბოლოს ძილმა თავი მაინც წაართვა და რომ გაეღვიძა, მამა უკვე თავზე ადგა. მას ერთი ნესტოდან ბამბის ნაგლეჯი გამოსჩროდა, მარცხენა თვალი შეშუპებოდა და ირგვლივ ნაბახუსევის უსიამოვნო სუნს აფრქვევდა.

— ძალიან გავცოფდი, — გაუთავებლად იმეორებდა იგი, — ის კრეტინები მიმტკიცებდნენ, შენს ნამუშევრებზე ხოხობი კი არა, ციცარია გამოსახულიო.

— ციცარი? — წაიჩურჩულა ცოცხალი მამის დანახვით გაოგნებულ-გახარებულმა ირაკლიმ.

— ჰო, ციცარიო!.. ვითომ ისე საზიზღრად და უნიჭოდ ვხატავდე, რომ კაცმა ვერ გაარკვიოს, სურათზე ხოხობია გამოსახული თუ ციცარი. ჰოდა, რომ აღარ გაჩერდნენ, მეც ავდექი და ჯერ ერთს მოვდე ყბაში და მერე — მეორეს. არავის მივცემ ჩემი ნიჭის და ღირსების უდიერად მოპყრობის უფლებას!.. ჰა, შენ რას ფიქრობ?

— რა თქმა უნდა... რა თქმა უნდა, ხოხობია... — ნაწყვეტ-ნაწყვეტ წარმოთქვა ირაკლიმ. — აბა, ვის მოუვა თავში აზრად იმის თქმა, რომ ეს ციცარია.

— ციცარზე კი არა, ნიჭისა და ღირსების დაცვაზე გეკითხები! — შეუღრინა შვილს ცოტნემ. — მიპასუხე, შენ კი არ დაიცავდი შენს ღირსებას?

— რა თქმა უნდა, დავიცავდი.

— ყოჩაღ! — გაეღიმა ცოტნეს და ირაკლიმ აღმოაჩინა, რომ მას წინა 2 კბილი აღარ ჰქონდა.

„გაფუჭებული ღიმილი, — გაიფიქრა მან, — მამაჩემს ღიმილი გაუფუჭეს...“

მოგვიანებით მამა-შვილმა ისაუზმა და ცოტნეც თვალის მოსატყუებლად საწოლზე გაუხდელად მიწვა.

— როგორი იდიოტი უნდა იყო, რომ ხოხობი და ციცარი ერთმანეთისგან ვერ გაარჩიო... ვითომ ისეთი უნიჭო ვიყო, რომ ფრინველის ზუსტად დახატვა არ შემეძლოს... — ჩაძინებამდე კიდევ რამდენჯერმე ჩაიბურტყუნა მან...

მამის გამოსახსნელად მიმავალ ჩავლეიშვილს ეს ყველაფერი გაახსენდა. ამ უაზრო ამბავში თავშესაქცევი მაინც ის იყო, რომ ორივე ახალი „ვალეტი“ მათთან ამის შემდეგ კიდევ დიდხანს დადიოდა. ისინი ცოტნეს ხოხბიან და უხოხბო ნამუშევრებს ერთმანეთის მიყოლებით ყიდულობდნენ, იმ ჩხუბს კი სიცილით იხსენებდნენ. „რაც იყო, იყო... ერთხელ რომელ მეგობრებს არ უჩხუბიათ...“ — გაუთავებლად იმეორებდა ხოლმე ვასო, რომელმაც ცოტნეს კბილების ჩასასმელი ფულიც კი მისცა...

ჩავლეიშვილი მცხეთაში პოლიციის განყოფილების შენობაში შევიდა. ადგილზე ნაცნობი პოლიციელი — კოტე ბედოშვილი დახვდა. ბედოშვილი ახალ ამბებს უყურებდა, მაგრამ კაბინეტში ირაკლის შესვლისთანავე ტელევიზორი გამორთო და ხელის ჩამოსართმევად ფეხზე წამოდგა.

— რა მოხდა? — მაშინვე ჰკითხა მას ჩავლეიშვილმა.

— არ გითხრეს?

— ის ვიცი, რომ მამაჩემს ღვინის მაღაზიაში ჩხუბი აუტეხავს.

— მაშინ დეტალებს მე მოგახსენებ, — გაეღიმა კოტეს, რომელიც ირაკლის მამასაც კარგად იცნობდა, — მამაშენი მაღაზიაში რომ შედიოდა, ვიღაც ტიპს გადაუსწრია და სასმლის ყიდვა მასზე ადრე დაუპირებია, მაგრამ ცოტნე რისი ცოტნე იქნებოდა, რომ ამის უფლება მიეცა. ჯერ გამყიდველისთვის უთქვამს, პირველი ხომ მე შემოვედი და ამიტომ, ჯერ მე უნდა მომემსახურონო, მაგრამ გამყიდველს თავი შორს დაუჭერია, არ ვიცი, რომელი როდის შემოხვედით, ერთმანეთში მორიგდითო. ბევრი რომ აღარ გავაგრძელო, ამ ორის დასარწმუნებლად მამაშენს არგუმენტები რომ გამოელია, მუშტი მოიშველია და იმ ტიპს ისე ჰგლიჯა, რომ დახლს იქით გადააფრინა. მას გამყიდველი გამოექომაგა და ერთი-ორი იმასაც მოხვდა. არ ინერვიულო, ძალიან არც ერთი არ დაშავებულა. ისე, მამაშენი მოხუცი კია, მაგრამ მაინც მაგარი მუშტი ჰქონია.

— ახლა სად არის?

— სად იქნება? — ისევ გაეღი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მა კოტეს. — სადაც მუშტი-კრივის მოყვარულებს ვსვამთ ხოლმე.

— როგორ მოვიქცეთ?

— შეგიძლია, შინ წაიყვანო, მაგრამ თუ დაზარალებულებს ვერ მოურიგდები, წვრილმან ხულიგნობაზე საქმე მაინც უნდა აღიძრას. აი, მათი გვარ-სახელები, — ფურცელი გაუწოდა ბედოშვილმა ირაკლის, — მე კი პროკურორთან ვცდი მოლაპარაკებას.

— გამყიდველი გასაგებია, მაგრამ ეს მეორე ვინ არის?

— თბილისელი ბიზნესმენია. მცხეთაში ძმაკაცთან საქეიფოდ იყო ჩამოსული. ძალიან გაცოფებულია, მაგრამ მოლბება, აბა, რას იზამს.

— თვითონ როგორ არის?

— ვინ? ბიზნესმენი?

— მამაჩემზე გეკითხები.

— მგონი, ცოტა ხელი სტკივა. ისე კი ბოლომდე ირწმუნებოდა, ეს თავდაცვა იყოო...

— თავდაცვაო? — გაუკვირდა ირაკლის. — ჩხუბი ხომ მან დაიწყო?

— ალბათ, იმის თქმა უნდოდა, საკუთარ უფლებას ვიცავდიო.

— ოჰ, ღმერთო ჩემო! — თავი ხელებში ჩარგო ჩავლეიშვილმა. — ნეტავ, ეს კაცი ოდესმე მაინც თუ დაღვინდება.

— არა მგონია, — თვალები ეშმაკურად მოწკურა კოტემ, — ხომ იცი, რომ ძველი გვარდია არასოდეს ნებდება.

— არ დანებდება და ერთხელაც ისე წაიტეხს კისერს, რომ...

— ხვალემ იკითხოს ხვალისაო, ხომ გაგიგონია? ახლა კი მოჰკიდე მამაშენს ხელი და შინ წადით. მართლა, გავიგე, მანქანა დაგწვია.

— ჰო, გაუმართავი და ძველი იყო.

— მადლობა ღმერთს, რომ მაინც ყველაფერი მშვიდობიანად დასრულდა. ახლა კი საქმეზე უნდა გავიდე, — ფეხზე წამოდგა კოტე.

ირაკლიც მაშინვე აჰყვა:

— გმადლობ დახმარებისთვის.

— რა დახმარებისთვის? — გაიკვირვა ბედოშვილმა და ოთახიდან უკანმოუხედავად გავიდა.

ჩავლეიშვილმა კი ცოტა ხანში საკნის კარი ფრთხილად შეაღო. იქ საკმაოდ ციოდა. ცოტნე სკამზე მოკუნტული იჯდა და ფრჩხილებს ლურსმნით ისუფთავებდა. ირაკლის დანახვაზე ფეხზე დინჯად წამოდგა.

— ცოტა კიდევ ვერ დაიგვიანე? — შეუღრინა მან შვილს. — იცი, რამდენი ხანია, რაც აქ ვიყინები?

— როცა შევძელი, მაშინ მოვედი, — უპასუხა ირაკლიმ, — მოემზადე, სახლში მივდივართ.

— რა მომზადება მინდა? მეც ახლა იარაღი არ მქონდეს ასასხმელი.

— იარაღი გაკლია და ბოლომდე აშენდები.

— შენ თუ გაქვს, ხომ აშენდი, აი... — ენამწარობას არაფრით იშლიდა ცოტნე, მაგრამ ირაკლიმ მტკიცედ გადაწყვიტა, რომ მოხუცს არაფრით აჰყოლოდა.

გზაში ხმა არც ერთს აღარ ამოუღია. ჩავლეიშვილს მოეჩვენა, რომ მამამისმა მომხდარი უკვე დაივიწყა.

სახლთან რომ მივიდნენ, ირაკლიმ ცოტნეს ჰკითხა:

— ვასოს და იმ მეორეს, შენგან რომ ნამუშევრებს ყიდულობდნენ, რა დაემართათ?

— ვასოს? — გაუკვირდა ცოტნეს. — დავიჯერო, გახსოვს ის იდიოტები?

— რა დამავიწყებს?! — შუბლი შეიკრა ირაკლიმ. — მათთანაც ხომ მაგარი ჩხუბი გამოაცხვე.

— მე მეგონა, დაგავიწყდა... სხვათა შორის, მეორეს სერგო ერქვა. მისი ამბავი არ ვიცი. აი, ვასომ კი ხელოვნებას ზურგი შეაქცია და ახლა სხვა ბიზნესშია.

— სწორად მოქცეულა. არა მგონია, ხელოვნებას მისი წასვლით რამე დაჰკლებოდა.

— ერთი იმისიც...

— ახლა ის მითხარი, ღვინის მაღაზიაში რას აკეთებდი?

— არ იცი, ღვინის მაღაზიაში რას აკეთებენ?

— სახლში ღვინის მეტი რა გაქვს?

— კონიაკის ყიდვა მინდოდა.

— კონიაკის?.. კონიაკი რომ არ გიყვარს?

— სამაგიეროდ, ჩემს ცოლს უყვარს.

— გიულიმაც დაიწყო სმა?

— სმა არა, კიდევ ის! — იტკიცა ცოტნემ. — უბრალოდ, ხანდახან ცოტას თუ მოწრუპავს. არ გაბედო და არ უსაყვედურო. ისიც მეყოფა, ჩემი ცხოვრების მართვას რომ ცდილობ.

— მე-ე? — საკუთარ ყურებს არ დაუჯერა ჩავლეიშვილმა. — შენს ცხოვრებაში არასდროს ჩავრეულვარ! შენ კი მართლა ბევრჯერ ცდილობდი ამას!

— ვცდილობდი, მაგრამ — შეაყარე კედელს ცერცვი! ჩემთვის რომ დაგეჯერებინა და პოლიციაში სამუშაოდ არ წასულიყავი, ახლა ამ დღეში არ იქნებოდი.

ირაკლი მიხვდა, რომ ისევ სალაპარაკო თემის შეცვლის დრო იყო:

— ხელი გტკივა?

— გამივლის... მთავარი ხელი კი არა, ღირსებაა! კაცმა საკუთარი ღირსების დაცვა ყოველთვის უნდა შეძლოს!



— გეთანხმები, მაგრამ იცი, რომ შენ წინააღმდეგ საქმის აღძვრას აპირებენ?

— თავში ქვა უხლიათ. მაინც ყველაფერს უარვყოფ.

— იმასაც, რომ ჩხუბი შენ დაიწყე?

— ხომ გითხარი, ჩემს ღირსებას ვიცავდი-მეთქი! თუ დღეს უკვე ესეც დანაშაულია და ამის გამო ადამიანებს ციხეში სვამენ? — ხმას აუწია გაღიზიანებულმა ცოტნემ.

— ციხეში ჩასმას არავინ გიპირებს, მაგრამ კომპენსაციის გადახდას ვერ ავცდებით.

— კაპიკსაც არავის გადავუხდი.

— დამშვიდდი, მე გადავუხდი.

— არ გაბედო!

— ადამიანებს ცხვირ-პირი დაუსისხლიანე და ფულის გადახდაც აღარ გინდა?

— გითხარი, არ გაბედო-მეთქი!.. — გაიმეორა ცოტნემ. — დამიჭირონ! ვნახოთ, ბოლოს ვინ რა ჩიტსაც დაიჭერს.

ირაკლი გაჩუმდა, რადგან სახლიდან გამოსული დედინაცვალი დაინახა.

— იცოდე, გიულისთან არაფერი წამოგცდეს, — უცბად დამნაშავე ბავშვივით მოიკუნტა ცოტნე.

— დამშვიდდი, არაფერს ვეტყვი, — მამას გაკვირვებით გადახედა ჩავლეიშვილმა...

*გაგრძელება შემდეგ ნომერში*

სვეტა კვარაცხელია

ნაწარმოებზე თქვენი შთაბეჭდილება შეგიძლიათ გაგვიზიაროთ ელფოსტით

gza.fantazia@gmail.com



დასაწყისი იხ. „გზა" №47-50

# იდეალური წამებული

— არ გადამრიო! — შეიცხადა მეკომ საღამოს, როცა შინ დაბრუნებული ნანათე დაქალს ილიას ისტორიას მოუყვა. — როგორი ტრაგიკული ცხოვრება ჰქონია!

— ნუ იტყვი! მე კი რა საშინლად მოვექეცი!

— კარგი, რა! ისეთი არაფერი გაგიკეთებია. ყველაზე სასაცილო ამ ყველაფერში ისაა, რომ საკუთარი უფროსის მაჭანკლობით გაცნობამ მოგიწია! — გადაიკისკისა მეკომ.

— იცინე, ხო! ასეთი მეგობრები მყავხართ! უკეთესი არ გემეტებათ ჩემთვის! — გაიღიმა ნანათემ. — რას ვიფიქრებდი, ის უჟმური თუ დამხვდებოდა იქ? თან როგორი გამოპრანჭული მივედი! რა ხეირი?

— არა უშავს, სამაგიეროდ, აწი სულ სხვა თვალით შეხედავ. ეგ ყველაფერი კარგი და, დილით კარი ღია რატომ დატოვე?

— აბა, სახლში არ იყავი და რა მექნა? არ ვიცოდი, გასაღები თან გქონდა თუ არა.

— კი, მაგრამ ჩანთა რომ არ მქონდა წაღებული და მობილურიც რომ აქ იდო, ვერ მიხვდი, რომ მაღაზიაში ვიქნებოდი გასული?

— მაგას კი მივხვდი, ბატო! მაგრამ ვაი და, გასაღები არ გქონოდა თან?

— ოო-ოჰ! — ხელი აიქნია გაღიზიანებულმა მეკომ და ფეხები სულთანივით მოიკეცა.

— დღეს მთელი დღე ამ ისტორიაზე ვფიქრობდი. თან შემრცხვა ჩემი თავის, რაები მაქვს ილიაზე ნათქვამი. ცისიასაც ყველაფერი ჩაუკაკლავს, — ასე და ასე ამბობს თავის უფროსზეო.

— არ გინდა, ნან! ნუ იზამ ამას! — უეცრად დასერიოზულდა მეკო.

— რას? — ვერ მიუხვდა ნანათე.

— არ შეიყვარო!

— შევიყვარო? არც მიფიქრია, უბრალოდ, მეცოდება.

— ვიცი, რომ გეცოდება, მაგრამ კარგად გიცნობ. ჯერ გეცოდება, მერე გიყვარდება, — მეკო გამომცდელად მიაჩერდა დაქალს და ამოიოხრა, — შენც კარგად იცი ეს. გავა დრო და შენს პატარა სამყაროს თავდაყირა დააყენებ, ოღონდ კი ვიღაცას დაეხმარო. ზესოც ასე გეცოდებოდა და კი იცი, როგორც დამთავრდა ეგ ამბავი!

— ეს სულ სხვა შემთხვევაა, — გააპროტესტა ნანათემ, — ილიას ჩემი თანადგომა არ სჭირდება... და საერთოდ, არაფერი სჭირდება.

— გეგონოს! არ გიცნობდე მაინც! შენი გულისთვის გეუბნები, თორემ მე რა! არ მინდა, ვიღაცის შეცოდებით სიყვარულამდე მიხვიდე, — გამაფრთხილებელი ტონი გაისმა მეკოს ხმაში, — მას ისეთი სიმწარე აქვს გადატანილი, ყოველთვის ეგეთი გულჩათხრობილი დარჩება, სულ უხეში და უხასიათო იქნება. ის ცოლს ვერ დაივიწყებს, ამიტომ მისთვის იდეალური ქალი ვერასდროს გახდები. შენ მხოლოდ მეორე ადგილს დაიჭერ მის ცხოვრებაში.

— და რატომ გგონია, რომ მის ცოლობას ვაპირებ? მე მხოლოდ ის ვთქვი, რომ ცოტა რბილად უნდა მოვექცე, მეტი არაფერი.

— ჰო, კარგი, კარგი. ფრთხილად იყავი მაინც. შენ ხომ არ მოგწონს იგი, უფრო სწორად — აქამდე არ მოგწონდა. ახლა შეგეცოდა და აზრიც შეგეცვალა. ეს არ მომწონს.

— სულაც არა!

— არა კი არა, ასეა! როცა ცოლიანი გეგონა, ვერ იტანდი, სულ ლანძღავდი. ახლა გაიგე, რომ ქვრივია და სხვანაირად შეხედე. ასე არ არის?

— არა! არ არის ასე! — წამოხტა ნანათე. — შენ რა, არ შეგეცოდა, რომ მოგიყევი? გული არ აგიჩუყდა? მეც ეგრე დამემართა. არც მიფიქრია მასზე სხვანაირად!

მეკომ პასუხი არ გასცა. იცოდა, ახლა თუ შეეკამათებოდა, აუცილებლად იჩხუბებდნენ, ამიტომ გაჩუმება ამჯობინა.

ნანათე ერთხანს ზამბარასავით დაჭიმული იდგა და უცდიდა, რას ეტყოდა მეგობარი და როცა პასუხი ვერ მიიღო, მოეშვა, სავარძელში ჩაჯდა და ფეხი ფეხზე გადაიდო.

კარგა ხანს ორივენი დუმდნენ. მერე ნანათემ ხმადაბლა, მშვიდად წარმოთქვა.

— მასთან ისეთივე გულგრილი დავრჩები, როგორიც ვიყავი, მაგრამ მეტ თავაზიანობას გამოვიჩენ. როგორც ჩანს, მას საქმიანი, მშვიდი სამუშაო გარემო სჭირდება. ჰოდა, მიიღებს კიდეც. და ამას არაფერი აქვს საერთო სიყვარულთან. გასაგებია?

— გასაგებია, — მორჩილად დაუქნია თავი მეკომ.

— ახლა შენმა პაემანმა როგორ ჩაიარა, იმას მომიყევი, — სიტუაციის განსამუხტავად გაიღიმა ნანათემ.

— ისე რა. ვილაპარაკეთ, ერთმანეთი უფრო ახლოს გავიცანით და

ეროვნული ბიბლიოთეკა

სახლამდე რომ მომაცილა, ერთიორჯერ მაკოცა. ეგ იყო და ეგ.

— გაკოცა? სად, სადარბაზოსთან? — ნანათეს ილია წარმოუდგა თვალწინ, ქოლგით რომ მოაცილებდა.

— არა, მანქანაში.

— აჰააა! ანუ, მეზობლები ვერ დაგინახავდნენ.

— ვის რა უნდა დაენახა, ისეთი თავსხმა იყო, ჩვენ ძლივს ვხედავდით ერთმანეთს.

— ესე იგი, კარგი ბიჭია? გამოდგება?

— წავა, რა. ვნახოთ ჯერ, ასე უცებ ხომ არ მივახტები.

— მეტი რაღა უნდა მიახტე, გიკოცნია და...

— ეგ დანაშაულია?

— არა, დანაშაული რა შუაშია. რახან აკოცე და მასაც მიეცი კოცნის უფლება, ეს ნიშნავს, რომ მისალები კანდიდატურაა შენთვის.

— იმიტომ ვაკოცნინე, რომ მაინტერესებდა, როგორი კოცნაობა იცოდა.

— და დაიკმაყოფილე შენი ცნობისმოყვარეობა?

— ნაწილობრივ! — ხმამაღლა გაიცინა მეკომ, თან ხელი პირზე აიფარა, — რა დღეში ვარ! არა, მართლა კარგი ბიჭია და მოფერებაც კარგი იცის. იმდენად კარგი, რომ ისევ მომინდა!

— გიჟი ხარ! დედალი გიჟი! — ნანათესაც გულიანად გაეცინა.

სამსახურში ატმოსფეროს შეცვლა თეორიულად არ იყო ცუდი იდეა, მაგრამ პრაქტიკულად მისი განხორციელება არც ისე ადვილი აღმოჩნდა. არადა, ნანათე გულით ცდილობდა, ყველაფერი ზედმიწევნით კარგად გამოსვლოდა. დილით აღარ იგვიანებდა. თბილად ელაპარაკებოდა ილიას, ყველაფერზე თავს უქნევდა და კაბინეტიდან კაბინეტში საქმიანი იერით გადიგამოდიოდა. ჩაცმის სტილიც კი შეიცვალა. სოლიდური, საქმიანი ქალბატონის იმიჯი მოირგო, უფერო სათვალეც დაიკოსა ცხვირზე და ნამდვილ მენეჯერს დაემსგავსა, ოღონდ — შინაბერას. როცა ილია რამეზე უხეშად მისცემდა შენიშვნას, ენას კბილს აჭერდა, რომ გაწიწმატებულს თავადაც არ წამოსცდენოდა მკვახე-მკვახე. ის, უბრალოდ, აკეთებდა თავის საქმეს, მშვიდად და მოთმინებით... და ელოდა იმ დღეს, როცა უფროსი შეამჩნევდა მის გარდასახვას. ხოლო როცა ამას შეამჩნევდა, მაშინვე მიხვდებოდა, როგორ შეუმსუბუქდა ცხოვრება.

თუმცა დრო გადიოდა და საქმეს უკეთესობა არ ეტყობოდა. ნანათეს მცდელობა წყლის უაზრო ნაყვა აღმოჩნდა. იმის მაგივრად, რომ ილია მისი მადლიერი დარჩენილიყო, ეჭვიანი გახდა.

— რა გემართებათ? — ჰკითხა ერთხელაც. — რაღაც ზედმეტად თავაზიანი მეჩვენებით. სიმართლე გითხრათ, ეს ჩემს ნერვებზე უარყოფითად მოქმედებს. ან ასე რატომ გაცვიათ? გასაუბრებაზე ხომ არ დადიხართ ახალი სამუშაოს თაობაზე?

— არა, — თავი გადააქნია ნანათემ, — მე მხოლოდ იმას ვცდილობ, პროფესიონალურად გამოვიყურებოდე. მეგონა, მოგეწონებოდათ! — თავი ველარ შეიკავა.

ილიამ ყურადღებით შეათვალიერა.

— არა მგონია, ეს პროფესიონალური იმიჯი გიხდებოდეთ, — მშრალად მიუგო.

„სწორედ ამისთანებზეა ნათქვამი, გინდ წინ და გინდ უკანო“, — გაჯავრებულმა ქალმა წარბები შეიკრა და პასუხის გაუცემლად დატოვა ბოსის კაბინეტი.

თამრიკო კომპიუტერთან იჯდა და ფრჩხილებიდან ლაქს იცილებდა. ოთახში აცეტონის მძაფრი სუნი ტრიალებდა.

— რაო, ვერ არის ხასიათზე? — იდუმალი ჩურჩულით ჰკითხა მდივანმა.

— როდის არის ეგ ხასიათზე! — ჩაიბუზღუნა ნანათემ, — ნეტავ დროზე გამოვიდეს ის ელისო, რომ გავიქცე აქედან.

— დაიკიდე! არ გათეთრდების ყორანიო, ხომ გაგიგონია! არ მიაქციო ყურადღება.

— არ მიაქციო — კარგია! ნერვები არ უნდა ამ ყველაფერს?

— შენც ნუ ინერვიულებ, გაატარე, რა. ცალ ყურში შეუშვი და მეორიდან გაუშვი.

— ეჰ, თამრი, თამრი... — ხელი ჩაიქნია ნანათემ და თავის ოთახში შევიდა.

— ყავა თუ მოგინდეს, „დამიზარუნე“! — დაადევნა თამრიკომ და ლაქისგან გაწითლებული ბამბა ურნაში მოისროლა.

ერთხანს დაღვრემილი იჯდა და ფიქრობდა. როგორ მოიქცეს? რით მოაწონოს ამ კაცს თავი? ყველაფერს აკეთებს, რომ ნაკლებად ანერვიულოს, ის კი უფრო ღიზიანდება. ისევ ისეთი გახდეს, როგორიც ადრე იყო? ეს უნდა? რა უცნაური კაცია! არაფრის დაფასება არ იცის!

ამ დროს თამრიკომ შემოაღო კარი.

— არ გინდა ყავა?

— უნდა მოადუღო? — გახედა ნანათემ.

— ილიას შევუტანე წეღან და შენც გაგიკეთებ, თუ გინდა.

— მოდი აქ! — ხელით მოიხმო.

— რა იყო? — მდივანს ცნობისმოყვარეობა აღებეჭდა სახეზე და მიუახლოვდა.

— ჩემზე ხომ არ უთქვამს რამე?

— ჩემთვის არა, მაგრამ ტელეფონზე ელაპარაკებოდა ვიღაცას. ზუსტად არ ვიცი, შენზე ეუბნებოდა თუ არა, მაგრამ რატომღაც, ასე მომეჩვენა. ადრე რომ ვუყურებდი, თვალს მაინც ახარებდა, ახლა კი მონაზონივით აცვიაო.

— გამაგიჟებს ეს კაცი! რა უნდა?

— რომელიმე შეხვედრაზე დეკოლტეთი ყოფილხარ?

— რომელ შეხვედრაზე? — ვერ გაიხსენა ნანათემ.

— მე რა ვიცი. ასე თქვა, ისეთი დეკოლტე ჰქონდა, მერიდებოდა, გამეხედაო. იქნებ შენზე არ ლაპარაკობდა?

— ხომ გეუბნები, ვერ არის ნორმალური! აბა, საქეიფოდ მივდიოდი და შარვალ-პიჯაკში ხომ არ გამოვეწყობოდი! რას ელოდა? ან მე რა ვიცოდი, ის თუ დამხვდებოდა იქ?!



— სად იქ? მომიყევი, გეხვეწები! — თამრიკო მოხერხებულად მოკალათდა მაგიდასთან და გაფუებული ძუძუები ხელებზე დაილაგა.

ნანათემ მოკლედ მოუთხრო, რაც მოხდა. მასთან დასამალი არაფერი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჰქონდა. გაცნობის დღიდან გაუგეს ერთმანეთს და დამეგობრდნენ. ან კი რა იყო დასამალი?! ისეთი განა რა მოხდა?! არაფერი.

— ნეტავ ვის ელაპარაკებოდა?

— ალბათ კახას ან ცისიას, სხვას ვის. უცხოებთან ჩემზე არ დაიწყებდა ჭორაობას.

— ნუ ღიზიანდები, გთხოვ. ხომ იცი, როგორი ტიპია. საერთოდ არ იფიქრო ამაზე. შენ შენი საქმე აკეთე და ყურადღება არ მიაქციო მის კაპრიზებს. ვიცი მე, ასე ჯობია.

მიუხედავად ილიას შენიშვნისა, ნანათე იმიჯის კვლავ შეცვლას სულაც არ აპირებდა. არა უშავს. რაც უნდა, ის იფიქროს. ის კეთილსინდისიერად იმუშავებს. მთავარი მართლა ესაა. იმუშავებს და ერთ მშვენიერ დღესაც დაუმტკიცებს, რომ ელისოზე ნაკლები არ არის. მართალია, ეს უკანასკნელი არასდროს უნახავს, მაგრამ გული უგრძნობს, რომ ელისო ერთადერთი და განუმეორებელი სულაც არაა, სხვასაც შეუძლია იყოს მისნაირი კომპეტენტური.

ერთი კვირა გავიდა მას შემდეგ, რაც ნანათემ პუნქტუალურად დაიწყო სამსახურში გამოცხადება. ერთ დილითაც, როცა თითქმის მიუახლოვდა ოფისს, საშინელმა წვიმამ დასცხო. ქალი შეჩერდა, რომ ჩანთიდან ქოლგა ამოეღო და გაეშალა. ამასობაში თმა დაუსველდა და ისედაც დაუმორჩილებელი კულულები მთლად ფაფარივით გაუხდა. ამაოდ ცდილობდა, ხელისგულით დაეტკეპნა სველი თმა. სანამ სამსახურს მიუახლოვდებოდა, წვიმას ქარიც დაემატა და მისი სანაქებო ქოლგის ფრთები აქა-იქ ზამბარებიდან ამოხტა.

— ჯანდაბა! ეგღა მაკლდა! — წამოიძახა გაბრაზებულმა და ქოლგის დაკეცვას შეეცადა. რის ვაივაგლახით მოახერხა ამის გაკეთება და ჰოლში ერთიანად გაწუწულმა შეირბინა. დაცვის ბიჭს თავის დაქნევით მიესალმა და უხასიათოდ აუყვა კიბეს.

თამრიკო ჯერ არ ჩანდა. სამაგიეროდ, მის სავარძელში ვიღაც უცხო გოგონა შენიშნა, რომელსაც მობილური მოემარჯვებინა ხელში და გამალებით ამესიჯებდა.

— დილა მშვიდობისა, — ოდნავ დაბნეული მიესალმა.

— გამარჯობა, — უცნობი ფეხზე წამოდგა და გაუღიმა.

— იყავით, იყავით, — ხელით ანიშნა ნანათემ, — თამრიკოს ელოდებით?

— არა, მამაჩემს, — კვლავ გაიღიმა გოგონამ.

ნანათეს თვალები გაუფართოვდა. ილიას ქალიშვილი ყოფილა! მაშ, ეს არის ლიკატო? მშვენიერი გოგოა! — გაიფიქრა თავისთვის.

— ააა! გასაგებია! მე... მე ნანათე ვარ.

— მივხვდი. მე კი ლიკა ვარ, ილიას შვილი.

— სასიამოვნოა. თქვენ როგორ მიხვდით, მე ვინ ვიყავი? — ცნობისმოყვარეობამ სძლია.

— მამამ მიამბო თქვენ შესახებ... თმით გიცანით.

— თმით?

— ჰო, ხუჭუჭა თმა აქვსო... მოწითალო ფერისო... თამრიკოს ხომ ისედაც ვიცნობ და...

— საინტერესოა! — ღვარძლმა გაიჟღერა ნანათეს ხმაში.

თურმე მისი უფროსი სახლშიც კი მასზე ლაპარაკობს.

— კიდევ რაო, მამამ? უპასუხისმგებლო მენეჯერი მყავსო? — თავი ველარ შეიკავა გაღიზიანებულმა.

— არა, რას ამბობთ! მამამ არ იცის სხვების გაკილვა.

— ვითომ? — ურწმუნოდ გადააქნია თავი, ქოლგა დაფერთხა, კედელს მიაყუდა და ლაბადის გახდას შეუდგა.

— დედას გეფიცებით!

ამ სიტყვებმა შემაძრწუნებლად იმოქმედა ნანათეზე. თითქოს დენმა დაარტყაო, ისე შეკრთა. გოგონას ქვემოდან გახედა. ლამაზი, მაგრამ სევდიანი თვალები ჰქონდა ლიკას, დიდრონი, ცისფერი და წყლიანი.

— მჯერა, დაფიცება საჭირო არ არის, — თბილად უპასუხა და უფრო თბილად გაუღიმა.

— დასველებულხართ... მე კი შემოვასწარი დროზე.

— მოსულია? — თვალებით კაბინეტისკენ ანიშნა ნანათემ.

— ჰო, კადრებშია გასული. მალე შემოვა.

— დღეს მომასწრო. მე უფრო ადრე მოვდივარ ხოლმე.

— ვიცი. სახლში შუქი არ გვქონდა და ამიტომ ადრე გამოვედით. დილით ყავის გარეშე არ შემიძლია. მითხრა, ჩემთან დავლიოთო.

— მოგიდუღებ.

— არა, გმადლობთ, უკვე დავლიეთ, მამამ მოადუღა.

— მამამ? ილიამ... ბატონმა ილიამ ყავის მოდუღება იცის? — გაკვირვებით იკითხა.

— მამამ ყველაფერი იცის. სადილებსაც კი ამზადებს, — გულწრფელი ღიმილი აუთამაშდა ტუჩებზე გოგონას.

— ყოჩაღ, კარგი მამიკო გყოლია!

— საუკეთესო! — დაეთანხმა ლიკატო და მხოლოდ ახლაღა დაჯდა.

ამ დროს თამრიკომაც შემოაღო კარი.

— ვა! ლიკა?! გამარჯობა, როგორ ხარ, საყვარელო? — მდივანი გოგონასკენ გაეშურა.

— არა მიშავს, თავად? — ლიკატო წამოდგა და ერთმანეთი გადაკოცნეს.

ნანათემ შურით გახედა ორივეს. მოუნდა, თვითონაც ასეთი შინაურული დამოკიდებულება ჰქონოდა ბოსის ქალიშვილთან.

— შენს თავს ზემოთ არ წვიმდა, თუ როგორაა საქმე? — გაეხუმრა ნანათე „მშრალ" მდივანს.

— ჩემმა ძმამ მომიყვანა მანქანით. უი, როგორ დასველებულხარ, — ახლაღა შეამჩნია თამრიკომ თავიდან ფეხებამდე გაწუწული მენეჯერი.

— საშინლად.

— არ გაცივდე! გინდა, ჩემი ჟაკეტი მოგახურო?

— არა, არ მინდა. გავშრები, არაფერია, — ჩაიდუდღუნა თავისთვის და კაბინეტის კარი შეაღო, — თუ მიკითხოს, აქ ვარ, — ესროლა თამრიკოს და კარი შეიკეტა.

ოთახში შესულმა შიშისგან შეჰყვირა. დამლაგებელს ფანჯარა ღია დაეტოვებინა და წვიმა შიგნით ასხამდა. რაფის გასწვრივ, მთელ მონაკვეთზე, იატაკი მთლიანად დასველებულიყო. სირბილით მიირბინა ფანჯარასთან, მაგრამ სახელურისთვის ხელის ჩავლება ვერ მოასწრო, რომ ფეხი დაუსხლტა და იატაკზე ბრაგვანი მოადინა. ხმაურზე თამრიკო და ლიკატო შემოცვივდნენ.

— რა მოხდა? — შეშფოთებულებმა თითქმის ერთდროულად იკითხეს.

— დავეცი. ფეხი დამიცურდა და... — ნანათეს ისე ეწვოდა მარცხენა მუხლი, წამოდგომა გაუჭირდა.

— უი, სისხლი მოგდის! — შეიცხადა თამრიკომ, მიირბინა, ხელი ჩასჭიდა და წამოაყენა, — ლიკა, ჩემი მაგიდის უჯრაში აცეტონი და ბამბაა, მოიტანე, რა.

— არ მინდა, იყოს, — ტკივილისგან სახე დაემანჭა ნანათეს.

ლიკატო გავიდა და მალევე შემობრუნდა.

— აცეტონი დამწვავს, თამრი.

— არა უშავს, სამაგიეროდ, მალევე გაგივლის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— რა ხდება აქ? — მოულოდნელად კარის ზღურბლს ილიამ გადმოაბიჯა.

— იატაკი სველი ყოფილა და წაიქცა, ბატონო ილია, — „უპატაკა“ თამრიკომ.

— კი, მაგრამ რამ დაასველა? — მამაკაცმა ფანჯარას გახედა.

— ალბათ დამლაგებელს დარჩა ღია, — წამოიკვნესა ნანათემ.

— ეგღა აკლდა თქვენს პროფესიონალიზმს, — ცინიკურად შენიშნა ილიამ და გავიდა.

ნანათეს გულზე შემოენთო. იმის მაგივრად, რომ ერთი-ორი სანუგეშო სიტყვა ეთქვა, აქეთ დაამადლა და თან დასცინა.

ღრმად ამოიოხრა და თვალები ცრემლით აევსო. ამ დროს ილიამ თავი შემოყო ოთახში.

— წადით სახლში, გამოიცვალეთ და ადამიანს დაემსგავსეთ.

— ამ თავსხმაში როგორ წავა, ბატ...

— ტაქსი გამოიძახეთ, — გააწყვეტინა უფროსმა თამრიკოს და გაუჩინარდა.

— ტაქსი გამოიძახეთ, — გამოაჯავრა მდივანმა ბოსი და ლიკატოს შეხედა, — არ გეწყინოს, მაგრამ ხანდახან ძალიან ურევს მამაშენი. საერთოდ არ იჩენს ზრდილობას.

— მეც ეგრე მექცევა ხანდახან, საწყენი რა არის... ჩემზე კარგად ვინ იცნობს მამაჩემს, — გაიღიმა ლიკატომ და ნანათეს შეხედა, — მე გაგაცილებთ.

— არა, თქვენ როგორ შეგაწუხებთ, არ არის საჭირო.

— სულაც არ ვწუხდები. საქმე მაინც არაფერი მაქვს. თან მეგობარმა უნდა გამომიაროს მანქანით, — შეცვლილი ხმით დააყოლა და მობილური მოიმარჯვა, კვლავ დაუმესიჯა ვიღაცას.

თამრიკომ და ნანათემ მრავლისმეტყველად გადახედეს ერთმანეთს. მიხვდნენ, როგორ მეგობარზეც იყო საუბარი.

— ლიკა, მომისმინე, გენაცვალე, — თამრიკომ იდაყვზე წაავლო ხელი, — ახლა შენ აქ მეგობარი რომ დაიბარო მანქანით და ნანათეც თან გაიყოლო, ეს უბედური სამსახურს დაკარგავს. არ ღირს... ჯობია, მართლა ტაქსი გამოვიძახოთ, კარგი? იმ მეგობარს მერე შეხვდი.

— არა, შეხვედრას არც ვაპირებ. თან ამ დილაუთენია, — ბავშვურად გაიცინა ლიკატომ.

— ჰოდა, მით უკეთესი. მე გავალ, დავრეკავ, შენ კი, თუ მართლა აპირებ, გააცილო, მამას უთხარი, იქნებ არ გიშვებს?

უეცრად ისევ გამოჩნდა ილია. სამივე ყურადღებით შეათვალიერა, თითქოს შეთქმულების მონაწილეებს აკვირდებაო. მერე მზერა ნანათეზე შეაჩერა.

— ტაქსი ათ წუთში აქ იქნება. აი, ფული! — თქვა და ათლარიანი მაგიდაზე დადო.

— არ არის საჭირო, ფული მაქვს, — შორს დაიჭირა მენეჯერმა.

— ვიცი, რომ გაქვთ, მაგრამ არც ეგ გაწყენთ! ჩათვალეთ, რომ სამსახურებრივი ტრავმის საფასურია, — ულიმილოდ გაიხუმრა და კარისკენ დაიძრა.

— მამა, მეც მივყვები.

— შენ? — მამაკაცი შეჩერდა და მკაცრად გახედა ქალიშვილს. — ერთი წუთით! ვერ გავიგე...

— ყველაფერი რიგზეა, ილია, რა მოგივიდა? — ტოლივით მიმართა მამას გოგონამ და გაიცინა, — ცოდოა მარტო, გავაცილებ.

ილიამ ვერაფერი თქვა. დაბნეული იდგა და შვილს შესცქეროდა.

— მერე მობრუნდები უკან თუ რას იზამ?

— არა, იქიდან სახლში წავალ. შუქი უკვე მოვიდოდა.

— როგორც გინდა... ფული გაქვს?

— კი, მაქვს, არ იდარდო. პურს მე ვიყიდი დღეს, შენ არ მოიტანო.

— კარგი, — ჩაიბურტყუნა ნირწამხდარმა და გავიდა. აშკარა იყო, ქალიშვილის გადაწყვეტილებით სულაც არ დარჩა კმაყოფილი.

სანამ ტაქსი მოვიდოდა, ნანათე ტუალეტში გავიდა და ხელები დაიბანა. შეძლებისდაგვარად, ქვედაბოლოც გაიწმინდა და ბოლოს თმაზეც გადაისვა სველი ხელი.

— ყველაფერს შეიძლება ეშველოს და ამ თმას აღარაფერი ეშველება, — თქვა გაგულისებულმა და იქვე მიიღო გადაწყვეტილება, რომ შელეოდა თავის კულულებს და შაბათს ბიჭურად შეეკრიჭა ბუდესავით აგორგლილი თმა.

ერთი საათის შემდეგ ნანათე და ლიკატო მეკოს დაწკრიალებულ სამზარეულოში ისხდნენ და ყავას შეექცეოდნენ, თან დიდი ხნის მეგობრებივით ბაასობდნენ.

— მამაჩემი ბრაზობს, ბევრად უფროსია შენზეო. მერე რა არის ამაში ცუდი? მთავარია, გვიყვარს ერთმანეთი. ასაკს რა ჭკუა აქვს? ბევრი მინახავს ტოლები, მალევე რომ დანგრევიათ ოჯახი. ამის გამო ხშირად ვკამათობთ.

— თუ კარგი ადამიანია, ასაკი არაფერ შუაშია, — მხარი აუბა ნანათემაც.

— მეც მაგას არ ვამბობ? ის კი არ მეთანხმება. უნდა, რომ მეც ყველაფერზე მისნაირი შეხედულება მქონდეს. ვერ იტანს, როცა რამეში არ ეთანხმებიან. შენ სულ არა ხარ ელისოსნაირიო, თავის მენეჯერს მადარებს, — გაიცინა ლიკატომ.



— მაგას მეც ხშირად მეუბნება, — ნანათემაც ვერ შეიკავა სიცილი. თან უხაროდა, ასე მალე რომ გამონახა ილიას ქალიშვილთან საერთო ენა.

— არ მომწონს ის ელისო! — გააგრძელა ლიკამ, — ისე მელაპარაკება ხოლმე, თითქოს პატარა ბავშვი ვიყო. და კიდევ... შეყვარებულია მამაზე.

— და მამაშენი არ არის შეყვარებული? — თავი ვერ შეიკავა ნანათემ, თუმცა იცოდა, რომ ასეთი შეკითხვის დასმის უფლება არ ჰქონდა.

— არ ვიცი, — მხრები აიჩეჩა გოგონამ, — ვფიქრობ, რომ არა. სულაც არ მჭირდება დედინაცვალი. მშვენივრად ვარ ასე.

„საწყალი ელისო“, — გაიფიქრა ნანათემ.

— აი, რომ გავთხოვდები, მერე მოიყვანოს, თუ უნდა. მე მაინც ქმართან ვიცხოვრებ და... მერე კი დასჭირდება მომვლელი.

— შენი შეყვარებული რას წარმოადგენს?

— ბანკირია, — ამაყად განაცხადა ლიკატომ, — მალე უფრო დააწინაურებენ. მმართველის მოადგილე გახდება და მერე მამაჩემთან აპირებს მისვლას, რომ ჩემი ხელი სთხოვოს.

— ჭკვიანურია, — მოუწონა ქალმა გადაწყვეტილება და ლიკატოს თვალი ჩაუკრა.

*გაგრძელება შემდეგ ნომერში*

ეროვნული ბიბლიოთეკა

# გზავნილები

# რაც მოგივა დავითაო, ყველა შენი თავითაო

*მარი ჯაფარიძე*

**გამარჯობა. ახალ წლამდე 9 დღე დარჩა. თოვლის ბაბუა კარგი ბავშვებისთვის უკვე საჩუქრებს ყიდულობს. იმედია, „გზის“ არც ერთი მკითხველი არ დარჩება საჩუქრის გარეშე... ალბათ უმეტესობას წინასაახალწლო განწყობილება გაქვთ და მოუთმენლად ელით დღესასწაულს... სულ მალე კი ყველა ოჯახში „ვინეგრეტი“, საცივი და ნამცხვარი გაჩნდება და ზედმეტ კილოგრამებსაც აკრეფთ... მერე იმაზე იწუწუნებთ, რა მეშველება, როგორ დავიკლო ახალ წელს მომატებული წონაო?.. მოკლედ, ვერც მე ვძლიე ცდუნებას და ნაადრევად შემოგთავაზეთ „საახალწლო“ შესავალი... ახლა კი თქვენ მიერ გამოგზავნილ მესიჯებს გაგაცნობთ.**

## მიყვარს!

„არასდროს დავიღლები იმის გამხელით, რაც დამემართა. როცა საქართველოში ჩამოვედი, ყველა გოგოს დაბმაზე ვფიქრობდი და ყველას ვეკაიფებოდი. ერთხელ ქალაქში 2 გოგო ვნახე. სხვების ფონზე აშკარად მოვლილები ჩანდნენ. მე ძმაკაცთან ვიყავი და გადავწყვიტე, მათთან წამეფლირტავა. ახლოს მივედი და ხელი მოვკიდე. ანანომ ერთი უცნაურად ამომხედა და ისე დამარტყა, არ ვიცი, ხელში რა ძალა ედგა. გოგოს ასეთმა საქციელმა გამაოცა და გადავწყვიტე, გამეცნო. გავარკვიე სად ცხოვრობდა. იმ ზაფხულს დავიწყე იქ სიარული. მერე გავიგე, ერთ-ერთ სოციალურ ქსელში იყო და მეც დავრეგისტრირდი. აქედან დაიწყო ყველაფერი. დიდი ხანი დამჭირდა, რომ შემჩვეოდა. 1 წლის მანძილზე მისი ნდობა ტყუილებით მოვიპოვე, მაგრამ ამის გამო დაუსჯელი არ დავრჩენილვარ. პასუხი საკუთარი თავით ვაგე. დას გეფიცებით, ანის შემდეგ სხვა გოგოსკენ არც გამიხედავს. როცა გაიგო, რომ ვატყუებდი, უთქმელად წავიდა. მაშინ მივხვდი, რომ მოვკვდი... იმ დღიდან ძვირფას საჩუქრებს ვუკეთებ, ყველაფერი საუკეთესო მისთვის მინდა, მაგრამ არ მპატიობს და ჩემი ბრალია. თუ არ მაპატიებს, ალბათ გავაფრენ. არც ჩემს საჩუქრებს იღებს და არც SMS-ზე მპასუხობს. ჩემი და მასთან მეგობრობს და მეუბნება — რაც მოგივა დავითაო, ყველა შენი თავითაო. ანანო ხურცია, მიყვარხარ. ალექს“.

## „შენგან კაცი არ გამოვა!“

„12 წლის იყო გოგიტა, ბაბუამ განაჩენი რომ გამოუტანა — შენგან კაცი არ გამოვა, სწავლა შენ არ გინდა და მუშაობა, სულ ტყუილად მაქვს შენი იმედიო... რა ექნა გოგიტას? არ უნდოდა სწავლა, სკოლაშიც ნაძალადევად დადიოდა და ერთი სული ჰქონდა, სკოლას როდის დაამთავრებდა... დღეს კი გოგიტა 29 წლისაა და მართალია, ბაბუას იმედი გაუცრუა, ექიმი ვერ გამოვიდა, მაგრამ სიცილით მკურნალობს — ათასნაირ ანეკდოტსა და მხიარულ ამბავს უყვება და ბაბუასაც მის ქება-დიდებაში სძვრება სული. გოგიტას სანათესავომ მანქანა უყიდა და იმის მერე საწყალი პატრული ხელში ჰყავს შეკლული... ერთ დღეს გოგიტა დილაადრიანად გავიდა სახლიდან. ისე ნელა დაჰყავდა მანქანა, კუც კი გაასწრებდა. რა თქმა უნდა, პატრულმა შენიშნა. — რა იყო, ბიჭო, ასე ნელა რატომ დაგყავს მანქანაო? — ამხანაგურად გადასძახა ერთ-ერთმა. გოგიტამ დიდი ხნის ნაცნობივით აუწია ხელი და უთხრა: — რა ვქნა, დედამ დამარიგა, ნელა იარე, ნაპირ-ნაპირ, ძირს ნაყარი არაფერი ჭამოო და რომ არ შევასრულო, როგორ ჩავხედო თვალებშიო? — პატრულმა სიცილი ვერ შეიკავა და სახეზე ღიმილაკრულებმა გოგიტას უთხრეს, — წადი, მოგვშორდი, სულ როგორ უნდა ღადაობდე, შე შეჩვენებულოო? — გოგიტა გათამამებული იყო პატრულის მიერ და მათი კეთილგანწყობილებით ზედმეტადაც კი სარგებლობდა. ბაბუას ერთადერთი სურვილი ჰქონდა და ყოველდღე გულს უღონებდა შვილიშვილს, — ისე ნუ გამიშვებ ამ ქვეყნიდან, შენს შვილს არ მოვესწროო. გოგიტას ბაბუაზე მეტად უნდოდა ოჯახის შექმნა, მაგრამ არა და არ გამოჩნდა მის ცხოვრებაში სასურველი გოგო. ბიჭს ერთი ვირტუალური შეყვარებული ჰყავდა. ძალიან უნდოდა, ახლოს ენახა, მაგრამ გოგო ვერაფრით დაითანხმა შეხვედრაზე. ბოლოს, როგორც იქნა, ლიკას გული მოიგო და მასთან შესახვედრად საგანგებოდ მოემზადა... ლიკას მანქანით ჩააკითხა და ბევრი ხვეწნის შემდეგ, ქალაქის დასათვალიერებლად დაპატიჟა. თავის სამშობლოში გათამამდა და როგორც კი პატრულს მოჰკრა თვალი, ლიკასთვის თავის მოწონება გადაწყვიტა. — პატრულის დასანახავად სიჩქარეს მოვუმატებ და არაფერს მეტყვიანო, — გაიბლატავა გოგიტამ, ლიკას თვალი ჩაუკრა და მანქანა ელვის სისწრაფით მოსხლიტა ადგილიდან. რა თქმა უნდა, პატრული იმწამსვე დაედევნა და მანქანის გაჩერება უბრძანა. უშიშრად გააჩერა და ის იყო, ძმაკაცურად უნდა მისალმებოდა, რომ 2 უცხო ჯეელი დაადგა თავზე და გადმოსვეს მანქანიდან ეს ჩვენი გოგიტა. — რას სჩადიხარ, სრულ ჭკუაზე ხარო? —

ეროვნული ბიბლიოთეკა



არაფერი გამოუვიდა მძღოლს ახალ პატრულებთან და დარჩა „გალიმებული“. საკუთარ ტყავში რომ დატეულიყო, ჯარიმასაც აღარ „აირტყამდა“ და ამას რომ თავი დავანებოთ, ლიკასაც აღარ დაკარგავდა, მაგრამ მობლატავე ბიჭებს ასე მოუხდებათ. ლუნა“.

## დაბრუნებული ძროხა

„შოთა თავისი ეშმაკობითა და მოხერხებულობით ყოველთვის გამოირჩეული იყო და სხვებსაც ბევრჯერ დახმარებია. ერთხელ თავადაც გაუჭირდა. ცალკე ცოლის გაუთავებელი წუწუნი უღრღნიდა გულს, ცალკე — ვალები, რაც ცოლის წყალობით ბლომად ჰქონდა. დახმარება ბევრს სთხოვა შოთამ, მაგრამ გაჭირვების ჟამს ვერავინ დაუდგა მხარში. სხვა გამოსავალი რომ ვერ ნახა, ადგა და ერთი გამოვალტყავებული ძროხა ჰყავდა, იმის გაყიდვა გადაწყვიტა. შოთა ისეთი კაცია, რამეს რომ აიჩემებს, მერე ველარავინ გადააფიქრებინებს. ბევრი ეჯუჯღუნა ცოლი — ვინ იყიდის ამ ძროხას, ფეხზე ძლივს დგას, ვერ ხედავო? — სცადა მარინამ ქმრის გადარწმუნება, მაგრამ შოთამ ქვა ააგდო და თავი შეუშვირა. თავისი მაინც გაიტანა. დილაუთენია გავიდნენ ბაზრობაზე. საწყალი ძროხა მართლაც ძლივს მიიზლაზნებოდა, ფეხებს გაჭირვებით მიათრევდა, შოთა კი ჯანზე იყო და მონდომებით ექაჩებოდა საქონელს... პოტენციური მყიდველები ვერც კი ამჩნევდნენ შოთას, რომელიც ბოლთას სცემდა და გამვლელ-გამომვლელს ნაძალადევი ღიმილით, თავაზიანად უხმობდა, — არიქა, შენი ჭირიმე, ნახე, რა ძროხა მყავს, დილა-საღამოს 3 ლიტრს იწველებაო. ბოლოს, როგორც იქნა, ერთი კაცი მიადგა შოთას, ძროხა ხარბად შეათვალიერა და უკმაყოფილოდ ჩაილაპარაკა: — ძალიან სუსტიაო. — სუსტიაოო?! — ისე გაიკვირვა შოთამ, თითქოს რაიმე უცნაური ეთქვას კლიენტს. — არა, ჩემო ბატონო, გამხდარი კი გახლავს, მაგრამ ბარაქიანია! თუ კარგი ჭამა ექნება, ბევრს მოიწველისო... შოთას სიტყვებმა თავბრუ დაახვია მყიდველს და დათანხმდა. — ახლა ამ ძროხას წავიყვან, მაგრამ რომ არ მოიწველოს, უკან მოგიბრუნებო, — დაემუქრა. მარინამ შიშით გადახედა ქმარს, მაგრამ შოთა არ დაბნეულა, მეზობლის მისამართი მისცა, რომელიც მასთან არც ისე ახლოს ცხოვრობდა. გულდამშვიდებულმა 600 მანეთი ჩაიჯიბა... ვალები გაისტუმრა შოთამ, შემაც იყიდა და თავისი ეშმაკობით კმაყოფილმა, მთელ სოფელს გააგებინა ეს ამბავი. მაგრამ ყველაფერი ასე კარგად არ დამთავრებულა — ერთი კვირის შემდეგ, ჯერ კიდევ ემოციებში მყოფ შოთას ის კაცი დაადგა თავზე, თავისი ძროხით და საწყალს ერთი ამბავი დააწია: — შე აფერისტო, გეგონა, ვერ მოგაგნებდი? ეს როგორ იკადრე? აჰა, ეს თქვენი „მეწველი“ ძროხა და ჩემი 600 მანეთი უკან დამიბრუნეთ, სანამ პოლიციაში არ მიჩივლიაო. შოთამ თავში წაიშინა ხელები, იმ 600 მანეთს ვინ დაეძებდა, რომელიც ვალად დაედო და ვინ იცის, რამდენი ხანი მოუნდა ფულის შეგროვებას; მთელ სოფელში თავი მოეჭრა და დიდი თუ პატარა, დიდხანს ჭორაობდა მასზე. გაცოცხლებული თოჯინა“.

## „მე შენ მიყვარხარ“

„ახლა რასაც მოგიყვებით, არ ვიცი, რამდენად შეესაბამება თემას და არც ის ვიცი, დაბეჭდავ თუ არა, მაგრამ მაინც გწერ. თუ დამიბეჭდავ, ძალიან გამახარებ, თუ არა და, სხვებივით არ დაგიწყებ საყვედურებს, მას რატომ უბეჭდავ და მე — არა-მეთქი. მოკლედ, დავიწყე: მიყვარდა, ვუყვარდი, თუმცა ეს არც ერთს არ გვითქვამს ერთმანეთისთვის. ორივე ამაყები ვიყავით, ძალიან ამაყები! ჯერ კიდევ სკოლის პერიოდში ყველას მოსისხლე მტრები ვეგონეთ, კატა და თაგვივით ვიყავით, სულ ვჩხუბობდით. როცა მასწავლებელმა ერთ მერხზე დაგვსვა, ორივემ გავაპროტესტეთ. შემდეგ იყო მის მიერ გამოქანებული წიგნი და ჩემგან საპასუხოდ — თავში ჩარტყმული ჩანთა. ასე ჩხუბში ვიზრდებოდით და ჩვენი სიყვარულიც იზრდებოდა, თუმცა ორივე ისევ ვდუმდით... როცა ის სკოლაში არ იყო, თავს ცუდად ვგრძნობდი. როცა ცუდად იყო, მეც ცუდად ვიყავი, როცა მის სახეზე ღიმილს ვხედავდი, მეც მეღიმებოდა, მისი ბედნიერება მიხაროდა და მისი ტკივილი მტკიოდა... გავიდა წლები, სკოლა ისე დავამთავრეთ, რომ ერთმანეთისთვის ერთი ტკბილი სიტყვაც კი არ გვითქვამს. მე და ის დავძმაკაცდით და მხოლოდ ძმაკაცობა ვიკმარეთ. ის თავის „ლოვეებზე“ მიყვებოდა, მე — ჩემსაზე (თუმცა არ მყავდა) და ასე განვაგრძობდით ერთმანეთის გამწარებას. იმის მაგივრად, რომ ერთმანეთს დავახლოებოდით, უფრო ვშორდებოდით. გადავწყვიტე, დამევიწყებინა. დამღალა ამდენმა ლოდინმა და თითქოს შევძელი კიდეც... ათასში ერთხელ თუ მოვიკითხავდით ხოლმე ერთმანეთს ისე, როგორც ძველი ნაცნობები... გავიდა დრო... მე გავთხოვდი... ერთხელ მესიზმრა და ასე მითხრა, მეორედაც თუ გათხოვდები, აღარ გაპატიებო... დილით მივწერე — მეჯვარედ უნდა წაგიყვანო-მეთქი და მან უარი მითხრა, — არ შემიძლია შენი მეჯვარეობა, მე შენ მიყვარხარო... კონკია“.

## თავს დატეხილი ბედნიერება

— თეონა, რა გჭირს?

გამოვფხიზლდი... დედაჩემის ხმა ჩამესმა... კომპიუტერის ეკრანის სინათლემ თვალი მომჭრა.

— ნახე, რომელი საათია, შენ კი ისევ აქ ზიხარ...

— კარგი, დე, ვდგები, — დავემორჩილე მშობელს და საწოლისკენ წავედი.

როდემდე უნდა გაგრძელდეს ასე? ვზივარ კომპიუტერთან, ლევანის სურათებს ვათვალიერებ. ეს „პირწიგნაკი“ მაინც არ არსებობდეს. ამევსო „კედელი“ ლევანის „გელფრენდის“ სურათებით. არა, ვის ვატყუებ? მე თვითონ დავძვრები მათ „პროფილებში“, თორემ არც ერთია ჩემი „მეგობარი“ და არც — მეორე. ვხედავ, როგორი ბედნიერები არიან, მე კი ეგოისტურად ვიჩემებ, რომ ის მხოლოდ ჩემია და მხოლოდ ჩემ გვერდით უნდა იყოს. გაგაკვირვოთ? მას არც კი ვიცნობ. მაგრამ ყოველი შეხვედრისას ჩვენ შორის უხილავი ძაფები იბმება. ცდილობს, ჩიხში მომაქციოს და საკუთარი გრძნობები გამამხელინოს. ასეთ ფიქრებში ვიძინებ ყოველღამე და არც ეს საღამო ყოფილა გამონაკლისი.

ერთ დღეს მასწავლებლისკენ მივდიოდი ფიქრებით: „ნეტავ, დღეს ვნახავ? ლექცია რომელ საათზე უმთავრდება?“ ორი საათის შემდეგ უკვე სახლისკენ ავიღე გეზი, მაგრამ ამჯერად სხვა ქუჩის გავლით მოვინდომე უკან დაბრუნება. გზის არჩევაში არ შევმცდარვარ. ჩემი გულის სწორიც ამ ქუჩაზე მოაბიჯებდა. დამინახა თუ არა, ქოჩორი გაისწორა, ქვეშიდან ამომხედა და დამცინავი ღიმილით მომაჩერდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ერთმანეთს ვუახლოვდებოდით, ის კი ჩემი გზიდან გადახვევას არ აპირებდა. შეჯახება გარდაუვალი იყო... გაჩერდა, მეც გავჩერდი.



— არ გამატარებ? — ოფიციალური სახე მივიღე.

— გზა დიდია, გადაუხვიე! — ირონია ჩააქსოვა ნათქვამში.

— მართლა? შენთვისაც დიდია, შენ გადაუხვიე! — არც მე ვაპირებდი დანებებას.

— იქნებ მითხრა, „ფეისბუკში" ყოველდღე რატომ ათვალიერებ ჩემს ფოტოებს?

— ყველაფერს თავისი მიზეზი აქვს, ლევან! ამ საუბრის გაგრძელებას აზრი არ აქვს.

— კარგი, რა, თეო, ასე როდემდე უნდა გავაგრძელოთ? სიმართლე გითხრა, მეც მომბეზრდა. იცი, მარტო არ ვარ და შენთვისვე აჯობებს, ასე აღარ მოიქცე.

საუბრის გაგრძელება აღარ შემეძლო და აღარც ღირდა. გვერდი ავუქციე და სწრაფი ნაბიჯით განვაგრძე გზა. ჩემში ორი „მე" იბრძოდა: ერთი გახარებული იყო ლევანთან საუბრით, მეორე კი გრძნობდა, როგორ გაყიდა გრძნობებმა და როგორი „გაშიშვლებული" დარჩა საყვარელ ადამიანთან. ბოლოს, გაგიკვირდებათ და, პირველმა აჯობა... სიყვარული რომ ბრმა იყო, ვიცოდი, მაგრამ „იდიოტიც" თუ იყო — არა.

შინ მივედი თუ არა, „პირწიგნაკი" გავხსენი. ახალი შეტყობინებები იყო მოსული, მეგობრობის თხოვნაც — ბლომად. გაოცებისგან დიდხანს ვერ მოვედი გონს. სიაში პირველივე ეწერა — „ლევანს თქვენთან მეგობრობა სურს". უარი არ მითქვამს. დავიმატე თუ არა, მომწერა:

— სახლში ხარ?

— ლევან, იქნებ მითხრა, რის მიღწევას ცდილობ?

— მიღწევას? შენი აზრით, ჩემი მიზანი რა არის?

— ცოტა ხნის წინ შენი სურათების ნახვა ამიკრძალე, ახლა კი თავად იჩენ ურთიერთობის ინიციატივას. შენი არ მესმის.

— ოო, ჩემო თეონა, ცვალებადია ადამიანის გონება.

— ცინიკოსი ხარ! ურთიერთობის გაგრძელებას არ ვაპირებ! მშვიდობით!

მტკიცე გადაწყვეტილება მივიღე და ერთ წუთში ამოვშალე მეგობრების სიიდან.

დამძიმებული ვიყავი ჩემი სასიყვარულო ამბის ასეთი განვითარებით, მაგრამ მივიჩნიე, რომ ახლა მისი დავიწყების ღირსეული მიზეზი მქონდა. მოვახერხე და საკუთარ თავს ლევანის „პროფილზე" შესვლა ავუკრძალე. ჩემი ფიქრებიდანაც თანდათან ვდევნიდი და თითქმის ბოლომდე გავაქრე მისი სახე.

პატარა ქალაქში ვცხოვრობ და ჭორი თუ მართალი ერთ დღეში ვრცელდება. ერთი კვირის შემდეგ გავიგე ლევანისა და მისი „გელფრენდის" დაშორების შესახებ. იმედის ნაპერწკალმა ჩემს გულში, როგორც არასდროს, ისე იფეთქა. სახლში მივედი თუ არა, კომპიუტერი ჩავრთე და ერთკვირიანი შესვენების შემდეგ ლევანის „კედელზე" აღმოვჩნდი. ჭორი სიმართლე აღმოჩნდა. ფოტოების რაოდენობა შემცირებული დამხვდა, ალბომებს აღარ ამშვენებდა მათი სასიყვარულო ურთიერთობის ამსახველი კადრები და არც მეგობრებიდან წაშლა დავიწყებიათ. დაახლოებით ნახევარ საათში, ჩემდა გასაოცრად, კვლავ ლევანის წერილი მივიღე. თავიდან დავაპირე, მისი შეტყობინება არც კი წამეკითხა, მაგრამ ვერ შევძელი.

— გამარჯობა, თეო, როგორ ხარ?

— კარგად, შენ როგორ ხარ?

— გაგიკვირდება და, დეპრესია მაქვს. ვიცი, რომ იცი, თავისუფალი რომ ვარ.

— ვიცი, მაგრამ ზედმეტი კითხვების დასმას არ ვაპირებ. როცა წყვილი შორდება, ყოველთვის ორივე დამნაშავეა.

— კი, თეო, ორივე და ზოგჯერ შეიძლება, მესამეც იყოს გარეული.

— მესამე? თქვენ შორის ვინმე ჩადგა?

— საკუთარ თავს „ვინმეთი" მოიხსენიებ?

— გთხოვ, აღარ გააგრძელო. შენი არ მჯერა. ახლა რთულ სიტუაციაში ხარ. დაფიქრდი და მიხვდები შენს შეცდომას, ოღონდ ისე არ ქნა, რომ გამოსწორება გვიანი იყოს.

— შეცდომა დიდი ხნის წინ დავუშვი, როცა არასწორი არჩევანი გავაკეთე და როგორც ვხედავ, დავაგვიანე გამოსწორება, — მომწერა და საიტიდან გავიდა.

დღეები გადიოდა და ლევანის შესახებ არაფერი ვიცოდი. ვერც ქუჩაში ვხედავდი და ვერც ინტერნეტში.

შემდეგ გავიგე, რომ ლევანი თავის „გელფრენდს" ისევ შეურიგდა...

დაახლოებით ერთი კვირის შემდეგ კი მარიამმა დამირეკა და მითხრა:

— თეო, რაღაც გავიგე და გთხოვ, მშვიდად მიიღე, რასაც გეტყვი. რამდენიმე წუთის წინ გავიგე, რომ ლევანს შაბათს ცოლი მოჰყავს.

— ცოლი მოჰყავს? ჰა-ჰა, ბედნიერებას ვუსურვებ. აქამდეც უნდა მოეყვანა ეგ გოგო, დიდხანს აცდევინა.

...ჰმ, ცოლი მოჰყავს... როგორც იქნა, მიიღო გადაწყვეტილება.

ჩემდა გასაკვირად, ამ ამბის გადატანა არ გამჭირვებია, მაგრამ ვგრძნობდი, ახლა გულს უფრო დიდი ჭია მიღრღნიდა. ქორწილამდე ექვსი დღე იყო დარჩენილი. ისე გაირბინა ხუთმა დღემ, ვერც კი გავიგე.

შაბათი იყო, მასწავლებლისგან სახლში მივდიოდი, როცა საქორწილო კაბების მაღაზიას ჩავუარე. რამდენიმე წამით გავჩერდი, შევათვალიერე, ჩამეცინა და გზა გან-

**ყურადღება!** თუ გსურთ, თქვენი მესიჯი „გზავნილებში" დაიბეჭდოს, ტექსტი ვრცელი მესიჯით არ გამოგზავნოთ. ერთი მესიჯი (და არა — ამბავი) მხოლოდ 160 სიმბოლოს უნდა შეიცავდეს. ამიტომ, თუ ამბის მოყოლას ერთ მესიჯზე მეტი სჭირდება, გთხოვთ დაანაწევროთ და ცალ-ცალკე გამოგზავნოთ, წინააღმდეგ შემთხვევაში, თქვენი მონათხრობი არ გამოქვეყნდება.

ეროვნული ბიბლიოთეკა



ვაგრძე. არაერთხელ მიოცნებია ამ დღეზე, მაგრამ როგორც ჩანს, ჩემთვის ეს ჯერჯერობით აუხდენელ ოცნებად დარჩებოდა. ასეთ ფიქრებში ვიყავი გართული, როცა ლევანი დავინახე. გამიღიმა და მომიახლოვდა.

— რამდენი ხანია, მალაზიასთან გელოდები. არ გრცხვენია? ასეთ დღეს დაგვიანება როგორ შეიძლება?

— იქნებ მითხრა, რომ ქორწილში მეპატიჟები?

— გეპატიჟები?! რა სისულელეა! პირიქით, შენ უნდა დაპატიჟო სტუმრები.

— კარგი, რა, შენი ცინიზმი უკვე აუტანელია.

— ახლა ხვეწნას ნუ დამაწყებინებ, არ მეგონა, ასე თუ გამიძალიანდებოდი, თორემ ბიჭებსაც წამოვიყვანდი და ძალით ჩაგსვამდით მანქანაში.

— ლევან, კარგად ხარ?

— კი, ძალიან კარგად ვარ. ნუ, ცოტა ვნერვიულობ — სულ მალე ცოლიანი კაცი ვიქნები, მაგრამ მაინც კარგ განწყობილებაზე ვარ.

— ის სად არის?

— ვინ — ის? აა... ის მანქანაში ზის და ჩემი ცხოვრებიდან სამუდამოდ მიდის. ჰო ჰო, ნუ მიყურებ ასე გაკვირვებული. სასწრაფოდ შენი საბუთები მჭირდება. კაბა აარჩიე და ერთ საათში ალავერდში უნდა ვიყოთ.

— ლევან, გაგიუდი?

— მაინც უნდა გამასვრევინო ეს შარვალი? — ხუმრობით მითხრა, შუა ქუჩაში მუხლი მოიყარა და მკითხა: — ცოლად გამომყვები?

— მმმ... არ ვიცი...

— იცი, იცი, ნუ მაწვალებ!

— კიი, გამოგყვები! — წამოფრინდა, ხელში ამიყვანა და ყველას გასაგონად იყვირა: — ეს ჩემი ცოლია, ჩემი!

რამდენიმე საათში ალავერდში ვიყავით. ვერ ვიტყვი, როგორ მოვასწარი, მაგრამ ყველაფერი მაინც ისე მოხდა, როგორც ოცნებაში. ალბათ იმიტომ, რომ გვერდით საყვარელი ადამიანი მყავდა. ■

*მომდევნო ნომრის თემა იქნება — „საახალწლო თავგადასავლები". ამბები შეგიძლიათ გამოგზავნოთ მესიჯებით ტელეფონის ნომერზე: 5.77.45.68.61 ან მომწეროთ ელფოსტაზე: marorita77@yahoo.com*

# ფოტო, რომელმაც წარწერა დაკარგა



ამ ფოტოსთვის შესაფერისი წარწერა უნდა გამოგზავნოთ ტელეფონის ნომერზე: 5.77.45.68.61

ჩემეული ვერსია კი ასეთია:

**თავი ქუდში (ფატაში) მაქვს... აწი ნამდვილი სახის გამოჩენაც შემიძლია**

ეროვნული ბიბლიოთეკა



# „გახერხილი“ ცხვირი და მიუწვდომელი სიყვარული

„გზის“ №49-ში დაიბეჭდა 18 წლის ლიკას მესიჯი. ის გვწერდა, რომ ვიღაც ბიჭის გამო ცხვირის ოპერაცია გაიკეთა, მაგრამ როგორც აღმოჩნდა, სულ ტყუილად გაისარჯა. „საქმე ისაა, რომ ერთ დღეს ჩემი ბიძაშვილი გვესტუმრა და თან, ძმაკაციც მოიყვანა. იმ ბიჭით იმწამსვე მოვიხიბლე, მაგრამ მას ჩემდამი განსაკუთრებული ინტერესი არ გამოუჩენია. მერე „ფეისბუკზე“ დავუმეგობრდი, „სკაიპშიც“ „შევუძვერი“. ერთხელ რაღაც თემას განვიხილავდით. თქვა: ქართული ცხირები არ მომწონსო. მეგონა, ჩემი ცხვირი არ მოსწონდა და „დამინამიოკა“. მართალია, პატარა და კოხტა ცხვირი მქონდა, მაგრამ მაინც ავიჩემე, — გრძელი და წვეტიანია-მეთქი და მშობლებს თავი წუწუნით ისე მოვაბეზრე, რომ ქირურგთან თავადვე მიმიყვანეს...“

## „18 წლის გოგოს გარდაქმნები არაფერში გჭირდება“

*ლიკამ ოპერაცია გაიკეთა, მერე კი, როცა მისი ცხვირი „ფორმაში ჩადგა“, საყვარელი მამაკაცის სანახავად გაეშურა. „მან გაკვირვებულმა შემომხედა — თან მიცნო და თან — ვერა, მერე კი მკითხა: შენ ლიკა არა ხარო? გამეცინა, — კი-მეთქი. — ლამის ვერ გიცანიო, — გამიღიმა. ვუთხარი: ცხვირის ოპერაცია გავიკეთე და ეტყობა, ამიტომაც-მეთქი. ლამის გადაირია: რად გინდოდა, მშვენიერი ცხვირი გქონდაო! გაბრაზებულმა მივახალე: კი, მაგრამ შენ არ მითხარი-მეთქი? გაეცინა და ისე დამემშვიდობა, სიტყვაც არ უთქვამს... ბიძაშვილს მივადექი, ძმაკაცი გავულანძღე. ლამის მცემა: გიჟი ხარ. აქამდე როგორ ვერ შეამჩნიე, რომ კაცს „კალიცო“ უკეთია?! მას ცოლიც ჰყავს და ორი ანგელოზივით შვილიც, ამიტომაც არ გიყურებდა ზედო...“ ახლა გოგონა თავის ბუნებრივ ცხვირს მისტირის და სურს, ძველი ფორმა დაუბრუნოს, მაგრამ მშობლებს ამის თქმას ვერ უბედავს, — შეურაცხადად ჩამთვლიან და პლასტიკურ ქირურგთან კი არა, შესაძლოა, პირდაპირ საგიჟეთში წამიყვანონო.*

**შორენა:**

„ნებიერავ, მშობლებს ისევ მოაბეზრე თავი წუწუნით და ქირურგთან თავადვე მიგიყვანენ. გატყობ, ისინი განებივრებული გყავს, ყველა ახირებას გისრულებენ. ჰოდა, როდის რომელ ბიჭს როგორი ტუჩი, მკერდი მოეწონება, იმის მიხედვით იცვალე გარეგნობა და ბოლოს შენც გაგიმართლებს. წარმატებები!“

**სოფო:**

„თავი დაანებე ამ ოპერაციებს და იყავი ის, ვინც ხარ. დარწმუნებული ვარ, ის ცხვირი, რომელიც ახლა გაქვს, ძალიან გიხდება; 18 წლის გოგოს გარდაქმნები არაფერში გჭირდება. წარმატებები!“

**ატარექსია:**

„მისი ერთი სიტყვის გამო თავი როგორ დაიმახინჯე? როგორ ფიქრობ, ისეთი ქარაფშუტა გოგოსთვის, რომელიც კაცს ეჩალიჩება და გონება ისეთი დაბინდული აქვს, რომ ვერ ამჩნევს, მას ცოლი და შვილები თუ ჰყავს, რჩევის მიცემა ღირს? არა! ჰოდა, შეეგუე მაგ ცხვირს და იმასაც, რომ ხალხი არასერიოზულად გიყურებს (ამაში დარწმუნებული ვარ)“.

**თოვლის ბებია:**

„იცი, რას მივხვდი? — ის ბიჭი საერთოდ არ გყვარებია. რატომ? — რომ გყვარებოდა, ახლა ფორმადაკარგულ ცხვირზე კი არა, მიუწვდომელ სიყვარულზე იწუწუნებდი“.

**ლუნა:**

„არ ვიცი, რა გითხრა. შენი გათათხვის უფლება არ მაქვს, მაგრამ ვერც საქციელს მოგიწონებ. გოგომ ასეთი სისულელე არ უნდა ჩაიდინოს, თანაც — ისეთი ადამიანის გამო, ვის შესახებაც არაფერი იცის. ყველაფერი საკუთარ თავს დააბრალე. სხვა რა გითხრა ან რა გირჩიო? ასეთ სისულელეს ნუღარ გააკეთებ. იცოდე, ბიჭმა ისეთი უნდა შეგიყვაროს, როგორიც ხარ. გკოცნი და წარმატებები!“

**მაცმაცუნა:**

„სიმართლე გინდა? — ერთი ტუტუცი, ყურადღებით განებივრებული გოგო ხარ, რომელსაც ამ სამყაროში ყველა და ყველაფერი თავისი ჰგონია... უკვე არც ისეთი პატარა ხარ და ცოტა სიდინჯე გმართებს. ბიჭს ისე როგორ „აეკიდე“, რომ მასზე არაფერი იკითხე? ნეტავ იმას, ვისაც შენ მოსწონხარ!.. სწავლას მიხედე, ტვინი ცოდნით აივსე, თორემ მომავალში აუცილებლად „დაგერხევა“. იცოდე, მარტო სილამაზით ფონს ვერ გახვალ“.

**ალექსა:**

„შენს ბიძაშვილს „სალოლ“, რა. თავიდანვე რატომ არ უთხარი, ეგ „გაურკვეველი“ არსება რომ მოგეწონა? გეტყოდა, ცოლ-შვილი რომ ჰყავდა და არც ცხვირის „გახერხვა“ დაგჭირდებოდა. არა მგონია, ახლა საშინელი ცხვირი გქონდეს და მშობლებს უაზრო ახირების გამო ნუ გადარევ, გთხოვ. აი, როცა მუშაობას დაიწყებ, მერე დაუბრუნე შენს ცხვირს ბუნებრივი ფორმა, მაგრამ იცოდე, თუ პროფესიონალმა არ გაგიკეთა, შეიძლება, საერთოდ დაგიმახინჯდეს. წარმატებებს და ბედნიერებას გისურვებ!“

**თიკა:**

„იზვინი“, მაგრამ მგონი, თავადაც არ იცი, რა გინდა; ან იმ ბიჭს რას ერჩი, ან საკუთარ თავს?.. მგონი, ბიძაშვილის ძმაკაცი იმიტომ მოგეწონა, რომ ყურადღებას არ გაქცევდა და ამან დაგაინტრიგა. **P.S.** დაიმახსოვრე, ყოველთვის ყველაფერი არ გექნება, ყველა ბიჭი ხელის ერთი დაქნევით, შენი ვერ გახდება...“

**მარიკუნა:**

„როგორც წესი, როცა გოგონებს ვინმე მოგვეწონება, მის შესახებ ყველაფერს გამოვიკითხავთ ხოლმე. შენ კი ეტყობა, დაუფიქრებლად მოიქეცი. არა მგონია, ცხვირი მართლა ისეთ მდგომარეობაში გქონდეს, როგორც ამბობ. ასე რომ, მისი ფორმის შეცვლას აღარ გირჩევ. **P.S.** ამ ყველაფერზე თავიდან უნდა გეფიქრა“.

**SHADY:**

„სამწუხაროდ, ტვინის ოპერაციას არ აკეთებენ... ეჰ, შე საბრალოვ!“

**სვანის ასული:**

„გირჩევ, შენს ახალ ცხვირს შეეგუო, თორემ განმეორებით ოპერაციას შესაძლოა, უფრო ცუდი შედეგი მოჰყვეს. მომავალში შეეცადე, იმ ბიჭზე, რომელიც გესიმპათიურება, ინფორმაცია წინასწარ მოიპოვო და რაღაცები მხოლოდ ამის შემდეგ დაგეგმო. იმ ბიჭს კი ყოჩაღ, ღირსეულად მოქცეულა, სხვა მის ადგილას გამოგიყენებდა... მისი ცოლი ალბათ, ძალიან ბედნიერია, ასეთი ქმარი რომ ჰყავს. აშკარად, შენც კარგი გემოვნება გქონია“. ■

ეროვნული ბიბლიოთეკა



# „დას უფლება მიეცი, საკუთარ შეცდომებზე ისწავლოს“

## „მექალთანე მუდამ მექალთანედ დარჩება!“

„გზის“ №49-ში დაიბეჭდა 16 წლის მაქსიმეს წერილი. შეგახსენებთ, ის გვწერდა, რომ მისი და ხვდება ბიჭს, რომელმაც რამდენიმე ხნის წინ, შეყვარებული წაართვა. „ის ცნობილია, როგორც მექალთანე; ყველა გოგოს ზედ ახტება და როცა თავისას მიაღწევს, მათ თავიდან უსარგებლო ნივთივით იშორებს. ცხადია, იმ გოგოსაც, რომელიც მე „ამახია“, რაღაც პერიოდის შემდეგ ძალიან ცუდად მოექცა. მერე ჩემი ყოფილი ჩემთან მოვიდა, ყველაფრისთვის პატიება მთხოვა. მართალია, ღალატი ვერ ვაპატიე, მაგრამ გულის სიღრმეში ძალიან შემეცოდა და სწორედ ამიტომ მივუჟუე ის „დონჟუანი“... ახლა ისევ გამოჩნდა ჩემს ცხოვრებაში და ამჯერად, ჩემს დაიკოს „ახვევს“. ნიტას რომ ვუთხარი: ამ ბიჭს შენი „დაბოლების“ საშუალება არ მისცე-მეთქი, ხელი ამიკრა: შენ ვინ გეკითხება? გირჩევ, ჩემს საქმეში არ ჩაერიო, თორემ დედას შენს საიდუმლოს ვეტყვიო... სიგარეტს ვეწევი და არ მინდა, ეს ამბავი მშობლების ყურამდე მივიდეს. ჰოდა, ჩემი დაიკო ამ ამბის ცოდნით სარგებლობს და ცდილობს, შანტაჟის გზით გამაჩუმოს. ჰო, იმ ბიჭსაც შევხვდი. მითხრა, — ძმაო, ძველი წყენა დავივიწყოთ. იცოდე, შენს დაზე სერიოზულად ვფიქრობ, თან — შევიცვალე, ძველებურად ყველა გოგოს „შეხვევას“ აღარ ვცდილობო, მაგრამ მისი არ მჯერა!..“

**თიკა:**

„ჩემო კარგო, შენი და შეყვარებულია და ამიტომაც არ გისმენს. თუ ის ბიჭი მართლა მექალთანეა, სხვა გოგოც ეყოლება — ეს ამბავი გაარკვიე და მერე დაიკოს ფაქტები წინ დაუდე. თუ ამანაც არ გაჭრა, ჯობია, ფარ-ხმალი დაყარო, თორემ შენი საქციელით შეიძლება, დაიკო საბოლოოდ დაკარგო. P.S. კისერს რომ წაიმტვრევს, მერე დაგაფასებს“.

**სვანის ასული:**

„ვერ ვიტყვი, რომ შენი დის თაყვანისმცემელი ნამდვილი ნაძირალაა და ვერც იმაზე დავდებ თავს, — აუცილებლად გამოსწორდება-მეთქი. თუ შენი დაიკო არ გარისკავს, ვერ გავიგებთ, იმ ბიჭს სინამდვილეში რა აქვს ჩაფიქრებული, მაგრამ გოგონას ამ რისკმა შესაძლოა, ცუდი შედეგი მოუტანოს, რაზეც პასუხს მხოლოდ თავად აგებს. ასე რომ, ყველაფერი შენს დაიკოზეა დამოკიდებული. კარგი იქნება, მასთან ურთიერთობისას დისტანციას თუ დაიცავს...“



**ალექსა:**

„გამიკვირდა, შენი დის შანტაჟს რომ აჰყევი. იცოდე, ახლა თუ არ იაქტიურებ, მერე გვიანი იქნება — ის ვითომ მაჩო შენს დასაც გააუბედურებს. დაიკოს კიდევ ერთხელ დაელაპარაკე, მაგრამ თუ არ მოგისმენს, უთხარი: მშობლებს რაც გინდა, ის უთხარი, მე მაინც შევეცდები, უბედურებას აგარიდო-თქო. თუ ტვინი აქვს (ცოტა მაინც), მიხვდება, სერიოზულ შეცდომას რომ უშვებს და არა მგონია, „ჩაგაშპიონოს“! შენს ადგილას, იმ ბიჭს სახის ძვლებს ფხვნილად ვუქცევდი! არ დაუჯერო, რომ შენს დაზე სერიოზულად ფიქრობს; მისნაირი „პადონკები“ 2 წელიწადში არ იცვლებიან. იცოდე, კუზიანს მხოლოდ სამარე თუ გაასწორებს. წარმატებებს გისურვებ!“

**VIP:**

„ნამდვილად დამაბნეველი სიტუაციაა. პირადად მე, არ გამოვრიცხავ, რომ მას შენი დაიკო ნამდვილად უყვარდეს, მაგრამ არც იმას გამოვრიცხავ — შურისძიება უნდოდეს... დაიკო დაიცავი, მაგრამ იცოდე, ცემითა და ჩხუბით არაფერი გამოვა. რაც შეეხება შენს საიდუმლოს, მოწევას თავი დაანებე (დროებით მაინც) და ვეღარავინ დაგაშანტაჟებს. P.S. ისე, სიგარეტს სულ თუ შეეშვები, ყველაფერს აჯობებს. წარმატებები!“

**აბდაუბდა:**

„ვგონებ, ის ბიჭი არ ტყუის... დას უფლება მიეცი, საკუთარ შეცდომებზე ისწავლოს. არჩევანის უფლება ყველას აქვს“.

**მაცმაცუნა:**

„ახლა სიგარეტს ყველა ეწევა, შემოგევლე და ამის დამალვის გამო დას ნუ დალუპავ. მათ თვალყური ჩუმად ადევნე და თუ საჭირო გახდება, ოჯახს დაელაპარაკე“.

**ლუნა:**

„ჩემო კარგო, შენმა დაიკომ იცის, მისმა „ლოვემ“ შეყვარებული რომ „აგახია“, შემდეგ კი ის უსარგებლო ნივთივით მოიშორა? თუ იცის და ამ ყველაფრის შემდეგ მასთან ურთიერთობაზე მაინც თანახმაა, ე.ი. „დაბრმავებულია“ და შეცდომის ჩადენის უფლებას ნუ მისცემ. მათ ჩუმად უთვალთვალე და გაარკვიე, იმ ბიჭს მართლა უყვარს თუ არა. P.S. გატყობ, შეგნებული ბიჭი ხარ და სიგარეტის მოწევით საკუთარ თავს რომ ვნებ, ესეც უნდა გესმოდეს. აბა, შენ იცი და შენმა კაცობამ! მაგრად იყავი!“

**ატარექსია:**

„არ დაიჯერო, რომ ის ბიჭი შეიცვალა. შეიძლება შენი და ცოლად მოიყვანოს, მაგრამ ცხოვრებას მაინც გაუმწარებს. იცოდე, ადამიანები არ იცვლებიან, მექალთანე მუდამ მექალთანედ დარჩება! ისე, რატომღაც მგონია, რომ იმ ბიჭს შენი გამწარება უნდა“.

**სოფო:**

„ოოო, მაქს, ცუდ სიტუაციაში ხარ, მაგრამ ჯობია, ისინი შორიდან აკონტროლო, ვიდრე მათ ურთიერთობაში უხეშად ჩაერიო. დას თავს ნუ შეაძულებ“.

**შორენა:**

„ხანდახან ადამიანს უნდა, ცხვირი წაიმტვრიოს — ანუ როგორც იტყვიან, წერა აიტანს და რაც უნდა უთხრა, ვერაფერს გააგებინებ. ახლა დაიკოს ვერ დაეხმარები, ის ამის უფლებას არ მოგცემს. შენი ეჭვები გადაამოწმე და მერე შენს დაიკოს ცხვირწინ ფაქტები დაუდე. იქნებ ასე მაინც აუხილო თვალები“.



# მობილი-ზაცია

*იმისათვის, რომ თქვენი მესიჯი „მობილი-ზაციაში“ მოხვდეს, მობილური ტელეფონის SMS-ფუნქციაში უნდა აკრიბოთ სიტყვა GZA გამოტოვოთ ერთი სიმბოლოს ადგილი და აკრიბოთ სასურველი ტექსტი. შემდეგ მესიჯი გამოგზავნოთ ნომერზე: 8884. ჩემს მობილურზე მოსული მესიჯები ამ რუბრიკაში არ გამოქვეყნდება (გამონაკლისი მხოლოდ უცხოეთიდან გამოგზავნილი მესიჯებია) და კიდევ: ერთი მესიჯი მხოლოდ 160 სიმბოლოს იტევს. თუ ვრცელი მესიჯის გამოგზავნა გსურთ, ის რამდენიმე მესიჯად უნდა გადმოგზავნოთ.*
**მესიჯის ფასი 50 თეთრი**

## ქალები



1. ვარ 45 წლის, განათხოვარი ქალბატონი. ვეძებ 50 წლამდე ასაკის, სერიოზული ურთიერთობისთვის მამაკაცს, სერიოზულს, შეძლებულს და მოსიყვარულეს. მხოლოდ ასეთი ადამიანი გამომეხმაუროს.

2. მინდა გავიცნო სულით მდიდარი მამაკაცი, 40-45 წლის. იმერეთიდან.

3. ვარ 44 წლის, სასიამოვნო გარეგნობის, უკონფლიქტო პიროვნება. ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნობ თბილისში მცხოვრებ, შესაფერისი წლოვანების მამაკაცს. დანარჩენი — პირადად.



## მამაკაცები

4. გავიცნობ 35-45 წლის ქალბატონს.

5. ვარ 31 წლის, ბინითა და სამსახურით უზრუნველყოფილი. გავიცნობ გოგონას, 26-30 წლამდე, სამეგობროდ. შემდეგ დრო გვიჩვენებს.

6. კარგი ურთიერთობებისთვის გავიცნობდი 25 წლის ზემოთ მანდილოსანს. აჩიკო.

7. გავიცნობ 22 წლის გოგოს ოჯახის შესაქმნელად. ვარ 20 წლის.

8. ვარ თბილისელი, დასაქმებული, 42 წლის კაცი. გავიცნობ 35 წლამდე, კარგ მეოჯახე ქალბატონს, ოჯახის შექმნის მიზნით.

9. გავიცნობ ქალს 35 წლამდე. ყველა სურვილს ავუსრულებ...

10. ვარ რაიონიდან, ამჟამად ვცხოვრობ თბილისში, მაქვს პატარა ბიზნესი — ხილ-ბოსტნეულის, მყავს ავტომობილი. ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნობ 36-38 წლის, მშრომელ, პატიოსან ქალბატონს. გია.

11. გთხოვთ, მომცეთ მომცეთ 50-ე ნომრის მე-6 მესიჯის ავტორის ტელეფონის ნომერი.

12. გთხოვთ, 50-ე ნომრის მე-8 ესემესის ავტორის ნომერი მომცეთ ან მიეცით მას — ჩემი.

13. გავიცნობ 20-22 წლამდე ასაკის, თბილისელ გოგოს, ფარული შეხვედრებისთვის. ვარ 23 წლის თბილისელი ბიჭი, დასაქმებული.

14. გავიცნობ მშრომელ, ცხოვრების აზრზე მდგარ ქალბატონს, 32-40 წლამდე, რომელიც დამიდგება გვერდით ვაჭრობაში. მაქვს ნაგირავები ბინა, მანქანა! ვარ უბრალო ადამიანი.

15. დაოჯახების მიზნით გავიცნობ თბილისელ გოგონას, 35 წლამდე, დამოუკიდებლად მცხოვრებს. ვარ 36 წლის, დასაქმებული. მხოლოდ ოჯახის შექმნის სურვილით. დათო.

16. სერიოზული ურთიერთობისთვის გავიცნობ თბილისელ, ელეგანტურ მანდილოსანს, 28-35 წლამდე. არასერიოზულები ნუ გამომეხმაურებიან. ზურა.

17. გავიცნობ 40-55 წლამდე ქალს. ბექა. თბილისი.

18. გავიცნობ თბილისელ, გაუთხოვარ ქალბატონს, 35 წლამდე. ვარ 42 წლის, დასაქმებული. დანარჩენი — პირადად.



## ვეძებ

19. ვეძებ რაისა გიორგის ასულ დანელიანს. თუ ვინმემ იცით მისი კოორდინატები, დამიკავშირდით. ბადრი.



## სხვადასხვა

• პატარავ, დედას სიხარულო, შენი წერილი მივიღეთ გუშინ... წავიკითხე და ვიტირე... დე, ჩემი სიამაყე ხარ-მეთქი, ხომ გეუბნები? ახე რომ გიყვარვარ, იმიტომ ვარ ამაყი... ჩემი სიცოცხლე ხარ... ნუ დარდობ, დეფიარაფ-

ყურადღება! გთავაზობთ სიმბოლოებს, რომლის მიხედვითაც „მობილი-ზაციისთვის“ გამოსაგზავნი მესიჯის ტექსტი უნდა აკრიბოთ. ეს განსაკუთრებულად ეხება საბერძნეთში მცხოვრებ მგზავნელებს, რადგან მათი მესიჯების გაშიფვრა ძალიან მიჭირს. მესიჯი, რომელიც ამ წესის მიხედვით არ იქნება აკრებილი, არ გამოქვეყნდება!

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ა | a | მ | m | ღ | gh |
| ბ | b | ნ | n | ყ | y |
| გ | g | ო | o | შ | sh |
| დ | d | პ | p | ჩ | ch |
| ე | e | ჟ | zh | ც | c |
| ვ | v | რ | r | ძ | dz |
| ზ | z | ს | s | წ | w |
| თ | t | ტ | t | ჭ | wh |
| ი | i | უ | u | ხ | x |
| კ | k | ფ | f | ჯ | j |
| ლ | l | ქ | q | ჰ | h |

ეროვნული ბიბლიოთეკა



რი მჭირს ისეთი, რომ საშიში იყოს. ყველაფერი კარგადაა. უბრალოდ, 1 კვირა გადასხმებს ვიკეთებდი და მორჩა. სწორედ ისეთ დროს მომიწია შენთან მოსვლამ. თვალები ჩაშავებული იმიტომ მქონდა, რომ უძილობა მჭირს... 1-2 საათი დამეძინება, მერე გამეღვიძება და ველარ ვახერხებ ძილს. ახლა უკვე კარგად ვარ, აღარც ნემსებს ვიკეთებ და აღარც წამლებს ვსვამ. ავად ყველა ხდება და მეც ხომ ადამიანი ვარ? ლევანს დღეს ვნახავ, გუშინ ვერ ვნახე. ხომ იცი, გვიან მოდის ეგ. რაც შეეხება ჩემს ცრემლებს, შენთვის ეგ უცხოა, იმიტომ, რომ უკიდურეს გასაჭირშიც კი არ მიტირია... შენს დასანახავად და სხვის დასანახავად არ მიტირია, თორემ რომ გამაბრაზებდით, ბალიშს ვასველებდი ცრემლით ღამით... ცრემლი ჩემი იარაღი არაა იმ ადამიანების წინააღმდეგ, ვინც მაწყენინებს... ცრემლით არ მინდა იმის მიღწევა, რის გამოც ვიბრძვი... დედა ტირის და კარგი ბიჭი გავხდეო, ეგ არ მინდა, რომ იფიქროთ ჩემმა შვილებმა... კარგები იმიტომ უნდა იყოთ, რომ ასეა საჭირო, თქვენთვის იქნება უკეთესი... მაპატიე, დე, რომ იმ დღეს თავი ვერ შევიკავე... რას იზამ, ქალი ვარ მეც და როგორ ძლიერადაც უნდა გეჩვენებოდე, მაინც სუსტი ვარ... მიღალატა ნებისყოფამ და ავტირდი. თანაც, რაღაცნაირად მომეჩვენე, თითქოს მობუზული იყავი და თავი ვეღარ შევიკავე. ოღონდ შენ არაფერი გაგიჭირდეს... იოლი ხომ არაა ჩემს მდგომარეობაში ყოფნა?! ბევრი სტრესი მივიღე ბოლო 2 წლის მანძილზე. მანამდეც ხომ იცი ჩვენი ცხოვრების ყოველი დღე და რა გასაკვირია, თუ ხანდახან ვიტირებ? ამის გამო არ უნდა ინერვიულო. მთავარია, შენ მყავდე კარგად და შენთან ერთად ის ადამიანებიც, ვინც მიყვარს. მეც მაშინ ვიქნები კარგად. დედას სიხარულო, არაფერზე ინერვიულო. ჩვენთან ყველაფერი ნორმალურადაა. მართლა უკეთ ვარ უკვე. მომავალ კვირაში გაგაგებინებ ლევანის პასუხს. მიყვარხარ, უფალი გფარავდეს. გიკოცნი მწვანე და ციმციმა თვალებს. დედა.

• სიხარულო, დღეს მივიღე შენი წერილი და მეც 20-ში გამოვგზავნი. ყველაფერი მოგწერე, რაც გაინტერესებდა. ძალიან მიყვარხარ მეც და მენატრები. ყველაფერი ისე იქნება, როგორც შენ გინდა, სიხარულო. წასვლაზე ველარ გავიგე, რა გავაკეთო. მე შენ გამო ვიკავებდი თავს და იქნებ მანამდე მივიღო შენი წერილი. ახალი წელიც მოდის, ჩემო ცხოვრებავ და გული ძალიან მტკივა, შენ ჩვენთან რომ არ იქნები. გუშინ ნაძვის ხე ავაწყვეთ და ნეტავ იცოდე, საბა რა დღეში იყო. იმ სიმაღლემდე მორთო, სადამდეც სწვდებოდა [illegible]ორჯიუებას იყო. მე უგულოდ მ[illegible]თე, უშენოდ უნდა შევ[illegible]ეე, ხვდე და არ მიხარია. ბარბარობას დამირეკე და ვერც მოგილოცე. თან მთელი ღამე გამათენებინა კბილმა და წესიერად ვერც დაგელაპარაკე. გაითიშა და მთელი დღე ვინერვიულე. კარგი, დროებით... თავს გაუფრთხილდი და იცოდე, რომ ყველაზე მეტად მიყვარხარ. ნინო.

• ხვიჩა, როგორ ხარ? მომენატრე, გენაცვალე შენ! უშენოდ არ ვაპირებ არაფერს. გელოდები, რომ მერე მაგრად გავაჯაზოთ. დღეს ნინომ შენი წერილი წამაკითხა და გული მეტკინა. როგორ გივლიდი, გახსოვს? დილაობით ყავა ლოგინში რომ არ მომერთმია, ისე არ დგებოდი. შენ რომ აღარ მხვდები, აღარც დილით მივდივარ და აღარც ყავას ვაკეთებ. მალე ჩვენთან იქნები და გპირდები, უფრო ადრე და უფრო მეტი ყავითა და კომფორტით გაგანებივრებთ. ძალიან მიყვარხარ და იცოდე, რომ არ დამვიწყებიხარ. პირიქით, ყველას გავაგებინეთ, უცხოსაც და ნაცნობსაც, რომ მაგარი კაცი გვყავხარ. გული არ გაიტეხო. საყვარელ ადამიანებს ისეთი სჭირდები, როგორიც მე მახსოვხარ. მთავარი დამავიწყდა — ვალებს პროცენტები ემატება და შენს სიყვარულში გავცვლი მარტო. მიყვარხარ. თამთა.

• როგორ ხარ, ლაშა? ჩვენ არა გვიშავს. თავს მიხედე. ყველაფერი გეგმის მიხედვით მიდის. ასე რომ, შედეგსაც სასურველს უნდა ველოდოთ. გამაგრდი. ცოტა დარჩა ფინიშამდე. დათო.

• ჯოტი, როგორ ხარ? გადაყვანის ამბავზე ვიკითხეთ, მაგრამ ასე გვითხრეს, ერთი წელი იქ უნდა იყოსო. ბელა და ისინი ახლა წავიდნენ. ყველამ მოგიკითხა. გკოცნით და გვიყვარხართ.

• რისტო, ხვალ ისევ ოთხშაბათია. სულ ცოტათი ახლოს მოვალ შენთან, ჩემო პუნტულიკა. იმედია, მალე ჩაგეხუტები და აღარასოდეს გაგიშვებ. ელოკოლის მალამო იყიდე.

• ხახა, ზუუ, დღეს ლარისა და მეგი ვნახე და მელაპარაკნენ. დედაჩემს დაველაპარაკები და მალე ხელს მოვაწერთ და გნახავ. :) ერთი სული მაქვს, როდის გნახავ. მიყვარხარ.

• დადუ, გიო, ძალიან გვიყვარხარ და უსაზღვროდ მენატრები. ჩვენზე არ ინერვიულო. ბავშვები შენ გახსენებენ და გელოდებით. ხელფასი დამერიცხა. გკოცნი. სულ შენ გნატრობ. თამო.

• ჯოტი, დღეს 18 დეკემბერია და მივიღეთ შენი წერილი. ნათლიამ მოგვიტანა და სიხარულის გამო ტირილი ამივარდა. ჯოტი, მე არავის ვუპირისპირდები. რატომ ფიქრობ ასე?

• მამ... მე არ მაქვს ბოლომით სავსე გული. ძალიან გთხოვ, ნუ ფიქრობ ასე, მე ვამაყობ იმით, რომ მამაჩემი ხარ და ისიც იცოდე, რომ ძალიან მიყვარხარ. შოშია.

• რისტო, საყვარელო, არ ინერვიულო, თუ აპელაციაში არაფერი გაირკვევა, მეც არ ვიცი რა იქნება, მაგრამ მჯერა, მოგვარდება. ის ასე გვეუბნება და იმიტომ. სხვა ყველაფერი რიგზეა, მანქანა გავაკეთე, ავლაბარშიც მოვაგვარე დენისა და წყალის ამბავი, ბავშვებს ამ კვირაში დაითხოვენ, ნანა 25-დან ბაკურიანში მიდის. თამაზს ბინის ამბავი 3 თვით გადაუვადა იმ ამერიკელმა. გირაოს ფულზე რას შვრება, არ ვიცი; ვეკითხები და — რაღაცას ვიზამო. შენებიც კარგად არიან, დღეს ცოტა ვერ ვიყავი კარგად, წნევა დამივარდა, ცოტა შემეშინდა, მაგრამ ეკა გაჩნდა 5 წუთში ჩემთან. ადამიანი ძაღლი ყოფილა, ყველაფერს უძლებს. გამაგრდი, ჩემო ბასკურია, მალე ყველანი ერთად ვიქნებით ისევ, ჩვენ უშენოდ არ შეგვიძლია ცხოვრება. ფიქრებში სულ ჩემთან ხარ ისედაც.

• ხახა, წერილი გამოგიგზავნე ფოსტით და ალბათ შემოგიტანენ. პასუხს ალბათ დამიწერ. გკოცნით ბევრს და მენატრები. :( თავს გაუფრთხილდი. გვიყვარხარ! შენი გვანცი და მარი.

• 3.198გი, ანი ა.28-თი მოგწერ. ნეტავ როგორ ხარ? იმ ვიდეოპაემანმა საშინელი დაუკმაყოფილებლობის განცდა დამიტოვა, ვერც წესიერად გელაპარაკე და თან უცებ დასრულდა. ბუუს, ნეტავ მანდ წაიკითხავ ამ გზავნილებს? ახლა ისეც მიწევს ნახვა, მერე დიტოს დავაწერინებ და კიდევ დაგელაპარაკები, თან დიმიტრის დანახვაც გაგახალისებს. სულ ცოტაც და კვლავ გნახავ. იქ ლალისთან დავრეკე, განსაკუთრებული სერიოზული არაფერია და რაღაც 1-2 პრეპარატი ვურჩიე. წამოსვლამდე ისევ შევეხმიანები და გაგაგებინებთ, როგორ არის. კიდევ, ისაა შედარებით ახალი, რომ დედა და ქერინი წავიდნენ. დედა დამაკლდა. ძაან მეხმარებოდა. კიდევ ის, რომ ლევანი შემეხმიანა, მკითხა შენზე და მეც ვუთხარი, სადაც ხარ. ანგარიშის ნომერიც მკითხა და მივეცი — უნდა დავურიცხოო. მე ხუთშაბათს დაგირიცხე, გი, ოღონდ პენსიების გამო ბანკში დიდი რიგი იყო და აპარატიდან დავრიცხე. ნეტავ დროზე მიიღე? ეტყობა ძაან ბევრს ვნერვიულობ შენზე და ამ ბოლო დროს ძაან ხშირად მესიზმრები. თავს გაუფრთხილდი, გი, ძალიან მიყვარხარ და მენატრები. მიხარია, რომ გნახავ. შენი თე.

• ა.28გი, ბარბარობას, საბაობასა და ნიკოლოზობას ერთად გილოცავ, ამ სამი წმინდანის მადლი შეგეწიოს და რაც ყველაზე მეტად გჭირდება, ჩემ გვერდით სულ მალე მენახე. თეე.

• ა.28 ბუუს, იცი, როგორ მომენატრე? აბა, რა იცი... საშინლად მაკლიხარ და უშენობის ყოველ დღეს საშინელი პერიოდის სახელს ვარქმევ... ძალიან მიჭირს უშენოდ, გკოცნი. თეე.

• ა.28 ნეტავ როგორ ხარ, გი, ხომ

არაფერი გიჭირს? რაღაც, ვერ ვისვენებ და ვფორიაქობ, მალე მინდა მოვიდეს 27. მენატრები უზომოდ და საოცრად მიძნელდება ცხოვრება. გკოცნი. თეე.

• ა.28 გი, რაც დრო გადის, მით მეტად მემატება სევდა და ნაღველი. ამ საღამოს ძაან ცუდად ვარ. ინტერნეტში სალომეს დაუდვია თავისი პატარაობის სურათი დედასთან და მამასთან ერთად. რა სხვანაირი ხარ, აბსოლუტურად არ ჰგავხარ იმ ადამიანს, მე რომ მიყვარდა და მე რომ გავიცანი. როგორ მაკლიხარ, ნეტავ იცოდე, ვცხოვრობ მოგონებებით და ვცდილობ, ჩემს ყოველდღიურობას ღირსეულად გავუძლვე ისე, რომ არც შენ დაგწყვიტო გული და არც ის ტკივილი მოვახვიო თავს ვინმეს, რომელსაც ეს 1 წელია, ვატარებ. მიყვარხარ, ბუუს. გელი. თეე.

• ეჰ, ჩემო ძმაო, გვინდა თუ არ გვინდა, ცხოვრება მაინც გრძელდება და ჩვენც იძულებული ვართ, მომავალზე ვიფიქროთ. უფლის იმედი გქონდეს. გვენატრები. გკოცნი. ბელა.

• ლაშა, რაც ამწუთას შენ შეგიძლია, ეს ჯანმრთელობაზე ზრუნვაა. გარეთ მივხედავთ, რაც მისახედია. არავის არაფერი გვიჭირს. გვტანჯავს უშენობა. მჯერა, მალე ერთად ვიქნებით.

• ტიტო, როგორ ხარ? დე, მაგრად გვიყვარხარ ყველას, შენი ძმაკაცები გკითხულობენ. ასე ამბობენ, ძალიან გვაკლიაო. დედა, მე ვიცი, როგორი კეთილი და უბოროტო ხარ.

• გამაგრდი, ძმაო, ეტყობა ბედისწერას გვერდს ვერ ავუვლით. თავს ზევით ძალა არ არის. სასოწარკვეთილებაში ნუ ჩავარდები. წმინდა ბარბარეს მადლი შეგვეწიოდეს! ბელა.

• ჩემო სიცოცხლევ, სიგიჟემდე მიყვარხარ, ძალიან მენატრები. გკოცნი. შენი პატარა მაიმუნი.

• დუკა, მენატრები, მიყვარხარ, გელოდები!!! უშენოდ ძნელია ცხოვრება, მაგრამ შენი სიყვარული მაძლევს ძალას. მოუთმენლად ველი შენს ჩახუტებას და ალერსს, კოცნას! შენი დუკა.

• ჩემო ერთადერთო სიხარულო და სიყვარულო, შენთან მინდა. მინდა, რომ მოგეფერო. ბუსია.

• ტლიკინა ბადუაშვილო, მალე გამოდი ჩემთან, თორემ სახლი ყირაზე მაქვს. პონჩიკების სუნი მაინც დადგება... ფუცოვიჩი.

• გმადლობ, მარი, ჩემი მესიჯი რომ დაბეჭდე. კარგი ხარ :). როგორც ატყობთ, ახალი ვარ. ჩემთვის ვიქნები, არავის შევაწუხებ, ვეცდები, საინტერესო ამბები მოგწეროთ ხოლმე. კონკია.

• მე პირველი კბილი ამომივიდა. ჩვენი დარდი არ გქონდეს, ჩვენ პირიქით, შენი დარდი გვაქვს. დაეთანხმე ჩვენს წინადადებას, დაფიქრდი. თუ რაიმე გჭირდება, თენგოს დააბარე.

• გაუმარჯოს ალეს, მაგრად უძლებს ქალებს. გაბრაზდი, ფისო? იიიფ, რა კარგიაა?!

• როგორც უნდა გამაბრაზო, მაინც მიყვარხარ, ჩემო გიჟო. წამო, სამეგრელოში შევრიგდეთ, რა...

• თუ გინდათ პირადი მძღოლი, დაუკავშირდით ჩემს კნეინას და ის გადაგაფიქრებინებთ. გკოცნი, ბრაზიანო, ალი.

• ბება, მიყვარხარ გულში. ალბათ მიხვდები, ვინც ვარ. მიკუნკულ ბებაფი... მარი-ბუთა.

• ჯოტი, დღეს შაბათია და ბელა იყო შენთან წამოსული. იქიდან რომ დაბრუნდა, ჩვენთან ჩამოვიდა. მერე გია და ბიჭებიც მოვიდნენ და მთელი დღე ვჭორაობდით. მიყვარხარ.

• ჯოტი, შენ რომ მითხარი, ორმოცდაცამეტიო, იმ დღეს მე ოცი ჩავრიცხე. როგორ მენატრები. ახალი წელი რა არის უშენოდ? ნეტავ ამ ყველაფრის უკან დაბრუნება შემეძლოს. გკოცნი.

• გაიხარე, ფლამინგო! კარგი ხარ. :) ატარექსია.

• მტანჯავს მიწისა და ცის უთანხმოება... ატარექსია.

• მდუმარე ტრფობის წარწერათა ისწავლე კითხვა, თვალით ისმინე სიყვარულით ნაწერი სიტყვა.

• დავალ ქვეყანაზე როგორც ბნედიანი, ღმერთო, მაპატიე უქმად ხეტიალი. რა ჭეშმარიტებაა, რომ ღვთაებად იხდი იმას, ვინც გიყვარს.

• შესანიშნავი კანონი აქვს დედაბუნებას, უსიყვარულოდ რა აზრი აქვს ჩემს დაბრუნებას.

• ვიცი, რომ შეცდომას კვლავ გავიმეორებ, ისევ რომ დავიწყო ცხოვრება თავიდან. ნუ აჩქარდები, რადგან ბედმა ღალატი იცის და სიყვარულის ბოლო მაინც განშორებაა.

• ჩემი სიყვარული მომენატრა, ხალხო. თან ძალიან მიყვარს... უიმისოდ ყოველი წუთი ჩემთვის ტანჯვაა... მიყვარს ისე, როგორც არავინ, როგორც არასდროს. მიშკა, მიყვარხარ!

• ფოთში ყველაზე მაგარ ადამიანს, მამუკა დურდიაძეს ვეტყვით, რომ ძალიან გვენატრება და გვიყვარს. მამუკა, მალე დაგვიბრუნდი ჯარიდან, ჩვენო ჯარისკაცო. P.S იმერეთი.

• გამარჯობა ყველას. პირველად გწერთ და არ ვიცი, საიდან დავიწყო. ძნელია, როცა ცხოვრობ და იცი, რომ არავისთვის გიცხოვრია. მიხვდით, რას ვგრძნობ? რკინის ქალი.

• შენზე ოცნებამ უკვე გამხადა, ამ სიყვარულის ტყვე, ცოდვა იქნება, ლამაზო, შენთვის, უსიყვარულო დღე. ო! რა მაცდური გზებით ატარა, ცხოვრებამ ჩემი დიდი მიზნები. ძალიან ძნელია დაშორდე იმას, ვინც მთელი გულით არსებით გიყვარს. ნამდვილ სიყვარულს დუმილი უყვარს, უხმოდ, თვალებით მოლაპარაკე.

• ო! ბავშვობის გულის ცემასავით ჩქარო დღეებო. ო! ნერვიულო, მაგრამ მაინც ტკბილო ცხოვრებავ. განშორება სიყვარულის ყველაზე დიდი გამოცდაა.

• გულით მინდა მადლობა გადავუხადო გულთბილი ყურადღებისთვის ფოთის სოციალური სუბსიდიების სააგენტოს უფროსს, ინგა ღვინჯილიას. ღმერთმა დაგლოცოთ. იკა კომახიანი, ფოთი.

• მაპატიე, მარ, ასე გვიან რომ გწერ, მაგრამ მარტოობით დავიღალე. არც მეგობარი, არც სიყვარული, ყველას ძლიერი ვგონივარ და ამიტომაც შემარქვეს რკინის ქალი. არადა, ძალიან გადავიღალე შავი ფიქრებით/ მარტო მე არა, სხვებიც დავღალე/ და თუ ოდესმე გამიღიმია,/ ღიმილით მხოლოდ სევდა დავმალე. რკინის ქალი.

• შუაღამისას ეკლესიაში შენთვის ავანთე წმინდა სანთელი, შენზე ვილოცე, შენ გამახსენდი, ფიქრი მქონია თურმე. რამდენი... და იწვის, იწვის ჩემი სანთელი...

• გამარჯობა, მარი. წავიკითხე ლუნას მესიჯი. აპოლონს არ ვიცნობ, მაგრამ არა მგონია, ლუნას რამე ეთქვა ცუდი, ისეთი კარგი სულის პატრონია. ნონა.

• რას ვამსგავსო, შევადარო, შენი შავი თვალები, მე რად მინდა სხვისი ბაგე, შენსას ვენაცვალები...

• სულ ყველაფერს მირჩევნია, შენთან ტრფობა, თამაში, თუკი შენთან ყოფნა მინდა, ცუდს რას ხედავ ამაში? ლუნა.

• ...მერიდება შენი. რატომ? ამ კით-



ხვაზე პასუხი არ მაქვს. ბედის ირონიაა ალბათ! ადამიანთან, რომელსაც ნორმალურად არ ვიცნობ და არც მიცნობს, გარდა იმისა, რაც გვაკავშირებს, ბევრი და მეტიც მქონია საერთო თურმე. რადგან ასე სხვებს აწყობთ თურმე! ერთხელ, წითლებს (საჭიროებამ მოითხოვა, ასე მათ დავარქვი, კიჭი რომ შემიჭამეს) ვეთამაშე შავი. თეთრი ალამი ავირჩიე. წესები დაარღვიეს და ქვები მომპარეს მხოლოდ. მე ღიად ვეთამაშე. მათ კი ისევ დამატებითი ქვები გამოიყენეს. მერე მოპარული ქვები დამიპირისპირეს. თვითონ, — ხელი დაგვიბანიაო და თამაშიდან გასვლა დაიწყეს. ამჯერად დამსწრეებად არჩიეს ყოფნა. ოვაციები დიდი იყო.

• ცხვრებს დაესივნენ თურმე წითლები, მგლებისგან უნდა დაგიცვათო. თურმე ცხვრები ერთნაირად აზროვნებენ და ერთ ორმოში მოყვნენ ყველანი. ღმერთმა დაფარული არ დატოვა არაფერი. მხოლოდ ამის შემდეგ მოჰყვნენ თავის მართლებაში მყოფნი, აბდაუბდას ცხვრები ალბათ და ლოგიკურიცაა, ვერაფერი გაიგე (ქაჯი გეტყვის... დანარჩენში იმედია, გაერკვევი). ერთი ვიცი, მერიდება, მრცხვენია შენი კიდევაც. მევენახისთვის ვენახია, ბედი განმეორდება ბევრში! მხოლოდ ასეთი ტრაგიკომიკური ამბები ხდებოდა კედელს გამოღმა! ერთი თხოვნა მექნება შენთან. ნათესაური, მეგობრული, სიყვარულით გთხოვ ამას, თავს და ჯანმრთელობას გაუფრთხილდი. ის არ მოსულა ჩემთან. თუმცა არაფერზე ინერვიულო. ჩვენ ყველანი შენთან ვართ და ერთი გზით მივდივართ. მალე შენც დაბრუნდები მოგზაურობიდან. ყველამ და მეც მოგიკითხეთ. ღმერთმა დაგლოცოს და გაგაძლიეროს! ელ.

• წმინდაო ნიკოლოზ, წმინდათა წმინდა, ეს სათხოვარი მე შენთვის მინდა. გთხოვ, დაიფარო ამის მკითხველი და ყველა განცდა მოუსპო გზიდან. გფარავდეს ღმერთი! მე ასე მინდა. გაკოცე.

• გამარჯობა, ჩემო კარგო მარი. კვირას „გზას“ ვკითხულობდი გრაფიოში და ერთმა ქალბატონმა მითხრა, მეც „გზის“ მკითხველი ვარო. 6 წელია, საბერძნეთში ვარ და „გზა“ და „გზავნილები“ მეხმარება, აქაურ ყოფას გავუძლოო და რომ გაიგო, გერასიმე ვიყავი, ძალიან გაუხარდა და ჩამკოცნა. მიყვარხარ, მარი, და 1000 მადლობას გიძღვნი იმისთვის, რომ ვინც „გზავნილებს“ კითხულობს, გერასიმე ცოტათი ხომ უყვარს? ეს კი ჩემთვის ბედნიერებაა და ის ქალბატონი, ვისაც გერასიმე უყვარს, ნათიაა ბერიძე, ათენიდან. გაიხარე, მარი, როგორც მე მახარებ. გერასიმე.

• რუისპირი სად დაიკარგა, ვინ მეტყვის? ფიფქია.

• ვაა, მარ, ვიღაცამ ჩემი ლექსი გამოგიგზავნა, რაღაც არ მგონია, შენ დაგებეჭდოს. მინდა, მითხრას, ვინ იყო ეს. დამიბეჭდე რაა. კლეოპატრა.

• „მობილიზაცია“ მართლაც რომ უინტერესო გახდა. ფიფქია.

• მხიარული ვარ? არავინ იცის, ამ ტანჯულ გულში თუ რა ტრიალებს, ამდენი დარდი, ჩუმი ტკივილი, ვიცი, სიცოცხლეს გამიტიალებს. დატანჯული ვარ? ეს სიყვარული, ასე გვამცირებს ადამიანებს, მუდამ ცალმხრივი, გრძნობა ნამდვილი, ყველაზე ცელქსაც ადარდიანებს. მუდამ ვიგლოვო? არ დამიფასებს, იგი ყალბ გრძნობებს „ამარიაჟებს“, მუდამ განვიცდი, რომ სიყვარული ასე გვაგიჟებს ადამიანებს. მენატრები. მარტოსული.

• მარიშკები, გილოცავ დამდეგ შობა-ახალ წელს, გისურვებ ყველაფერ საუკეთესოს, ორიგინალურს და გამორჩეულს, იმიტომ, რომ შენც ასეთი ხარ. მიყვარხარ.

• აღარაფერი აღარ შემეძლო, სიყვარულის და ტკივილის გარდა, ჩამოვაფარე სულს მონატრების ჩამოძენძილი, მოშავო ფარდა და სიშავეში თეთრი ლაქები განწირულივით გამოვიგლოვე, როცა ძალიან ძლიერ მიჭირდა, მეტოქეებმაც მაშინ იდროვეს და ყველაფერი შემომაძარცვეს, სიყვარულის და ტკივილის გარდა.

• ეშვება ციდან ცხვრის ფარასავით უთვალავ ფიფქთა მოძრავი კასტა, ქათქათებს თეთრად ჩემი მანსარდი, სითეთრე ლამის ძვლებამდე ატანს, ფანტელთა ცეკვამ ობოლი ალვა მთლად გაათეთრა და გააბრუა... მაცვივა თოვლი და ახლა ვგავარ ზღაპრიდან მოსულ თოვლის ბაბუას. სპეტაკ სურვილთა თეთრი იებით ავავსე ჩემი სურვილთა თოფრა. გეძახი, გიხმობ, გეპატიჟები, თოვლის მეჯლისზე, თოვლის დედოფლად.




• გამარჯობა, სიხარულებო. რა დამემართა, ნეტავ იცოდეთ. „გზა“ ვერ ვიყიდე და წარმოიდგინეთ, რა დღეში ვარ. გავაფრენ! როგორ ხართ? მოგიკითხავთ ყველას, ყველას. მიყვარხართ. გაკოცეთ დაღლამდე. თეონა.

• არის წუთები, როცა ფიქრობ, ყველამ დაგტოვა, არის წუთები, როცა ფიქრობ, ვერ შეელევი, მაგრამ ცხოვრება არის ალბათ ბევრის დათმობა და უსასრულო მოლოდინი ბედნიერების.

• არ დამიძახო, სულერთია, მე აღარ მოვალ, მომწყინდა უკვე უიმედო შენზე ფიქრები, დღეს უკვე სულში დავიწყებამ დაიწყო თოვა, მე უკვე შენი აღარასდროს აღარ ვიქნები.

• დიიიდი სიყვარულითა და პატივისცემით მოვიკითხავ მამუკას. გმადლობ (მიხვდები, რატომაც), და გიჟუნია გიოს, რომელმაც არაჩვეულებრივად იცის მძიმე წუთებში ადამიანის გამხნევება და სახალისო ამბების მთელი გუდა აქვს ამისთვის. გენაცვალეთ თქვენ.

• ჩვენ გავიბუტეთ და ორივეს დარდი გვმოსავდა,/ მოდი, სურვილით ძველებურად ისევ აღვივსოთ.../ არა იმიტომ, უშენობა რომ გამოვცადო.../ გავიგოთ ფასი ერთმანეთის, მხოლოდ ამიტომ.../ და მაინც მინდა შენს ცარიელ სიმყუდროვეში,/ ისევ მომიხმო, მაპატიო და შემირიგო,/ არა იმიტომ, უშენობას რომ ვერ ავიტან,/ სხვას ასე ველარ შევეჩვევი,/ მხოლოდ ამიტომ.

• შენს მონობაში ისე გადის ჩემი ცხოვრება, ვერ გამიგია, წამია თუ წელიწადია, ჩემი სიცოცხლე შენს ერთ ღიმილს ემათხოვრება და სხვა სიკეთე მე ამქვეყნად არა მწადია.

• მიშიკო, არ ინერვიულო, მალე ყველაფერი მოგვარდება. თავს მიხედე. აქ მაქსიმალურს ვაკეთებთ, რომ რამე შეგეხოს. ძალიან, ძალიან მიყვარხარ. უშენოდ საშინელებაა. ეთო.

• გამარჯობა! დიდი ხანია, რაც ჟურნალ „გზას“ ვკითხულობ და თან ძალიან მიყვარს. ბევრ ქვეყანაში ვიყავი და იქაც სულ მქონდა. პირველად ვამესიჯებ, მიყვარხართ, ნინი.

• რას ნიშნავს ტერმინი „სულით სოფლელი“? მეგობარმა მითხრა, მთავარია სულით სოფლელი არ იყოო. მე კი თავიდან ფეხებამდე და სულით ხორცამდე სოფლელი ვარ. ლევანი.

• უჰ, რა კარგიაა! ძლივს აღარ მყავს არავინ! ოტდიხ გარანტიროვან! არა, რა, ჩანთებისა და ბიჭების ცვლაში ვგლიჯავ! მომენტ, წინააღმდეგი არ ვიქნებოდი, 20 წლის, სექსუალური, მაგარი ზმანი, მდიდარი სანტა კლაუსი რომ გამეჩითოს. არა, რა, ჩემი

ეროვნული ბიბლიოთეკა

## გზავნილები

საქმე ისეა, მგლის თავზე სახარებას კითხულობდნენ და — გამიშვი, ცხვარი გარბისო.

• დედაჩემმა, ინტრიგანი ხარ, თავად იწვევ ხალხს, რომ გლანძღონ, ისეთ რაღაცებს წერო. ხალხო, თქვენ მაინც უთხარით, რომ მე არავინ გამომიწვევია, თორემ დამერხა. ნაომი.

• ლუნა, ძალიან მომწონს შენი ლექსები. ვის უძღვნი მაგ ლექსებს? ხანდახან მეც მომდის მუზა. სინიორი.

• ჩემო საყვარელო მგზავნელებო, მიუხედავად იმისა, რომ ზოგჯერ ძალიან სტკენთ გულს ერთმანეთს და ცუდი სიტყვებით ამკობთ, მე მაინც მიყვარხართ და მინდა, ახალი წელი მოგილოცოთ. ჯანმრთელობას, სიკეთესა და სიყვარულს გისურვებთ. ერთმანეთს გულს ნუ სტკენთ და თავი შეიკავეთ, ცუდი გამოთქმებისგან. ნუთუ ეს ასე ძნელია?

• მგზავნელებო და მარიამულ, როგორ ხართ? მე ახალი ვარ, იმედია, მიმიღებთ, სიყვარულის სამეფოში. მე პატარა ანგელოზი ვარ. მიყვარხართ ყველა.

• გუშინ დავლიე, მოვყვე ყბედობას და ჩემი სახით დათვრა ვალეტი... გუშინ დავლიე და დღეს, ბედობას, დამებედება ალბათ... ტვალეტი! დათო.

• მეფეთა ხმელი ხის ნორჩო ყლორტო, კვლავაც თუ ღივის ფესვი ცოცხალი, ამ ჩემი სისხლით ეგების მოვრწყა, დაუნანებლად ბრძანე, მომკალი.

• მე პირველად ვამესიჯებ, მაგრამ „გზავნილების“ მკითხველი ვარ. ლუნა, შენი გაცნობა მინდა. ანანო.

• როგორ ხარ? ძალიან მენატრები. მინდა შენი ნახვა, მაგრამ ხომ იცი, მაგის უფლებას არ მომცემენ. მაგრად იყავი, არაფერზე იჯავრო. ბავშვი კარგად არის. გვიყვარხარ. ელენე.



## გილოცავ!

• ნიკოლოზობას გილოცავ, ძმაო. წმინდა ნიკოლოზი შეგვწეოდეს ჩვენი ცხოვრების უმძიმეს წუთებში. მიუხედავად ყველაფრისა, მე შენ ძალიან მიყვარხარ. გამაგრდი. ბელა.

• 29 დეკემბერს ბექა მარღანიას ვულოცავთ დაბადების დღეს. გაიზარდე დიდი ბიჭი, ჯანმრთელი და ბედნიერი. შენი მშობლები.

• კობა ბერიძე, გილოცავთ დაბადების დღეს, გისურვებთ ჯანმრთელობას, ბედნიერი და ლამაზი ოჯახის შექმნას, ულევ სიხარულს. გფარავდეს ღმერთი. მაია და მანანა.

## მობილი-ზარია

• ჩემს საყვარელ მეუღლეს, ნინო ალხაზიშვილს ვულოცავ დაბადების დღეს. უფლის მადლი და ძალა გფარავდეს შენ და შენს ოჯახს. შენი ქმარუკა.

• ქუთაისში, ნიკეაზე მცხოვრებ თამუნა სანადირაძეს ვულოცავ 11 წლის შესრულებას. გაზრდილიყავი სასახელო გოგო, გისურვებ ჯანმრთელობას, კარგად სწავლას. მარიკა დეიდა.

• მაგდა მემანიშვილს: მაგდა, დაბადების დღეს, 21 დეკემბერს გილოცავთ, დე. ჯანმრთელობა და დიდხანს სიცოცხლე მოგცეს ღმერთმა. გკოცნით, გიხუტებთ გულში. დედა, მამა, ბაბუები.

• ახშანი, ლევან ქურციკაშვილს! გილოცავთ დაბადების დღეს. მრავალს დაესწარი, ოჯახის წევრებთან ერთად. გაიხარე, გამრავლდი. დისშვილი ნათია სტურუა და სიძე — ზვიად ბიწაძე.

• ლევან ქურციკაშვილს: გილოცავთ დაბადების დღეს. მრავალს დაგასწროს უფალმა. სიხარული და ბედნიერება არ მოგკლებოდეს, ოჯახთან ერთად. რუსთავიდან — თამუნა და ნიკა სტურუები.

• თაზო, მინდა მოგილოცო ახალი წელი. ჯანმრთელობას და მალე ჩვენ გვერდით ყოფნას გისურვებ. გიო და თამო სულ გკითხულობენ. თომამ მოგიკითხა. გკოცნი. უზომოდ მენატრები. ჩემო სიხარულო, მე და ლიკას უზომოდ გვენატრები და გელოდებით. უფალს ვთხოვ, მომავალი ახალი წელი ერთად გვეზეიმოს. მიყვარხარ უზომოდ.

• გამარჯობა, „გზა“! ყველას გილოცავთ მომავალ ახალ წელს... ანი მუდამ სიყვარული, სითბო და სიხარული იყოს „გზავნილებში“ და ჩვენს სამშობლოში... მე დავბრუნდიიიიი...

• ჩემს უსაყვარლეს ძმებს, ლაშას და მანუჩარს ვულოცავ მომავალ შობა-ახალ წელს. ღმერთმა მრავალს დაგასწროთ. უფალი იესო გფარავდეთ მუდამ! გკოცნით.

• ჩემო საყვარელო მარი და მგზავნელებო, ძველებო, ახლებო, დაკარგულებო, უკლებლივ ყველას გილოცავთ მომავალ შობა-ახალ წელს. გისურვებთ ყოველივე კარგს. ღმერთი გფარავდეთ.

• ყველას გილოცავთ, ხალხო, ამ მომავალი ახალი წლის მოვლენაას. რაც კი საუკეთესოა ამქვეყნად, თქვენ გისურვებთ. გაკოცეთ ყველას.

• შოთიკო, 26 დეკემბერს ხომ დაბადების დღე გაქვს? გილოცავ, ჩემო სიხარულო, ბედნიერი იყოს ეს წელი შენთვის. იმედია, ყველაფერი კარგად იქნება. მენატრები ძალიან. გაკოცე.

• ვალერი მილდიანო, გილოცავ ახალ წელს. ბედნიერებასა და კარგად ყოფნას გისურვებ. შვილო, მენატრები. გკოცნით შორიდან. წმინდა გიორგი გფარავდეს. მოგიკითხა ნანამ.

• თაზო, მრავალ ახალ წელს დაესწარი, მფარველობა არ მოგაკლოს ღმერთმა. ნეტავ იცოდე, როგორი ტკივილიანი იყო ჩვენთვისაც ახალი წლის მოსვლა.

• ჩემს ძმას, სოსოს, 26 დეკემბერს ვულოცავ დაბადების დღეს. ჯანმრთელობას, ბედნიერებასა და ყოველივე საუკეთესოს ვუსურვებ. უფალი იყოს მისი მფარველი.

• ჩემო კარგო ადამიანო, გილოცავ დამდეგ შობა-ახალ წელს. მრავალს დაესწარი, შენი ლამაზი ოჯახით. გისურვებთ ყოველივე კარგს. თეონა გაგაძე, ძალიან მიყვარხარ. გკოცნი.

• ჟურნალ „გზას“, მარი ჯაფარიძეს, „გზავნილებსა“ და მგზავნელებს დიდი სიყვარულით ვულოცავ მომავალ შობა-ახალ წელს. ყოველივე საუკეთესოს გისურვებთ.

• აჩი, გილოცავ მომავალ ახალ წელს. გენაცვალოს დედა, ნუ გეშინია, ყველაფერი კარგად იქნება. გვენატრები ყველას.

• ჩემს მონატრებულ და საყვარელ დედას, ნანული საჯაიას, 27 დეკემბერს ვულოცავ დაბადების დღეს. უფლის წყალობასა და ჯანმრთელობას გისურვებ. დე, სულ გახარებული იყავი. იცოცხლე დიდხანს და ბედნიერად. გკოცნი, მენატრები, მიყვარხარ.

• გურულ ნათიას ვულოცავ დიდი სიყვარულითა და მონატრებით დაბადების დღეს. გისურვებ, ჩემო სიხარულო, სიხარული, ჯანმრთელობა, სიყვარული და ღმერთის წყალობა არ მოგაკლოს უფალმა. სულ ია-ვარდით მოფენილი გზა გქონდეს. მიყვარხარ უზომოდ.

• ანი თავართქილაძესა და სალომე აკურბას ბებო ულოცავს დაბადების დღეს. გისურვებთ ჯანმრთელობას, უღრუბლო ზეცას, სიხარულს და ყოველივე კარგს. გისურვებთ მანამ სიცოცხლეს, სანამ დიოდეს რიონი, სანამ არ დაინგრეოდეს, დიდი მთა, კავკასიონი. თქვენი საყვარელი ბებო.

• მზია ლაბაძეს ვულოცავ დაბადების დღეს — იმ დღეს, როდესაც შენ დაიბადე და მოევლინე ამ ცასა და მიწას. წმინდა მარიამის კალთა გფარავდეს. არ მოგკლებოდეს უფლის კურთხევა. მინდა გისურვო დიდხანს სიცოცხლე, სიხარული და ბედნიერება.

• თამილა უგულავას ვულოცავ დაბადების დღეს. გაიხარე შენი ქმარ-შვილით. გკოცნი, ჩემო მონატრებულო დაო.

• მარი, გილოცავ! ბედნიერების მომტანი ყოფილიყოს ეს წელი შენთვის! მე შენ სულ მახსოვხარ, ჩემო კარგო! თუმცა, შენ მიცნობ თუ არა, არც კი ვიცი.

• ჩემო საყვარელო მარი და მგზავნელებო, გილოცავთ მომავალ ახალ წელს. ყველას ძალიან გაფასებთ და მიყვარხართ.

• მარი, ბებო გილოცავს დაბადების დღეს. ჯანმრთელობა და სიხარული არ მოგიშალოს ღმერთმა. შენ ხომ ჩემი პირველი სიხარული და სიყვარული ხარ, ბებოს გოგოვ. მენატრები ძალიან.

• მინდა მივულოცო ჩემს შვილს, ანა ქაროსანიძეს, დაბადების დღე — 24 იანვარი. ვუსურვებ ჯანმრთელობას და ბედნიერ საქართველოში ცხოვრებას. ჩემო შვილო, მამიკოსა და დედიკოს ძალიან გვენატრები.

• დაბადების დღეს, 30 დეკემბერს ვუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა



ლოცავ საბას, ჩემს შვილს. ბედნიერი წლები და ჯანმრთელობა არ მოგაკლოს უფალმა.

•გილოცავთ ყველას დამდეგ ახალ წელს. მარი, შენც გილოცავ, კარგი ადამიანი ჩანხარ. ისე, რამე ცვლილებები იქნება ჟურნალ „გზაში“ 2012 წელს?

•მააარ, შენ გენაცვალე, ჩემო ყველაზე მაგარო ადამიანო, გილოცავ! დიდ, უდიდეს ბედნიერებას, სიხარულითა და სიყვარულით სავსე წელს გისურვებ, ჩემო კარგო!

•მთვარემ მზეს მიულოცა, ვარსკვლავებმა — ცას, ღამემ — დღეს, ქარმა — ხეს, მე კი შენ გილოცავ ახალ წელს. ღმერთი გფარავდეთ.

•გულიკო წივწივაძეს მინდა მივულოცო დაბადების დღე. გფარავდეს უფალი. მეგობარი, მანჩო.

•ჩემს საყვარელ ლამაზ გოგონას, ელენე ბურდილაძეს მინდა მივულოცო ლამაზი დაბადების დღე. ვუსურვებ ყოველივე კარგს, საყვარელ მშობლებთან ერთად. გკოცნი და ჩაგეხუტე.

•ჩემი შვილიშვილის დეიდას ვულოცავ დაბადების დღეს. ვუსურვებ სიხარულს, სიყვარულს, მალე დაოჯახებას და ასევე მალე საქართველოში დაბრუნებას.

•ჩემს მეგობარს, მზია კეჟერაშვილს მინდა მივულოცო დაბადების დღე. ვუსურვებ ყველაფერ საუკეთესოს.

•მზევინარ გიორგაძეს ვულოცავ დაბადების დღეს. სიხარული, სიყვარული და ბედნიერება არ მოგაკლოთ ღმერთმა და მრავალ ახალ წელს დაესწარით.

•ათენში, ეკა ჯანგირაშვილს ვულოცავ დაბადების დღეს. დაესწარი მრავალს, საყვარელ ხალხთან ერთად. გისურვებ კარგად ყოფნას. მალე გაბედნიერება მომელოცოს.

•ჩემს მონატრებულ დედას და დას ვულოცავ ახალ წელს. ღმერთმა ბევრი გაგითენოთ ჩვენთან და ყველა კეთილ ადამიანთან ერთად. შვილი და და — თეა ფანცულაია კოცნას გიგზავნით შორიდან. ღმერთი გფარავდეთ.

•დიტო და ლალი ბაქრაძეებს ვულოცავ ახალ წელს. ღმერთმა სიკეთისა და სიმშვიდის წელი მოგიბრძანოთ მაგ თბილ ოჯახში. გახარებასა და გამრავლებას გისურვებთ. ღმერთმა დაგლოცოთ.

•ჩემს უსაყვარლეს შვილს, ლანა კობახიძეს ვულოცავ ახალ წელს. ღმერთმა ჯანმრთელად და კარგად გამყოფოს საყვარელ ადამიანებთან ერთად. გკოცნი და მენატრები.

•მინდა, დაბადების დღე მივულოცო ჩემს მონატრებულ შვილს, მაია გულიაშვილს. დედი, მიყვარხარ და მენატრები, ჩემო გოგონი. სულ კარგად მეყოლე, ქმარშვილთან ერთად. უფალი გფარავდეს. შენი დედიკო.

•ქუთაისში დაბადების დღეს, 25 დეკემბერს ვულოცავ მონატრებულ ძმისშვილს, გიორგი კვარაცხელიას. გისურვებთ წინსვლას ყველა საქმეში.

•ჩემს საყვარელ და მონატრებულ დედიკოს მინდა, 29 დეკემბერს დაბადების დღე მივულოცო; ვუსურვო ყოველივე საუკეთესო — რაც მთავარია, ჯანმრთელობა და დიდხანს სიცოცხლე. გკოცნი და გეხვევი. დიდი სიყვარულითა და მონატრებით, შენი შვილი.

•საბერძნეთში დროებით მცხოვრებ თამრიკო დორეულს ვულოცავ დაბადების დღეს. დაესწარი მრავალს, შენს ლამაზ ოჯახთან ერთად. გისურვებ ყოველივე კარგს. ლიკა.

•მთელ საქართველოს და „გზავნილებს“ ვულოცავ მომავალ ახალ წელს. ვუსურვებ ყოველივე საუკეთესოს. მრავალი კარგი დღე გაგითენდეთ. გაიხარეთ. თიკუნია.

•მარი, გილოცავ მომავალ ახალ წელს. ყოველივე კარგის მომტანი ყოფილიყოს ეს წელი შენთვის. გაიხარე. ძალიან მიხარია, რომ ყოველთვის მიბეჭდავ მესიჯებს. ძალიან კარგი ადამიანი ხარ. ძალიან მიყვარხარ. იმედია, საქართველოში მალე ჩამოვალ და აუცილებლად გაგიცნობ. თქვენი ერთგული მკითხველი.

•საბერძნეთში დროებით მცხოვრებ თამარ ლოსეურაშვილს ვულოცავ დაბადების დღეს. გისურვებ მანამ სიცოცხლეს, სანამ დიოდეს რიონი, სანამ არ დაინგრეოდეს, დიდი მთა კავკასიონი. თამრო.

•გია გილაურს 21 დეკემბერს, დატანჯული დედა ულოცავს დაბადების დღეს. გია, შვილო, მუდამ ჯანმრთელი და გახარებული მენახე, შენს ოჯახთან ერთად.

•ათენში მყოფ ქართველ ემიგრანტებს ვულოცავ ახალ წელს. ღმერთმა შეძლება და გაძლება მოგცეთ. ნათია.

•ქობულეთში მცხოვრებ დათო მაისურაძეს ვულოცავ 22 დეკემბერს, დაბადების დღეს. გაიზარდე და გაგვახარე, ჩემო ლამაზო ბიჭო. დეიდა.

•საყვარელ შვილიშვილს, მათე კილაძეს ვულოცავ 22 დეკემბერს 24 წლის შესრულებას. ვუსურვებ ბედნიერებას, ჯანმრთელობას, ულევ ბედნიერ დღეს, მშობლებთან და დასთან ერთად.

•დაბადების დღეს ვულოცავ ბესო ბაინდურაშვილს. ვუსურვებ ჯანმრთელობას, საუკეთესო მომავალს და დიდ სიყვარულს.

•დაბადების დღეს ვულოცავ ჩემს საყვარელ შვილებს, ჩემს ტკივილებსა და დარდებს, მაია და ნინო მეტრეველებს. გლოცავთ, დედის გულებო, მრავალი დაბადების დღე და ახალი წელი გაგითენოთ უფალმა, თქვენს ლამაზ ოჯახებთან ერთად. გფარავდეთ უფალი. თქვენთვის მლოცველი დედა.

•ანი ასლანიშვილს, ბებოს სიხარულსა და სიყვარულს ვულოცავ 23 დეკემბერს, დაბადების დღეს. გისურვებ, ჩემო ანგელოზო, ჯანმრთელობას, სიხარულს, ულრუბლო ზეცას და ნათელ მომავალს. სულ ია-ვარდით მოფენილი ყოფილიყოს შენი ცხოვრების გზა.

•ჩემს შვილიშვილებს, ანი და მარიამ რურუებს ვულოცავ დაბადების დღეს, 31 დეკემბერს. ბებოს ლამაზებო, გისურვებთ ულრუბლო ზეცას, სიხარულსა და ჯანმრთელობას. გკოცნით და გეფერებით.

•მინდა, დაბადების დღე მივულოცო ჩემს მონატრებულ შვილს, ლევან გორელაშვილს. დაესწარი, დედიკო, მრავალს, გისურვებ დიდხანს სიცოცხლეს, ჯანმრთელობას. ღმერთმა დაგლოცოს, შენს დაიკოსთან, სალოსთან ერთად. გეხუტეთ. ჩემი ცხოვრების იმედები ხართ. ყოველივე კარგს გისურვებთ. გკოცნით, თქვენი დედიკო.

•ათენში ჩემს მეგობრებს ვულოცავ ახალ წელს. ღმერთმა დაგლოცოთ, სულ ბედნიერი მენახეთ. ნეტავ, ვინ გილოცავთ? რა თქმა უნდა, თქვენი ლადო.

•გარდელია ლიას ვულოცავ შობა-ახალ წელს. გისურვებ ჯანმრთელობასა და მშვიდობიან წელს, შენს საყვარელ ქმარშვილთან და შვილიშვილებთან ერთად. მძახალი.

•მთელ საქართველოს და პირველ რიგში ჩემს ლამაზ, პატარა ოჯახს და ჩემს უახლოეს ადამიანებს ვულოცავ ახალ წელს. სიხარული, სიყვარული და ღვთის წყალობა არ მოჰკლებოდეთ.

•სიხარულო, ძალიან მიყვარხარ. გილოცავ ახალ წელს, მრავალს დაესწარი. სულ ჯანმრთელი და ბედნიერი მენახე მთელი ცხოვრება. მთავარი ეგაა, დანარჩენს ეშველება. გკოცნი.

•შოთიკო ლოლაძეს ვულოცავ ახალ წელს. იმედია, ეს წელი მაინც იქნება შენს ცხოვრებაში ბედნიერების მომტანი. ძალიან მენატრები. შენს ზარს ველოდები.

•საბერძნეთში სალომე გორდაძეს ვულოცავ ახალ წელს. ყველაფერს საუკეთესოს გისურვებ, ჩემო სიყვარულო, შენს პატარა შვილთან და დედიკოსთან ერთად. დათო.

•მედიკო მაკალათიას ახალ წელს ულოცავს ნინო კობახიძე. უსურვებს ჯანმრთელობას, სიხარულს, ხვავსა და ბარაქას. 2012 წელი იყოს ბედნიერი. გკოცნით.

**„მობილიზაციაში“ ნომრის გაგების შესაძლებლობა დღისა და ღამის ნებისმიერ დროს გაქვთ. საამისოდ, მობილური ტელეფონის SMS-ფუნქციაში უნდა აკრიბოთ სიტყვა Guli გამოტოვოთ ერთი სიმბოლოს ადგილი, შემდეგ აკრიბოთ „გზის“ ნომერი, ტირე, მესიჯის ნომერი და გაგზავნოთ ნომერზე 8884. თქვენს ტელეფონზე ავტომატურად მიიღებთ სასურველ ტელეფონის ნომერს. მაგალითად, თუ გსურთ, „გზა“ №18-დან გაიგოთ მე-10 მესიჯის ავტორის ნომერი, მობილური ტელეფონის SMS-ფუნქციაში აკრიბეთ: Guli 18-10 და გაგზავნეთ 8884-ზე. 1 მესიჯით შეგიძლიათ მხოლოდ 1 ნომრის გაგება. ჟურნალში არც ერთი ტელეფონის ნომერი აღარ გამოქვეყნდება. 1 მესიჯის ფასია: 50 თეთრი.**

# ტაიმ-აუტი

## უცნაური მხატვრები

ალბანელი მხატვარი — საიმირ სტრატი საზოგადოებას ხშირად აოცებს უცნაური მხატვრობით — იგი ტილოებს ღვინის საცობებითა და კბილის ჩხირებით ქმნის. ამჯერად კი ახალი პანოს შესაქმნელად, ყავა გამოიყენა. სტრატიმ 2011 წლის 12 დეკემბერს მოზაიკა დაასრულა, რომელსაც „ერთი სამყარო, ერთი ოჯახი, ერთი ყავა“ ჰქვია. პანო 25 კვ/მ-ზეა გადაჭიმული და 140 კგ-ს იწონის. იგი ერთ მთლიან მსოფლიოს ასახავს და მასში 5 რასის ადამიანი ფიგურირებს.

2011 წლის 4 დეკემბერს ვირჯინიის (აშშ) ხელოვნების მუზეუმის ფოიეში ჩინელმა მხატვარმა — სიუ ბინმა ნახევარი მილიონი ღერი სიგარეტისგან ვეფხვის ტყავის „ნოხი“ „დააფინა“.

ერთი წელი დასჭირდა პიტ ფეკტორს, რომ 4242 „კუბიკი-რუბიკის“ მოზაიკისგან მარტინ ლუთერ კინგის პორტრეტი შეექმნა.

ამერიკელი კაილ ბინი ტილოებს ფანქრით კი არა, მისი ნათალით „ხატავს“.

ინგლისელმა ლაურა ჰენდლენდმა პურის 10 ათასი ნაჭრისგან „მონა ლიზას“ ასლი დაამზადა. უჩვეულო მოზაიკა გინესის რეკორდების წიგნში მოხვდა. „მონა ლიზას“ ასლი ყავის მარცვლების, კომპიუტერის კლავიატურისა და ლურსმნებისგანაც დაუმზადებიათ, მაგრამ სრულიად უჩვეულო, მდიდრული მოზაიკა შექმნა ჩინელმა იუველირმა. მისი სახელი უცნობია, მაგრამ ცნობილია, რომ მამაკაცი ძვირფას თვლებს 30 წელი აგროვებდა და ასლის დამზადებას 5 წელი მოანდომა. სულ „მონა ლიზას“ შექმნას 100 ათასი კარატის ძვირფასი თვალი დასჭირდა.

ესპანელი მხატვარი — ხუან ოსბორნი ფერად ქაღალდზე ცნობილი ადამიანების გამონათქვამებს ბეჭდავს და ტექსტებით ამავე ადამიანების პორტრეტებს „ხატავს“.

პოსტიმპრესიონისტების შემოქმედებით დაინტერესებულმა ამერიკელმა სტუდენტებმა ვან გოგის ტილოს — „ვარსკვლავური ღამის“ ასლი შვიდი ათასი ბოთლის რკინის საცობისგან დაამზადეს.

ავსტრალიელი მხატვრები — სკოტ კარგამატისი და ჯოზეფ საადი ტილოებს მცენარეების თესლებისგან „ხატავენ“. მათი პანოების ნახვა შესაძლებელია ავსტრალიელთა სახლებში, ოფისებსა და რესტორნებში. მომავალ წელს მხატვრები გამოფენის მოწყობას ამერიკაში აპირებენ.

ჩინელმა მხატვარმა ხუან გოფუმ 4 წლის ასაკში ორივე ხელი დაკარგა და ფეხებით ხატავს. ხუანმა ხატვა 12 წლის ასაკში ისწავლა და 18 წლიდან ნახატებს ყიდის კიდეც. ■

მხატვრობა სიტყვებით





სიგარეტებით



ყავით



საცობებით



ხუან გოფუ

# ჯადოსნური ქისა ჯადოსნური შანსი!

აღმოაჩინეთ „ლურჯი მონეტები“
„კვირის პალიტრაში“, „ყველა სიახლეში“
და ახლა უკვე ჟურნალ „რეიტინგში“
ამოჭერით და შეაგროვეთ

ლურჯი მონეტა

**შეაგროვებ მეტს**
**დახარჯავ ნაკლებს!**

გამოიყენეთ „ლურჯი მონეტები“
სხვადასხვა მაღაზიაში სასურველი
ნივთის შესაძენად გასაყიდ ფასზე გაცილებით იაფად!

დეკემბერში „ლურჯი მონეტები“ მოქმედებს:

| სად მოქმედებს? | კურსი (რას უდრის 1 „ლურჯი მონეტა“) | მაქს. ფასდ. „ლურჯი მონეტით“ | პროდუქციის ჩამონათვალი |
|---|---|---|---|
| ბიბლუსი — წიგნების მაღაზიათა ქსელი | 1 „ლურჯი მონეტა“ = 1 ლარს | 50% | „დიდი მხატვრები“ „ეს სამყაროა“ „ქართული პროზის საგანძური“ „მსოფლიოს გამოჩენილი ადამიანების ბიოგრაფიები“ |
| Safilo — სათვალეების მაღაზიათა ქსელი | 1 „ლურჯი მონეტა“ = 10% ფასდაკლებას | 30% | მზის სათვალეები და ოპტიკური ჩარჩოები |
| celio* — მამაკაცის ტანსაცმლის მაღაზია | 1 „ლურჯი მონეტა“ = 5% ფასდაკლებას | 20% | ახალ კოლექციაზე |
| GERRY WEBER — ქალის ტანსაცმლის მაღაზია | 1 „ლურჯი მონეტა“ = 5% ფასდაკლებას | 20% | ახალ კოლექციაზე |
| Du Pareil au même — ბავშვების მაღაზია | 1 „ლურჯი მონეტა“ = 5% ფასდაკლებას | 20% | ახალ კოლექციაზე |
| OSRAM — გერმანული ნათურები და განათების სისტემები | 1 „ლურჯი მონეტა“ = 5% ფასდაკლებას | 20% | ავტო ნათურები |
| mirco — აფთიაქი | 1 „ლურჯი მონეტა“ = 10 ლარს | 50% | „მიკროლაიფის“ ციფრული სასწორი |
| ფუტკრის სახლი „ტენტორიუმი“ | 3 „ლურჯი მონეტა“= 1 ბილეთს (საჩუქრად) | | საახალწლო ნაძვის ხეზე |

## სიახლეები:

* ფუტკრის სახლი „ტენტორიუმი“
3 მონეტის სანაცვლოდ
საახალწლო ნაძვის ხეზე
1 ბილეთს გჩუქნით!
(26. 28. 30 დეკემბერი, 3, 5, 7, 9, 11,14 იანვარი)

* უპრეცედენტო,
ფასდაკლების ფასდაკლება
„ბიბლუსში“
საახალწლო ფასდაკლებისას
„ლურჯი მონეტები“ ფასდაკლებულ
წიგნებზეც მოქმედებს!

www.moneta.ge

პროექტში მონაწილეობის წესებს გაეცანით „კვირის პალიტრაში“, „ყველა სიახლესა“ და „რეიტინგში“!

ეროვნული ბიბლიოთეკა



## გონების სავარჯიშო

### „გზის" ერთგული მკითხველისათვის

### (კითხვები)

ქვემოთ მოცემული კითხვები ჟურნალ „გზაში" სხვადასხვა დროს გამოქვეყნებული მასალების მიხედვით არის შედგენილი. შეეცადეთ პასუხი გასცეთ ამ კითხვებზე ისე, რომ „პასუხების" სვეტისკენ არ გაგექცეთ თვალი

1. 1883-1884 წლებში ვაჟა-ფშაველა პეტერბურგის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის თავისუფალი მსმენელი იყო. რატომ დატოვა პოეტმა ეს უმაღლესი სასწავლებელი?

2. ხრუშჩოვის მიერ კულტურის მინისტრად დანიშნულ მიხაილოვს ხალხი „მინისტრ კულტურკის" ეძახდა. რატომ?

3. რა არის „ოღრო"?

4. რა არის „სანსკრიტი"?

5. ვის ეკუთვნის სიტყვები: „როცა სიყვარულის ძალაუფლება ძალაუფლების სიყვარულს დაძლევს, მსოფლიოში მშვიდობა დაისადგურებს"?

6. რა უმაღლესი განათლება ჰქონდა ადოლფ ჰიტლერს?

7. რა არის „კონკლავი"?

8. რა არის „ოროველა"?

9. რა არის „ორფეშხო"?

10. დაასრულეთ რუსების გამონათქვამი: „ვა ვრემია კრიზისა სილნიე ტერიაუტ რაბოტუ, ა სლაბიე — ..."

11. რა არის „ოლარი"?

## ანეკდოტები



***

კახელმა ძროხა იყიდა და 2 თვის შემდეგ ვეტერინართან მიიყვანა:

— ჯანმრთელია, კარგად იწველება, ურჩი არ არის, ოღონდ, როგორც კი ბუღას მივუყვან, უკანალზე დაჯდება და ადგილიდან არ იძვრის.

— ქიზიყში ხომ არ გყავს ნაყიდი?

— ჰო. საიდან მიხვდი?

— ცოლი მყავს იქაური!..

***

მოსკოვი. მძღოლი მანქანების საცობში დგას. ვიღაც ფანჯრის მინაზე აკაკუნებს. მძღოლმა მინა ჩამოსწია:

— რა გინდა?

— იცით, ტერორისტებმა ფინანსთა მინისტრი მძევლად აიყვანეს და 10 მლნ დოლარს ითხოვენ. იმუქრებიან: ფულს თუ არ მოიტანთ, ბენზინს გადავასხამთ და დავწვავთო. ჰოდა, გადავწყვიტეთ, მანქანებს ჩამოვუაროთ... ვისაც რამდენი შეგიძლიათ...

— 5 ლიტრის მოცემა შემიძლია...

***

— დათესა ბაბუამ თალგამი და კანაფი ამოვიდა.

— ზღაპარში რომ ეგრე არ არის?!.

— სამაგიეროდ, ბაბუას რა მაგრად გაუსწორდააა!..

***

ხალხმა გადაწყვიტა, — უვარგისი სინოპტიკოსები დავხოცოთ და ხევში გადავყაროთო.

— მოიცათ ხალხო, ეგენი კიდევ გამოგვადგებიან! — ამბობს უხუცესი.

— რაში და როგორ? — იკითხა ხალხმა.

— ჩამოვახრჩოთ და ქარის მიმართულებას მაინც გავიგებთ ხოლმე.

***

3 რჩევა მამაკაცებს:

არასოდეს უთხრათ ცოლს, როგორ მუშაობთ — შეამოწმებს.

არასოდეს უთხრათ ცოლს, ხელფასი რამდენი გაქვთ — შეამოწმებს.

არასოდეს უთხრათ ცოლს, რომ თქვენი ძმაკაცი ქალების მუსუსია — შეამოწმებს.

***

— შენი სიდედრი რა განხრით მოღვაწეობს?

— მედიცინის.

— თერაპევტია?

— არა, წურბელა!

***

კენტავრი გზის გასაყარზე დგას და წარწერას კითხულობს: „მარჯვნივ წახვალ, ცხენს დაკარგავ, მარცხნივ წახვალ — თავს".

***

ომია. ნარკომანები სანგარში სხედან და წუწუნებენ:

— არც მოსაწევი, არც გასაკეთებელი...

— წამო, შეტევაზე გადავიდეთ, კანტუზია მაინც მივიღოთ...

***

ბიჭი გოგოს ურეკავს:

— რომელი უფრო გიყვარს — ბანანი თუ ატამი?

— შენ, რა, ბაზარში ხარ?

— არა, აფთიაქში!..



ეროვნული ბიბლიოთეკა

***

ცნობილი კინოვარსკვლავი ქალი ცნობილ მწერალ ქალს ხვდება:

— შენი ბოლო მოთხრობა წავიკითხე, ვინ დაგიწერა?

— ჯერ შენ მითხარი, ვინ წაგიკითხა?

***

თვითმფრინავი ჰაერში აყირავდა და ისე განაგრძო ფრენა. სალონში პანიკაა.

— არ ინერვიულოთ, — ამშვიდებს მგზავრებს სტიუარდესა, — პილოტს გრიპი აქვს, ცხვირში „გალაზოლინს" ჩაიწვეთებს და გასწორდება.

***

მასწავლებელი მოსწავლეებს ეკითხება:

— აბა, ბავშვებო, რომელი ცნობილი ადამიანის გმირობის გამეორებას ინატრებდით! თათია, შენ მიპასუხე!

— მაია წიწეთელის!

— ყოჩაღ. აბა, შენ მიპასუხე, გოგა.

— დიმიტრი თავდადებულის!

— ყოჩაღ! აბა, შენ მიპასუხე, მიშიკო!

— მე ჯაკომო კაზანოვას ყველა გმირობის გამეორებაზე ვოცნებობ, მას!

***

მათხოვარმა ქალს მოწყალება სთხოვა. ქალი ხელჩანთაში იქექება.

— ცოტა სწრაფად, ქალბატონო, მანქანა აკრძალულ ადგილზე მყავს გაჩერებული.

***

ავსტრალიელი ფერმერი წყალსაცავთან მივიდა. ხედავს შიშველი გოგონები ბანაობენ. ფერმერის დანახვაზე ყვირილი ატეხეს:

— რას მოგვშტერებიხარ?!. აქედან მოშორდი! სანამ არ წახვალ, წყლიდან არ ამოვალთ!

— ვის რაში სჭირდება თქვენი ყურება, — გაბრაზდა ფერმერი, — ხორცი მაქვს მოტანილი, ნიანგებს უნდა ვაჭამო!

***

განცხადება გაზეთში: „ვეძებ ქმარს! მწეველს, ლოთსა და ქალების მოყვარულს! მიმაჩნია, რომ მეუღლეებს საერთო ინტერესები უნდა ჰქონდეთ".

***

დედა-შვილი ზოოპარკში:

— შვილო, ლომის გალიაში ხელი არ შეყო, რწყილები არ ჰყავდეს!

***

ცოლ-ქმარს გახურებული ჩხუბი აქვთ. ქმარმა კარი გამოაღო.

— ლაჩარო! გარბიხარ, არა?!. — კივის ცოლი.

— დამელოდე, ნაჯახს მოვიტან და მოვალ!..

***

ცოლი:

— ძვირფასო, ხალიჩას მიყიდი?

— ცოცხითაც კარგად იფრენ!



***

ბავშვები ლაპარაკობენ:

— მე დედაჩემის თვალები მაქვს.

— მე — მამაჩემის ცხვირი.

— მე კი ჩემი ძმის შარვალი მაცვია.

## გონების სავარჯიშო

### „გზის" ერთგული მკითხველისათვის

### (პასუხები)

1. ხელმოკლეობის გამო.
2. მიხაილოვმა ერთხელ უნივერსიტეტის წინ სტუდენტებს მოჰკრა თვალი, რომლებიც მზესუმზირას მიირთმევდნენ და თავი უკმაყოფილოდ გადაიქნია: „შტოტა უ ნას ს კულტურკაი სტალა პლახავატა".
3. ამოღრმავებული ადგილი.
4. ძველი ინდური სამწერლო ენა.
5. ჯიმი ჰენდრიქსს.
6. არანაირი.
7. კარდინალთა საბჭო, რომელიც რომის პაპს ირჩევს.
8. გუთნისდედისა და მეხრეების სიმღერა აღმოსავლეთ საქართველოში.
9. დაკლული საქონლის მთლიანი ტანი, გატყავებული და გამოშიგნული.
10. „რაზუმ".
11. მღვდლის სამოსლის ნაწილი — ყელზე ჩამოსაცმელი გრძელი და ვიწრო ქსოვილი, ხშირად ოქრომკედით ნაქარგი.

## ჩვენი ფოტო მაღაზია



ეროვნული ბიბლიოთეკა



# 2012 წლის ასტროლოგიური პროგნოზი
## ზოდიაქოს აღმოსავლური ნიშნებისათვის

დასაწყისი იხ. „გზა" №50

### ცხენი

**სამსახური და ფული**

სამუშაოთი დატვირთული იქნებით, მაგრამ შრომით მოპოვებული ფულის ხარჯვა სიამოვნებას მოგანიჭებთ. ნებისმიერი რთული სიტუაციიდან შეძლებთ თავის დაღწევას. განსაკუთრებული წარმატება ელის შემოქმედ და ინტელექტუალურ სფეროში ჩაბმულ ცხენებს.



**სიყვარული და ოჯახი**

რომანტიკული წელი დაგიდგათ. შესაძლოა, პარტნიორი განსხვავდებოდეს ასაკით, შეხედულებებით, მატერიალური მდგომარეობით, მაგრამ სიყვარული ყველაფერს გადაწონის. ზოგიერთი საკუთარი ბინის მფლობელი გახდება, ზოგი — სასწავლებლად საზღვარგარეთ გაემგზავრება.

**ჯანმრთელობა**

საფრთხეს წარმოადგენს: ქარი, მზე და წყალი. ამიტომ, მოერიდეთ ორპირ ქარს, მცხუნვარე მზესა და ნესტს.

### თხა

**სამსახური და ფული**

კარიერაში წარმატებას მიაღწევთ. ზაფხულიდან გაგეზრდებათ შემოსავალი და იმ ნივთების შეძენას შეძლებთ, რომლებზეც ოცნებობდით. განსაკუთრებული წარმატება სახელმწიფო უწყებაში მომუშავე თხებს ელით.

**სიყვარული და ოჯახი**

იაქტიურეთ და დრაკონის წელში მეწყვილეს გაიჩენთ. ხშირად იქნებით 2 რომანის მთავარი გმირიც. დაქორწინებულებმა, შესაძლოა, ახალი სიყვარულის გამო ოჯახი დაანგრიოთ.

**ჯანმრთელობა**

სასუნთქ ორგანოებს თუ გაუფრთხილდებით, წელი გართულებების გარეშე ჩაივლის.

### მაიმუნი

**სამსახური და ფული**

სირთულეებს ნუ შეუშინდებით, გულხელდაკრეფილი თუ არ დაჯდებით, წარმატებას მიაღწევთ. ზოგიერთ მაიმუნს სწავლისა და მუშაობის შეთავსება მოუწევს. დაგაწინაურებენ ან ხელფასს მოგიმატებენ.

**სიყვარული და ოჯახი**

მთელი წელი იქნებით განებივრებული საპირისპირო სქესის ყურადღებით, ხოლო თუ ვის აირჩევთ პარტნიორად, თქვენი გადასაწყვეტია. დაქორწინებულები უფრო დააფასებენ ოჯახურ სიმყუდროვესა და იდილიას.

**ჯანმრთელობა**

გაუფრთხილდით საჭმლის მომნელებელ სისტემას — მოსალოდნელია გასუქება, ორგანიზმში წიდების დაგროვება, საკვებისა და ალკოჰოლისგან მოწამვლა.

### მამალი

**სამსახური და ფული**

ცვლილებების წელი დაგიდგათ. გარშემო მყოფებს დახმარებაზე უარს ნუ ეტყვით. მოერიდეთ კონფლიქტს კონკურენტებთან. საქმიანობაში უფრო მეტად გაუმართლებს ინტელექტუალურ და შემოქმედებით სფეროში მომუშავე მამლებს. ფული ზომიერად ხარჯეთ.

**სიყვარული და ოჯახი**

შესაძლოა, მოულოდნელი ნაცნობობა ხანგრძლივი რომანით ან ქორწინებით დაგვირგვინდეს. შეყვარებულებმა ქორწილი გაზაფხულზე დანიშნეთ. დაქორწინებულებმა არ გაამწვავოთ კონფლიქტი ოჯახის წევრებთან, განსაკუთრებით — ქალებთან.

**ჯანმრთელობა**

მოსალოდნელია კანის დაავადებებისა და დამწვრობის საფრთხე.

### ძაღლი

**სამსახური და ფული**

ნუ გაამწვავებთ ურთიერთობას კოლეგებთან და უფროსობასთან. ნუ შეგეშინდებათ ექსპერიმენტებისა და ნოვატორული იდეების განხორციელების.

**სიყვარული და ოჯახი**

საბედისწერო შეხვედრა მთელი ცხოვრება გემახსოვრებათ. მთავარია, აკონტროლოთ ემოციები. დაქორწინებულებმა მეტი ყურადღება მიაქციეთ შვილების აღზრდასა და ნათესაური კავშირების გამყარებას.

**ჯანმრთელობა**

მასაჟი და ვარჯიში ენერგიას შეგმატებთ. კარგი პერიოდია წონის დასაკლებად და პლასტიკური ოპერაციების გასაკეთებლად, აგრეთვე — მავნე ჩვევებისგან გასათავისუფლებლად.

### ღორი

**სამსახური და ფული**

არაერთხელ მოგეცემათ სამსახურის შეცვლისა და მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესების შანსი. განსაკუთრებულ წარმატებას მიაღწევენ მიზანსწრაფული და შრომისმოყვარე ღორები.

**სიყვარული და ოჯახი**

მოგზაურობისა და მივლინებების დროსაც გააბამთ რომანებს. შეყვარებულებმა ამ წელს იქორწინეთ. დაქორწინებულმა გაარემონტეთ სახლი, შეცვალეთ ავეჯი.

**ჯანმრთელობა**

გაუფრთხილდით გულს, სასუნთქ ორგანოებსა და თვალებს. ხშირ-ხშირად დაისვენეთ, არ გადაიღალოთ. ■

ეროვნული ბიბლიოთეკა



# სკანვორდი



1. ქრისტე-შობისთვე
2. ქვეყანა ევროპაში
3. დიდი წონის მქონე
4. ქალაქი იტალიაში
5. ალალ-ბედზე მოქმედება
6. კაპიტან ნემოს ხომალდი
7. ხეხილის მაგარნაჭუჭიანი თესლი
8. ხასიათი
9. უდანაშაულობის საბუთი
10. ფალიაშვილის ოპერა
11. შინაური ცხოველი
12. ამერიკელი რეპერი
13. ნოდარ დუმბაძის მოთხრობა
14. მგალობელი ფრინველი
15. ლუკ ბესონის ფილმი
16. სუფრის ხელმძღვანელი
17. მიწის თხილი
18. ბრალმდებელი სასამართლოში
19. ისლამის წმინდა ქალაქი
20. ზღაპრული ცხენი
21. თანრიგი კარატეში
22. ტურგენევის მოთხრობა
23. სანიმუშო ნაწარმოები
24. ფანჯიკიძის რომანი
25. მდიდრული აგარაკი
26. რისამე დამზადების წესი
27. სპირტიანი სასმელი
28. ზუთხების ოჯახის თევზი
29. ინგლისური ლუდი
30. ალექსანდრე მაკედონელის ცხენი
31. პარკოსანი კულტურა
32. ოპტიკური მინა
33. იგივეა, რაც კონტინენტი
34. მახრჩობელა გველი
35. კურდღლის ნაშიერი
36. ძვირფასი ქვა
37. მცირე ჩრდილი



**წინა ნომრის სკანვორდის პასუხები** 1. მონღოლეთი; 2. ბღავილი; 3. რეზონი; 4. თასი; 5. კალვადოსი; 6. ელინი; 7. დოლი; 8. ღლავი; 9. კრავი; 10. ლომბარდი; 11. აბანო; 12. ვარშავა; 13. ალქიმია; 14. ლავრა; 15. იგუანა; 16. კროლი; 17. ვედრება; 18. ვოლვო; 19. შუქი; 20. კრიმინალი; 21. გრავიტაცია; 22. რენო; 23. წვიმა; 24. სოლოლაკი; 25. სპილო; 26. დელი; 27. ალაშანი; 28. ჩაი; 29. ლიბერო; 30. სირია; 31. პლატონი; 32. ლაზიერი; 33. შხარა; 34. ერბო; 35. კალიბრი; 36. რიდი; 37. ოდა.

**სურათებზე:** მიკ ჯაგერი; დევიდ ბოუი.

ეროვნული ბიბლიოთეკა



# მსოფლიო საახალწლო ტრადიციები

• უელსელებს სტუმრად ნახშირი, ჭიქა ღვინო და ღვეზელი მიაქვთ. ამით საკუთარი ერთგულების დამტკიცება სურთ, თანაც მიაჩნიათ, რომ მომავალ წელს მასპინძლის ოჯახი უზრუნველი იქნება საკვებით, სასმლითა და სითბოთი. 12 საათამდე კი კარს აღებენ, რომ ძველი წელი გაისტუმრონ და ახალს შეეგებონ.

• ახალი წლის დადგომისთანავე იაპონელები სიცილს იწყებენ. ჰგონიათ, რომ მომავალ წელს ბედნიერებას დაიბედებენ. 1-ელ იანვარს ტაძრებში სალოცავად მიდიან. ზარი 108-ჯერ უნდა დაირეკოს. თითო დარტყმაზე თითო უსიამოვნება (სიბრაზე, სიხარბე და ა.შ.) ქრება. იქიდან დაბრუნებულები მაგიდაზე ბრინჯის ფქვილისგან მომზადებულ „ბლინზე“ მანდარინს დებენ, — ბედნიერების, ჯანმრთელობისა და ხანგრძლივი სიცოცხლის სიმბოლოს. გარდა ამისა, იაპონიაში ძალიან პოპულარულია მუსიკალური გადაცემა ohaku Uta Gassen — „წითელი და თეთრი სიმღერების შეჯიბრება“, რომელიც ეთერში 1951 წლიდან გადის. მუსიკოსები ორ ჯგუფში ნაწილდებიან და სიმღერის კონკურსში ეჯიბრებიან ერთმანეთს.

• მიანმელები (მიანმა — სახელმწიფო სამხრეთ აღმოსავლეთ აზიაში) ერთმანეთს წყალს ასხამენ (მათთვის ახალი წელი ზაფხულში დგება) და ახალ წელსაც „წყლის ფესტივალს“ უწოდებენ.

• ებრაელების ახალი წელი როშ-ხა შანა 5 სექტემბრიდან 5 ოქტომბრამდე დგება (აღდგომიდან 163 დღის შემდეგ). სტუმრებს თაფლში ამოვლებული ვაშლებით უმასპინძლდებიან.



• ბულგარეთში 12 საათის დადგომისთანავე, 3 წუთით შუქს აქრობენ. ამ პერიოდს „კოცნების წუთები“ ჰქვია. ამბობენ, რომ ვინც სუფრასთან დააცემინებს, მომავალ წელს აუცილებლად გაუმართლებს.

• ირანში ახალი წელი 21 მარტს დგება. ირანელები ერთი კვირით ადრე, პატარა ქოთნებში, ხორბალს თესავენ და ახალ წელს ჯეჯილით ეგებებიან.

• ფინელები ახალი წლის ღამეს წყლიან თასში გამდნარ ცვილს ასხამენ და ფიგურების მიხედვით, ცდილობენ, იწინასწარმეტყველონ, თუ ვის რა ელის მომავალ წელს. გული და ბეჭედი ქორწინებას ნიშნავს, გემი — მოგზაურობას, წიგნი — სწავლას და ა.შ.

• შოტლანდიაში დიდი პატივით ხვდებიან პირველ სტუმარს — მეკვლეს. თავის მხრივ, მანაც მასპინძელს საჩუქრად, როგორც წესი, ვისკი უნდა მიართვას. შოტლანდიაში ამ ტრადიციას ხოგმანაი ჰქვია.

• დანიელები 12 საათის შესრულებას სკამებზე ხვდებიან და შემდეგ იატაკზე ხმაურით ხტებიან. ასეთი ჟესტით ისინი ავი სულების დაფრთხობას ცდილობენ. ამავე მიზნისთვის, დანიელები მეგობრების კართან ჭურჭელს ამტვრევენ. ვის კართანაც ყველაზე მეტი ნატეხი აღმოჩნდება, მას ყველაზე მეტად გაუმართლებს.

• ირლანდიელი მანდილოსნები მოუთმენლად ელიან ახალი წლის ღამის დადგომას. ისინი ძილის წინ, ბალიშის ქვეშ ფითრის ფოთოლს იდებენ, საქმრო რომ დაესიზმროთ. გარდა ამისა, მიაჩნიათ, რომ ფითრის ტოტი უბედურებას აარიდებს.

• ჩილეს ქალაქ ტალკის მოსახლეობა ახალი წლის დადგომამდე ერთი საათით ადრე სასაფლაოზე იკრიბება, რათა ახალ წლის დადგომა გარდაცლილი ნათესავების გარემოცვაში აღნიშნოს. ■

## იაპონური სენსაცია სუდოკუ

„გზის“ წინა ნომერში გამოქვეყნებული სუდოკუს პასუხები

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | 3 | 9 | 4 | 8 | 5 | 7 | 6 | 2 |
| 2 | 4 | 8 | 6 | 1 | 7 | 3 | 5 | 9 |
| 7 | 5 | 6 | 9 | 3 | 2 | 4 | 8 | 1 |
| 5 | 8 | 7 | 1 | 2 | 9 | 6 | 3 | 4 |
| 3 | 6 | 2 | 8 | 7 | 4 | 1 | 9 | 5 |
| 9 | 1 | 4 | 3 | 5 | 6 | 8 | | 7 |
| 6 | 2 | 1 | 7 | 9 | 3 | 5 | 4 | 8 |
| 4 | 7 | 5 | | 6 | 8 | 9 | 1 | 3 |
| 8 | 9 | 3 | 5 | 4 | 1 | 2 | 7 | 6 |

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 5 | 2 | 7 | 3 | 8 | 6 | 9 | 4 | 1 |
| 8 | 9 | 1 | 4 | 5 | 2 | 3 | 6 | 7 |
| 6 | 3 | 4 | 7 | 1 | 9 | 5 | 2 | 8 |
| 1 | 6 | 5 | 2 | 9 | 3 | 7 | 8 | 4 |
| 3 | 7 | 2 | 1 | 4 | 8 | 6 | 5 | 9 |
| 4 | 8 | 9 | 6 | 7 | 5 | 1 | 3 | 2 |
| 9 | 4 | 6 | 8 | 3 | 7 | 2 | 1 | 5 |
| 7 | 1 | 3 | 5 | 2 | 4 | 8 | 9 | 6 |
| 2 | 5 | 8 | 9 | 6 | 1 | 4 | 7 | 3 |

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 5 | 2 | 7 | 3 | 8 | 6 | 9 | 4 | 1 |
| 8 | 9 | 1 | 4 | 5 | 2 | 3 | 6 | 7 |
| 6 | 3 | 4 | 7 | 1 | 9 | 5 | 2 | 8 |
| 1 | 6 | 5 | 2 | 9 | 3 | 7 | 8 | 4 |
| 3 | 7 | 2 | 1 | 4 | 8 | 6 | 5 | 9 |
| 4 | 8 | 9 | 6 | 7 | 5 | 1 | 3 | 2 |
| 9 | 4 | 6 | 8 | 3 | 7 | 2 | 1 | 5 |
| 7 | 1 | 3 | 5 | 2 | 4 | 8 | 9 | 6 |
| 2 | 5 | 8 | 9 | 6 | 1 | 4 | 7 | 3 |

* მარტივი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | 7 | | | 5 | | | 4 | |
| 3 | | | 8 | | | 9 | | |
| | | | | | 2 | | | 6 |
| 1 | | | | 3 | | 8 | | |
| | | 4 | 5 | 7 | | 3 | | |
| | | 3 | | 9 | | | | 5 |
| 5 | | | 9 | | | | | |
| | | 9 | | | 1 | | | 4 |
| | 8 | | | 2 | | | 9 | |

** საშუალო

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | | 9 | 7 | | |
| | | 4 | 6 | | | | 1 | |
| | 7 | | 3 | | | | | 9 |
| | | 2 | | 3 | | | 6 | |
| 9 | | | | 2 | | | | 5 |
| | 3 | | | 8 | 1 | 4 | | |
| 3 | | | | | 5 | | 7 | |
| | 2 | | | | 7 | 1 | | |
| | | 7 | 2 | | | | | |

*** რთული

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 5 | | | | | 1 | | 4 | |
| 2 | | | 4 | | | | | 9 |
| | | | | 5 | | | 6 | |
| | 2 | | | 8 | 4 | | | 3 |
| | | 6 | | 1 | | 9 | | |
| 4 | | | | 2 | | | 8 | |
| | 1 | | | 9 | | | | |
| 7 | | | | | 3 | | | 2 |
| | 3 | | 2 | | | | | 7 |

ქ. თბილისის მერიის პატრონაჟით

თიბისი ბანკი
TBC BANK

მ² - 550$-დან



უპრეცედენტო შემოთავაზება
მხოლოდ საბა ჯგუფთან ერთად
გურამიშვილის 78-ში

გაიცემა იპოთეკური სესხები

- სესხის გაცემა მხოლოდ პირადობის მოწმობის საფუძველზე
- თანამონაწილეობა 10%-დან
- სესხის დამტკიცება

ტელ: 227 27 27

გურამიშვილის 78

www.saba-group.ge

*7222

მთავარი ოფისი:
თბილისი,
ბუდაპეშტის 7

238 44 33
577 777 077
579 770 110

ჩაბარება
2012 წლის დეკემბერი









ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ფოტოკურიოზები















# ჩვენ გჩუქნით წიგნებს!

## რომლებიც მაღაზიებში 33 ლარამდე ღირს

ს 129/44

გამოიწერეთ 1 წლით ჟურნალი „გზა“ და „პალიტრა მედიის“ კიდევ 1 გამოცემა და აირჩიეთ საჩუქრად გამომცემლობა „პალიტრა L“-ის

წიგნი-ბესტსელერები:

„დიდი საოჯახო ენციკლოპედია“
ან
„ბერძნული მითები“
ან
„მაჩვენე როგორ“

**31 დეკემბრამდე!**






| მედია „პალიტრის“ გამოცემები | 1 ეგზ. ფასი | ეგზ. რაოდენობა 1 წლის მანძილზე | 1 წლის ფასი |
|---|---|---|---|
| კვირის პალიტრა | 1.00 | 52 | 52.00 |
| არსენალი | 1.50 | 26 | 39.00 |
| ბომონდი | 5.00 | 12 | 60.00 |
| გზა | 1.00 | 52 | 52.00 |
| და.. ქალი | 2.00 | 12 | 24.00 |
| ისტორიანი | 2.00 | 12 | 24.00 |
| კარიბჭე | 1.00 | 26 | 26.00 |
| კარუსელი | 0.60 | 52 | 31.20 |
| ლელო | 0.80 | 312 | 249.60 |
| ლიტერატურული პალიტრა | 2.00 | 12 | 24.00 |
| ოჯახის მკურნალი | 1.00 | 26 | 26.00 |
| რეიტინგი | 1.50 | 52 | 78.00 |
| საბავშვო კარუსელი | 1.00 | 52 | 52.00 |
| სიტყვა და საქმე | 1.00 | 260 | 260.00 |
| სიტყვა და საქმე (კატალოგი) | 2.00 | 52 | 104.00 |
| ყველა სიახლე | 1.00 | 52 | 52.00 |
| Georgian Journal | 2.00 | 52 | 104.00 |

დაგვიკავშირდით პრესისა და წიგნების გავრცელების სააგენტო

ტელ: 238 26 73; 238 26 74; 238 26 76 www.elva.ge